# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

32 გვ

№ 47 (292) ◆ 20 — 26 ნოემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ...დიდ პოლიტიკაში ჩვენი დაქცეული ქვეყნით ჩვენს თამაშს ვერ ვითამაშებთ



...სავიზო რეჟიმის შემოღება სწორედ ზამთარში, მოსკოვის შეგნებული ნაბიჯია;

...რუსეთის დემონსტრაციული აქცენტი აზერბაიჯანისკენ, ჩვენთვის გამაფრთხილებელი სიგნალია...

...საქართველო შეიძლება მოექცეს იზოლაციაში კავკასიის მასშტაბით;

...რა დივიდენდებს გვაძლევს ჩეჩნეთის წარმომადგენლობის არსებობა თბილისში?

...რუსეთისთვის კატასტროფის ტოლფასია ჩვენი ნატოში გაწევრება. გვ.3

## ...მიზეზები, რატომ დავრჩით ამ ზამთარში შუქის გარეშე (original heading: ...მიზეზები, რატომ დავრჩით ამ ზამთარში უშუქოდ...)

...საბითუმო ბაზარი ყველაფერში პრეზიდენტს სდებს ბრალს; გვ.5

...ვინ ყიდის თურქეთში საქართველოს ჰიდროსადგურებში გამომუშავებულ ენერგიას.

ფულის გამოძალვის ახალი ხერხი...

## ხალხო, რას ვერჩით ხალხს?



გვ.6

დიდი შიშიანობა იდგა თბილისის ქუჩებში

## „შსს მთლიანად უნდა გადაისინჯოს თავის მინისტრიანად“



გვ.7

— თარგამაძე თუ პრეზიდენტი გახდება, კი ვიცი, რომელ საკანშიც ჩამსვამს;

— თარგამაძეს ამბიციები მოეძალა და ეს აღიზიანებს უშიშროებას;

— პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატზე მე მაქვს ჩემი მოსაზრება და პიროვნებაც ვიცი...

— მე მგონი პრეზიდენტმა შექმნა ახალი მონსტრი — პოლიცია.

## ელოდეთ „კვირის პალიტრის“ საოცარ პროექტს...

„ეს ისეთი გრძნობაა, მარტო ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის ვერ გავიმეტე, მინდა თქვენც გაგიზიაროთ“. გვ.24

## „მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი

თქვენ ქართული მიწა-წყალი ხომ არ გგონიათ — ეს ტერიტორია განჯის სახანოსი გახლავთ!“ — *„მოლა ნასრედინი“* გვ.8

## საქართველოში პრეზიდენტად „უკვე აირჩიეს“ ჯორჯ ბუში გვ.31

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## ვინ იქნება სათბობენერგეტიკის ახალი შეფი?

— არ ვიცი, როდის დაბრუნდება იუნესკოდან, მაგრამ სულაც არ არის გასაკვირი, როცა დაბრუნდება, მის მიერ დაარსებულ სააგენტოში იმუშაოს...

ამბობენ... ყველაფერი პაატა შევარდნაძის მოყვანისთვის კეთდება. გვ.5

## სამხედრო თემაზე:

დასავლელი სამხედროები ნამდვილად არ მოელოდნენ მუდმივად ხელგაწვდილი საქართველოსაგან ასეთი უნიკალური კონსტრუქციის ხიდის გამოჩენას... გვ.9



იგი მსოფლიოს ხუთ საუკეთესო სცენარისტთა შორის დაასახელეს **ირაკლი კვირიკაძე** ჩვენს ფურცლებზე თავისი საოცარი თხრობის მანერით, მოგონებებით და იუმორით... გვ.26



## წინ ინდოეთია



ნონა გაფრინდაშვილი კვლავ მსოფლიო ჩემპიონობისათვის იბრძოლებს... გვ.29

## პლანეტის ყველაზე საშინელი ადამიანი

მკვლელებისა და მანიაკის როლის შეუდარებელი შემსრულებელი თავის დროზე საყვარელი ქალის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციაში მიათრიეს... გვ.20

## რას წერენ ჩვენზე:

ორ ბეჰემოთს შორის

„ქართველებს იმედი აქვთ, რომ გაჭირვებიდან ევროკავშირი გამოიყვანთ... მცდარი იმედია — ევროკავშირს ამ მხარისადმი არანაირი პოლიტიკა არ გააჩნია“. გვ.12

*ბერძნული პრესიდან*

ვერსია

## დამანსკიდან კინაღამ მესამე მსოფლიო ომი დაიწყო

ჩინეთი საბჭოთა კავშირს სადავო მიწებს ეცილებოდა... საზღვარს ძირითადად ჯანიანი რუსები, ქართველები, ყაზახები და უკრაინელები იცავდნენ... იარაღს თითქმის არ იყენებდნენ, მუშტებით და კონდახებით ებრძოდნენ ჩია ჩინელებს;

...იმ ღამით თავდამსხმელებმა ცეცხლი გახსნეს, თითქმის ყველა მესაზღვრე ამოჟლიტეს;

... მეომრებს კატეგორიულად აეკრძალათ კრემლის ბრძანების გარეშე კონფლიქტში ჩაბმა;

... მოწინააღმდეგემ საზღვართან 12 ათას მეომარს მოუყარა თავი... გვ.10


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო ტელე-კინოაფიშა

20 — 26 ნოემბერი

გვ. 16-17



„კვირის პალიტრის“ საოცარ პროექტში თქვენც მიიღებთ მონაწილეობას...

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ჯერ მირცხულავა გაბრაზდა, მერე — სქოული

ამერიკულ „ეი-ი-ეს-თელასსა" და სათბობენერგეტიკის სამინისტროს შორის მიმდინარე დავა იმით გაგრძელდა, რომ „თელასის" ასამდე თანამშრომელმა სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართა და მოითხოვა ამ უწყებისგან „თელასის" სათანადო, ანუ 24 საათიანი ელექტროენერგიით მომარაგება. მინისტრმა დავით მირცხულავამ „ეი-ი-ეს-თელასის" თანამშრომლები მიიღო, მაგრამ მათმა მოთხოვნამ წონასწორობა დააკარგვინა. მირცხულავას თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ მინისტრი ასეთი გაცოფებული არასოდეს უნახავთ.

სამინისტროს დარბაზიდან, სადაც მიმდინარეობდა შეხვედრა, დიდი ხნის მანძილზე გამოდიოდა დავა-კამათის ხმა. „ეი-ი-ეს-თელასის" თანამშრომლები უჩიოდნენ სამინისტროს იმიტომ, რომ უშუქობით გაბოროტებული მოსახლეობა მათზე იყრის ჯავრს. ხშირია „ეი-ი-ეს-თელასის" თანამშრომელთა ლანძღვისა და ცემის ფაქტებიც. თუმცა მათმა მოთხოვნამ არანაირი შედეგი არ გამოიღო და აქციის მომდევნო დღეებში ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. საგულისხმოა, რომ მაიქლ სქოულმა თავისი ხელქვეითების აქციის შესახებ გვიან გაიგო. იგი დაუყოვნებლივ მივიდა სათბობენერგეტიკის სამინისტროში და პირადად დააშოშმინა თანამშრომლები. დავით მირცხულავას კი ბოდიში მოუხადა აქციის გამო...

ქართულ ენერგეტიკაში არსებული განუკითხაობითა და შექმნილი მძიმე ვითარებით მაიქლ სქოულიც გამოვიდა მწყობრიდან და სენსაციური აღიარება გააკეთა. მისი თქმით, დიდი შეცდომა იყო კომპანია „ეი-ი-ეს-თელასის" საქართველოში შემოსვლა. მსგავსი რამ კომპანიას მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ უნახავს და არ არის გამორიცხული, მალე გუდა-ნაბადი ავიკრათ და წავიდეთ საქართველოდანო! მართალია, მოგვიანებით სქოულმა უკან წაიღო თავისი ნათქვამი (კულუარული ინფორმაციით, სქოულის მუქარით შოკირებული ქართველი ხელისუფალნი ტელეფონით მთელი დღის მანძილზე აშოშმინებდნენ გაავებულ ამერიკელს), მაგრამ ბუნებრივია, ამით არ ეშველა საქმეს.

## „გაბრწყინებამდე", დაგვაპურეთ, გაგვანათეთ!

საქართველოს დედაქალაქი ერთ დიდ მხრჩოლავ კასრს ჰგავდა მთელი კვირის მანძილზე. ბარიკადებით გადაკეტილ ცენტრალურ ქუჩებსა და პროსპექტებზე იწვოდა ასობით საბურავი, ფიცარი და ნაგავი. გაბოროტებული ხალხი თვით სასწრაფო და სახანძრო მანქანებსაც აღარ ატარებდა. ერთადერთ გამონაკლისს მიცვალებულები წარმოადგენდნენ.

მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვს ხელისუფლებისგან 24-საათიან ელექტროენერგიას, დავით მირცხულავა კი კვლავ უმკაცრესი გრაფიკის შემოღებაზე ლაპარაკობს... სრული ენერგოკოლაფსი გამოიწვია მე-10 და მე-9 ბლოკებისა და ელექტროგადამცემი ხაზის „ქართლი-2"-ის გამორთვამ. ხელისუფლება გაფაციცებით ეძებს გამოსავალს და სასოწარკვეთილი მზერა რუსეთისა და სომხეთისაკენ აქვს მიპყრობილი, საიდანაც შეფერხებებით მოდის ეს სანატრელი ელექტროენერგია.

თბილისში დაწყებული საპროტესტო აქციების გამო კი, რასაც ოფიციოზის მტკიცებით აქა-იქ შეტაკებებიც მოჰყვა, სასწრაფოდ შეიკრიბა ეროვნული უშიშროების საბჭო, სადაც „დააფიქსირეს", რომ ქუჩებში გამოსულ ხალხს შორის „მოწვეს" კრიმინალები, შეიარაღებული საეჭვო პირები, მხედრიონელები და კატეგორიულად მოსთხოვეს სამართალდამცავ და ძალოვან უწყებებს სრული მზადყოფნა ვითარების ესკალაციის არდაშვების გამო... პრეზიდენტს კი სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ „ქართველი ხალხის სიბრძნეზე, მოთმინებასა და „ივერიის გაბრწყინებაზე" ილაპარაკოს! მაგრამ ფაქტია, რომ „გაბრწყინებამდე", საჭიროა ივერიის განათება და დაპურება (ვრცლად იხ. გვ. 6).

## რა დაახვედრეს ბალცეროვიჩს?!

თბილისში იმყოფებოდა პრეზიდენტის საგანგებო მრჩეველი ეკონომიკური რეფორმების დარგში, პოლონური შოკური თერაპიის მამა ლეშეკ ბალცეროვიჩი, რომელთანაც ედუარდ შევარდნაძემ დახურულ კარს მიღმა გამართა ხანგრძლივი საუბრები. ამიტომ, რა კონკრეტული რჩევებით ჩამოვიდა ბალცეროვიჩი, უცნობი დარჩა. აი, ის კი, თუ „რა დაახვედრა" საქართველოს ხელისუფლებამ მსოფლიოში სახელგანთქმულ ეკონომისტს, სახეზე გვაქვს...

ერთადერთი, რაც ბალცეროვიჩისგან გავიგეთ ის არის, რომ იგი მიესალმა ანტიკორუფციული კამპანიის დაწყებას და ეროვნულ ანტიკორუფციულ პროგრამასაც საინტერესო დოკუმენტი უწოდა. ბალცეროვიჩმა კვლავ გაიმეორა სექტემბერში თქმული და კვლავ ურჩია ხელისუფლებას საგადასახადო სისტემის გამარტივება, რითაც ხელი შეეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

## გორელიკს რუსი ჟურნალისტები „ეძებენ"

ჩვილი ბავშვებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი ოლგა გორელიკი სამი თვით წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს. რაც შეეხება გორელიკის საქმეში არაერთხელ ხსენებულ №1 სამშობიარო სახლის ექიმს მაია მდივანს კი სამართალდამცავები, ჯერჯერობით, ვერ ეკარებიან, რადგან ახლობელთა თქმით, იგი კვლავ ინსულტითაა მიჯაჭვული საწოლს... მისი ავადმყოფობის შესახებ ცნობა აქვს გაცემული ლეო ქიაჩელის ქუჩაზე მდებარე პოლიკლინიკას დიაგნოზით — იშემიური ინსულტი!

საინტერესოა, რომ ბავშვების ყიდვა-გაყიდვით ცნობილი გორელიკი შეიძლება მალე... ახალი სატელევიზიო ფილმის გმირიც გახდეს. რუსეთის ტელევიზია გორელიკით რიაზანში მომხდარი ანალოგიური ამბის შემდეგ დაინტერესდა და სასწრაფოდ გადამღები ჯგუფიც მოავლინა თბილისში.

რუს ჟურნალისტებს ეჭვი აქვთ, რომ რიაზანსა და თბილისშიც ბავშვებს არა მხოლოდ გაშვილებისათვის ყიდდნენ, არამედ შინაგანი ორგანოების ტრანსპლანტაციისათვისაც.

## რუსეთი არ დაუშვებს ჩვენს შესვლას ნატოში

ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა საქართველოში რუსეთის დუმის დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ლუკინი ხელმძღვანელობდა.

მართალია, ლუკინმაც და დელეგაციის სხვა წევრებმაც რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელ ურთიერთობებს უწოდეს არანორმალური, გამოთქვეს სურვილი ამ ურთიერთობების გაუმჯობესებისა, დაადასტურეს რუსეთის „ერთგულება" სტამბოლის ეუთოს სამიტის გადაწყვეტილებისადმი და თქვეს, რომ რუსეთი აუცილებლად გაიტანს სამხედრო ბაზებს საქართველოდან, მაგრამ იმავდროულად კატეგორიულად დააფიქსირეს, რომ რუსეთი არ დაუშვებს საქართველოს გაწევრებას ნატოში! ერთი სიტყვით, რუსეთი მისთვის მტრულ ნაბიჯად აფასებს საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ და, როგორც ჩანს, ურთიერთობათა გაუმჯობესებას ორ ქვეყანას შორის განიხილავს სწორედ ნატოსკენ სწრაფვაზე საქართველოს მიერ უარის თქმის კონტექსტში.

ქართველმა პარლამენტარებმა რუსი კოლეგების ამ პოზიციას მიუღებელი უწოდეს და დაადანაშაულეს კოლეგები „საბჭოურ აზროვნებაში". მალე თბილისს დუმის სპიკერი გენადი სელეზნიოვიც ეწვევა და მოსალოდნელია, რომ მასთან გაცილებით მწვავე და უკომპრომისო საუბარი გაიმართება!

## მინისტრის მოადგილის ძმა ყაჩაღობაში ამხილეს

გასულ კვირას, პოლიციის თანამშრომლებმა იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ირინა იმერლიშვილის ძმა ლევან იმერლიშვილი დააკავეს. იგი 1996 წლიდან მკვლელობისა და ყაჩაღობის ბრალდებით იძებნებოდა. სამართალდამცავთა თქმით, იმერლიშვილმა ვინმე ყველაშვილთან ერთად ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სუპერმარკეტზე მოახდინა შეიარაღებული თავდასხმა. მაღაზიაში წინააღმდეგობის გაწევის შედეგად, იარაღით გასროლის შემდეგ, მოკლულ იქნა მაღაზიის თანამშრომელი ქარსელაძე და დაიჭრა უზნაძე.

სხვათა შორის, ამ დანაშაულთან დაკავშირებით მკვლელობის ბრალდებით ყველაშვილი უკვე გასამართლებულია, ხოლო ამჯერად იმერლიშვილს ყაჩაღობის თანამონაწილეობაში ედება ბრალი.

მომხდარის შემდეგ სამსახურიდან წასვლასთან დაკავშირებით, განცხადება დაწერა ირინა იმერლიშვილმა. დააკმაყოფილებს თუ არა იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი იმერლიშვილის განცხადებას, ამ დღეებში გადაწყდება.

## გაძარცვეს სომეხ მოღვაწეთა პანთეონი

ავლაბრის სასაფლაოზე არსებულ სომეხ მოღვაწეთა პანთეონში ცნობილი სომეხი მწერლის ხაფის (აკოფ აკოფიანის) საფლავის მემორიალი გაძარცვეს, საიდანაც სპილენძის ფილები მოიპარეს.

პოლიციამ, ჯერჯერობით, მხოლოდ მძარცველთა თითების ანაბეჭდის აღება შეძლო. თბილისელი სომეხი საზოგადოება ამ ვანდალურ აქტში არანაირ პოლიტიკურ მოტივს არ ხედავს და აფასებს მას, როგორც ფულის შოვნის მიზნით მომხდარ კრიმინალურ დანაშაულს. ქურდებს ეძებენ, თუმცა სომხები შიშობენ, რომ საფლავიდან წაღებული სპილენძის ფილები უკვე გადადნობილი და გაყიდული იქნება.

გაძარცული საფლავი უმალ მოინახულეს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ და ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ, მრავალრიცხოვან სამართალდამცავთა თანხლებით და წუხილი გამოთქვეს მომხდარის გამო. ქართველი ხელისუფალნი შეჰპირდნენ სომხებს, რომ ამიერიდან სომეხ მოღვაწეთა პანთეონს სახელმწიფო საფუძვლიანად მიხედავს და დაიცავს!

## პიროლიზულ ფისს მწვანე შუქი მისცეს

ქართულ ბაზარზე კი მალე „მრავალტანჯული" პიროლიზული ფისისგან დამზადებული ბენზინი გამოჩნდება, რომელსაც დიდი ღრიანცელისა და სკანდალის შემდეგ „გზა დაულოცა" თავად... პარლამენტმა! კანონის თანახმად, ფირმა „გაორის" მიერ ამ ნივთიერებისგან დამზადებულ ბენზინში ბენზოლის შემცველობა 50%-ს აჭარბებს. „გაორს" უკვე შემოაქვს საქართველოში 1000 ტონამდე პიროლიზული ფისი, რაც მიუხედავად პარლამენტის დადგენილებისა, კვლავ იწვევს მძაფრ ვნებათაღელვას. პარლამენტი იმ პირობით დათანხმდა პიროლიზული ფისის შემოტანა-წარმოებას, რომ მისგან მიღებულ ბენზინს ბაზარზე მოხვედრამდე შეამოწმებს სამი ქართული და ერთი უცხოური ლაბორატორია, თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ პარლამენტმა პიროლიზულ ფისს „მწვანე შუქი" პრეზიდენტისა და მთავრობის მხრიდან მძლავრი ზეწოლის შედეგად მისცა, რადგან მათი თქმით, „გაორი" სრული დატვირთვით უნდა ამუშავდეს და ბიუჯეტი შეავსოსო...

აი, ვინ შეავსებს და აანაზღაურებს შესაძლო ეკოლოგიურ კატასტროფის შედეგად მოსახლეობის შელახულ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, „მწვანეთა" თქმით, ეს პრობლემა „იქ", ზემოთ, არაფრად ანაღვლებთ...

## ქართული ანსამბლი შეთხელებული დაბრუნდა

აშშ-ში გასტროლებიდან საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „შეთხელებული" დაბრუნდა. დასის 10 წევრი — 7 მოცეკვავე და 3 მომღერალი მამაკაცი ამერიკაში დარჩა. ანსამბლის ხელმძღვანელთა თქმით, გასტროლების დამთავრებისთანავე, სამი ადამიანი ვაშინგტონში, კაპიტოლიუმთან უნახავთ უკანასკნელად, რის შემდეგაც „აორთქლებულან". საღამოს ანსამბლის კიდევ სამი წევრი „გამქრალა", უკვე აეროპორტიდან კი... ოთხნი გაპარულან. ოჯახის წევრებისა და დასის წევრთა თქმით, აშშ-ში დარჩენილებს არაფერი უთქვამთ თავიანთი განზრახვის შესახებ.

სავარაუდოდ, ანსამბლის წევრებს ეს ნაბიჯი საქართველოში არსებულმა დუხჭირმა სოციალურმა მდგომარეობამ გადაადგმევინა!

## ვინ იქნება მორიგი მსხვერპლი?!

თბილისის ქუჩაში სასტიკად სცემეს გერმანიის მოქალაქეს, პროფესორ ქრისტოფერ პოლმანს, რომელიც ტვინის შერყევით, გატეხილი თავით და საშინელი სისხლჩაქცევებით მიიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში. დაზარალებულის თქმით, იგი სამარშრუტო ტაქსით მგზავრობდა და მიდიოდა ნაქირავებ ბინაში. როცა ჩამოვიდა, მას თავს დაესხნენ მძარცველები, რომლებმაც დააგდეს ასფალტზე და ფეხებით შედგნენ. პოლმანმა გონება დაკარგა და უკვე გონს მოსულმა აღმოაჩინა, რომ ფული და ნივთები აღარ ჰქონდა. გაირკვა, რომ ადრე გერმანელ პროფესორს ბინაც გაუძარცვეს. იგი მესამედ იმყოფება საქართველოში და ლექციებს უკითხავს მოსამართლეებსა და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს. პოლმანი ვერაზე, ყაზბეგის ქუჩაზე ცხოვრობს, სადაც სცემეს კიდეც.

პოლმანის მეზობლებისგან გაირკვა, რომ ამ ქუჩაზე და უბანში მოქმედებს, ე. წ. „ვერელების" ბანდა, რომელიც სისტემატურად ესხმის თავს უცხოეთის მოქალაქეებს, სცემს და ძარცვავს მათ... პოლმანი გამოჯანმრთელების შემდეგ დაბრუნდება სამშობლოში და აქეთ გამოხედვას საერთოდ აღარ აპირებს!

ვინ იქნება ვერელ ბანდიტთა მორიგი მსხვერპლი?!

## დაპატიმრებები დაიწყო

სახელმწიფო ხაზინის შეფი ვაჟა ნახუცრიშვილი, რომელიც გადამდგარი იყო თანამდებობიდან, გენპროკურატურამ ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის ყოფილი დირექტორის, ივერი შალამბერიძის ჩვენების საფუძველზე დააპატიმრა. გამოძიების თქმით, ნახუცრიშვილი ეჭვმიტანილია 2 მლნ 350 ათასი ლარის მითვისება-გაფლანგვაში.

ასევე დააპატიმრეს ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორი, ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ჭუმბურიძე, რომელიც ეჭვმიტანილია ქრთამის აღებასა და ჰუმანიტარული ტვირთების „ფალსიფიცირებაში", კერძოდ, გამოძიების თქმით, გარკვეულ პირთა მიერ ქვეყანაში შემოზიდულ კომერციულ ტვირთს ჭუმბურიძე ჰუმანიტარულ ტვირთად აფორმებდა და ამით შემომზიდველი ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფლდებოდა.

დადგინდა, რომ ასეთი ე.წ. ჰუმანიტარული ტვირთი 6 თვის მანძილზე 19-ჯერ შემოვიდა, სულ 60 მლნ ლარის ღირებულებისა, საიდანაც სახელმწიფომ 2 მლნ ლარზე მეტი იზარალა! გენპროკურატურა ამ საქმეში მონაწილე რამდენიმე დამნაშავის დაკავებას უახლოეს დღეებში აპირებს. საერთოდ, ბაბილაშვილის უწყებას უკვე შედგენილი აქვს ორმოცამდე ყოფილი თუ მოქმედი ჩინოვნიკის სია (მათ შორისაა ბაკურ გულუაც), რომელთა დაკითხვაც სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით მალე დაიწყება!

## სიახლე — ახალი სასიგნალიზაციო სისტემები

ამ დღეებში თბილისში გაიმართა ფირმა FITTICH GEORGIA-ს პრეზენტაცია, რომელიც მსოფლიოში ცნობილი შვეიცარიული ფირმა FITTICH-ის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. საქართველოში გახსნილი ფირმის დირექტორის მოადგილის დიმიტრი გუნთაიშვილის თქმით, აღნიშნული ფირმა აწარმოებს სასიგნალიზაციო სისტემებს და ამ მხრივ ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას წარმოადგენს მსოფლიოში.

ეს გახლავთ სახანძრო სიგნალიზაციის, დაცვითი სიგნალიზაციის, ავტომატური ხანძარსაქრობის, ასევე, ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. ფირმის პროდუქცია დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ისეთ დიდ ობიექტებზე, როგორიცაა ქარხანა-წარმოებები, სასტუმროები, თუმცა მათი ეფექტურად გამოყენება პატარა ობიექტებზე, საცხოვრებელ სახლებსა და ბინებშიც შეიძლება.

ყველა სისტემაზე გათვალისწინებულია ენერგოკვებით მომარაგება. სისტემები კომპიუტერიზებულია და ხანძრის, დანაშაულის თუ სხვა მოვლენათა შემთხვევაში, ავტომატურად შეუძლია მიაწოდოს სიგნალი სახანძროებს, პოლიციის განყოფილებებს და ა. შ.

## მაინც ვინ იქნება აშშ-ის პრეზიდენტი?

აშშ-ში, როგორც ჩანს, უკვე ნამდვილად, დღე-დღეზე გაირკვევა ახალი პრეზიდენტის ვინაობა. თუმცა ამერიკისა და დასავლეთის მასმედიის მტკიცებით, გამარჯვებული უკვე სახეზეა — რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში-უმცროსი! ამის შესახებ პრესა მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც გასულ პარასკევს ბუშმა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა ფლორიდის შტატში გამართული კენჭისყრის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით. მოსამართლემ დაადასტურა ფლორიდის შტატის სახელმწიფო მდივნის ქეთრინ ჰარისის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ფლორიდის ორ საგრაფოში მიმდინარე საარჩევნო ბიულეტენთა განმეორებითი, ხელით დათვლის პროცესის შედეგები.

სააგენტო „ასოშიეითედ პრესის" ინფორმაციით, უცხოეთში მყოფი ამერიკელების საარჩევნო ბიულეტენების ხმათა დათვლით, ასევე ლიდერობს ჯორჯ ბუში. დემოკრატებმა უკანასკნელ ძალისხმევას, უზენაეს სასამართლოს მიმართეს და მაშინ, როცა შაბათს, ფლორიდის შტატის სახელმწიფო მდივანს უნდა გამოეცხადებინა არჩევნების შედეგები, სადაც ბუშის გამარჯვება აბსოლუტურად დადასტურებულია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ქეთრინ ჰარისს კატეგორიულად აუკრძალა შედეგების გამოცხადება იმ არგუმენტით, რომ საჭიროა უზენაესმა სასამართლომ მოისმინოს ალ გორის ადვოკატთა პრეტენზიებიო... ასე რომ, მოსმენა ორშაბათს გაიმართება, ახალი პრეზიდენტის ვინაობას კი ოფიციალურად სამშაბათს ან ოთხშაბათს გამოაცხადებენ!

## შეიხის „მოკრძალებული" საჩუქარი

**(რუსული პრესის მიხედვით)** კატარის სამეფო ოჯახის წევრმა შეიხმა ჰამად ბენ ალტანიმ ერაყს „მოკრძალებული" საჩუქარი უძღვნა — სამგზავრო თვითმფრინავი „ბოინგი 747". ავიალაინერი უკვე ჩავიდა ბაღდადის საერთაშორისო სადამ ჰუსეინის სახელობის აეროპორტში. „ეს მოკრძალებული საჩუქარი ერაყსა და მის ლიდერთან სოლიდარობის ნიშანია. მე არ წარმოვადგენ სახელმწიფოს და ამ ჟესტს პოლიტიკური კონტექსტი არ უნდა მივცეთ", — განაცხადა შეიხმა. მისი თქმით, კატარის ავიაკომპანია ბაღდადში თავისი წარმომადგენლობის გახსნას აპირებს ერაყში ავიარეისების დასაწყებად.

## სოკო ოქროზე ძვირფასია

ყველაზე ძვირად ღირებულ დელიკატესთა სიაში ცვლილებებია. ადრე გურმანებს შორის ყველაზე მეტად ფასობდა ჩრდილოამერიკული ვირთევზა და კასპიის ზღვის შავი ხიზილალა. მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. იტალიის ჩრდილოეთში სოკო ტრიუფელის ყველაზე სარეკორდო ფასი დაფიქსირდა — 1 გრამი გამხმარი ტრიუფელი აქ 17 დოლარი ღირს. ეს ერთ-ნახევარჯერ აღემატება მსოფლიო ბაზარზე 1 გრამი ოქროს ფასს. ერთ ადგილობრივ სოკოს შემგროვებელს კი მართლაც რომ ბედმა გაუღიმა — თითქმის ნახევარი კილოგრამი თეთრი ტრიუფელი 8,5 ათას დოლარად გაყიდა.

საზოგადოდ, ტრიუფელი მსოფლიოში ყველაზე პიკანტურ დელიკატესად ითვლება. ტრიუფელის დიდი მოყვარული ბრძანებულა თურმე პაპი იოანე პავლე II. პონტიფიკს კარტოფილის გარნირიანი მოხარშული ტრიუფელი ჰყვარებია.

# შეიძლება საქართველო სტრატეგიული მოკავშირის გარეშე დარჩეს კავკასიაში?!

*დედაქალაქში განვითარებული მოვლენები ლოგიკური შედეგია წლების მანძილზე ხელისუფლების დანაშაულებრივი, უპასუხისმგებლო ქმედებებისა! მიუხედავად იმისა, რომ ენერგო და საბიუჯეტო ბაქქანალიის ფონზე ერთი-მეორის მიყოლებით აპატიმრებენ „ენერგო და საფინანსო-სახაზინო-სამეურნეო მამებს", მოსახლეობაზე ეს უკვე შთაბეჭდილებას არ ახდენს, მით უმეტეს, რომ მმართველი ძალა მათ მძვინვარე კრიზისში ადანაშაულებს... ხუდონჰესს, სსრკ-ის არსებობა-დანგრევას, „გარკვეულ" და „გაურკვეველ" ძალებს, რუსეთს, დასავლეთს, ჩინგის-ხანს... მოკლედ, ყველას და ყველაფერს — საკუთარი თავის გარდა! ხალხის რეაქციაც ადეკვატურია: თუ წლების წინ თბილისელთა ერთ ნაწილში საკმაოდ პოპულარული იყო ჩაუშესკუს ძახილი, დღეს მთელ თბილისს პირზე აკერია ფიდელ კასტროს სახელი... ამ „ჩაუშესკუებისა და ფიდელების" შემყურე ქვეყანას კი ვეღარ გაურკვევია თავისი ადგილი და როლი გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში, ხოლო პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ საქართველო მზად არის სტრატეგიული კომპრომისისთვის რუსეთთან და რომ ამ კომპრომისის გასაღები აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში ძევს, შეიძლება მალე მრავალმხრივი განსჯის საგნად იქცეს...*

*ამასობაში კი, აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ვინაობა ფაქტობრივად, ეჭვს აღარ იწვევს, თუ რა თქმა უნდა, რაღაც სასწაული არ მოხდა. ამიტომ, ვფიქრობ, უპრიანია, რუსეთის მიმართ ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო განცხადების გაცნობა, რომელსაც ნამდვილად ვერ დავარქმევთ პროპაგანდისტულს: „... იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, — თქვა ბუშმა, — რომ ჩეჩნეთის ომმა უკან დააბრუნა ისტორიის ჩარხი და თითქოს რუსეთში არც გარდაქმნა მომხდარა, არც საჯაროობა და არც ანტიკომუნისტურ რევოლუციას გაუმარჯვია 1991 წლის აგვისტოში. უახლოეს მომავალში ჩვენ ერთდროულად რამდენიმენაირ რუსეთთან მოგვიხდება ურთიერთობა — ქვეყანასთან, სადაც არ არის შეზღუდული პრესისა და პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობის თავისუფლება; იმ რუსეთთან, რომელმაც მშვიდობიანად დათმო იმპერიული ბატონობა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში და მე-17 საუკუნის დროინდელ თავის საზღვრებს დაუბრუნდა; რუსეთთან, რომელიც შეურიგდა ნატოს გაფართოებას და თავისი წვლილი შეიტანა ბალკანეთის კრიზისის მოგვარებაში... ასეთ რუსეთთან ჩვენ პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები გვმართებს! მაგრამ ამერიკა აქტიურად უნდა დაუპირისპირდეს იმ რუსეთს, რომელიც საკუთარი გავლენის აღდგენას ცდილობს დსთ-ის სივრცეში და კასპიის ნავთობზე აცხადებს პრეტენზიას. რაც მთავარია, ჩვენ უნდა დავგმოთ, წინ აღვუდგეთ და საჭიროების შემთხვევაში ავლაგმოთ კიდეც ის რუსეთი, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავს ჩეჩნეთში, ბირთვულ ტექნოლოგიას აწვდის დიქტატორულ რეჟიმებს და მოურიდებელ სამხედრო და სამრეწველო ჯაშუშობას ეწევა მთელ მსოფლიოში!"*

*ამ განცხადება-პროგრამას რომ ლიტონ სიტყვებად არ დატოვებს ბუშის ადმინისტრაცია გამარჯვების შემთხვევაში, ამთავითვე ცხადია, მაგრამ რა ბედი და მომავალი ელის საქართველოს რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობების თვალსაზრისით, ან როგორი პოლიტიკური კურსი იქნება უფრო მომგებიანი ქვეყნისთვის, ამ და სხვა საკითხებზე საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის სამეცნიერო-კვლევითი ქართული ცენტრის საბჭოს წევრი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი* ***გულბაათ რცხილაძე****:*

— ცნობილია და არც ბუში უარყოფს, რომ იგი საგარეო პოლიტიკურ პრობლემებში ძლიერად ვერ ერკვეოდა, მაგრამ მას ჰყავს უძლიერესი გუნდი საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსებისა, რომლებსაც მყარად აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია, თუ რაში მდგომარეობს აშშ-ის ინტერესები. ამიტომ, ბუშის ადმინისტრაცია თეთრ სახლში მისვლის შემთხვევაში ბისმარკის მიერ დამკვიდრებული რეალ-პოლიტიკის განმახორციელებელი იქნება აშშ-ის ინტერესების გატარების თვალსაზრისით. შემთხვევით არ ახსენებს ბუში კასპიის ნავთობს, რადგან ამერიკა სერიოზულადაა დაინტერესებული აზერბაიჯანის, ყაზახეთის დიდი ნავთობითაც. ბუნებრივია, მივესალმებით ბუშის განცხადებას, რომელშიც გმობს რუსეთის ექსპანსიონისტურ მიზნებს დსთ-ის სივრცეში და გამოთქვამს მზადყოფნას დემოკრატიულ რუსეთთან თანამშრომლობისთვის. ეს საქართველოს ინტერესებშიცაა. თუმცა, აქ ერთი საშიშროება გვემუქრება: იმ შემთხვევაში თუკი რუსეთისა და აშშ-ის კონფრონტაცია გაღრმავდება, არის საფრთხე, რომ შეიძლება საქართველოც აღმოჩნდეს ჩათრეული ამა თუ იმ ფორმით კონფლიქტურ პროცესებში. პრობლემა იქნება ისიც, რომ თუ განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა გვექნება ერთ-ერთ მხარესთან, აშშ-თან ან რუსეთთან, მეორე ეჭვის თვალით დაგვიწყებს ყურებას, რაც მასთან ურთიერთობის გაცივებას გამოიწვევს. ამიტომ, ბალანსის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება...

საერთოდ, საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით ხასიათდება ზიგზაგებით. ჯერ მზად ვიყავით, რომ რუსეთის ბაზების ყოფნა 25 წლით დაგვეკანონებინა, შემდეგ შეიცვალა ეს პოლიტიკა და აღმოჩნდა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრებისკენ უჭირავს კურსი. ორიენტირების ასეთი ცვალებადობა ქმნის უნდობლობის ფაქტორს საქართველოსადმი ერთი მხრივ, დასავლეთის, მეორე მხრივ, რუსეთის თვალში. არ შეიძლება სტრატეგიული კურსი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ვიცვალოთ...

**— ენერგოკრიზისისა და სხვა უმძიმესი სოციალური პრობლემების ფონზე, როცა მოსახლეობა უკვე ქუჩაში გამოდის და საშიშ განცხადებებსაც აკეთებს ხელისუფლების მისამართით, შემთხვევითია, რომ რუსეთმა სწორედ ზამთრის პერიოდს დაამთხვია საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება? ადვილი წარმოსადგენია რა შეიძლება დაემუქროს ქვეყანას, თუ 5 დეკემბრიდან რუსეთიდან დაიწყეს ჩვენი თანამოქალაქეების იძულებით გამოძევების პროცესი...**

— ჩვენ ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გავაცნობიერეთ, რომ რუსეთი ის სახელმწიფოა, რომელიც მიზნის მიღწევისთვის საშუალებებს არ იშურებს. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ როცა საქართველო დიდწილად რუსეთის ელექტროენერგიაზეა დამოკიდებული, მოსკოვმა ეს ბერკეტი მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი გავლენისთვის. ეს იგივე რეალ-პოლიტიკაა, ანუ ბუში რასაც ამბობს რუსეთზე, მოსკოვიც ზუსტად ანალოგიურ რეალ-პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მიმართ. რუსეთი ბოლომდე გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს საქართველოზე ზეწოლისთვის. თუ სავიზო რეჟიმისას მასობრივად გამორეკეს ქართველები, ეს არ იქნება ეთიკური ქმედება მოსკოვის მხრიდან



და საბოლოოდ გააფუჭებს ურთიერთობას საქართველოსთან, რაც თვით რუსეთის ინტერესებს მოუტანს ზიანს. ვიმედოვნებ, რომ ეს არ მოხდება, თუმცა არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ სავიზო რეჟიმის შემოღება სწორედ ზამთარში მოსკოვის შეგნებული ნაბიჯია...

**— ფაქტია, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნებში ერთგვარი წარმატებული პოლიტიკის შემდეგ მოსკოვი სამხრეთ კავკასიისკენ ინაცვლებს და როგორც ჩანს, საფუძვლიანადაც...**

— ნიშანდობლივია, რომ მოსკოვმა გაააქტიურა დიპლომატია აზერბაიჯანის მიმართ. მზადდება პუტინის ვიზიტი ბაქოში და ასეთი დემონსტრაციული აქცენტი აზერბაიჯანისკენ, ჩვენთვის გამაფრთხილებელი სიგნალი უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობები შესამჩნევად გაცივდა. ამას ხელი შეუწყო ამერიკაში გაკეთებულმა განცხადებებმა, რომ თითქოს აზერბაიჯანი ჩეჩენ ტერორისტებს ეხმარება, რასაც ალიევის ხელისუფლების აღშფოთება მოჰყვა. ამასთან, აშშ დღემდე არ აძლევს აზერბაიჯანს დახმარებას, რაც ამერიკაში სომხური ლობის აქტიურობის შედეგია. მოუგვარებელია ყარაბაღის კონფლიქტი და სომხეთს დღემდე ოკუპირებული აქვს აზერბაიჯანის ტერიტორიები... ბუნებრივია, ეს აღიზიანებს ოფიციალურ ბაქოს და აი, ამ ფონზე რუსეთი ცდილობს, დაათბოს ურთიერთობები აზერბაიჯანთან. ამასთან, თავის დროზე ალიევის მრჩევლის ვაფა გულუზადეს პირით გახმოვანებული ალიევის ხელისუფლების სურვილი, რომ ნატოს ბაზა გადმოეტანათ ბაქოს მახლობლად, აქტიურად მუსირებდა ბოლო დრომდე, — ეს პოზიცია უკვე დათმო აზერბაიჯანმა. რიგ დათმობებზე მიდის რუსეთიც და სავარაუდოდ, რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობები არ გამწვავდება მოკლევადიან პერსპექტივაში. ვიმეორებ, ოფიციალური ბაქო იმედგაცრუებულია დასავლეთით, უწინარესად ამერიკით, რომელიც დღემდე პროსომხურ პოლიტიკას აწარმოებს. რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების დათბობისა და დაახლოების შედეგად კი, საქართველო შეიძლება მოექცეს იზოლაციაში კავკასიის მასშტაბით, რადგან სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია და ფაქტობრივად, ჩვენ კავკასიაში სტრატეგიული მოკავშირის გარეშე დავრჩებით.

**— სიტყვამ მოიტანა და, საქართველოშიც შეიმჩნევა ერთგვარი გულაცრუება დასავლეთის მიმართ, უწინარესად, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში... ახლახან პრეზიდენტმა მიანიშნა მოსკოვს, რომ საქართველო მზად არის წავიდეს სტრატეგიულ დათმობაზე და რომ ამ პრობლემის გასაღები აფხაზეთში ძევსო... ანუ, უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტი „რაღაცის" სანაცვლოდ ჰპირდება რუსეთს სტრატეგიულ დათმობას, რაშიც ალბათ უნდა ვიგულისხმოთ საქართველოს მიერ უარის თქმა ნატოსკენ ორიენტაციაზე, ვთქვათ, გუდაუთის ბაზის რაღაც ფორმით რუსეთის კონტროლქვეშ დატოვებაზე...**

— რას გულისხმობდა პრეზიდენტი და კარგი გაგებით, რა კულუარულ მოლაპარაკებებთან და პერსპექტივებთან გვაქვს საქმე, ბუნებრივია, ამის ანალიზს ვერ შევძლებ, რადგან ინფორმაცია არა მაქვს. ვიცით, რომ კონფლიქტების მოგვარების გასაღები მოსკოვში ძევს, მაგრამ ის, რომ რუსეთს კატეგორიულად მოვთხოვოთ აფხაზეთის დაბრუნება, არარეალურია. ერთადერთი, რასაც შეგვიძლია მივაღწიოთ, არის ის, რომ გარკვეულ ეტაპზე რუსეთმა დაიკავოს ნეიტრალური პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში, თუკი დადგა საკითხი აფხაზეთის უკან დაბრუნებისა. მაგრამ, თუ ჩვენ არ გვეყოლა ბრძოლისუნარიანი არმია და არ გვექნა ძლიერი ეკონომიკა, რათა ჩვენს დიპლომატიურ ძალისხმევას ჰქონდეს ფხა, ზურგი ზეწოლის თვალსაზრისით, რუსეთმა რომც მოინდომოს, ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს სეპარატისტული რეჟიმის რადიკალური პოზიციისა და ჩრდილო კავკასიის ფაქტორის გათვალისწინების გამო. ხოლო თუ გვინდა მივაღწიოთ რუსეთის ნეიტრალიტეტს ამ საქმეში, მაშინ ნონსენსად ჩანს ჩვენივე განცხადებები ნატოში გაწევრების სურვილის შესახებ. რუსეთისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება საქართველოს შესვლა ნატოში. ბოლოს და ბოლოს, მოსკოვი ბაქო-ჯეიჰანის პროექტზეც თვალს დახუჭავს, ბაზების გატანასაც შეეგუება, მაგრამ ნატოს შემოსვლას საქართველოში და აქ დასავლეთის პოზიციების გაძლიერებას არ მოითმენს! საერთოდ, საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია არ ნიშნავს, რომ ეს მაინცდამაინც უნდა გამოიხატებოდეს ნატოში გაწევრებისკენ სწრაფვით. რუსეთს არ აღიზიანებს, რომ დასავლური ყაიდით ვატარებთ რეფორმებს, რომ დასავლეთი ფინანსურად გვეხმარება, არამედ ის, რომ ნატოს შესაძლო შემოსვლა რეგიონში იქნება სტრატეგიული დარტყმა რუსეთის წინააღმდეგ. ვფიქრობ, რომ საქართველოს ნეიტრალიტეტის გამოცხადების ფონით, ჩვენ ოფიციალურად უარი უნდა ვთქვათ ნატოსკენ სწრაფვაზე. საკუთრივ ნატო უახლოეს წლებში რომ ღებულობდეს თავის რიგებში საქართველოს, კი ბატონო, გავძლებდით რამდენიმე წელიწადი, მაგრამ 2002 წლამდე არც კი განიხილება ისეთი ქვეყნების მიღება ნატოში, როგორებიცაა: სლოვენია, სლოვაკეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. 2002 წელს გადაწყდება, როდის მიიღებენ მათ და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხიც, ბალტიისპირეთს საერთოდ მიიღებენ, თუ არა! დავსვათ კითხვა: საქართველოს აქვს კი იმდენი დრო, რომ ვთქვათ, 20 წელი ველოდოთ ნატოს, როდის მიგვიღებს? გამოდის, რომ მანამდე გამუდმებულ კონფრონტაციაში უნდა ვიყოთ რუსეთთან, რაც საბოლოოდ გამოგვფიტავს... ნატოს ხელში კი ვიქნებით მხოლოდ „Разменная монета" და თუ ნატოს ეს დასჭირდა, ისე მოგვეპყრობიან, როგორც ჩეხოსლოვაკიას მოეპყრნენ მიუნხენში 1938 წელს...

**— იმის თქმა გსურთ, რომ საქართველო „სცილასა და ქარიბდას" შორისაა კვლავაც, ანუ მკვეთრად გამოხატული ორივე კურსი, პროდასავლურიც და პრორუსულიც დამღუპველია ჩვენთვის და გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ ნეიტრალიტეტშია? ამასთან, თქვენი აზრით, ხომ არ დაკარგა ჩვენმა ხელისუფლებამ რუსეთზე ზემოქმედების ის ბერკეტიც, როცა გამუდმებით დემონსტრაციულად უსვამდა ხაზს საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ...**

— მე ასე ვფიქრობ: უნდა გაგრძელდეს ნატოს გარდა სხვა დასავლურ ორგანიზაციებში ჩვენი ინტეგრირება და იმავდროულად დათბეს ურთიერთობები რუსეთთან. რუსეთშიც დარწმუნდნენ, რომ აფხაზეთის წართმევით ვერ დააჩოქეს საქართველო და აღარ შედის ჩვენს სტრატეგიულ ინტერესებში, რომ გავამწვავოთ ურთიერთობები რუსეთთან. მოთმინება და დიდი დიალოგის დაწყება გვმართებს მოსკოვთან, რა თქმა უნდა, საქართველოს სუვერენიტეტის სრული დაცვისა და ხელშეუხებლობის პრინციპით. ბრძანეთ, რომ ნატოში გაწევრებაზე საქართველოს მიერ საჯაროდ აქცენტის გაკეთება ბერკეტი ხომ არ იყო რუსეთზე ზემოქმედებისა. ისიც ვთქვათ: თუ ჩვენს სწრაფვას ნატოსკენ ბერკეტად ვიყენებთ, თავად ნატო ამ ბერკეტზე უარს იტყვის რუსეთთან ურთიერთობაში? სხვა საკითხებში რომ დათმობაზე დაიყოლიოს რუსეთი, აამოქმედებს საქართველოს კოზირს და დაიწყებს იმის ძახილს, რომ აი, საქართველოს უნდა ნატოში შემოსვლა, რომ ეს მისი სუვერენული უფლებაა და ა.შ. ჯერ ერთი, ნატოს აშკარად არც უთქვამს, რომ საქართველოს მიღებას აპირებს, მაგრამ შეიძლება რაღაც ეტაპზე ნატოს დასჭირდეს ამის თქმა და რუსეთის შანტაჟირება. მსგავს მოვლენებს კი უნდა ვუფრთხოდეთ, რადგან უსუსტესი ქვეყანა ვართ დაქცეული ეკონომიკით და გაღატაკებული ხალხით. შესაბამისად, დიდ პოლიტიკაში ჩვენს თამაშს ვერ ვითამაშებთ და გავისრისებით! ამიტომ მიმაჩნია საქართველოსთვის აუცილებლად სამხედრო ნეიტრალიტეტის დეკლარირება. შესრულდება სტამბოლის გადაწყვეტილებები, გავლენ რუსეთის ბაზები საქართველოდან და ამ პროცესს ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ ის, რომ რუსეთს არ ჰქონდეს აქ ნატოს ჯარების შემოსვლის შიში, ჩვენს კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია, იდგეს რომელიმე უცხო ქვეყნის, თუ ალიანსის ჯარი! ამით ჩვენ არავის გადავიკიდებთ, არც დასავლეთს, არც რუსეთს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს ნაბიჯი ხელს არ აძლევდეს არც ერთს და არც მეორეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს უფრო მისაღებია მათთვის, ვიდრე ის, რომ ან შევიდეთ რუსეთ-ბელორუსიის კავშირში, ან გავწევრდეთ ნატოში! ამიტომ, ნეიტრალიტეტია ყველაზე უკეთესი გამოსავალი ამ მართლაცდა „სცილასა და ქარიბდას" შორის.

**— თქვენი აზრით, კონკრეტულად რა ნაბიჯით შეიძლება დაიწყოს ურთიერთობების დათბობა საქართველომ რუსეთთან?**

— თუკი საქართველო აცხადებს, რომ ჩვენ ვგმობთ სეპარატიზმს, ე.ი. ლოგიკურად არ უნდა დავუჭიროთ მხარი ჩეჩენ სეპარატისტებს. ამიტომ, არ მესმის, რა პოლიტიკურ დივიდენდებს აძლევს საქართველოს ჩეჩნეთის წარმომადგენლობის არსებობა თბილისში? ეს იგივეა, რომ ხარს წითელი ტილო უფრიალო ცხვირწინ. ეს ფაქტი რუსეთის მასმედიას დროშასავით აქვს ატაცებული, გამუდმებით ხდება ციტირება ამ წარმომადგენლობის განცხადებებისა და საერთო ჯამში, ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ჩვენთვის. აგერ ალდამოვის მიერ პანკისის ხეობაში გაკეთებული ამასწინანდელი განცხადება, სადაც ამბობს: „ჩემი აქ ყოფნის მიზანია, რუსეთს დავანახვოთ, რომ ჩეჩენი ხალხი მას არ დაუჩოქებს..." დალოცვილო, რაღა საქართველოს ტერიტორიიდან უნდა დაანახვო ეს, აქვე არ არის ჩრდილო კავკასია? წადი და იქ დაუმტკიცე, რომ დაჩოქებას არ აპირებ და იქ შეებრძოლე. თუმცა ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს ამ ხალხთან მეგობრული ურთიერთობა...

საქართველოა ერთადერთი რესპუბლიკა, რომელმაც ვერ გამოიყენა რუსეთის სამხედრო პოტენციალი. აზერბაიჯანმა დაიტოვა ყველაფერი, სანამ რუსები წავიდოდნენ. შუა აზიის ყველა სახელმწიფოს რუსეთის წყალობით ჰყავს ბრძოლისუნარიანი არმია, აღარაფერს ვამბობ სომხეთზე, რომელიც მოსკოვმა ისე შეაიარაღა, რომ კატასტროფულად დაირღვა კავკასიაში სამხედრო ძალთა ბალანსი სომხეთის სასარგებლოდ. აი, ამას ჰქვია დახმარება! უკრაინასაც მძლავრი არმია ჰყავს! ნატო კი ისეთ მიზერულ დახმარებას გვაძლევს, რომლითაც ვერ შექმნი ბრძოლისუნარიან არმიას. არადა, შეუძლია დასავლეთს ამის გაკეთება, მაგრამ „რატომღაც" საამისოდ არ იტკივებს თავს, არც სჭირდება, რადგან საქართველოს გაძლიერებაში დასავლეთი თავისთვის საზიანო ბევრ შესაძლო რისკს ხედავს, კვლავ და კვლავ, რუსეთის გაღიზიანების ფაქტორის გათვალისწინებით. არ ვიცი, აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია როგორ პოლიტიკას გაატარებს რუსეთის მიმართ, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ დსთ-ს კვლავაც იმ სივრცედ აღიქვამენ, სადაც რუსეთს თავისი სიტყვა ეთქმის და მასთან დაპირისპირებაში ღრმად ნამდვილად არ შეტოპავენ. ამიტომ, დღეს საქართველო საბედისწერო გზაგასაყართან დგას და უნდა გააკეთოს არჩევანი. საუბედუროდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს ზომიერ პოლიტოლოგებსაც კი, ვინც რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე აკეთებს აქცენტს. მე არ ვგულისხმობ იმ სუბიექტებს, რომლებიც პრორუსული ორიენტაციის აპოლოგიას ეწევიან თავიანთი პირადი, თუ პოლიტიკური მიზნების გამო... საერთოდ, დანაშაულია, რომ იდეაფიქსად გადავაქციოთ რუსეთთან დაპირისპირება, რომ ვიკვებოთ ცრუამბიციით — აი, რადგან რუსეთს ვებრძვით, ნამდვილად დამოუკიდებლები ვართ, ხოლო, თუ რუსეთთან კომპრომისზე წავედით, ე.ი. ჩვენ ვართ რუსეთის სატელიტი და ა.შ. აღარ შეიძლება ასე აზროვნება. არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ისე არ აქვს ურთიერთობები გაფუჭებული რუსეთთან, როგორც საქართველოს. ამაში უწინარესად რუსეთს მიუძღვის ბრალი... აქ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის წიგნში „დიპლომატია" გაკეთებულ დაკვირვებას გაგაცნობთ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთი თავისებურების შესახებ. კისინჯერი აღნიშნავს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა გამოირჩევა თავისი ბოღმიანობით. მაგალითად, როდესაც 1853-56 წლებში ავსტრიამ მოახდინა ყირიმის ომის პროვოცირება, სადაც რუსები სასტიკად დამარცხდნენ, რუსეთი მთელი 60 წლის განმავლობაში ინახავდა ბოღმას ავსტრიის მიმართ (მაშინდელ რუსულ პრესას რომ გადაავლოთ თვალი, სავსეა ანტიავსტრიული პუბლიკაციებით) და აწარმოებდა არა რაციონალიზმზე დაფუძნებულ ანტიავსტრიულ პოლიტიკას, არამედ ბოღმაზე აგებულ პოლიტიკას...

**— და საბოლოოდ, ეს ბოღმა გადმოინთხა 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომისას...**

— დიახ, ერთ-ერთი კატალიზატორი ამ ომში რუსეთის ჩაბმისა ძველი ბოღმაც იყო. რუსეთიც დაიშალა, მაგრამ ავსტრია-უნგრეთის იმპერიასაც ბოლო მოუღო. ისტორიულად ახასიათებს რუსეთს — ოღონდ სხვას მიადგეს ზიანი და არ დავეძებ, დაე, მეც დავზარალდეო! ასეთი არის მისი მენტალიტეტი. ახლა ვთქვათ: ღირს კი ჩეჩნეთის წარმომადგენლობის გამო რუსეთის გადაკიდება, ან თუნდაც ნატოში საქართველოს გაწევრების ილუზიებზე აქცენტის გადატანის გამო?! დავსძენ, რომ ანტიამერიკანისტი არა ვარ, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია, როცა საქართველოში აშშ-ისა და ბრიტანეთის საელჩოები იეღოველთა მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებენ. კი ბატონო, არ უნდა დავარბიოთ ისინი, მაგრამ ეს არ არის არც ამერიკელების და არც არავის საქმე. ჩვენი მიზანი აფხაზეთის დაბრუნებასთან ერთად არის ის, რომ შევქმნათ ისეთი საზოგადოება, როგორიც გვინდა ჩვენი ტრადიციების გათვალისწინებით და, რომელიც შეხამებული იქნება დასავლურ ფასეულობებთან, მაგრამ იქნება — ქართული!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# გიორგობა

23 ნოემბერი წმინდა გიორგის საგვემელ ურმის თვალზე ტანჯვის მოსახსენიებელი დღეა. იგი თავად წმინდა ნინომ დააწესა.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, საქართველოში თითქმის ყველა ბორცვსა თუ გორაკზე იდგა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

ისტორიული ცნობებით, წმ. გიორგი ხილულად იბრძოდა ქართველთა ლაშქარში. მის ნაომარ ადგილებში ეკლესია-მონასტრებს აშენებდნენ.

მსგავსი მოვლენა მოხდა ილორში, ოჩამჩირის რაიონში.


ილორის წმინდა გიორგის ტაძარი



ერთხელ, ოჩამჩირეს თავს დაესხა თათართა ჯარი. ისინი აწიოკებდნენ ხალხს და გამაჰმადიანებას აიძულებდნენ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, სიკვდილით სჯიდნენ.

ქართველები შეერკინნენ მტერს, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდნენ. ცოცხლად გადარჩენილებმა თავს გაქცევით უშველეს, გადაცურეს მდინარე ღალიძგა და ილორს მიადგნენ. გზად მშვენიერი ჭაბუკი შემოხვდათ. არ გრცხვენიათ, როგორ ანებებთ თათრებს თქვენი ქვეყნისა და წმინდანთა დაპყრობას? — უსაყვედურა მან გამოქცეულთ, — წამოდით, გვერდში ამომიდექით და მათ სეირს გაყურებინებთო.

ქართველები ხმლებით იბრძოდნენ, ჭაბუკი მათრახის ამარა ტრიალებდა მტრის ბრბოში. ვისაც მოხვდებოდა მისი წნული, ყველას შუაზე აპობდა. მომხდური უკუიქცა.

გამარჯვებულმა ქართველებმა მდიდარი ალაფი ილორის ეკლესიის ეზოში დაახვავეს და გაყოფა დაიწყეს. უცებ შეამჩნიეს, რომ უცხო ჭაბუკი ხელს არაფერს ჰკიდებდა. მხოლოდ დიდი ხვეწნის შემდეგ აიღო ორი პატარა მოჭედილი ხანჯალი და გზას გაუდგა.

ცისკარზე მღვდელი მრევლთან ერთად ტაძარში შევიდა და გაოცდა — წმ. გიორგის ხატთან, აქეთ-იქიდან, უცნობის მიერ არჩეული ხანჯლები ეწყო.

მაშინღა მიხვდნენ, ვინ იყო ის ჭაბუკი, უთანასწორო ბრძოლაში რომ გაამარჯვებინათ.

ილორის ეკლესია X ს-ის ნახევარში არის აგებული. იგი იმ მხარეში ერთ-ერთი გამორჩეული ტაძარი იყო.

წმ. გიორგის მიერ ჩადენილი სასწაულის შემდეგ ამ საყდრისადმი სიყვარული ერთი-ორად გაიზარდა.

XV ს-ის იტალიელი მოგზაური არქანჯელო ლამბერტი გვამცნობს, — ტაძარში უამრავი ძვირფასად შემკული ხატია, კარებიც კი ვერცხლით არის მოჭედილი, მაგრამ ვერავინ გაბედავს მის გაძარცვას; შესაწირავს კი ყოველი მხრიდან უძღვნიანო...

ილორის ტაძრის შემოწირულობებით აფხაზეთში მრავალი ეკლესია აშენდა.

იყო დრო, როცა ყოველ 20 ნოემბერს, ილორობის დიდ დღესასწაულზე ათიათასობით ადამიანი იყრიდა თავს ამ წმინდა ადგილზე...

ადრე, ტრადიციის თანახმად, დღესასწაულის წინა საღამოს სამეგრელოს მთავარი, სამღვდელოების თანხლებით, შემოუვლიდა ტაძრის გალავანს და ყველა შესასვლელს თავისი ბეჭდით დაბეჭდავდა. დილით თავადვე ახსნიდა ბეჭედს და მლოცველთ ეზოში ხვდებოდა უნიშნო ხარი, რომელიც წმ. გიორგის ცხოველად ითვლებოდა. მას კლავდნენ, ხორცს მლოცველთ უნაწილებდნენ, რომლებიც სათუთად ინახავდნენ მას, როგორც დიდი სამკურნალო ძალის მქონეს...

ადრე თურმე სამსხვერპლო ირემი ხვდებოდათ ეზოში მორწმუნეთ.

ილორის წმ. გიორგის დღესასწაულის მადლი და ძალა მთელ დასავლეთ საქართველოში იყო აღიარებული.

***ანა ჩხეიძე***

# ჯვარის ჯგეგეს მოწოდება

ღვთის სადიდებლად და ჩვენი ხალხის რწმენის ასაღორძინებლად ნანგრევებიდან დგება ქალაქ ჯვარის (1981 წლიდან, ენგურჰესის მშენებლობის შემდეგ, დაბა ჯვარს ქალაქი ეწოდა) ჯგეგე — წმ. გიორგის (ჯგეგე — კაი ყმა — წმ. გიორგის სახელწოდებაა) ათასწლოვანი ტაძარი, ერთ-ერთი იმ შვიდ ეკლესიათაგანი, რომელიც ჯვარის თემში 1921 წლამდე მოქმედებდა.

## რატომ დაერქვა ამ ადგილს ჯვარი?

გადმოცემის მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობა ღვთისმშობელ მარიამს უნდა


ჟამი ნგრევისა...

ექადაგა, მაგრამ იგი ამას ვერ ახერხებდა, რადგან მოახლოებული იყო ჟამი მისი მიძინებისა და მან ეს მისია ანდრია პირველწოდებულს მიანდო. ეს მოხდა პირველი საუკუნის ორმოციან წლებში.

ანდრია მოციქული ორჯერ იყო საქართველოში, ერთხელ, ეგრისში ყოფნისას, ენგურის ხეობაში, ერთ სოფელში ერთი მშვენიერი მთის ძირას ჯვარი აღუმართავს და სოფელსაც სახელად ჯვარი შეერქვა. შემდეგ აქ წმ. გიორგის, ანუ ჯგეგეს სახელზე ტაძარი აუგიათ, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. X-X საუკუნეებში კვლავ აგებული ტაძარი კი აგერ, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში უღმერთოთა მოძრაობამ დაანგრია.

მოპოვებული საარქივო მასალების და ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ტაძარი ჯერ გაძარცვეს, მერე სახურავი ახადეს, კარები შეხსნეს, კედლები დაშალეს. აქ წარმოდგენილ უნიკალურ სურათზე სწორედ ეს მომენტია ასახული. ტაძრის ქვები სკოლის მშენებლობაში გამოიყენეს.

## ცდომილთა პარპაში ამით არ დამთავრებულა

ეკლესიის მოძღვარი სოლომონ გეთია გადაასახლეს, მისი შვილი გიორგი დახვრიტეს. გიორგობის დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად წმ. გიორგის ბორბალზე წამების დღეს — 23 ნოემბერს იმართებოდა და სამეგრელოს, სვანეთის, სამურზაყანო-აფხაზეთის უდიდესი დღესასწაული იყო, — აკრძალეს. ასე გაპარტახდა ჯვარისა და მისი მეზობელი სოფლების გამაერთიანებელი წმინდა ადგილი, განათლებისა და კულტურის კერა. მაგრამ, შინაგანად, ჯვარელი მორწმუნე კაცი, მოსახლეობა, თავისი უპირველესი სალოცავის დანგრევას და ხალხური დღესასწაულის გაუქმებას არასდროს შეჰგუებია. თავისი ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს თარიღს იგი ნაფუძარზე თავისი ოჯახიანად — ღამე ლოცვით აღნიშნავდა...

გადაიარა ნგრევის ჟამმა. დადგა „ჟამი შენებისა“ — შეიქმნა და მოქმედებს ჯვარის ჯგეგე — წმ. გიორგის ტაძრის აღდგენის ფონდი, რომელმაც თავის უპირველეს მიზნად დაისახა ზოგიერთ წინაპართა მცდარი ნამოქმედრის გამოსყიდვა, სულიერი განწმენდა-გაძლიერება და დანგრეულის აღდგენა-აღორძინება.


ჟამი შენებისა...

...............

ღმერთმა ხელი მოუმართოს ჯვარელებს და მათ გულშემატკივრებს ამ საქმის ღირსეულ აღსრულებაში.

ჯვარქალაქის და აქაური წმინდა გიორგის ტაძრის გარშემო საინტერესო საუბარს მომავალშიც შემოგთავაზებთ.

***გვანჯი მანია***

# 250 წელია, ეს ქართული ტაძარი დგას მოსკოვში...



„შემთხვევით არაფერი ხდება. როცა დავით მეფე შევიდა იერუსალიმში დიდებით და ზარ-ზეიმით, ხალხს ასე მიმართა: მე კი არ ვმეფობ, არამედ ღმერთი მეფობს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ღმერთი ჩვენი ხელებით აკეთებს თავის საკეთებელ საქმეს. უნდა მივყვეთ ღმერთის ნებას. ჩვენ თბილისიდან მოსკოვში ჩამოვედით არა მხოლოდ იმიტომ, რომ გავიზიაროთ თქვენი ბედნიერება და სიხარული, არამედ იმიტომ, რომ თავად ვიხილოთ უფლის ნებით აღსრულებული საქმე“, — ბრძანა ტაძრის კურთხევისას უწმინდესმა და უნეტარესმა ილია -მ.

ამ დღეებში, მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიას №18-ში მდებარე გიორგი წამებულის ქართულ ტაძარში გაიმართა ამ ტაძრის აგების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი ცერემონიალი. ერთობლივი წირვა აღავლინეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია -მ და მოსკოვისა და რუსეთის პატრიარქმა ალექსი -მ. ამ მოვლენას გამოეხმაურა რუსეთის ტელევიზიის რამდენიმე წამყვანი არხი, გადაიცა უნეტარესისა და უწმინდესის ილია -ის ექსკლუზიური ინტერვიუ.

ეს ცერემონიალი რუსეთმა მიიჩნია ერთმორწმუნე ქართველი და რუსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი სულიერი ერთობის კიდევ ერთ გამოხატულებად.

ტაძარი, გადმოცემის თანახმად, საქართველოდან ურმებით ჩაზიდულ ქართულ მიწაზე აუგიათ ჩვენს წინაპრებს (ძველი მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩას იმიტომ დაერქვა ბოლშაია გრუზინსკაია, რომ ეს ადგილი რუსთ ხელმწიფემ სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს უბოძა, აქ იყო ქართველთა დიდი კოლონია).

სათვისტომოს თავკაცის, თემურ სტურუას დიდი ძალისხმევით დაუბრუნდა საქართველოს წმინდა გიორგის ეკლესია.

გაპარტახებული შენობა მოსკოველმა ქართველებმა ღვთის სახლს დაამსგავსეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია -ის ლოცვა-კურთხევით, ტაძარი ატენის, ტიმოთესუბნისა და დავითგარეჯის საყდართა ფრესკების ასლებით მოხატა ხატმწერმა ლაშა კინწურაშვილმა.

ტაძრის მთავარი ხატის ადგილსამყოფელსაც მიაგნო ბატონმა თემურმა და რუსეთის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ქართულმა მრევლმა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან ლოცვითა და გალობით, ფეხით სვლით გადაასვენა დედასავანეში წმინდა გიორგის ქართული ხატი...

...1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, ტრაგედიის მეორე დღესვე, მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმა ქართველთა სათვისტომო დააარსეს. ბევრი კეთილი საქმე კეთდება ამ პატარა „ქართულ სამკვიდროში“. ერთ-ერთზე მოგახსენებთ:

მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი მშვენიერი გამოფენა. მაგრამ ამ დიდ საქმეს დიდი უსიამოვნებაც მოჰყვა.

პროექტის, „საქართველოს კულტურულ-ისტორიული ფასეულობანი საზღვარგარეთ“, ავტორი და ხელმძღვანელი გახლდათ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი თემურ ბიბილური. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ამ საქმისთვის გამოყო 20 ათასი ლარი, ხოლო საიუბილეო კომისიამ — 27 ათასი. გაფორმდა ხელშეკრულებები მოსკოვის ორ მუზეუმთან და გამომცემლობასთან. მოსკოვის მხარემ პირნათლად შეასრულა ვალდებულება, ქართულმა კი საიუბილეო კომისიიდან ვერ მიიღო კუთვნილი 27 ათასი ლარი — სეკვესტრირებულ ბიუჯეტში მოჰყვაო. არადა, მარტში შემდგარ ხარჯთაღრიცხვას არ უნდა შეხებოდა სეკვესტრი. გამოფენა რომ არ ჩაშლილიყო, თემურ ბიბილურმა კერძო პირებისგან ისესხა ფული და... ამჟამად ამ ვალების მძევალი მოსკოვიდან ფეხს ვერ ადგამს...

სამწუხაროდ, ჩვენი გულარხეინობით დავკარგეთ ძველ არბატზე ქართული ცენტრი „მზიური“ და ამჟამად სათვისტომო ერთ დროჟამით გაცრეცილ შენობაშია შეყუჟული.

ტაძრის წინამძღვრის მამა მიქაელის ქადაგებებმა და ღვთისმოსაობამ შეკრა უცხოეთში მყოფი ქართველები.

***დოდო იორდანიშვილი***




# უშუქობა პრეზიდენტის ბრალი ყოფილა ანუ მიზეზები, თუ რატომ დავრჩით ამ ზამთარშიც ელექტროენერგიის გარეშე

საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელთა განცხადებით, ქვეყნის პრეზიდენტია ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე იმაში, რომ რესპუბლიკის მოსახლეობას უკვე მერამდენე წელია, ცივი, უშუქო „უკანასკნელი“ ზამთრის გადატანა უხდება. მაინც რაში სდებს საბითუმო ბაზარი პრეზიდენტს ბრალს? თურმე ზოგიერთი კერძო მსხვილი საწარმო, რომელიც ელექტროენერგიის დიდი რაოდენობით მომხმარებელია, არ იხდის მის საფასურს. სამაგიეროდ, ამ საწარმოებს მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკები მფარველობენ. მათ კი პრეზიდენტი შეცდომაში შეჰყავთ, როცა არწმუნებენ, რომ ელექტროენერგიის ურჩი გადამხდელი საწარმოების მუშაობა ქვეყნისათვის აუცილებელია. არასწორად ინფორმირებული პრეზიდენტი კი საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობას აიძულებს, კანონი დაარღვიოს, გამონაკლისი დაუშვას და, ნაცვლად იმისა, რომ ელექტროენერგია გაუთიშოს, პირიქით, მათ უწყვეტ მომარაგებას ითხოვს. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ ასეთ კერძო საწარმოებს სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული ობიექტების წოდება მიანიჭა და ისინი კვლავაც უფასოდ იღებენ ელექტროენერგიას (ასეთ ანალოგს მსოფლიოში ვერსად ნახავთ). ხოლო მოსახლეობას, რომელიც პურის ფულს იკლებს და დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულებას პირნათლად იხდის, არ მიეწოდება. რუსთავის აზოტის, რუსთავცემენტის, ფეროს, ჭიათურმარგანეცის და სხვა არგადამხდელი კერძო საწარმო მოსახლეობის ხარჯზე „გულაობენ“.

მაგალითად, წელს ცხრა თვის განმავლობაში, რუსთავის აზოტმა დაახლოებით 150 მილიონი კილოვატი ელექტროენერგია მოიხმარა, რისთვისაც მას ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისათვის 13 მილიონი ლარი უნდა გადაეხადა, მაგრამ დღემდე ერთი თეთრიც არ გადაუხდია. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ საწარმოს ელექტროენერგია დღესაც მიეწოდება. შეიძლება ვინმემ „აზოტის“ სტრატეგიულობა მის მიერ გამოშვებული პროდუქციით, არაორგანული სასუქის ამონიუმის გვარჯილათი გაამართლოს, რომლის გამოყენებაც ზრდის საქართველოს სოფლის მეურნეობის მოსავლიანობას. წურას უკაცრავად! „აზოტის“ წარმოებული სასუქის მხოლოდ 10%-ზე ნაკლებს თუ მოიხმარს საქართველო მისი მაღალი ფასის გამო, ხოლო დანარჩენი საზღვარგარეთ იყიდება.

იგივე შეიძლება ითქვას „რუსთავცემენტზე“. ჯერ მის ე.წ. „სტრატეგიულ“ დანიშნულებაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. არავითარი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტს საქართველო ამ ეტაპზე არ აშენებს, თუ, რა თქმა უნდა, სათვალავში არ ჩავაგდებთ საირმის გორაზე, წყნეთში, წითელსოფელსა და სხვა პრესტიჟულ თუ სააგარაკო ადგილებზე დაწყებულ ფეშენებელური ვილების მშენებლობას. ე.ი. მისი სტრატეგიულობა გამორიცხულია. რაც შეეხება მოხმარებულ ელექტროენერგიას, მან 2000 წელს დაახლოებით 20 მილიონი კვტ/სთ ენერგია გახარჯა და მხოლოდ მისი ღირებულების 7%-ის გადახდა მოახერხა. ვერც ბიუჯეტს შესძინა რაიმე მნიშვნელოვანი. პირიქით, მისი ვალიც ერიცხება — 800 ათასი ლარი.

მოკლედ, საბითუმო ბაზრის მოვალე საწარმოთა ჩამოთვლა უსასრულოდ შეგვიძლია. საერთო ჯამში კი საწარმოების ვალი 48 მილიონს უტოლდება, რაც 500 მილიონი კვტ/სთ-ის ტოლია. ამ რაოდენობის ელექტროენერგია თავისუფლად ეყოფოდა ზამთარში თბილისსა და რუსთავს, აღნიშნული თანხით თავისუფლად შეიძლებოდა რუსეთში ელექტროენერგიის ყიდვა, შემოტანა და მისი მოსახლეობისათვის მიწოდება.

მეორე მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა ელექტროენერგიას ვერ ღებულობს, შემდეგშია: კერძოდ, წელს, მარტში შეიქმნა არაკომერციული ფირმა „ეი-ი-ეს ტრანსენერჯი“, რომელიც, ისევე როგორც „ეი-ი-ეს თელასი“, ამერიკული კორპორაცია „ეი-ი-ეს“-ის საკუთრებაა. ჰოდა, საქენერგოს მონაცემებით, „ტრანსენერჯმა“ 2000 წლის განვლილ პერიოდში, თურქეთში გაყიდა არც მეტი, არც ნაკლები 204 მლნ 648 ათას 400 კვტ/სთ — საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. ახალშექმნილმა ფირმამ, სათბობენერგეტიკის სამინისტრომ, საბითუმო ბაზარმა ან არ ან ვერ გაითვალისწინეს წლევანდელი ზაფხულის არნახული გვალვა, რომლის შედეგადაც მდინარეები თითქმის დაშრა და თავისთავად ჰიდროელექტროსადგურებში წყლის მინიმალური რესურსი დაგროვდა. მოგროვებული წყლის რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში თითოეულ კილოვატზე 3,5 ცენტად გაყიდული ენერგიის გამომუშავებას მოახმარეს, ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნული წყლის მარაგი შეენახათ და ზამთარში ენერგიის დეფიციტის პირობებში გამოეყენებინათ. ტრანსენერგოს მიერ წელს თურქეთში გაყიდული აღნიშნული ელექტროენერგიის რაოდენობა „ეი-ი-ეს თელასის“ განცხადებით თავისუფლად ეყოფოდა თბილისს ზამთარში ორი თვის მანძილზე გასათბობ-გასაჩირაღდნებლად.

„კვირის პალიტრა“ მიიჩნევს, რომ იმ უმსგავსოებაში, რაც საქართველოს ენერგეტიკაში ხდება ამჟამად, ზემოთ აღნიშნული ორი მიზეზია უმთავრესი, რის გამოც თბილისელებს და არა მარტო მათ, მორიგი „უკანასკნელი“ ცივი და ჩაბნელებული ზამთრის გადატანა მცოცავი თუ მხოხავი გრაფიკის იმედად უხდებათ. ამიტომ თავს აღარ შეგაწყენთ სხვა მიზეზების (მრავალჯერ ნათქვამი და შეიძლება ითქვას გაცვეთილი) დასახელებით.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# თურქეთის მარტენის ღუმელში ქართველ მწერალთა ძეგლები დნება

რეკეტერები, ჯერჯერობით, ამაოდ ცდილობენ, საქრუსენერგოს რამდენიმე ათასი დოლარი წაგლიჯონ. იმუქრებიან, — თუ ფულს არ მოგვცემთ, მაღალი ძაბვის 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ საყრდენ ანძებს ავაფეთქებთო. მათ ანძის ქვეშ დატოვეს მუქარის წერილი რამდენიმე გრამ ტროტილთან ერთად. შემოწმებაზე გასულმა ელექტროტექნიკოსმა იქვე იპოვა ავტომატის ათეულობით დაცლილი მასრა.

მაღალი ძაბვის ხაზი „კავკასიონი“, რომელიც საქრუსენერგოს ბალანსზეა, რუსეთიდან საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის ერთადერთი წყარო გახლავთ.

რეკეტერებს აჰყვა ზემო სვანეთის მოსახლეობაც; ოღონდ რეკეტერებისგან განსხვავებით, ისინი ფულად კომპენსაციას ითხოვენ უსაფრთხოების ნორმების დარღვევის სანაცვლოდ — „კავკასიონის“ სადენები მიწასთან ახლოსაა. კერძოდ, სოფლებში — იდლიანსა და ტობორში მიწის ზედაპირიდან 30 მ-ზე ნაკლები მანძილითაა დაშორებული, რის შედეგადაც ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობა დასაშვებ ნორმაზე მეტია. ამ სოფლების ზოგიერთმა მოსახლემ, კომპენსაციის მიღების იმედად, საცხოვრებელი სახლი პირდაპირ მაღალი ძაბვის საყრდენი ანძების ქვეშ აიშენა, რა თქმა უნდა, უნებართვოდ, და ახლა იმუქრება, თუ კომპენსაციას არ მივიღებ, მაღალი ძაბვის სადენს მექანიკური საშუალებებით დავაზიანებო.



ან კომპენსაცია, ან სადენების აფეთქება (?)

საქრუსენერგოს ხელმძღვანელის შოთა მაისურაძის განცხადებით, მათი ორგანიზაცია ამ ახალი ტიპის რეკეტერებს ათასობით ლარს არავითარ შემთხვევაში არ გადაუხდის. ჯერ ერთი, არა აქვთ და რომც ჰქონდეთ, სახელმწიფო ამას არ დაუშვებს. კანონით აკრძალულია მოსახლეობისთვის რაიმე კომპენსაციის მიცემა იმ ადგილებში, სადაც ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობა ნორმას აღემატება, რუსენერგოს მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ სხვადასხვა დამცავი საშუალების გამოყენებით ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობა დაარეგულიროს. თუმცა, უხელფასოდ და უპენსიოდ დარჩენილ „კავკასიონის“ მეზობლად მცხოვრებლებს დამცავი საშუალებების გაგონებაც არ უნდათ და საზღაურს დაჟინებით მოითხოვენ. უგროშკაპიკოდ დარჩენილი, მკაცრი ზამთრის მომლოდინე მთის მოსახლეობა უკვე აღარ დარდობს თავის ჯანმრთელობაზე, ურჩევნია ის თანხა, რაც საქრუსენერგომ უსაფრთხოების ნორმების აღსადგენად უნდა დახარჯოს, მათ მისცენ. ათეული წლებია აქ ვცხოვრობთ და თავს მშვენივრად ვგრძნობთო, — აცხადებენ ისინი.

შინაურ მტრებს გარეული მტრებიც მიემატა. კერძოდ, წელს ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამავალი „კავკასიონის“ ტრასის დათვალიერებისას მორიგე ელექტროტექნიკოსები სახტად დარჩნენ. საყრდენ ანძებს შორის მხოლოდ ფოლადის ბაგირები იყო გაბმული, ხოლო ბაგირზე დახვეული ალუმინის სადენი უკვალოდ გამქრალიყო.

სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევა ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე გამავალ „კავკასიონზე“ სამჯერ განმეორდა. ქართული მხარის თხოვნა, რომ ტრასისთვის ყურადღება მიექციათ, იქაურმა სამართალდამცავებმა გულგრილად დატოვეს, რის გამოც საქრუსენერგო იძულებული გახდა, „კავკასიონი“ უმოქმედობის დროსაც მუდმივი დამცავი ძაბვის ქვეშ იქონიოს, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ამასთან, წინა მოწვევის პარლამენტის 1999 წელს მიღებული გადაწყვეტილებით გაუმართლებლად შეჩერდა საქართველოდან საზღვარგარეთ ჯართის გატანის აკრძალვის კანონის მოქმედება და საქართველოში ხელახლა გაშალა ფრთები ჯართის მაფიამ. არადა ჯართი, მით უმეტეს, ფერადი ლითონები, ფაქტობრივად, აღარ მოიძებნება. ის ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გაიტანეს საზღვარგარეთ. ფინანსურად გაჭირვებულმა მოსახლეობამ ხელი მიჰყო დაუცველი, მოქმედი ელექტრომოწყობილობების შეგნებულ დაზიანებას, რათა, ჯართად ქცეული, პუნქტებში ჩაებარებინა. ფერადი ლითონის ჯართი გაცილებით ძვირად ფასობს. ამის შედეგად, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებიდან, როგორიცაა „კავკასიონი“, „ქართლი-1“, „ქართლი-2“, „იმერეთი“, „მუხრანი“ და სხვ., მოპარულია 200 კმ-ზე მეტი 300 ტონა ალუმინის სადენი. მაგალითად, სოფელ სართიჭალის ახლოს რამდენიმე პირმა ცეცხლსასროლი იარაღით დაამსხვრია მაღალი ძაბვის „ქართლი-1“-ის, როგორც ძირითადი, ასევე 5 შუალედური ანძის იზოლატორები. ძაბვა გაითიშა. მძარცველებმა საკუთარი და ასევე უდანაშაულო მგზავრების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად (ძარცვის მონაკვეთი კვეთს კახეთის გზატკეცილს) ოთხი შუალედური ანძიდან ალუმინის სადენები დახსნეს, დაჭრეს და ჯართად აქციეს. ჯართის მიმღები პუნქტები ამჟამად 1კგ ალუმინში 70 თეთრს იხდიან. ასე რომ, მძარცველებს სუფთა მოგება 20 ათასი ლარი დარჩათ, ხოლო სახელმწიფოსა და სს საქრუსენერგოს ზარალი — 50-100 ათასი ლარით განისაზღვრება.

(გაგრძელება იხ. მე-6 გვერდზე)




# ვინ იქნება სათბობენერგეტიკის ახალი შეფი?

ენერგეტიკის ამჟამინდელმა კატასტროფულმა მდგომარეობამ ზოგს სავარძელი შეურყია, ზოგს ძილი დაუფრთხო და ზოგსაც განსასჯელის სკამზე მიუჩინა ადგილი. ამ არაორდინარულმა სიტუაციამ ბევრ ჭორსაც დაუდო სათავე. ამბობენ, — სათბობენერგეტიკის სისტემას მალე ახალი მესვეური ეყოლებაო. ჭორები ამ სისტემის მომავალ შეფად პრეზიდენტის ვაჟს — პაატა შევარდნაძეს სახავენ.



„კვირის პალიტრა“ ამის თაობაზე ჯერ კიდევ ერთი თვის წინ იყო ინფორმირებული. ეს ვერსია რამდენიმე დღის წინ რადიო „თავისუფლებამაც“ დაადასტურა...

როგორც ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და არც ეს, ორი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მიერ მოპოვებული ცნობა ჩანს საფუძველმოკლებული.

ამ ჭორს საფუძველს ისიც უმაგრებს, რომ ორი წლის წინ პრეზიდენტის ვაჟმა საქენერგოს შენობაში ოფისი მოიწყო. ჩვენი ინფორმაციის გადასამოწმებლად საქენერგოს, უფრო სწორად კი, საქგენერაციას ვესტუმრეთ, რომელმაც თავისი კუთვნილი ფართი, შენობის მეოთხე სართული — დაუთმო პაატა შევარდნაძეს ფეშენებელური ოფისის მოსაწყობად. როგორც ამბობენ, საქენერგოს თავმჯდომარე მამუკა ნიკოლეიშვილი პრეზიდენტის ვაჟის მეგობარია, მაგრამ როცა „მეგობრის საქმეზე“ საუბრობს, ცდილობს, მიუკერძოებელი კაცის პოზიცია დაიჭიროს — ამ საქმის მხარდასაჭერად ძმაკაცობა კი არა, უბრალოდ, კაცობაა საჭიროო...

— გადაგვიყოლა, ბატონო, საქართველოში ამ ჭორებმა. არა მგონია, ოფისი ეწოდოს სახელმწიფო ორგანიზაციას. რასაც თქვენი ინფორმატორები ოფისს არქმევენ, ეს არის საჯარო იურიდიული სამართლის პირი — მდგრადი განვითარების სააგენტო, რომელიც ორი — სათბობენერგეტიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ არის დაფუძნებული.

**— ცოტა ბუნდოვანი სახელწოდებაა. რა სფეროს მოიცავს მდგრადი განვითარების სააგენტო?**

— ასეთი სააგენტოები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინიციატივითა და რეკომენდაციით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიქმნა, მათ შორის საქართველოშიც — იგი, ძირითადად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე მუშაობს.

**— რატომ უკავშირებენ ამ სააგენტოს პაატა შევარდნაძის სახელს?**

— ბატონი პაატა დღესდღეობით იუნესკოში ერთ-ერთ უმსხვილეს პროექტს უძღვება.

**— რომელ პროექტს?**

— ეს არის ამიერკავკასიის განვითარების პროექტი (იუნესკოს მხრიდან). იუნესკოს გენერალური დირექტორის დავალებით შექმნილია ძლიერი ბირთვი, რომელსაც ბატონი პაატა შევარდნაძე ხელმძღვანელობს. ეს ჯგუფი მთელ ამიერკავკასიას კურირებს. პერსპექტივაშია ამათი მუშაობის არეალის გაფართოება, მაგალითად, შავი ზღვის ქვეყნების მასშტაბით. მდგრადი განვითარების სააგენტოს დაარსებაში პაატა შევარდნაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის. იგი გახლავთ მისი შექმნის მოთავე და დამფუძნებელი და, აქედან გამომდინარე, მასთან მჭიდრო კავშირშია.

**— ამბობენ, მალე პაატა შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდება და აქ, მეოთხე სართულზე დაჯდებაო.**

— არ ვიცი, როდის დაბრუნდება ბატონი პაატა, მას იუნესკოში ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია. მაგრამ სულაც არ არის გასაკვირი, როცა დაბრუნდება, მის მიერ დაარსებულ სააგენტოში იმუშაოს.

**— საქენერგოს მოსალოდნელ პრივატიზაციაზე საუბრისას ისევ პაატა შევარდნაძეს ახსენებენ.**

— არ ვიცი, რას გულისხმობთ. სახელმწიფო ორგანიზაციამ როგორ უნდა მოახდინოს სისტემის პრივატიზაცია? არ არის ლაპარაკი საქენერგოს პრივატიზაციაზე.

P.S. ენერგეტიკის თემაზე საუბრისას ავიენები იმასაც ამბობენ, დღევანდელი სიტუაცია ხელოვნურადაა გამოწვეული და ყველაფერი სათბობენერგეტიკის შეფად პაატა შევარდნაძის მოყვანისათვის კეთდებაო.

დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია, მაგრამ რას იტყვის ხალხი?

ხალხისთვის ალბათ სულ ერთია, ვინ დაჯდება საქგენერაციის მე-4 სართულზე...

მისთვის მთავარია, სინათლე და სითბო ჰქონდეს.

*იზო რუკაძე*

# ხალხო, რას ვერჩით ხალხს?



„ეს მანქანა აქედან აღარ წავა“ — ცამეტიოდე წლის ბიჭმა რამდენიმე თანატოლთან ერთად გზა გადაუკეტა სამარშრუტო ტაქსის, რომელიც ნახევრად ჩაკეტილი მოძრაობიდან თავის დაღწევას ცდილობდა. „ბავშვით ვარ, სახლში აღარ წავიდე?“ აყვირდა ქალბატონი, რომელსაც მუხლზე პატარა ეჯდა. მანქანა ალყაში მოექცა. „ამათ ვაჩვენებ სეირს“, გამოვიდა წყობიდან მძღოლი და მაინც სცადა დაძრულიყო, თუმცა, ბოლო წუთს თავი აარიდა შეხლა-შემოხლას. „ჩამოდი და აქ დადექი, აქედან არ გაგიშვებთ“, იყო პასუხი. „ფანჯრები დაკეტეთ, ქვები არ ისროლონ“ — დაიყვირა ვიღაცამ ტრანსპორტიდან. ალმოდებულ საბურავებთან ათეულობით ავტომანქანის გაწბილებული მგზავრი მოპიკეტეებს ედავებოდა. „არც მე მაქვს შუქი სახლში, ცოლ-შვილი მელოდება, ვინა ხართ, რა უფლებით არ მიშვებთ, თქვენი“... ემოციამორეული მამაკაცი როგორღაც დააშოშმინეს. ახლომახლო შუშის მტვრევის ხმა გაისმა. ურჩ მძღოლს როგორც გაირკვა, ქვით „გაუმასპინძლდნენ“ და საქარე მინა ჩაუმტვრიეს. განსაკუთრებული აქტივობით მოპიკეტე ქალბატონები გამოირჩეოდნენ. „აქეთ დაამატეთ, ცეცხლი არ ჩაქრეს, სახლში ვერავინ ვერ წავა“ — ვაკე-საბურთალოს გზის ერთი ნაწილი კვამლში იყო გახვეული.

ასეთი სცენა პარასკევ საღამოს 6 საათიდან თბილისის თითქმის ყველა ქუჩის თავსა თუ ბოლოში გაიმართა. გადამცემი ხაზი „ქართლი-2“ შემთხვევით თუ განგებ მწყობრიდან გამოვიდა. ქალაქი წყვდიადმა მოიცვა. თუმცა სიბნელე თითქმის ყველა გზაჯვარედინზე გაჩაღებულმა კოცონმა შთანთქა.

ელიავას ქუჩის ერთი მონაკვეთი ე.წ. ტრაილერებით იკეტებოდა. ტრაილერების იქით-აქეთ თბილისელები იდგნენ და ერთმანეთს ისე უყურებდნენ, როგორც ფრონტის ხაზზე მდგარი მტრები. „მთავრობამ თავისი მანქანების „პაკრიშკები“ აქ მოიტანოს“ — გაჰყვიროდა ერთი აქტივისტი. „წადი და იმას გადაუკეტე გზა, ჩვენთან რა გინდა, მე ვარ მთავრობა? სახლში ავადმყოფი მყავს, გამიშვი შენი“... ხელჩართულ ბრძოლას აქაც ერთი ნაბიჯი აკლდა.

რუსთაველი, მელიქიშვილი, ჭავჭავაძე, თამარაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი, ელიავა, წერეთელი — აი არასრული ნუსხა თბილისის იმ ქუჩებისა, რომლებიც ელექტროენერგიისათვის გაჩაღებული ქუჩური ბრძოლის ველად იქცა. გლდანი, სანზონა, ნაძალადევი, დიდი დიღომი — ეს უბნებიც მოეცვა ემოციებს. საბურთალოს ქუჩა, რომელიც მოგვიანებით ჩაკეტეს, რამდენიმე ადგილას მინის ნამსხვრევებით გახლდათ მოფენილი. ავტომობილები ველარც ერთმანეთს უქცევდნენ გვერდს და ველარც გაწბილებულ და გაყინულ ფეხით მოსიარულეებს, რომლებმაც საბოლოოდ დაკარგეს შინ მისვლის იმედი. ქალაქში დენთის სუნი იდგა. უფრო სწორად... სისხლის. მასობრივ სისხლის ღვრამდე თბილისს, პარასკევ საღამოს ფაქტობრივად აღარაფერი აკლდა. ბარიკადების ერთ მხარეს, უშუქობით გაღიზიანებული მოსახლეობა იდგა, მეორე მხარეს კი — ათიათასობით უფლებაშელახული მგზავრი, რომელთაც არათუ შუქი, უშუქო სახლამდე მისვლაც კი სანატრელად ქცეოდათ. ქალაქში გადაადგილება ჩვეულებრივი კი არა, სასწრაფო დახმარების მანქანისთვისაც შეუძლებელი გახდა. გოთუას ქუჩაზე გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად სახანძრო მანქანა ფიზიკურად ვერ მივიდა. ამას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ასე რომ, ბოლო ორი დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს მსხვერპლი მაინც მოჰყვა.

თბილისის მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორის ხარჯზე ცდილობდა საკუთარი ყოფითი პრობლემების მოგვარებას. თითქმის ყველა ადგილას, სადაც აქცია გაიმართა, სახეზე იყო აშკარა დაპირისპირება ხალხსა და... ხალხს შორის. დედაქალაქი დენთის კასრს ჰგავდა, რომელიც ასაფეთქებლად მზად იყო.

ქუჩის აქციებს ერთადერთი „მაღალჩინოსანი“ მსხვერპლი ჰყავდა — ენერგეტიკის მინისტრი. „მირცხულავას სახლში არ შევუშვებთ“ — ასეთი იყო მელიქიშვილის ქუჩაზე შეკრებილთა მთავარი ლოზუნგი. უკვე „ჩასვრილ“ საქმეზე მისულ დავით მირცხულავას ბედს იმ საღამოს არავინ ინატრებდა.

უტყუარი ინფორმაციით სახელმწიფო კანცელარიასა თუ სხვა უწყებებს შეფარებული მაღალჩინოსნები, ღამის პირველ საათამდე ისხდნენ კომფორტულ სამუშაო კაბინეტებში, შემდეგ კი „არასახელმწიფო ნომრებიანი“ მანქანებით მშვიდობით დარიგდნენ სახლებში.

ჭავჭავაძის გამზირზე განვითარებული მოვლენები დედაქალაქის ყველა უბანს მოედო. უშუქობის ნიადაგზე სპონტანურად დაწყებული გამოსვლები ხასიათს თვალსა და ხელს შუა იცვლიდა. თბილისის ქუჩები ისევ ომგადატანილს ჰგავდა. ისევ, რადგან უკანასკნელი დღეების მანძილზე ჩვენ თვალწინ განვითარდა კიდევ ერთი ფრაგმენტი 1991-92 წლების ცნობილი და სამწუხარო მოვლენებიდან. სხვათა შორის, იმავე, ნაცნობი სახეებით.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ მითითება მისცა პოლიციას, არ მოეხდინათ რეაგირება ქუჩაში გამოსული მოსახლეობის ქცევაზე. პოლიცია არავის შეხებია. სამაგიეროდ, მოხდა გაცილებით უარესი. საკმარისი იყო ერთი გაუთვალისწინებელი ქცევა და სისხლის ღვრას ვერ გავექცეოდით. ყველაზე მწირი ფანტაზიის ადამიანიც კი მოახერხებს იმ სურათის წარმოდგენას, რომელიც დენთის სუნით გაჟღენთილ ჰაერში გასროლას შეიძლება მოჰყვეს. ამჯერად, რომ იტყვიან, არ გავარდა, მაგრამ — ამჯერად. სამწუხაროა, რომ უკვე აღარავის სჯერა, რომ ის, ვინც ამ საფრთხის თავიდან აცილებაზე უნდა იზრუნოს, თავის მოვალეობას შეასრულებს. მეტიც, ვარაუდი, რომ განვითარებული მოვლენები ხელისუფლების ერთი ნაწილის ინსპირირებული გახლდათ, მეორის წინააღმდეგ, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. არც ის ითქვა შემთხვევით, რომ ყოველივე ამას ვაკის რაიონში მომავალ კენჭისყრასთანაც ჰქონდა კავშირი. ნაცნობ სახეებს თბილისის ქუჩებში მართლაც ვხედავდით.

ხვალ... ხვალ შეიძლება ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი ისევ დაირღვეს. ხვალ შეიძლება მათ, ვინც გუშინ, ასე თუ ისე შეძლო თავის შეკავება, ემოციებს ვერაფერი მოუხერხოს. არადა, ამ მეთოდებით პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ, პირიქით. შეიძლება შედეგი გაცილებით უარესი აღმოჩნდეს, იმდენადაც რომ უშუქობაც სანატრელი გაგვიხდეს.

ხალხო! რას ვერჩით ხალხს!

***მაია გაბუნია***



# აბსანძე და ქობალია რეფორმატორები ყოფილან?..

პენიტენციალურ სისტემაში რეფორმები დიდი ხმაურითა და აჟიოტაჟით დაიწყო. კაცმა არ იცის, მივა თუ არა ეს რეფორმა ბოლომდე, შესაძლოა, ისეთივე მკვდრადშობილი გამოდგეს, როგორც არაერთი სასიკეთო სიახლე ჩვენში. სასჯელთა აღსრულების სისტემაში დიდი ძვრები დაიწყო, მიხეილ სააკაშვილი და სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ზურაბ მსხვილიძე ახალი ცოცხის კვალობაზე გვარიანად გვიან, ჯერ ქვიშას ნამდვილად არ „მოატანენ,“ მაგრამ როდემდე გაგრძელდება ასე?

— უამრავი კითხვა აწუხებთ საპყრობილეებში გამომწყვდეულ პატიმრებს. ყველაზე მეტად კი ერთი კითხვა — რას შეჭამენ პატიმრები და როგორ მოგვარდება მათი საკვებით მომარაგება? ამ კითხვებმა მიმიყვანა ერთ დღეს ორთაჭალის ციხის ე.წ. „საპერედაჩო“ განყოფილებაში.

დალხინებულ ადამიანს აქ ვერ წააწყდებით. მათ არც რეფორმისა სწამთ და არც სხვა სიკეთისა, რაც მათ პატიმრებს სასიკეთოდ საქმის შემობრუნებას, მდგომარეობის შემსუბუქებას უქადის. პატიმართა ჭირისუფალნი მუდმივად არიან მოლოდინში, რაც დღემდე არ გამართლებიათ. მათი მათ ფულის აღების სურვილი კი გააჩნიათ, მაგრამ ზურაბ მსხვილიძისა და №1 საპყრობილის ახალი უფროსის დემიკო დევნოზაშვილისა ეშინიათ. ციხის ახალი ხელმძღვანელობა დამუქრებია, 1 ლარ ქრთამში — 1 წელ ციხეს! — ამ მათემატიკურმა განტოლებამ მათ ბოლო ხანს უმადობა დამართა.

ჭირისუფლებს, როცა საქმე ციხე-კოლონიებში რეფორმა-ცვლილებებს ეხება, სჯერათ, რომ რეფორმა გურამ აბსანძემ და ლოთი ქობალიამ წამოიწყეს, კიდევ იმ ათმა პატიმარმა, ცნობილი გვირაბით თავი რომ დააღწიეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს. დღეს ქობალია-აბსანძეს რეფორმატორებს ეძახიან, ეჭვიც არავის ეპარება, — რომ არა მათი გაქცევა, თავს არავინ მოიკლავდა ამ სისტემაში ცვლილებების გასატარებლად.

ჩემი იქ ყოფნისას, წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი პატიმრის დეიდას უკან დაუბრუნეს 2 კილოგრამი შაქარი, რაკი განაწესით არ შეიძლებოდა 3 კილოს შეტანა (პატიმართან 3 კილოს შეგზავნას აპირებდნენ, 1 გაუგზავნეს, 2 კი უკან დაუბრუნეს). ადრე, თურმე, ეს 2 კილოგრამი შაქარი ციხის თანამშრომელთა საშაქრეებში იყრებოდა, მეტიც, მთლიანად ციხის პერსონალი პატიმართა კმაყოფაზე იყო, პატიმრებს კი სხვა რა გზა ჰქონდათ, ახლობლებს „პერედაჩის“ მიღების დასტურად საპასუხო წერილს უგზავნიდნენ, ვითომ მათ უკლებლივ მიიღეს შემოგზავნილი პროდუქტი და საგნები.



აზრით, ყველა სიავე, რა თქმა უნდა, მოდის ხელისუფლებიდან, რომელიც გივი ყვარელაშვილის ხელით ახორციელებდა ამ უბედურებებს.

პატიმართა ყველა ჭირისუფალი მალავს ჟურნალისტებთან, საკუთარ ვინაობას. ამ ხალხს აღარ სჯერა, რომ მათ მიერ ნათქვამ მცირე აუგს ძველ თუ ახალ ციხის მმართველებზე, პატიმრებს არ აზღვევინებენ.

პატიმარ N-ის დედა: „2 წელია აქ არის ჩემი შვილი. გივი ყვარელაშვილმა შეჭამა ჩემი ოჯახი, მაგან და ჯიმშერ ბაწაშვილმა. უფულოდ საჭმელი ვერ შემეგზავნა ციხეში. ვერ გაძლა ეგ ხალხი, დასაჭერი კი არა, დასახვრეტია. თუ ფული არ მიეცი, პატიმრებს მშიერს ამყოფებენ, საჭმელს არ შეგატანინებენ. დათვალეთ, დღეში რამდენი კაცი მოდის და რამდენ ფულს აკეთებენ. ყოფილა შემთხვევა, 10 კატლეტი შემიგზავნია შვილთან, საკანში 5 შეუტანიათ. სად გაქრა 5 კატლეტი? გზაში! მაგრამ ვის შემოეჭამა ის 5 კატლეტი გზაში, ამაზე გამცენ პასუხი ყვარელაშვილმა და ბაწაშვილმა!

რეფორმების დაწყებიდან სასიკეთოდ შეიცვალა მდგომარეობა ორთაჭალის ციხეში ამანათების შეგზავნის მხრივ მაინც. ადრე, როგორც პატიმართა ჭირისუფლები აცხადებენ, მხოლოდ 1 „ფორტოჩკა“ მუშაობდა და ამის მეშვეობით იგზავნებოდა ყველა ამანათი ციხეში, ახლა 5 სარკმელია გაჭრილი და მდგომარეობაც გაუმჯობესდა.

აღარ არის რიგი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თურმე, ბოლო 1 თვეა, ციხის თანამშრომლები ფულსაც აღარ იღებენ ამანათების ადრესატამდე მისატანად, არადა, ისევ ის ხალხი მუშაობს, ხალხი, რომლისთვისაც სულ მცირე 1 ლარი რომ არ მიგეცა, ავადმყოფს წამალს არ აუტანდა საკანში. ბუნებრივია, 1 თვეში ეს ხალხი ასე რადიკალურად ვერ შეიცვლებოდა, როგორც პატიმართა პატრონები ამბობენ,

ამანათები შეგზავნამდე მოწმდება — სპეციალური სამსახური ამოწმებს, სინჯავს მას, რომ რაიმე აკრძალული არ შეაპარონ ციხეში. იკრძალება შუშის, ლითონის და ნებისმიერი ბასრი იარაღის შეტანა. მჩხრეკავები ყველა საშუალებით ამოწმებენ ამანათებს გამგზავნთა თვალწინ. იჭრება ნებისმიერი სახის გამომცხვარი პურეული — პური, ნამცხვარი, ქადეული, პიცა... იჩხრიკება თვით წვნიანი კერძები — ბორშჩი, სუპი, სოუსი, რაგუ, აჯაფსანდალი თუ ჩახოხბილი. საამისოდ ბიჭებს სპეციალური „შტირები“ და დანები აქვთ მომარჯვებულიო. ასეთი მკაცრი კონტროლი იმის ბრალია, რომ ამანათებში ხშირად ხვდება ნარკოტიკები. ამ დანა — „შტირებით“ იზღვევენ თავს მჩხრეკავები ნარკოტიკების შეპარებიდან, თუმცა, მეტ-ნაკლებად, რადგან თავადაც არ სჯერათ, რომ ამგვარად რამეს იპოვიან.

თუ „მჩხრეკავთა სამსახურმა“ რაიმე საეჭვო, სერიოზული დარღვევა აღმოაჩინა, მაშინვე აცნობებს ციხის ადმინისტრაციას, საქმეში საექსპერტო სამსახური ჩაერევა და უმალ გაარკვევენ, პატიმარს მაყვლის სიროფს უგზავნიან თუ მაყვლის ლიქიორს.

რაკი ნარკოტიკების შეგზავნა იკრძალება, ნარკომან პატიმართა გულისთვის ბევრი არანარკომანი პატიმარი „იჭყლიტება“ — მათ მკაცრად აქვთ განსაზღვრული წამალთა ის სახეობა, რაც შეიძლება მიეწოდოთ. პრინციპში ანალგინზე და ციტრამონზე უფრო ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება შეგზავნისას ნარკოტიკის კატეგორიაში გადის — ექიმის ნებართვის გარეშე მისი მიწოდება პატიმრისთვის იკრძალება.

სასიკეთო სიო იგრძნობა ორთაჭალის ციხეში, თუნდაც „პერედაჩების“ შეგზავნის მხრივ. იმედია, სიო ქარიშხლად გადაიქცევა...

***ლევან ჯავახიშვილი***

# თურქეთის მარტენის ღუმელში ქართველი მწერლების ძეგლები დნება

*დასაწყისი იხ გვ-5*

ფერად ლითონებზე მონადირეებმა განსაკუთრებით შედეგიანად „მუხრანის“ 500 კილოვატიან სადენებზე „იმუშავეს“... ეს ხაზი საქართველოს აზერბაიჯანთან აკავშირებს. მაგრამ რადგან ის სარეზერვოდ იყო მიჩნეული, მის დაცვას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. აღნიშნული ხაზის 85 კმ-იანი მონაკვეთიდან, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის, 80კმ პირწმინდად არის გაძარცული. სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი კი 100 ათას დოლარს აღემატება.

მძარცველები მარტო ალუმინის სადენების პარვას არ სჯერდებიან. ისინი მაღალი ძაბვის საყრდენი ანძებიდან ფოლადის კუთხოვანებსაც ჭრიან. ამით ზიანდება და სუსტდება ანძის კონსტრუქციის სიმაგრე. მოსალოდნელია ანძა წაიქცეს და უბედურებაც დატრიალდეს.

უკვე დიდი ხანია, რაც ჯართზე მონადირეებმა ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ქანდაკებების, ბიუსტების, ბარელიეფების და სხვ. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს ქალაქებში აღმართული ფერადი ლითონებისაგან დამზადებული ძეგლების მოპარვა დაიწყეს. ისინი არც თბილისში განთავსებულ პანთეონებს ინდობენ. სულ ახლახან „მეჯართეებმა“ სომეხი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პანთეონი დაარბიეს, რითაც საქართველოს ხელისუფლება საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს. იმ ქვეყანაში, სადაც ვაჟას ქანდაკებას ძარცვავენ, უბრალო ჭირისუფალს რა გარანტია აქვს, რომ მისი გარდაცვლილი ახლობლის საფლავს არ გაძარცვავენ. ამიტომაც არის, რომ ამჟამად ჭირისუფალი თავს იკავებს საფლავისათვის ფერადი ლითონისაგან დამზადებული ღობის შემოვლებაზე. კომპეტენტურ წყაროებზე დაყრდნობით, ფერადი ლითონების ჯართის შავ ბიზნესს მაღალი რანგის ზოგიერთი ჩინოვნიკი მფარველობს. სწორედ მათი მეცადინეობით გააუქმა წინა მოწვევის პარლამენტმა ჯართის საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა, ხოლო ახალი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი მისი ხელახლა ამოქმედებისაგან თავს იკავებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯართის წარმოშობას არც მიმღებ პუნქტში აკონტროლებს ვინმე და არც საზღვარგარეთ გატანის წინ. ასე რომ, ჯართთან ერთად თურქეთის მარტენის ღუმელში ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ძეგლების ნაწილებიც დნება...

***ზვიად ჩაკვეტაძე***



# „შსს მთლიანად უნდა გადაისინჯოს თავის მინისტრიანად...“

## — ფარული დესტაბილიზაცია არანაკლებ საშიშია...

გასული კვირა დედაქალაქში ლამის რევოლუციური გამოსვლებით აღინიშნა. დუღილის ტემპერატურა არც ამ კვირას დაეცემა, თუ რატომ, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

კახა თარგამაძესთან „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილი ინტერვიუს შემდეგ, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს ცეცხლზე ნავთი დაუსხეს. ჩვენ სწორედ მაშინ ვეწვიეთ ქალბატონ ელენეს, როცა მას ერთ-ერთმა საინფორმაციო წყარომ შეატყობინა, ქვეყნის ძალოვანი უწყებები პარლამენტის ზოგიერთი ლიდერის წინააღმდეგ კომპრომატებს აგროვებენო. ქალბატონი ელენეს თქმით, ისინი თურმე საამისოდ სექსუალურ უმცირესობებს იყენებენ. ამის თაობაზე უკვე ინფორმირებულია როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ასევე პარლამენტის ის პერსონები, რომლებიც მავანთა სამიზნეს წარმოადგენენ. ელენე თევდორაძემ ამ ყველაფერს კახა თარგამაძის მიერ პოსტშევარდნაძისეული ეპოქისთვის მზადება უწოდა. ქალბატონმა ელენემ სხვა, ე.წ. დახურულ თემებზეც გადაგვიკრა სიტყვა. თანაც, არცთუ ბუნდოვნად.



— შსს-ის სამიზნეს პარლამენტის მმართველი პარტიისა და ზურაბ ჟვანიას ირგვლივ შემოკრებილი ცენტრალური ფიგურები წარმოადგენენ: რევაზ ადამია, არჩილ გოგელია, ედუარდ სურმანიძე, გია ბარამიძე და კიდევ რამდენიმე. ამისთვის ყველანაირ ხერხს იყენებენ. ზოგიერთი მათგანი ჩემთვის ცნობილია. ამას წინათ, ჩემთან იყვნენ მეძავები და სამართალდამცავებთან თავიანთ პრობლემებზე მიამბეს, მაგრამ სექსუალური უმცირესობა ჩემთან არ ყოფილა. შეიძლება ეშინიათ, ამიტომ მსგავსი ინფორმაცია ჩვენთან, კომიტეტში, არ შემოსულა. როცა ეს ცნობა ჩემთან სხვა გზით მოვიდა, გულწრფელად გითხრათ, შემეშინდა. შემეშინდა, რომ ასეთ ქვეყანაში ცხოვრობენ ჩემი შვილი და შვილიშვილები... ის აზრი, რომ ჩვენ ნორმალურ, სამართლებრივ ქვეყანაში ვცხოვრობთ, შორსაა რეალობისგან.

**— რატომ უნდა სურდეს ძალოვან სტრუქტურებს პარლამენტის წინააღმდეგ ასეთი მუშაობა? რა მიზნით?**

— ხალხის თვალში მმართველი პარტიის დისკრედიტაციის მიზნით. ეს მუშაობა ახლა არ დაწყებულა. დიდი ხანია მიმდინარეობს. ჯერ იყო და, ჟვანიას წარმომავლობაზე დაიწყეს საუბარი, მერე ელიავას ამბებში ადანაშაულებდნენ პარლამენტის თავმჯდომარეს, მერე ჩნდება ვინმე ჭკუასელის ინტერვიუ, რომელშიც ერთიანად მოთხრილია ხელისუფლება. როგორც ვვარაუდობ, ამით არ დამთავრებულა ბრძოლა. კომპრომატების შეგროვება ჩვენს წინააღმდეგ, თანაც ნებისმიერი გზით, ახლა ამ წუთშიც მიმდინარეობს. შანტაჟი ისევ გრძელდება. რატომ? ამას დიდი გონებაგამჭრიახობა არ ესაჭიროება. ხომ არ ემზადება შს მინისტრი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის?! ან, ხომ არ სურთ მავანთ არჩეული პარლამენტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, ხელისუფლების გადატრიალება და ა.შ.

**— ვთქვათ, თარგამაძეს მართლაც სურს პრეზიდენტობა...**

— ვთქვათ კი არა, სურს და იმედია, როცა საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, ქართველი ხალხი გონიერებას გამოიჩენს. რაც შემეხება მე, თარგამაძე რომ პრეზიდენტი გახდეს, კი ვიცი, რომელ საკანში ჩამსვამს. ამგვარი დასკვნის გაკეთება ძალიან იოლია. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე...

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ თარგამაძე თქვენს წინააღმდეგაც აგროვებს კომპრომატებს?!**

— არათუ ვფიქრობ, დარწმუნებით ვიცი, რომ ჩემზე ინტენსიურად მუშაობენ, მაგრამ არ გამოსდით. ამ წლების განმავლობაში რა აღარ მოვისმინე: ვარ პროვოკატორი, ვიღებ ქრთამს, ვიშენებ სასახლეებს საქართველოში და მის გარეთ. ბოლო გაქცევასთანაც კავშირი დამაბრალეს, სულ ბოლოს კი პატიმარმა დამირეკა და მეუბნება: „ობშჩიაკის“ წევრობას გაბრალებენო. თურმე, ფოთში პატიმარს სცემდნენ. იმას უთქვამს, თევდორაძესთან ვიჩივლებო. პასუხი კი ასეთი მიუღია: ეგ თქვენი „ობშჩიაკის“ წილში ზის და მაგასაც მალე მოგისვამთ გვერდითო.

ჩვენ უკვე გვაქვს საკმარისი საბაბი იმისთვის, რომ შსს მთლიანად გადაისინჯოს თავისი მინისტრით და სამმართველოს უფროსებით.

**— ხომ შეიძლება თარგამაძემ თქვას, არ ვიცოდი, თუ ჩემი ხელქვეითები ასე მუშაობდნენო. ამით, ნაწილობრივ მაინც, აიცდენს რისხვას...**

— სულაც არა. თუ ის იტყვის, რომ არ იცოდა, მით უარესი მისთვის. მან უნდა იცოდეს, რა ხდება მის სისტემაში, განსაკუთრებით, იმ ყბადაღებულ, მე-6 სართულზე, რომელზეც სხედან დეპარტამენტის ხელმძღვანელები. თუ სიტუაციას ამ მნიშვნელოვან სართულზე ვერ ფლობს მინისტრი, მაშინ რა გარანტია გვაქვს ჩვენ, რომ მე-2 ან მე-7 სართულზე ტერორისტული აქტი არ იგეგმება. დაადასტურებს თუ არა ამას თარგამაძე — მისთვის ორივე მდგომარეობა წამგებიანია. საგანგებო სხდომაზე მას კონკრეტულად მოუწევს პასუხის გაცემა.

**— უშიშროების სამინისტროს მიმართ არ გაქვთ პრეტენზიები?**

— იმდენი და ისეთი ხასიათის არა, როგორც შსს-თან. რატომღაც, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ორი სამინისტრო ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ რამდენ მასალას დაუდებს მაგიდაზე პრეზიდენტს სმკ-ის წინააღმდეგ, ვინ უფრო მოიგებს პრეზიდენტის გულს, ვფიქრობ, უშიშროებაში უფრო მეტი პატიოსანი ხალხი მუშაობს.

**— აბა, ეს შეჯიბრი რაღას ნიშნავს?**

— იცით, მე მგონი შსს-მ უშიშროებას ბოლო წლების განმავლობაში ფუნქციები წაართვა თუ ჩამოართვა, თვითონ შეითავსა. არ გამოვრიცხავ, რომ უშიშროებას ამის გამოც შეიძლება ძალიან აწყობდეს თარგამაძის ჩაძირვა. თარგამაძეს ამბიციები ძალიან მოეძალა. ეს კი უშიშროებას აღიზიანებს.

**— ისე, ბევრი სწორედ პოლიციის დამსახურებად მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სტაბილურობაა, ქუჩაში სიარული საშიში აღარაა და ა.შ.**

— არ არის ქუჩებში სტაბილიზაცია. ქუჩაში არის ფარული დესტაბილიზაცია. ჩვეულებრივ მოქალაქეებს პოლიცია აყაჩაღებს. არ ვამბობ, როცა ოპერატიულ საქმეზე გადიან, მაგრამ აყაჩაღებენ არაფრის გულისთვის. შეიძლება ითქვას, მხედრიონი პოლიციამ შეცვალა. ფარული დესტაბილიზაცია არანაკლებ საშიშია.

**— ე. ი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვეყანას პრეზიდენტობის ორი კანდიდატი — თარგამაძის და ჟვანიას სახით უკვე ჰყავს?**

— დრო ისეთ სიურპრიზებს გვთავაზობს, რომ ძნელია გათვალო, ვინ რისთვის ემზადება. მე მაქვს ჩემი მოსაზრება ამის თაობაზე. მომავალ კანდიდატად მე ვასახელებ ერთ პიროვნებას ჩემს ვიწრო წრეში. ეს კაცი დღეს აბსოლუტურად ჩრდილში დგას, მაგრამ დიდ საქმეს აკეთებს. ახლა ვერ დავასახელებ...

**— ქ-ნო ელენე, ერთი სიტყვით, პარლამენტი კახა თარგამაძისა და მისი უწყების წინააღმდეგ ახალი შეტევისთვის ემზადება. გასულ კვირას პარლამენტში გაერთიანებული საკომიტეტო მოსმენა უნდა ჩატარებულიყო, სადაც პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებებისა და სხვა სახის დარღვევებზე უნდა ყოფილიყო საუბარი. მოსმენა გაურკვეველი დროით გადაიდო. რატომ?**

— ჩავთვალეთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალები ცოტა ზედაპირულია, საჭიროა მათი დამამტკიცებელი მომენტებით გამაგრება და ამისთვის გვჭირდება დრო. ვფიქრობთ, ეს მოსმენა ძალიან სერიოზული და საფუძვლიანი იქნება, რადგან საკომიტეტო სხდომაზე მოწვეულ პიროვნებებთან, ასე ვთქვათ, წაგების უფლება აღარ გვაქვს. ჩვენ ვთვლით, რომ ამ საკომიტეტო მოსმენას უფრო სერიოზული შედეგი უნდა მოჰყვეს. თუმცა რა, არ მინდა წინასწარ ვთქვა. ასე რომ, თუ მართლა გვინდა ის შედეგი, რაც ჩავიფიქრეთ, ამისთვის უკეთესად უნდა მოვემზადოთ.

**— არაერთხელ თქმულა, რომ სანამ იქნება ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტი, მანამ თარგამაძეც შს მინისტრი იქნებაო. როგორ ფიქრობთ, საკომიტეტო მოსმენაზე ბევრ საკითხში თარგამაძე რომ არ დაგეთანხმოთ და ამის შემდეგ პარლამენტმა გადაწყვიტოს, ეს კადრი აღარ უნდა იყოს შს მინისტრი, მოერევით კახა თარგამაძეს?**

— სიმართლე გითხრათ, ამაზეც ვიფიქრეთ. თუ ვნახეთ რომ საკომიტეტო მოსმენამ შედეგი არ გამოიღო, მაშინ ჩვენ ყველა მასალას პარლამენტის საგამოძიებო კომისიას გადავცემთ, რომელსაც ოსაძე ხელმძღვანელობს... მე, ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტები დადასტურდება. ამის შემდეგ ოსაძის კომისია გააკეთებს მოსმენას და ამ დასკვნის საფუძველზე საკითხს გავიტანთ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

**— სხვათა შორის, თარგამაძის ირგვლივ ერთი ხმაური უშედეგოდ დამთავრდა. პრაქტიკულად, „მოქკავშირმა“ მაშინ იყვირა, იყვირა და გაჩუმდა. რა საჭირო იყო ეს ხმაური, თუკი მხოლოდ ხმაურად დარჩებოდა?**

— ვფიქრობ, რომ იმაზე, რაც დაიბეჭდა „კვირის პალიტრაში“, რეაქცია ადეკვატური იყო. მართალი გითხრათ, მაშინ ორი საკითხი უნდა დამდგარიყო ერთმანეთის პარალელურად. ერთი მხრივ, თქვენი პუბლიკაციის გარშემო პოზიციის გამოხატვა და, პარალელურად, კონკრეტული კანონდარღვევის ფაქტებზე საუბარი. არ დაგიმალავთ, ასეც ვაპირებდით. მაგრამ თარგამაძე ოსტატია, ილაპარაკოს დემაგოგიურად ყველაფერზე და არაფერზე, წაიღოს ბევრი დრო ... იცით, რა ხდება? საერთოდ, ყურადღების კონცენტრაცია ხდება პირველ ერთ საათში, შემდეგ ადამიანი იღლება, მისი ფსიქიკა ვეღარ აღიქვამს უფრო მთავარს. ჩვენ დავიწყეთ ნაკლებმთავრით, რომელიც უფრო მნიშვნელოვანით უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ დაკარგა სიმძაფრე და ადგილზევე მოვილაპარაკეთ, რომ აღარ ღირდა გაგრძელება. ამიტომაც იქნება ახლა ეს მოსმენა.

**— გჯერათ, რომ თუნდაც ყველანაირ საკითხზე დაგეთანხმოთ თარგამაძე, ის მართლაც გაატარებს რეფორმებს თავის უწყებაში?**

— თარგამაძე არასდროს არანაირ რეფორმებს არ გაატარებს. იმასაც გეტყვით — როდესაც ის მობრძანდა პარლამენტში დამტკიცების დროს თავისი კონცეფციით, სააკაშვილს კიდეც ვუთხარი — მას სჭირდებოდა ეს სცენარი, რომ დაგვემტკიცებინა მინისტრად. მე ხმა არ მიმიცია მისთვის. მაშინაც ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს სპექტაკლი თვალში ნაცრის შესაყრელად სჭირდებოდა.

**— რა პრობლემაა, ასეთსავე „სცენარს“ ახლაც წარმოგიდგენთ და ამით დამთავრდება ყველაფერი...**

— არა. არ არის ამჯერად ასე საქმე. მან უკვე კანონპროექტი უნდა მოიტანოს. გეტყვით ერთ მნიშვნელოვან დეტალსაც. ამ მოსმენისთვის, თუ ამ გუნდის წინააღმდეგ არც თარგამაძე ზის გულხელდაკრეფილი და რა მასალებს, რა ხერხით აგროვებს, ამას ძალიან მალე გაიგებთ.



**— ხომ არ ფიქრობთ, რომ თუკი ის იგრძნობს მის წინააღმდეგ სერიოზულ ძალას, კომპრომატებს დადებს და ამ კომპრომატებით დაგიპირისპირდებათ?**

— ყველაფერია მოსალოდნელი. ჩემზეც რომ აგროვებენ ამ კომპრომატებს, ეჭვი არ მეპარება. არ მეშინია!

**— საერთოდ, პრეზიდენტს პიროვნებების ჩანაცვლება და ძალთა დაბალანსება კარგად ეხერხება. ამგვარ პოლიტიკაში ძლევამოსილი თარგამაძის ფიგურას, ასე ვთქვათ, დისონანსი ხომ არ შეაქვს?**

— მოდით, ჩემს აზრს გეტყვით. რატომღაც, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრეზიდენტი ძალიან უწყობს ხელს რაღაც მონსტრის შექმნას. მერე იწყებს მასთან ბრძოლას. თავის დროზე ეს მონსტრი იყო „მხედრიონი“, რომელიც მისი ხელშეწყობით შეიქმნა. ახლა ჩვენ ვხედავთ პოლიციას, როგორც მონსტრს ქვეყანაში...

**— რაში სჭირდება?**

— ... ვერ გეტყვით... შეიძლება ქულების ჩასაწერად...

***მარინა მამისაშვილი***
***ქეთი ბერეკაშვილი***

# ლევან პირველს აღარ დააპატიმრებენ?!



გასულ კვირას ახალ ფაზაში შევიდა რესტორან „თამარიონში“ მომხდარი მკვლელობის სასამართლო გამოძიება. მოწმის სახით დაკითხულმა „ანგლო-ოილის“ პრეზიდენტმა, დღეს უკვე დეპუტატმა ლევან პირველმა, უჩანეიშვილის მკვლელობაში თავისი დაცვის უფროსი, ბოროტი ხულიგნობისა და ელისაშვილის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული, განსასჯელის სკამზე მჯდომი გიორგი რჩეულიშვილი დაადანაშაულა. თავის მხრივ, უჩანეიშვილის ქვრივმა, ვიკა უჩანეიშვილმა სასამართლო პროცესზე როგორც მკვლელს, ლევან პირველს დაადო ხელი.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა აზრით, გასულმა კვირამ საბოლოოდ გამოკვეთა, რომ „თამარიონში“ მომხდარი მკვლელობა ჩაფარცხულია და ლევან პირველის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟიც მხოლოდ აჟიოტაჟად დარჩება. ძნელი სათქმელია, არის თუ არა მართლაც ლევან პირველი მკვლელი, მაგრამ დაზარალებულის მხარეს ლევან პირველისთვის, როგორც მკვლელისთვის, ბრალდების დამტკიცება იურიდიულად ამ ეტაპზე არ ძალუძს.

აქამდე ყბადაღებული კითხვა, ვის ეჭირა „ზიგზაუერის“ ტიპის იარაღი ინციდენტის დროს, რომლის მეშვეობით 21 წლის ბიჭი ფეხმძიმე მეუღლის თვალწინ გარდაიცვალა, ლევან პირველმა მარტივად გადაჭრა — მან თავის მცველს, რჩეულიშვილს დაადო ხელი. „კვირის პალიტრამ“ რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

**— ბატონო ლევან, ინციდენტის დროს ვის ეჭირა ხელში „ზიგზაუერი“?**

— რჩეულიშვილს. მეტი იარაღი არ ყოფილა. იყო მხოლოდ „ზიგზაუერი“.

**— მაშინ რატომ დაფიქსირდა გამოძიების მასალებში, რომ იმ მომენტში თქვენს დაცვას „ზიგზაუერი“ კი არა, „მაკაროვი“ ჰქონდა?**

— სად არის „მაკაროვი“, ვის ეჭირა ხელში? პროკურატურას, რაც უნდოდა, იმას წერდა. ასე იმიტომ თქვეს, რომ „ზიგზაუერი“ ჩემთვის შემოეტენათ. მე იარაღი არ მქონია. მცველი იმიტომ მყავს, რომ თუ მოცემულ მომენტში იარაღი და დაცვა გახდება საჭირო, ეს იყოს ოფიციალურად და კანონიერად.

**— რჩეულიშვილი თქვენი დაცვის უფროსი იყო. ასეთ დროს გარკვეული მეგობრული ურთიერთობა ყალიბდება ხოლმე. მაშინ თუ ეს ასეა, რატომ გიქმნით თქვენი მცველი პრობლემებს და რატომ არ ამბობს სიმართლეს?**

— როგორ არ ამბობს, ამბობს. დუმილის უფლება მისი ტაქტიკა იყო. მასზე, საკნიდან დაწყებული, ისეთი ზეწოლა იყო, რომ ვფიქრობ, ეს იყო ერთადერთი სწორი ტაქტიკა მისი მხრიდან.

**— რა ზეწოლა იყო?**

— ძირითადად აიძულებდნენ, ეთქვა, რომ უჩანეიშვილი მე მოვკალი.

**— ანუ გინდათ თქვათ, რომ პროკურატურის ინტერესი იყო?**

— პროკურატურა ასრულებდა ვიღაცის დაკვეთას.

**— ვისას, კონკრეტულად?**

— ეს მათ ხელმძღვანელობას უნდა ვკითხოთ.

**— ბოლო დროს თქვენ წინააღმდეგ ამოტივტივდა იმავე თქვენი ადვოკატის, ელგუჯა კერატიშვილის წერილი, სადაც ის მკვლელობაში გადანაშაულებთ. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ეს კიდევ ერთი გადასარევი პროვოკაციაა.

**— შეხვდით მას?**

— არა. არასდროს არც შევხვდები და არც ვესაუბრები.

**— იურიდიულად ის ისევ თქვენი ადვოკატია...**

— თუ მივალ სასამართლო პროცესზე, იქ განვაცხადებ, რომ იგი არ არის ჩემი ადვოკატი.

**— კერატიშვილი აცხადებს, რომ მას ეს წერილი არ დაუწერია...**

— ეს წერილი დაწერილი იყო სწორედ კერატიშვილის მიერ.

**— დარწმუნებული ხართ?**

— დიახ. ზუსტად იგივე ეგზემპლარი პირადად ჩვენთან აქვს მოტანილი და თუ პროკურატურაში გაგზავნილზე მხოლოდ ხელმოწერაა, მე მაქვს მისი ხელით დაწერილი მთელი ფურცელი.

**— რატომ გააკეთა ეს კერატიშვილმა?**

— ვიღაცების დაკვეთით.

**— მაშინ რატომღა შეცვალა პოზიცია?**

— იმიტომ, რომ მან, ვინც კერატიშვილს ეს დაუკვეთა, სასურველი რეზონანსი ვერ მიიღო. ყველა მიხვდა, რომ ეს იყო პროვოკაცია.

**— ვინ იქნება თქვენი ადვოკატი?**

— დაიწყოს პროცესი. მე მზად ვარ. ვფიქრობ, რომ თვითონვე ვიყო ჩემი თავის ადვოკატი. შეიძლება ეს უფლება გამოვიყენო.

**— კერატიშვილი თქვენი სურვილით აიყვანეთ?**

— არა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მაინც არ გეტყვით, ვინ მირჩია. პრინციპში, მე ის ერთი დღით მჭირდებოდა, რათა თავდებში გავსულიყავი და ავიყვანე ერთი დღით, რა.

*საით მივყავართ კვალს, ძნელი სათქმელია, მაგრამ თვალნათელია, საით აქვს ლევან პირველს გეზი აღებული. არ არის გამორიცხული, მოვლენებიც სწორედ ასე განვითარდეს — რჩეულიშვილს დაუმტკიცდეს მკვლელობა, რომ გასროლა აუცილებელი მოგერიების დროს მოუხდა და თავისთავად, აქედან გამომდინარე, ლევან პირველის სასამართლო პროცესიც აღარ შედგება. ამ ვერსიას არც დაზარალებულის ადვოკატი გულიკო გაბაიძე გამორიცხავს, თუმცა დარწმუნებულია, რომ მას ლევან პირველი ვერ აჯობებს:*

*„მათი მიზანია, რომ როგორმე რჩეულიშვილის ქმედება დაკვალიფიცირდეს აუცილებელი მოგერიების უფლების გადამეტებით. თქვენც ნახეთ — გამოვიდნენ დაცვის თანამშრომლები, რომლებმაც კატეგორიულად აღნიშნეს, რომ რჩეულიშვილი თითქოს მოქმედებდა თავის საწესდებო ნორმებში. თან ამტკიცებენ, — ძალადობის წყალობით, როდესაც თურმე მას იარაღის წართმევას უპირებდნენ, ცერა თითი შესიებია...*

*რაც შეეხება შემთხვევითი გასროლის დაშვებას, შემთხვევითი გასროლა რომ ყოფილიყო ჰაერში მიმართული, „თამარიონში“ მაღალი ხეები არ არის, რომლის მსხვილ ტოტსაც შეიძლებოდა ტყვია აესხლიტა... სახეზე მხოლოდ ერთი სურათია: ლომიძე და უჩანეიშვილი თავს აღწევენ მოძალადეებს, მირბიან დახრილები და ზემოდან ქვემოთ დამიზნებით აქვს ტყვია ნასროლი“.*

***მარინა მამისაშვილი***

# დროა, სირაქლემამ თავი ამოყოს...

2001 წლის აპრილში ევროსაბჭოს მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის მიცემული ვადა იწურება — „უკანონოდ გადასახლებული“ თურქი მესხების ჩამოსახლება უნდა დაიწყოს.

რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ ამ პირობას ხელი მოაწერა და დღევანდელი გადასახედიდან ისე გამოჩნდა, თითქოს ყველას მიავიწყდა, რომ 2001 წელიც დადგებოდა და როყიოდ წამოსროლილი პირობის შესრულების ვადაც ამოიწურებოდა — თითქოს ყველას „მიგვრჩა“ ეს საკითხი. თითო-ოროლა მეცნიერისა და პარლამენტარის დროგამოშვებითმა პუბლიკაციამ თუ გამოსვლამ კი ვერ მიიქცია სათანადო ყურადღება და ახლა „კვერცხმომდგარი ქათმის კაკანით“ ცდილობს ჩვენი ხელისუფლება, — არც მწვადი დაწვას და არც შამფური.

ბოლო დღეებში სულ უფრო ხშირად გაისმის მმართველი ელიტის წარმომადგენელთა ვითომდა სასხვათაშორისოდ ნათქვამი: „რა ვქნათ, გაგვრიცხავენ ევროსაბჭოდან და გაგვრიცხონ, ამხელა უცხო მასის ჩამოსახლება საქართველოს არ შეუძლია“. ამის შემდეგ, ალბათ, შესაბამის რეაქციას ელიან პრესისგან თუ ოპოზიციისაგან: „არიქა, ოღონდ ევროსაბჭომ თავისი მოწყალე კალთის ქვეშ დაგვტოვოს და, თურქები კი არა, თურმე ნიგერიაში ზანგები არ ეტევიან და ერთი-ორი მილიონი ისინიც მოვიწვიოთ საქართველოში, თუ არ დაეტევა, ჩვენ წავალთ და მათ დავუთმობთ ადგილს“.



МЕЖДУНАРОДНОЕ ОБЩЕСТВО МЕСХЕТИНСКИХ ТУРОК

INTERNATIONAL SOCIETY OF MESKHETIAN TURKS

РЕЗОЛЮЦИЯ

2 (12) съезда Международного общества месхетинских турок "Ватан"

г.Москва

ЗАЯВЛЕНИЕ

ამ ფონზე ერთობ საინტერესოდ ვითარდება გურამ შარაძესა და მის სეხნია მამულიას შორის მიმდინარე პაექრობა და ურთიერთბრალდებები. დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ სწორედ „გურამისტთა“ და „გურამისტთა“ დაკა-დაკაზე საზოგადოების რეაქციას აკვირდება საკანონმდებლო ხელისუფლება და მათი გადაწყვეტილებაც მნიშვნელოვანწილად ამაზე იქნება დამოკიდებული.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საზოგადოებრივი აზრი დეპორტირებულთა ჩამოსახლების წინააღმდეგაა მიმართული და, აქედან გამომდინარე, მასმედია გურამ შარაძეს უფრო სწყალობს. ამიტომ გადავწყვიტეთ, გურამ მამულიას გავსაუბრებოდით, რომელსაც ვთხოვეთ, — კონკრეტულ კითხვებზე კონკრეტული და პირდაპირი პასუხი გაეცა:

*— ბატონო გურამ, რატომ გსურთ ამ ხალხის საქართველოში ჩამოსახლება?*

— ეს არ არის პირადად ჩემი სურვილი. ეს არის პარლამენტის მიერ იმ დოკუმენტის რატიფიცირებით გამოხატული ნება, სადაც იმ პირობებს შორის, რომლებიც უნდა შესრულებულიყო ევროსაბჭოს მოთხოვნით, იქ საქართველოს გაერთიანების სანაცვლოდ, ესეც იყო. მე რეპატრიაციის სამსახურს ვხელმძღვანელობ და უბრალოდ ვასრულებ მოვალეობას — პრეზიდენტისა და პარლამენტის დავალებას.

*— კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ მხოლოდ ახლა დაინტერესდით ამ პრობლემით და მხოლოდ ევროსაბჭოდან ჩვენი გარიცხვის საშიშროების გამო გსურთ მათი ჩამოსახლება. თუმცა, თავად მახსოვს, 80-იანი წლების ბოლოს თქვენი ძალისხმევა ამ მხრივ.*

— ჩემთვის ეს პრობლემა 1961 წლიდან არსებობს, როდესაც გავეცანი მათ ისტორიას და ყოფას, დავრწმუნდი, რომ ესენი არიან ტომით ქართველები, თუმცა მუსულმანური სარწმუნოებისა. და არა მარტო მე — 1979 წელს მოწინავე ქართველი ადამიანების დიდმა ნაწილმა ხელი მოაწერა მიმართვას მაშინდელი პარტიის ცეკასადმი, რითაც ამ ხალხის რეპატრიაციას ითხოვდნენ. მათ შორის დიდ ქართველ მეცნიერებთან — აკაკი შანიძესთან, სერგო ჯიქიასთან და გიორგი ჩიტაიასთან ერთად იყვნენ დისიდენტები — ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ვიქტორ რცხილაძეც, რომლებმაც თავიანთ „საქართველოს მოამბეშიც“ გამოაქვეყნეს ეს მიმართვაც და ვრცელი წერილიც.

სწორედ შევარდნაძის მითითებით დაიწყო მაშინ მათი ჩამოსახლების პროცესი.

არსებობს იმავე — 1979 წლის ცნობილი საბუთი, „მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის დოკუმენტი №18“, რომელშიც 1.100 ოჯახის თავი, 7.500 კაცის სახელით მიმართავს გაეროს, რომ ისინი სისხლით და შეგნებით არიან ქართველები და სურთ საქართველოში დაბრუნება.

*— 7.500 კაცი ახსენეთ, დღეს რამდენი თვლის თავს ქართველად და საერთოდ, რა რაოდენობას შეადგენს ე.წ. „თურქი მესხების“ დიასპორა?*

— სისულელეა და გაბერილია ის ციფრები, რომელსაც ასახელებენ: ხუთასი-ექვსასი ათასი, ზოგჯერ მილიონამდეც ადიან. რეალურად არის 250-270 ათასი კაცი, რომელთაგან 90%-ზე მეტი წარმოშობით ქართველია. სწორედ ეს ინფორმაცია აქვს ევროსაბჭოსაც.

*— ნუთუ 10%-ზე ნაკლებია ის ხალხი, ვინც თავს თურქად მიიჩნევს? ჩვენ ხელთ გვაქვს სამი დოკუმენტი: ორი მათგანი — რეზოლუცია და მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას, მიღებულია „თურქი მესხების საერთაშორისო საზოგადოება „ვათანის“ ყრილობაზე მოსკოვში 1997 წელს („ვათან“ — თურქულად „სამშობლო“), მესამე კი არის „ახალციხელი თურქების საერთაშორისო ფედერაციის“ მიმართვა თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის პრეზიდენტებისადმი, თურქეთის ეროვნული კრებისადმი, გაეროსა და ევროსაბჭოსადმი. ისინი თავს თურქებს უწოდებენ და „ახალციხის საფაშოს“ — თურქეთის ნაწილს.*

— ეს ისტორიული ბედუკუღმართობის ბრალია. როდესაც რუსეთმა ახალციხე გამოგლიჯა თურქებს, იქ ოსმალეთიდან ჩამოსახლდა 35.000 სომეხი, რომლებმაც თურქულიც კარგად იცოდნენ და ამიტომ მათსა და იქაურებს შორის, თურქული დარჩა საურთიერთობო ენად. რაც შეეხება სარწმუნოებას — იმის მაგივრად, რომ რუსებს მათ გაქრისტიანებაზე ეზრუნათ, 300 მოლა ჩამოიყვანეს თურქეთიდან და მედრესეები გახსნეს, რომ უფრო „გაეთათრებინათ“ და შემდეგ თურქეთში გაესახლებინათ.

*— ცოტა არ იყოს, პარადოქსული ჩანს მართლმადიდებლური იმპერიის ასეთი საქციელი, მაგრამ ისევ XX საუკუნის 40-იან წლებს დავუბრუნდეთ — როგორც ვიცი, ამ ხალხის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგი ლატიფშა ბარათაშვილი იყო. იგი სოფელ უდეს ქართულ სკოლაში მასწავლებლობდა და თანაც თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის „ორმაგ აგენტობას“ ეწეოდა.*

— არავითარი „ორმაგი აგენტი“ არ იყო. მას დამთავრებული ჰქონდა ე.წ. „კომუნისტური უნივერსიტეტი“, როგორც ბევრი სხვა, იყო მგზნებარე სტალინელი, რომელმაც გადასახლებაშიც კი, სტალინის წიგნები წაიღო თან, როგორც ძვირფასი ნივთი. „დათბობის“ შემდეგ მუშაობდა როგორც მეცნიერ-ისტორიკოსი. იყო ერთი ჩვეულებრივი კარგი ქართველი. მისი შვილი დღესაც საქართველოში ცხოვრობს.

*— ისევ ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებს დავუბრუნდეთ...ისინი ფაქტობრივად მთელ მსოფლიოს მიმართავენ, გვიშველეთ, ქართველებმა და რუსებმა ახალციხის საფაშო გაგვიუქმეს, სადაც ჩვენ — თურქები, ოდითგანვე ვცხოვრობდითო.*

— მათ სერიოზულად არავინ უყურებს.

*ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ბატონ გურამს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ოპონენტობას ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი გაუწევს, რომელიც მესხეთში — სოფელ უდეში ცხოვრობდა და მასწავლებლობდა, სწორედ იმ სკოლაში, სადაც ლატიფშა ბარათაშვილიც მუშაობდა.*

*ქალბატონი ელეონორა ქობულია 80 წელსაა გადაშორებული. როგორც ჩვენში იტყვიან, „ტყუილიც კი დაეჯერება“:*

— უნივერსიტეტი დავამთავრე და სოფელ უდეში მოვხვდი ქართულის მასწავლებლად. სოფელი ორად იყო გაყოფილი — ქართველ კათოლიკეებად და თურქებად. ხაზს ვუსვამ — თურქებად და არა მესხებად და მით უმეტეს, „თურქ მესხებად“. საერთოდ, ადიგენის რაიონში მხოლოდ უდესა და არალში ცხოვრობდნენ ქართველები, დანარჩენი სოფლები პირწმინდად თურქული იყო. თურქი ბავშვები სკოლაში არ დადიოდნენ, სანამ სოფელ ბენარაში არ გაიხსნა აზერბაიჯანული სკოლა-ინტერნატი.

იქვე გავთხოვდი. ჩემი ქმარი პარტიული მუშაკი იყო — კომუნისტური უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. იმ სასწავლებელშივე გაუცნია ლატიფშა ბარათაშვილი, რომელიც იქ თავს „ლადოს“ უწოდებდა და ბარათაშვილიც მაშინ აიღო გვარად, ასე სჭირდებოდა. უდეში დაბრუნების შემდეგ „ბარათაშვილობა“ დაიტოვა, თუმცა „ლადოდან“ ისევ „ლატიფშად“ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან, ქართულ სკოლაში ასწავლიდა გეოგრაფიასა და ისტორიას, არაფერი ქართული არ იყო მასში. თუმცა ცოლი ქართველი ჰყავდა — ზინა გიგინეიშვილი აბაშიდან. ცხონებულმა შემდეგ მითხრა, როცა თბილისში გავიცანი — ლადო ბარათაშვილი მეგონაო. როდესაც ლატიფშა გადაასახლეს, ცოლი აქ დატოვა და იქ ხეტიალისას მასავით გადასახლებული ყირიმელი თათარი მოიყვანა ცოლად. ადიგენისა და აჭარის საზღვართან არის სოფელი მოხე და მის იქით დიდი ტყე. სწორედ იქ, მოხის ტყეში ტარდებოდა საიდუმლო თურქული ორგანიზაციის კრებები, რომელსაც ლატიფშა ხელმძღვანელობდა. თურქების — გერმანელთა მოკავშირეების შემოსვლას ელოდნენ და ემზადებოდნენ. ჯერ კიდევ გათხოვებამდე იქაურებმა შემიდგინეს ქართულ-თურქული „ლექსიკონი“ — როდესაც თურქები შემოგვესევიან, რომ აუხსნა — აქაური ქართველი არა ხარ და არაფერ შუაში ხარო.

ლატიფშა, ცხადია, კოლეგებთან არ „იხსნებოდა“, მაგრამ თვითონ განსაჯეთ — უფროსკლასელები რომ თავის ისტორიის მასწავლებელს ტუალეტში ჩაკეტავენ, რა ექნებოდა მათთვის გაკვეთილზე ნათქვამი. ჩემი იქ ყოფნისას სამჯერ შევესწარი ასეთ ამბავს.

1943 წლის სექტემბერში ჯარის ნაწილი ჩამოვიდა და სკოლაში დაბინავდა. სწავლის დაწყება გადაიდო. რაიკომში პარტაქტივისტები (ჩემი მეუღლეც) გაიწვიეს. მე დედაჩემთან და ჩვილ ბავშვთან ერთად ვიყავი შინ, როდესაც იმ ნაწილიდან ორი სერჟანტი გოგონა მოვიდა და ეროვნება გვკითხეს — თურქები ხომ არა ხართო. საბუთიც მოგვთხოვეს. 14-დან 15 ნოემბრის დილას, ოთხ საათზე თურქები მოულოდნელად გამოყარეს სახლებიდან და გამზადებულ „სტუდებეკერებში“ შეყარეს. 5 ტონა ბარგის წაღების უფლება მისცეს ყოველ ოჯახს. ადამიანურად მართლა შეგეცოდებოდათ, მაგრამ როდესაც მათ საქციელს და იქაურ ქართველთა მონათხრობს ვიხსენებდი, ეს გრძნობა მინელდებოდა.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არ ვიცი და არც მაინტერესებს, ვინ იყვნენ მათი წინაპრები, მაგრამ გადასახლებისას ისინი იყვნენ თურქები — გვარით, ენით, თვითშეგნებით, ყოფის წესით, აბსოლუტურად ყველა.

სულ 72 სოფელი აყარეს და, ცხადია, ზოგიერთი არათურქი — კერძოდ აზერბაიჯანელიც „გადააყოლეს“, მაგრამ ისინი მალევე დააბრუნეს. მე თვითონ ვიცნობდი ერთ აზერბაიჯანელ პედაგოგს — ბაშირ ბაშიროვს, უკან დაბრუნდა და აზერბაიჯანული სკოლის დირექტორადაც დანიშნეს.



ელეონორა ქობულია

ახლა იმ ასაკში ვარ, რომ ალბათ დამიჯერებთ — რასაც ვლაპარაკობ, მხოლოდ საქართველოსა და თქვენი — მისი მომავლის კეთილდღეობა მალაპარაკებს — ძალიან გთხოვთ, პრესასაც, მთავრობასაც, ახალგაზრდებსაც. ნუ დაუშვებთ „თურქობას“. მე მათ შორის ვცხოვრობდი, ვიცნობ მათ — ესენი არიან უცხო ტომის, ცბიერი ხალხი, რომლებიც თუ დასჭირდათ, თუ ეს მიზნის მიღწევაში დაეხმარებათ — ქრისტიანობასაც მიიღებენ „ყასიდად“ და „იქართველებენ“ კიდეც. ღმერთმა დაგიფაროთ, შვილებო, მათი შემოსევისაგან.

*ამ ინტერვიუების კომენტარებისაგან თავს შევიკავებთ, მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს გაგაცნობთ ზემოთ აღნიშნული „არარსებული“ ორგანიზაციის (როგორც მას ბ-ნი მამულია უწოდებს) მიმართვიდან, რომელიც, სხვათა შორის, ძალიანაც „არსებული“ ყოფილა — ჩვენ დავრეკეთ ბიშკეკში, მათ ბლანკზე მითითებულ ტელეფონის ნომერზე და იქ დაგვიდასტურეს, რომ დღესაც არსებობენ და ფუნქციონირებენ.*

*მაშ ასე, ნერვები მოთოკეთ და ისე წაიკითხეთ ამ „შედევრის“ ფრაგმენტები:*

*„ჩვენი წინაპრების მიწების პრივატიზებას ახდენენ უცხო, ჩამოსული ერები — ქართველები და სომხები...“*

*„თურქი-მესხების“ ეთნოციდი დაიწყო ქართველი მწერლის — ილია ჭავჭავაძის ახირების (**ПО ПРИХОТИ**) გამო... რაც არ გვაძლევს ჩვენს მიწაზე დაბრუნებისა და შვილების მშობლიურ ენაზე განათლების საშუალებას...“*

*„ჩვენი წინაპრები აქ ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ჩვ.წ.აღ-მდე, რასაც ბევრი რომაელი ისტორიკოსი ადასტურებს...“*

*„თურქ-მესხებს თავის ისტორიულ სამშობლოში საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ ეროვნული სახელმწიფოებრიობა — ახალციხის საფაშო, სანამ არ მოხდა მისი ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ, ქართველი ნაციონალისტების დახმარებით 1828-29 წლებში...“ და მთავარი: „ჩვენ ვითხოვთ უფლებას თვითონ ავირჩიოთ ჩვენი პოლიტიკური სტატუსი და თავისუფლად განვსაზღვროთ ჩვენი ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურული განვითარება თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით... 1828 წლის სტატუს კვო-ანტეს — ახალციხის საფაშოს აღდგენით თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში...“*

*ბოლოს კი, მუქარა: „უნდა შეგახსენოთ, რომ კავკასიელები არასოდეს უარყოფენ თავიანთ წინაპრებს, თავიანთ სამშობლოს. ასეთმა მიდგომამ ძირძველი ხალხის — თურქი მესხების მიმართ სადამდე შეიძლება მიგიყვანოთ და რას შეიძლება შეეჯახოთ, იფიქრეთ ამაზე ბატონებო! (რუსულ ტექსტში წერია: **Господа „хорошие“**).*

*აპრილამდე ცოტა დრო დარჩა, სირაქლემამ თავი ქვიშიდან უნდა ამოყოს.*

**ზვიად გურული**

# „მოლა ნასრედინი“ გვიწამლავს ხალხს და ქვეყანას...

რედაქციაში გვეწვია უკიდურესად აღშფოთებული მამაკაცი — პოლიციის პოლკოვნიკი თადარიგის ამირან ხურცია, რომელიც ამჟამად საქართველოში აზერბაიჯანელთა კავშირის განყოფილების გამგედ მუშაობს. სტუმარმა წარმოგვიდგინა თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე გამომავალი გაზეთი „მოლა ნასრედინი“:

— საქართველოში უპრეცედენტო ამბავი ხდება. შუაგულ თბილისში, დღისით-მზისით, იბეჭდება ანტიქართული ლოზუნგებით გაძეძგილი გაზეთი, რომლის გამოც ძალიან მალე, შესაძლოა, ახალი „ცხელი“ წერტილი გაჩნდეს!

საქმის ვითარება ასეთია: თბილისში ცხოვრობს ვინმე აზიმ ისმაილბეილი, შუახნის აზერბაიჯანელი მამაკაცი, უწინ ნასამართლევი. 1996 წლიდან ეს ადამიანი გაზეთ „მოლა ნასრედინის“ რედაქტორია. გაზეთში სისტემატურად იბეჭდება ანტისახელმწიფოებრივი, სეპარატისტული პუბლიკაციები. სამწუხაროდ, გაზეთითა და მისი რედაქტორით დღემდე არავინ დაინტერესებულა.



**„მოლა ნასრედინის“ მთავარი რედაქტორი აზიმ ისმაილბეილი**

გაგაცნობთ ისმაილბეილის მიერ შეთითხნილი წერილების თარგმანს: „ბორჩალო (მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი) საქართველოს მიწა-წყალი არ გეგონოთ. ეს ტერიტორია უწინ განჯის სახანოს ეკუთვნოდა, მაგრამ ქართველებმა ისე შეავიწროეს ემიგრაციაში აღმოჩენილი აზერბაიჯანელები, რომ მშობლიური ენაც კი დაავიწყეს“. ამ თეორიას ავტორი ხშირად უბრუნდება და „სამართლიანობის აღდგენაზე“ მსჯელობს...

მეორე მაგალითი: „1736 წელს მუღანში განჯის ბეგლარბეგი ზიადოღლი ირანის ტახტზე ნადირის აღზევების წინააღმდეგ გამოვიდა, რისთვისაც ამ უკანასკნელმა ბეგლარბეგს ბორჩალო წაართვა და ქართლ-კახეთის სამეფოს აჩუქა“. როდის იყო, მართლაც ნადირი ნადირ-შაჰი ქართლ-კახეთის სამეფოს გავრცობაზე ზრუნავდა? დაიჯერებს ამას უბირი მკითხველი. უმტკიცე ამის მერე, ერეკლე და ნადირ-შაჰი ძმები არ ყოფილანო.

**— ბატონო ამირან, თუ გაქვთ ინფორმაცია, სად ვრცელდება ეს გაზეთი?**

— საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. ეს არის გარდაბნის რაიონის სოფლები: მუღანლო, ნაზარლო, ქესალო, აღთალო, კარათლო, ჯანდარა. მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონები, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო, თელავის რაიონში მდებარე ყარაჯალარი, ლაგოდეხის რაიონის სოფელი კაბალი და სხვა... „მოლას“ ათობით ათასი აზერბაიჯანელი ეცნობა!

**— თუ გიცნობებიათ ამის თაობაზე შესაბამისი უწყებებისთვის?**

— მთავრობაშიც და პარლამენტშიც უამრავ ადამიანს ვაცნობე, მაგრამ ყურიც არავის შეუბერტყავს. მეტსაც გეტყვით: „მოლას“ რედკოლეგიის წევრად მოხსენიებულია ჩვენი ცნობილი პოეტი და პარლამენტის წევრი ჯანსუღ ჩარკვიანი!

(ბატონი ჯანსუღის გვარ-სახელი თავადაც ვიხილეთ გაზეთის რედკოლეგიის სიაში. ბუნებრივია, დავუკავშირდით პოეტს და არც გაგვკვირვებია, როცა მისგან მოვისმინეთ: ამ გაზეთის რედკოლეგიაში ჩემი ყოფნა მხოლოდ მაშინ შევიტყვე, რაც გაზეთის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა თავად აზერბაიჯანულმა ინტელიგენციამ... რედკოლეგიის წევრებად, თქვენ წარმოიდგინეთ, ბალტიისპირელები და პოლონელებიც კი შეუყვანიათ და ჩემი გვარიც რომ მიეწერათ, ვითომ რა გასაკვირიაო.

ჩვენი მხრივ დავსძენთ, ალბათ, ახლა მაინც დროა, ამოაშლევინოს თავისი გვარი, ასე ჰაიჰარად შედგენილი რედკოლეგიიდან).

**— ისმაილბეილი ამჟამადაც უშვებს და ავრცელებს „მოლა ნასრედინს“?**

— რა თქმა უნდა! აბა, ვინ შეუშლიდა ხელს? ჩვენი სამართალდამცავები და პოლიტიკოსები მხოლოდ ლაყბობით არიან დაკავებული — ამის დროა, როცა თავზე გვენგრევა ქვეყანა? მახსოვს, 70-იან წლებში, სასიქადულო მამულიშვილთან, რუბენ სიჭინავასთან ერთად, სოხუმში გახლდით და ერთმა ადგილობრივმა აფხაზმა გვითხრა, მალე საქართველოდან პატივსაცემ სტუმრებს ველიო... საქართველოდანო, იმ შეჩვენებულმა! ასე იწყება სეპარატიზმი და ამგვარად ვკარგავთ ნელ-ნელა საქართველოს. დღეს ჩვენ თვალწინ მკვეთრად ანტისახელმწიფოებრივი გაზეთი იბეჭდება და ამ დროს ჟვანია, სააკაშვილი, ბარამიძე, ქუთათელაძე, ბაბილაშვილი და ადამია, ვითომც ქვეყანაში წესრიგიაო, დგანან და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გვმოძღვრავენ. იღუპება, ხალხო, საქართველო!

**— „მოლა ნასრედინის“ თაობაზე საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების აზრი თუ იცით?**

— ისმაილბეილის „მოღვაწეობის“ თაობაზე საკმაო ინფორმაციას ფლობენ: გაზეთ „გურჯისტანის“ რედაქტორი სულეიმან სულეიმანოვი, პოეტი იმირ მამედლი, პროფესორი ვალეჰ ჰაჯიევი, პარლამენტარი რამიზ ბაქიროვი, საქართველო-აზერბაიჯანის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ადილფაშა როსტომოღლი, სხვა ცნობილი პირები (მე კარგად ვიცი ოფიციალური ბაქოს პოზიციაც. აზერბაიჯანი ჩვენი კეთილი მეზობელია და მიწებს, რა თქმა უნდა, არ გვედავება, თუმცა აუცილებლად მიმაჩნია ქართველმა და აზერბაიჯანელმა ისტორიკოსებმა ამის თაობაზე რაღაც დოკუმენტი შექმნან). ისინი ხშირად ილაშქრებენ „მოლას“ წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება არას ნაღვლობს და სხვამ რა უნდა იღონოს? ამასობაში, როგორც სულ ახლახან შევიტყვე, აზიმა უკვე აზერბაიჯანულ სკოლებშიც დაძრწის და გაზეთს ბავშვებში ავრცელებს, მომხრეებიც უკვე გაიჩინა. განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ — გვიწამლავს ხალხს და ქვეყანას!

ზომები მართლაც სასწრაფოდ გახლავთ მისაღები. თუმცა, ის, რომ არც ერთმა შესაბამისმა უწყებამ ყური არ შეიბერტყა, შეიძლება არც შეესაბამებოდეს რეალობას. კომპეტენტური უწყების მაღალჩინოსნის განცხადებით, რომლის ვინაობასაც საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ, ისმაილბეილის მოღვაწეობისა და მისი ხელშემწყობებისა თუ მხარდამჭერების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობს. ამჟამად გაზეთ „მოლა ნასრედინის“ გამოცემა შეჩერებულია და არც მისი რედაქტორი გახლავთ საქართველოში. იმედს გამოვთქვამთ, რომ საქმე ამჯერად მაინც იქნება ბოლომდე მიყვანილი. ამჯერად მაინც, რადგანაც როგორც შევიტყვეთ, სეპარატიზმის გაღვივებისთვის აზიმ ისმაილბეილი ჯერ კიდევ წლების წინ გახლდათ დაკავებული. დღემდე მის საქმიანობაზე რეაგირება არავის მოუხდენია. არადა, ამ უმოქმედობით საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, მათ შორის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეტად გაოცებულები არიან. ისმაილბეილისნაირი ადამიანები არა მარტო საქართველოს, არამედ ორივე ქვეყნის სამტრო საქმით არიან დაკავებულნი.

**მიხეილ ჩერქეზია**
**მაია გაბუნია**

# გაყიდული თვითმფრინავი და დაკარგული ღირსება...



15 ნოემბერი. დილა. ქუთაისის ახლოს, კოპიტნარის აეროპორტიდან საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ორი Су-25 მოიერიშე აიჭრა ცაში და გეზი თბილისისკენ აიღო...

თუმცა თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომზე მხოლოდ ერთი დაეშვა, მეორე — ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერავინ გაიგო...

არა, ჩვენი მკითხველი ისე ნუ გაიგებს, რომ ერთი კვირის წინ საქართველომ თავის ისედაც ძალზე მწირი შეიარაღებიდან კიდევ რაღაც დაკარგა.

ეს მოხდა ზუსტად შვიდი წლის წინ. 1993 წლის 15 ნოემბერს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავმა, ეროვნებით და მოქალაქეობით რუსმა, ჟიტნიკოვმა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა საქართველოს გენერალიტეტი.

რა გაირკვა ამ განვლილი წლების განმავლობაში? ბევრი რამ, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ მოუტანია — ჟიტნიკოვი, თავის ოჯახთან ერთად, უკვალოდ გაქრა.

სამაგიეროდ, 17 ტონიანი Су-25 ხომ ბუზი არ არის, რომ ვერავის შეემჩნია და არც სტრატეგიული ბომბდამშენია, რომ ძირს დაუჯდომლად ამერიკამდე მიეღწია.

სტატიის ავტორის მიერ განვლილ პერიოდში ჩატარებულმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ Су-25K ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი, საქარხნო ნომრით №25508110605, 1993 წლის 8 მარტს გამოშვებული თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების მიერ, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოაჩინა!

თურმე, 1993 წლის 15 ნოემბრამდე მფრინავმა ჟიტნიკოვმა თბილისს გვერდი აუარა და, სავარაუდოდ, გიუმრიში დაჯდა, სადაც თვითმფრინავი სასწრაფოდ გადაღებეს. დღეს ის Су-25K სხვა ოთხ Су-25-თან ერთად სომხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შედის. იგი მსოფლიოში ერთადერთი Су-25K ტიპის მოიერიშეა, რომელზეც თანამედროვე „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის სითბური დამიზნების P-73 კლასის ორი რაკეტა არის დამაგრებული. თბილისის საავიაციო ქარხანაში ექსპერიმენტის სახით სწორედ მასზე დააყენეს თანამედროვე რაკეტები. სხვათა შორის, ამ თვითმფრინავით, მის გატაცებამდე, ჟიტნიკოვმა 6-ჯერ მოასწრო საბრძოლო გაფრენა დასავლეთ საქართველოში, ექსპრეზიდენტის მომხრეების პოზიციების დასაბომბად.

მას შემდეგ „კვირის პალიტრამ“ უშუალოდ სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში მაღალჩინოსანი ოფიციალური პირისგან არაოფიციალურად მიიღო იმის დასტური, რომ საქართველოდან გატაცებული საბრძოლო თვითმფრინავი ნამდვილად ამ ქვეყნის არმიის შეიარაღებაშია, თუმცა დაუმატა — ჩვენ რას გვერჩით, თუკი თქვენებმა მოგვყიდესო?!

ბევრი მკითხველი გვიგზავნის წერილს — რა ბედი ეწია გატაცებულ ქართულ თვითმფრინავსო.

— არაფერი, საკუთარი არმიისა და შეიარაღების გამყიდველები (ახალთახალი Су-25K არანაკლებ 5 მილიონი დოლარი ღირდა) ბრძოლისუნარიან ჯარს ვერასოდეს შექმნიან!

# რუსები «კურსკს» ბომბავენ?!

ბოლო დღეებში ნორვეგიულმა ჰიდროაკუსტიკურმა სადაზვერვო სადგურებმა დააფიქსირეს მცირე სიმძლავრის აფეთქებების სერიალი, რომელიც ჩაძირული „კურსკის“ რაიონიდან მოდიოდა.

როგორც უკვე ტრადიციად იქცა, მხოლოდ ასეთი მტკიცებების წარდგენიდან რამდენი დღის შემდეგ რუსმა ადმირალებმა აღიარეს, რომ ჩაძირული „კურსკის“ გარშემო სიღრმულ ბომბებს სწორედ ისინი აფეთქებდნენ.

რა დააშავა ისედაც დაგლეჯილ-დასახიჩრებულმა „კურსკმა“ ან მის შიგნით ჩარჩენილი მეზღვაურების ნეშტებმა ისეთი, რომ მათ სიახლოვეს ყოველ ნახევარ საათში ბომბებს ყრიან?

როგორც აღმოჩნდა, ამის მიზეზი უბრალოა, თუმცა რუსი სამხედროებისთვის ასევე ტრადიციულად მთავარი — თურმე სიღრმული აფეთქებებით ისინი უცხოელ წყალქვეშა მყვინთავებს აფრთხობენ, რომლებმაც შეიძლება მოიწადინონ „კურსკიდან“ საიდუმლო აპარატურისა და დოკუმენტების მოპარვა.

„პეტრე დიდი“ ჩაძირულ „კურსკს“ სიღრმულ ბომბებს აყრის



ამ საქციელით რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობა ძალაუნებურად აღიარებს, რომ მისმა მყვინთავებმა „კურსკიდან“ ვერ მოახერხეს მშიფრავი მანქანის, კოდებისა და სხვა საიდუმლო მასალების ამოღება.

რუსი მეზღვაურები მანამდე აპირებდნენ რეაქტიული ბომბსატყორცნი დანადგარებით РБУ-1000, РБУ-6000 (ისინი აკადემიკოს ნადირაძის საერთო ხელმძღვანელობითაა შექმნილი) სიღრმული ბომბების ჩაყრას „კურსკის“ თავზე, სანამ ამ უკანასკნელის ამოსაღები სამუშაოები არ დაიწყება (რეაქტიული ბომბსატყორცნიდან გატყორცნილი ბომბი РГБ-60, რომელიც 23კგ-მდე ტროტილს შეიცავს, ჯერ ზღვის სიღრმეში იძირება და შემდეგ ფეთქდება. თუკი მის სიახლოვეს მყვინთავები იმყოფებიან, მათ აფეთქების ტალღა ყურის აპკს უხეთქავს). ამ სამუშაოების დაწყებამდე ჯერ კიდევ 5-6 თვეა დარჩენილი, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი სიღრმული ბომბი დაეხარჯებათ რუსებს.

თუმცა, ამ დაბომბვებში არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც რუსი ადმირალების არაადამიანობაზე ლაპარაკობს — თურმე სიღრმული დაბომბვები რუსულ ატომურ სარაკეტო კრეისერ „პეტრე დიდს“ ჯერ კიდევ 17 აგვისტოს დაუწყია, ანუ მაშინ, როდესაც კრემლი ყველას აიმედებდა, „კურსკის“ მეზღვაურები ცოცხლები არიან და დღე-დღეზე გადავარჩენთო!

# F-16-მას ცაში ადგილი აღარ ჰყოფნით



გასული კვირა ბედნავსიანი გამოდგა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გამანადგურებლად ცნობილი თვითმფრინავის, ამერიკული F-16 „ფაიტინგ ფალკონისთვის“. ერთმანეთის მიყოლებით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამმა F-16-მა განიცადა კატასტროფა.

ჯერ იყო და, ტრაგედია იაპონიის თავზე დატრიალდა. აქ, ჰოკაიდოში, აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო-საჰაერო ბაზაა დისლოცირებული, სადაც სხვადასხვა საბრძოლო თვითმფრინავებთან და შვეულმფრენებთან ერთად F-16 ტიპის გამანადგურებლებიც დგას. ორი ამერიკული F-16 სასწავლო-საბრძოლო ფრენების დროს მოულოდნელად ერთმანეთს ჰაერში შეეჯახა. ორივე გამანადგურებლის პილოტმა მოასწრო კატაპულტირება. ერთი მაშინვე აღმოაჩინეს, ხოლო მეორეს ზღვაში ათობით კატარღა ეძებდა.

იაპონიის თავზე შეჯახებიდან რამდენიმე დღეში კი ახალი კატასტროფა უკვე თავად ამერიკაში, ფლორიდის საჰაერო სივრცეში მოხდა. ქ. სარასოტას ახლოს ისევ ორი F-16 სასწავლო-საბრძოლო ფრენებს ასრულებდა, ერთ-ერთი გამანადგურებელი ჰაერში სპორტულ „სესნას“ შეეჯახა. F-16-ის პილოტმა კვლავ მოასწრო კატაპულტირება (ამ გამანადგურებლებზე „მაკდონელ-დუგლასის“ კატაპულტირებადი სავარძელია დამაგრებული, რომელიც 15კმ სიმაღლეზე 1100კმ/სთ სიჩქარით მფრენი თვითმფრინავიდან პილოტის უხიფათოდ კატაპულტირების გარანტიას იძლევა) და ცოცხალი გადარჩა, მაგრამ მარტივ „სესნას“, რა თქმა უნდა, კატაპულტირებადი სავარძლის მსგავსი არაფერი ჰქონია და მისი ორი მფრინავი, საჰაერო მანქანასთან ერთად მიწას დაენარცხა.

ყოველი ახალი ავარია და კატასტროფა ნებისმიერ საუკეთესო თვითმფრინავს სახელს უტეხს და მათი საბრძოლო მიზეზების დადგენამდე ამ ტიპის საფრენ აპარატებზე შეიძლება საერთოდ აიკრძალოს ფრენა.

ბევრმა ჩვენმა მკითხველმა შესაძლოა არც იცოდეს, რომ F-16-ებმა, კერძოდ კი, თურქული საავიაციო ფირმა TAI-ის მიერ გამოშვებულებმა, რამდენჯერმე დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე გასულ წლებში და გადაუფრინეს მის სამხრეთ რაიონებს. ამ ხუთიოდე წლის წინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავი ოფიციალური ვიზიტით ანკარაში მიფრინავდა, მას საპატიო საჰაერო ესკორტის სახით თურქული F-16-ები ამოუდგნენ გვერდით. თუმცა ჯერ შეშინებული, ხოლო შემდეგ გაკვირვებული პრეზიდენტის თანმხლები პირები (მათ შორის ჟურნალისტები) ამ გამანადგურებლებს რატომღაც სულ „ფანტომებად“ მოიხსენიებდნენ. სინამდვილეში, „ფანტომი“ F-4 გამანადგურებელ-ბომბდამშენია, ხოლო F-16-ს, როგორც ვთქვით, „ფაიტინგ ფალკონი“ ჰქვია.

არ არის გამორიცხული, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე, როდესაც გონიოს პოლიგონზე პირველად, საქართველოში NATO-ს სამხედრო-საზღვაო წვრთნები „კოოპერატივ ფართნიორი-2001“ გაიმართება, მაშინ ქართულ ცაში F-16-ები ოფიციალურად იფრენენ და იმედია, არავის შეეჯახებიან.

## არსენალი

*გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილ სამხედრო დანიშნულების დასაშლელ და ასაწყობ ხიდზე.*

*ვალერი ფხაკაძე*

# ხიდი... საქართველოს გასამრთიანებლად

მდინარეები და ხევები ოდითგანვე წარმოადგენდა ბუნებრივ დაბრკოლებებს შეტევაზე გადასული მეომრებისთვის. მას შემდეგ კი, რაც შეიარაღებაში მძიმე საბრძოლო ტექნიკა იქნა მიღებული, ხიდების ფაქტორი უპირველესი მნიშვნელობისა გახდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის (ამ ახალშექმნილ აკადემიაზე, რომელმაც მომავალში ძალზე დიდი როლი უნდა ითამაშოს ქართველი, ნამდვილად პროფესიონალი მაღალჩინოსანი ოფიცრების აღზრდაში, გაზეთის შემდგომ ნომრებში გესაუბრებით) ვიცე-პრეზიდენტის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ გურამ ბედუკაძის განცხადებით, ჩვენთან შეიქმნა დაბრკოლებათა გადალახვის მობილური სისტემა, მრავალმალიანი გასაშლელი ხიდის КМ-02Т-ის სახით, რომელიც მთელ მსოფლიოში უნიკალურია.

გასაშლელი ხიდი ბრწყინვალედ მოერგო რთულ მთაგორიან რელიეფს, მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა პირადი შემადგენლობის იოლი გადაყვანა და მძიმე ჯავშანტექნიკის (ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები) გადასვლა.

ხიდის დამპროექტებლებმა 55 სხვადასხვა ვარიანტი გასინჯეს კომპიუტერზე და საბოლოოდ ერთი მათგანი აირჩიეს. ამ ქართული ხიდის უნიკალურობა ის გახლავთ, რომ მას საფუძვლად ბიონიკა დაედო.

ხიდის მალები თევზის ქერცლის აგებულებას იმეორებს. ხიდის კონსტრუქციის ორი უმთავრესი ელემენტის — სავალი ნაწილისა და საყრდენის თვისებები ერთგვარად გაერთიანებულია. რელიეფი თავად განსაზღვრავს, ხიდის მალების რომელი მონაკვეთები გამოვიყენოთ სავალ ნაწილად და რომელი — საყრდენად. ამიტომაც წინასწარ ვერავინ იტყვის, ხიდის სიგრძე 28 მ იქნება თუ 32 მ. ამასთან, მდინარეში ჩადგმისას, საყრდენების გამორეცხვის შემთხვევაშიც ავტომატურად რეგულირდება ხიდის მალების სიმაღლე, დახრილობის კუთხე და ხიდის სავალი ნაწილი კვლავ საექსპლუატაციო მდგომარეობაში რჩება. ასეთი თვისება არც ერთ სხვა ხიდს არა აქვს.

გასაშლელი ხიდი 12 ნაწილისგან შედგება — 2 სანაპირო და 10 შუალედური მალისგან (თუმცა შუალედური მალების ჩამატება უსასრულოდაც შეიძლება). თითოეული მათგანის წონა 2,5-3,2ტ-ს შორის მერყეობს, რასაც ხიდის ოპონენტები ძალზე მძიმედ თვლიან. შეიძლება ხიდის უფრო მსუბუქი ლითონისგან დამზადებაც, მაგრამ მაშინ სწრაფ მდინარეებში ხიდი შესაძლებელია დინებამ წაიღოს. ამ ხიდს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს — მისი სიგანეა — 4,2 მ, დასავლური ხიდების სიგანე 4 მ-მდეა, ხოლო რუსულისა კი 3,2-3,8 მ-ს შორის მერყეობს. ტანკის მძღოლ-მექანიკოსისთვის ვიწრო ხიდზე გასვლა ერთგვარად საშიშია — არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ მძიმე საბრძოლო მანქანა ვერ დაუმორჩილებიათ და ხიდიდან გადავარდნილან. ქართულ ხიდს ეს არ ემუქრება, ხოლო ტვირთამწეობა — 60ტ, მას კონკურენტუნარიანს ხდის დასავლურ ბაზარზე, რადგან საზღვარგარეთული ტანკები რუსულ Т-72, Т-90-ებზე 5-10 ტონით მეტს იწონიან. არსებული ხიდების ექსპლუატაცია მხოლოდ 7 გრადუსიან დახრაზე ხდება. თუკი იზრდება დახრის კუთხე, მაშინ ტანკის ფოლადის მუხლუხოები ხიდის ლითონის სავალ ნაწილზე მოჭიდების კოეფიციენტს კარგავს და დაცურდება. ქართულ ხიდს კი უკეთესი მოჭიდებისთვის საგანგებო „ბორცვიანი“ სავალი ნაწილი აქვს. იგი საშუალებას იძლევა, ხიდის დახრის კუთხე 12-14 გრადუსამდე იყოს.



ბუნებაში უნაკლო არაფერი არსებობს და, რა თქმა უნდა, გარკვეული ზადი ქართულ ხიდსაც გააჩნია. თუ ნაპირთან სიღრმე 5-10 მ-ია, მაშინ ხიდის აგება ჭირს — სანაპირო მალის სიგრძე აღარაა საკმარისი. გარდა ამისა, ხიდში არ არის გამოყენებული ელექტრომექანიკა და ჰიდრავლიკა, რომელიც ძალზე დააჩქარებდა მონტაჟის ზოგიერთ პროცესს.

თუმცა მეორე მხრივ, ეს დადებითიც კია. ქართული ასაწყობი ხიდი დაახლოებით ათჯერ უფრო იაფია, ვიდრე ამგვარივე მიზნისთვის საჭირო სხვა ხიდები, თუნდაც იგივე რუსული МТУ-72. ეს უკანასკნელი ტანკზეა დამონტაჟებული და მთელი სისტემა 1,5 მილიონი დოლარი ღირს, უფრო გრძელი ქართული ხიდი კი 150-200 ათასი დოლარი ჯდება. ამასთან, იმდენად მარტივი გასამართია, რომ მონტაჟისთვის საჭიროა ჩვეულებრივი ამწე და საბარგო მანქანები, ხოლო მისი დამონტაჟება, რომელიც რელიეფის მიხედვით დაახლოებით 1 საათი გრძელდება, სამ დაბალკვალიფიციურ მუშას იოლად შეუძლია.

დღეს საქართველოს გააჩნია ორი ასეთი ხიდი (ერთი შედარებით მოკლე), რომელთა დასამზადებლად ქვეყნის ბიუჯეტიდან არაფერი დახარჯულა. საქმე ის გახლავთ, რომ 1996 წელს ლიხტენშტაინის ერთ-ერთმა ფირმამ გასაშლელი ხიდის ორი მოდიფიკაცია დაუკვეთა ქართულ მხარეს. ამ დაპროექტებაში აღებული სახსრებით აიგო შემდგომში ეს ქართული ხიდები, რომლებიც მისმა ავტორმა — კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის გენერალურმა კონსტრუქტორმა, გენერალ-მაიორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა უმაღლეს მთავარსარდალს აჩუქა, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საინჟინრო ძალებს გადასცა.

გასაშლელი ხიდები უკვე ორი სამხედრო წვრთნის (კრწანისი და „კახეთი-2000“) დროს გამოიყენეს, სადაც კარგად გამოჩნდა მათი უპირატესობა და ეფექტიანობა ტექნიკის სწრაფად გადასროლისას რთულ რელიეფურ რაიონში.

2000 წლის მარტში აშშ-ში, ფლორიდის შტატის ქ. ორლანდოში NATO-ს სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველოს LG-9-ის მიერ გამართულ სემინარზე წარდგენილმა ქართულმა გასაშლელმა ხიდებმა მოწონება და ცოტა გაკვირვებაც გამოიწვია — დასავლელი სამხედროები ნამდვილად არ მოელოდნენ ასეთი უნიკალური კონსტრუქციის ხიდის გამოჩენას მუდმივად ხელგაშვერილი საქართველოსგან.

თუმცა, ფლორიდა რა მოსატანია, როდესაც სტატიის ავტორი ორჯერ (შარშან ბუქარესტში და ახლახან პრაღაში) გახდა მოწმე დასავლეთის სახელმწიფოების დიდი დაინტერესებისა — ისინი ქართული იარაღისა და აღჭურვილობის ექსპოზიციებზე ქართული გასაშლელი ხიდის ექსპლუატაციის ამსახველ ვიდეოკადრებს უყურებდნენ.

ქართული გასაშლელი ხიდის შემქმნელებს დიდი ხანია ჩამოუვიდათ პოლონეთის არმიის სახმელეთო ძალების საინჟინრო დეპარტამენტის უფროსის, ბრიგადის გენერალ რიშარდ ზუჩოვსკის ოფიციალური წერილი, რომელშიც პოლონური მხარე ჩვენთან შექმნილი ხიდის შემდგომი ბედით ინტერესდება.

ამჟამად ქართველი სპეციალისტები მუშაობენ ერთმალიან ხიდზე, რომლის ნაწილები ერთმანეთზე გასრიალდება. მისთვის არავითარი პრობლემა აღარ იქნება ხეობის ან მდინარის სიღრმე. ეს ორივე ტიპის გასაშლელი ხიდი, ფაქტობრივად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (მათ შორის იქაც, რომელიც დღეს ჯერჯერობით ვერ კონტროლდება) პირადი შემადგენლობისა და მძიმე საბრძოლო ტექნიკის გადასროლის საშუალებას მისცემს ქართულ არმიას. იმ არმიას, რომელიც მიუხედავად მავანთა აქტიური წინააღმდეგობისა და აშკარა საბოტაჟისა (იგულისხმება ხელისუფლების ყველა შტო) მტრის ჯინაზე მაინც გვეყოლება!

P.S. ოპონენტები, რომლებიც, ერთი მხრივ, სწორად აღნიშნავენ — უშუალოდ წინა ხაზზე, მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ, ზემოხსენებული ხიდის აწყობა შეუძლებელიაო, — მეორე მხრივ, ცდებიან. არსებობს სამი დანიშნულების გასაშლელი ხიდები: ზურგის ხიდები, საბრძოლო ტექნიკის გადაადგილების უზრუნველყოფის გამყოლი ხიდები და მოიერიშე (მოწინააღმდეგის საცეცხლე ზემოქმედების ქვეშ გამოსაყენებელი) ხიდები (მაგ. რუსული МТУ-72). ქართული გასაშლელი ხიდი მეორე კატეგორიას — გამყოლ ხიდებს მიეკუთვნება და თავის ამოცანებს ხუთიანზე ასრულებს. სწორედ სამი ასეთი უმაღლესი შეფასება მისცა მსოფლიოში ავტორიტეტულმა ევროპის საპატენტო ოფისმა მას — გადაწყვეტილების სიახლეში, გამოგონების დონის მიხედვით და სამრეწველო გამოყენების შესაძლებლობებში.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# დამანსკი — პატარა კუნძული, საიდანაც, შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი დაწყებულიყო

***1969 წლის 16 მარტს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა სენსაციური და საგანგაშო ინფორმაცია გაავრცელა: „სსრკ — ჩინეთის საზღვარზე ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ კონფლიქტს. დაღუპულია ორივე ქვეყნის ასობით ჯარისკაცი. საბჭოთა კავშირიც და ჩინეთიც ინციდენტის ადგილისკენ დამატებით სამხედრო ძალებს გზავნიან. მსოფლიო ახალი ომის მოლოდინშია!“***

***ყოფილი საბჭოთა კავშირის მილიონობით მოქალაქეს, ალბათ, დღემდე ახსოვს ის მღელვარე დღეები, როცა ომის დაწყების საფრთხე რეალურად არსებობდა. საბედნიეროდ, კონფლიქტს მხოლოდ ლოკალური სახე ჰქონდა და ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაში აღარ გადაზრდილა. სსრკ-ში ამბობდნენ, ჩვენებმა აქამდე უცნობი იარაღი გამოიყენეს — ჩინელები ლაზერის სხივებით დაწვეს და ამით მაო ძე დუნს ომის გაგრძელების ყოველგვარი სურვილი დაუკარგესო.***

***სამი ათეული წლის მანძილზე იმ მოვლენათა შესახებ ბევრი არაფერი იყო ცნობილი. მრავალი მიზეზის გამო მხარეები დეტალებს არ ახმაურებდნენ და მხოლოდ სულ ახლახან გახდა ცნობილი 31 წლის წინანდელი ინციდენტის სრული სურათი.***

საბჭოთა კავშირის სათავეში მოსულ ლეონიდ ბრეჟნევს მემკვიდრეობად ხრუშჩოვის მიერ ჩინეთთან გაფუჭებული ურთიერთობებიც ერგო. ერთ დროს სტალინის ყურმოჭრილმა მონამ მაომ სამოციანი წლების ბოლოს, სადავო ტერიტორიების თაობაზე, საბჭოეთს თავისი პრეტენზიები წაუყენა.

რუკების მიხედვით, ამ ორ ქვეყანას შორის არსებული სახელმწიფო საზღვრის ერთი ნაწილი გადიოდა მდინარეების — ამურისა და უსურის ფარვატერებზე ანუ არა შუა მდინარეებზე, არამედ მათ ყველაზე ღრმა ადგილებზე. ფარვატერის ჩრდილოეთით მდებარე ყველა კუნძული სსრკ-ის ტერიტორიად ითვლებოდა. პეკინმა სწორედ ამ მიწებს დაადგა თვალი და იერიში მიიტანა მდინარე უსურიში არსებულ უდაბურ კუნძულ დამანსკზე, რომლის სიგრძე 1 400, ხოლო სიგანე 450 მეტრი იყო.

ასე აღწერს იმჟამინდელ მოვლენებს საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალი იური ბაბანსკი, რომელიც 1969 წელს უმცროსი სერჟანტი იყო და მესაზღვრეთა ათეულს მეთაურობდა:

„დამანსკის მახლობლად კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოვხვდი, მანამდე საზღვრის სხვა მონაკვეთზე ვმსახურობდი. მახსოვს, ვერტმფრენიდან გადმოვხტი, საგუშაგოზე გამოვცხადდი, მაგრამ იქ მხოლოდ მზარეული დამხვდა. ბიჭები სანაპიროზე ჩინელებს ეჩხუბებიანო, — მეუბნება.

მაშინვე ავტომატს დავავლე ხელი და მდინარე უსურისკენ გავწიე. ვხედავ, იქ მართლაც დაკადაკაა, სწორედ ისეთი, ბავშვობაში რომ იყო: ეზო — ეზოზე, ან ქუჩა — ქუჩაზე. ოღონდ აქ საბჭოთა კავშირი ჩინეთთან ჩხუბობდა. ჩინელ მესაზღვრეებს გაყინული მდინარე გადმოულახავთ და სსრკ-ის ტერიტორიაზე შემოჭრილან. ჰოდა, ბიჭებიც იქით გაქცეულან, დაუპატიჟებელი სტუმრები კარგად რომ მიეჟეჟათ.

ჩვენები — ძირითადად, რუსები, ყაზახები, უკრაინელები და ქართველები — უფრო მაღლები და ჯანიანები იყვნენ, მაგრამ სხარტ და მოხერხებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა მაინც გაჭირდა. მათ გალახვასა და გაძევებას თითქმის საათნახევარი დასჭირდა. იარაღი არც ერთს არ გამოგვიყენებია, მხოლოდ მუშტებით, წიხლებითა და კონდახებით ვიბრძოდით. ამის შემდეგ ჩვენი ერთი ათეული იქვე გამაგრდა, დანარჩენები კი ყაზარმაში დავბრუნდით. გავიფიქრე კიდეც, ეს რა მხიარულ საგუშაგოზე მოვხვდი-მეთქი.

კუნძული დამანსკი საგუშაგოდან ორიოდ კილომეტრში იყო. კუნძულს ვამბობ, თორემ სინამდვილეში, ქვების გროვისა და ეკლიანი ბუჩქების მეტი არაფერი იყო. გაზაფხულზე ესეც არ ჩანდა — ყოველივეს წყალი ფარავდა. მსგავსი ადგილები უსურიზე უამრავია. ჩვენი ნაპირიდან დამანსკიმდე ასე, სამასი მეტრი იქნებოდა, ჩინელებისგან — დაახლოებით ორმოცდაათი. გუშაგები იქ ყოველდღე იგზავნებოდნენ, რათა ჩინელებისთვის დაგვემტკიცებინა, რომ ეს ჩვენი მიწა იყო.

იმხანად სამხრეთელი მეზობლები სულ გადაგვერივნენ. მათზე, ალბათ, გაზაფხულის მოახლოებამ იმოქმედა. თავიანთ ნაპირთან ყოველდღე მიჰქონდათ ხმის გამაძლიერებელი აპარატურა და ჭკუას გვარიგებდნენ: „სახელოვანო მესაზღვრეებო, ბრეჟნევი და კოსიგინი გატყუებენ! დაამხეთ რეჟიმი! იკითხეთ დიდი მაოს ნაშრომები!“






ჩვენც, რა თქმა უნდა, ვპასუხობდით. მიუხედავად იმისა, რომ ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდით, კაცმა არ იცის, ესმოდათ თუ არა ჩვენი გინება — მანძილი იყო დიდი.

1-ელ მარტს, ღამით, ჩემს ათეულთან ერთად, დამანსკზე ვიმყოფებოდი. სიმშვიდე იყო. უცხო არავინ შეგვიმჩნევია. დილის 7 საათზე საგუშაგოზე დავბრუნდით, ვისაუზმეთ და დასაძინებლად დავწექით, მაგრამ 9-ზე განგაშმა გაგვაღვიძა. მორიგემ მითხრა, დამანსკიდან სროლის ხმა ისმისო. თორმეტი მეომარი სატვირთო ავტომანქანაში ჩავხტით და კუნძულს მივაშურეთ.

საუცხოო დილა იყო, მზე ანათებდა, თოვლს ბრჭყვიალი გაუდიოდა, დამანსკზე კი ჩამიჩუმიც არ ისმოდა, რადგან სანამ მივუახლოვდებოდით, სროლაც შეეწყვიტათ. ზუსტად არავინ იცის, რა მოხდა მაშინ იქ, მაგრამ კუნძულზე ფეხი რომ შევდგით, საზარელი სურათი ვიხილეთ. მთელი რაზმი — ოცდაოთხი მესაზღვრე, რომელთაც საგუშაგოს მეთაური, სტრელნიკოვი ედგა სათავეში — ვერაგულად გაენადგურებინათ. როგორც ჩანს, ჩემი ათეულის შემცვლელმა ჯგუფმა დამანსკისკენ მომავალ ჩინელებს მოჰკრა თვალი და დახმარებისთვის სტრელნიკოვს მიმართა. მეთაურიც, ბიჭებთან ერთად, კუნძულზე მივიდა, რათა კიდევ ერთხელ გაეყარა „სტუმრები“, მაგრამ თავდამსხმელებმა მათ ამჯერად ცეცხლი გაუხსნეს.

ჩვენები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ, მაგრამ ჩინელები, სულ მცირე, ათჯერ მეტი მაინც იყვნენ (ამას თოვლზე დატოვებული ნაკვალევი მოწმობდა), საბჭოთა მესაზღვრეებს ტყვიების ნიაღვარი დაატეხეს, რამდენიმე წუთში ყველა მოგვიკლეს და თავიანთ ტერიტორიაზე დაბრუნდნენ.

თავზარდაცემულსა და ცრემლმორეულ ჯარისკაცებს პოზიციების დაკავება ვუბრძანე, რადგან ჩინელები, შესაძლოა, კვლავ გამოჩენილიყვნენ. ასეც მოხდა. ის იყო ბუჩქებში ჩავსაფრდით, რომ მათი ხმაც შემოგვესმა. გაყინულ მდინარეზე მოაბიჯებდნენ. ორას კაცამდე იქნებოდა. ახლოს მოვუშვით და ცეცხლი მოულოდნელად გავუხსენით. მალე მივხვდი, რომ ასეთი სროლის შემთხვევაში ორიოდ წუთის შემდეგ ტყვია-წამლის გარეშე დავრჩებოდით და ბიჭებს დავუყვირე, ვაზნები გამოიზოგეთ-მეთქი.

ჩვენმა გამოჩენამ მოწინააღმდეგე თავიდან დააბნია, მაგრამ შემდეგ შეატყვეს, რომ ცოტანი ვიყავით და ალყის შემორტყმას შეუდგნენ. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა. თორმეტი მებრძოლიდან ხუთნიღა დავრჩით ცოცხალი... ჯერ კიდევ შეგვეძლო უკან დახევა და მაშველის მოსვლამდე საგუშაგოზე გამაგრება, მაგრამ საოცრად გაშმაგებულნი ვიყავით და იმასღა ვფიქრობდით, რაც შეიძლება მეტი ჩინელი მოგვეკლა... ჩვენი ბიჭების გამო... იმ ხრიოკი და გამოუსადეგარი, თუმცა მაინც ჩვენი მიწის გამო...

ვაზნები უკვე გვითავდებოდა და სწორედ ამ დროს ხმამაღალი დედის გინება და ჩვენებური „ვაშა!“ მოგვესმა. ჩვენს დასახმარებლად მოიჩქაროდნენ მეზობელი საგუშაგოს მებრძოლები, რომლებსაც მეთაურობდა ლეიტენანტი ვიტალი ბუბენინი (შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალი და სახელგანთქმული ანტიტერორისტული რაზმის „ალფას“ პირველი ხელმძღვანელი. — მ.ჩ.). თავიანთი დაჭრილები ჩინელებმა იქვე მიატოვეს და მოჰკურცხლეს. კიდევ დიდხანს არ მჯეროდა, რომ სიკვდილმა გვერდით ჩამიარა“.

იმავე დღეს, 2 მარტს, მდინარე უსურიზე ჩინეთის პროვოკაციულ ქმედებათა გამო, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი გამოთქვა. პარალელურად, კრემლმა გასცა ბრძანება — შორეულ აღმოსავლეთში დისლოცირებული ერთ-ერთი დივიზია დამანსკისკენ გადასროლილიყო, თუმცა მეომრებს კატეგორიულად აეკრძალათ მოსკოვის ნებართვის გარეშე კონფლიქტში ჩაბმა.

3 მარტს დამანსკის მახლობლად უამრავმა საბჭოთა მეომარმა მოიყარა თავი. იქვე განალაგეს ტექნიკაც: ტანკები, ჯავშანმანქანები და რეაქტიული სისტემა — „გრადები“. ჩინეთმა პროვოკაციები შეწყვიტა, თუმცა საბჭოთა მზვერავები ირწმუნებოდნენ, რომ მოწინააღმდეგე, რომელმაც საზღვართან 12 ათას მეომარს მოუყარა თავი, სერიოზული ნაბიჯისთვის ემზადებოდა.

14 მარტს დამანსკს თავს დაატყდა „ზვავი“ — კბილებამდე შეიარაღებული ორი ათასამდე ჩინელი ჯარისკაცი ველური ყიჟინით შეიჭრა კუნძულზე. ამ დროს იქ სულ ოცდახუთი საბჭოთა მესაზღვრე-მზვერავი იმყოფებოდა.

სანამ მოსკოვში ფიქრობდნენ, ღირდა თუ არა საარტილერიო ცეცხლის გახსნა, მზვერავთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ბრძოლაში ჩაება. ცოტა ხანში მათ 70 მესაზღვრე შეუერთდა და ერთი საათის მანძილზე ასამდე მამაცი მებრძოლი ურიცხვი მტრის გააფთრებულ შეტევას იგერიებდა. ბოლოს, როცა ტყვია-წამალი გამოელიათ, დამანსკი მიატოვეს და ნაპირზე გადმოინაცვლეს. სწორედ მაშინ ამუშავდა 36 საბჭოთა „გრადი“.

რეაქტიულმა სისტემებმა გადაბუგეს არა მხოლოდ დამანსკი, არამედ ჩინეთის ტერიტორიაც — მდინარე უსურიდან 20 კილომეტრის მანძილზე. ოპერაციაში მონაწილე სამხედროთა გადმოცემით, ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. თოვლი სისხლით მოირწყა. თერმული ჭურვები მდინარეზე გადაკრულ სქელ ყინულს ამსხვრევდა და შიშისგან შეშლილი ჩინელები ჯგუფებად ცვიოდნენ გაყინულ წყალში. როდესაც კანონადა შეწყდა და საბჭოთა მებრძოლები დამანსკზე გადავიდნენ, იქ უამრავი დაფლეთილი და დამწვარი ჩინელი იხილეს. მოგვიანებით, იაპონიის მთავრობა, თავისი დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით, იუწყებოდა, რომ 1969 წლის 15 მარტს სსრკ-ჩინეთის საზღვარზე დაახლოებით 5 ათასი ჩინელი ჯარისკაცი დაიღუპა. ამის შემდეგ ჩინელები დამანსკის სიახლოვეს კარგა ხანს აღარ გამოჩენილან.

სისხლისმღვრელი ბრძოლა დასრულდა, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა კი მთელი ორი კვირა დუმდა და ოფიციალური განცხადება მხოლოდ 1-ელ აპრილს გააკეთა: „... ვწუხვართ, რომ კონფლიქტმა ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა... ჩინეთის ხელმძღვანელთა პროვოკაციული ქმედებანი იმპერიალიზმთან ბრძოლის საერთო ფრონტს უდიდეს ზიანს აყენებს...“

ორი წლის შემდეგ ჩინელებმა სადავო ტერიტორიების თაობაზე კვლავ დაიწყეს საუბარი. მოლაპარაკება მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობდა და ერთხელაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფო საზღვარი უკვე არა ფარვატერზე, არამედ შუა მდინარეზე უნდა გაევლოთ.

ყოველი წლის 2 მარტს იმ ცნობილ საგუშაგოსთან ათობით ვეტერანი სამხედრო იკრიბება. საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან იქ ჩასული უკვე ასაკოვანი მამაკაცები დაღუპულ მეგობრებს იხსენებენ და თუ ნისლიანი ამინდი არ არის, გახედავენ კუნძულ დამანსკსაც, საიდანაც, ადვილი შესაძლებელი იყო, მესამე მსოფლიო ომი დაწყებულიყო. კუნძულს ამჟამად ჩჟენბაოდაო ჰქვია.

# ოპერაცია „მძევლები“



**ძმები ბენიამინ (მაისურში) და იონათან ნეთანიაჰუები. 1975 წელი.**

სუკის ცნობილი ქვედანაყოფის, „ალფას“ გახმაურებულ ანტიტერორისტულ ღონისძიებებს თუ არ ჩავთვლით (რომლის თაობაზეც რუბრიკა „ვერსია“ გასულ წელს მოგითხრობდათ), ისრაელის სპეცსამსახურის მიერ 24 წლის წინ განხორციელებული ოპერაცია ტერორიზმთან ბრძოლის ისტორიაში უდავოდ ყველაზე გასაოცრად და წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ.

1976 წლის 27 ივნისს საფრანგეთის ავიაკომპანიის, „ეარ ფრანსის“ თვითმფრინავი, რომელიც თელ-ავივიდან პარიზში მიფრინავდა, ხელში ჩაიგდეს არაბმა ტერორისტებმა და ლაინერი უგანდის ქალაქ ენტებეში დასვეს. ორიოდ საათის შემდეგ ისრაელის მთავრობამ ულტიმატუმი მიიღო: „ისრაელის, შვეიცარიის, კენიისა და გფრ-ის ციხეებიდან ერთი კვირის ვადაში გაათავისუფლეთ ორმოცდათორმეტი ჩვენი მომხრე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასზე მეტ მძევალს დავხვრეტთ!“ მაშინ, როცა ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე სულ სამი საათი რჩებოდა, ენტებეს აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომელმაც ისრაელის არმიის განსაკუთრებული ნაწილის ორმოცამდე მებრძოლი ჩამოიყვანა. მოიერიშეებს ხელმძღვანელობდა იონათან ნეთანიაჰუ, ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს ალალი ძმა.

ანტიტერორისტული ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილის მოგონებებიდან: „ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ის უნიკალური ოპერაცია, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი მომზადების გარეშე ჩავატარეთ. იმდენად მცირე დრო გვქონდა, რომ სულ ერთი ვარჯიშის ჩატარება მოვახერხეთ: სასწავლო თვითმფრინავიდან გადმოვხტით ასფალტზე, რომელიც სრულიადაც არ ჰგავდა ასაფრენი ზოლის ბეტონის საფარს, გავირბინეთ დაახლოებით 200 მეტრი და ჰაერში რამდენჯერმე გავისროლეთ. ეს იყო და ეს, არადა, მალე უაღრესად საშიშ, შეიარაღებულ ფანატიკოსებს უნდა შევრკინებოდით და ჩვენი თანამემამულენი გადაგვერჩინა.

ოპერაციის განსახორციელებლად გვჭირდებოდა შავი „მერსედესი“, სწორედ ისეთი, როგორიც უგანდის დიქტატორ იდი ამინს ჰყავდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ აეროპორტში მყოფ ტერორისტებს არ გაუკვირდებოდათ, თუ დაინახავდნენ ექსცენტრიკულ დიქტატორს, რომელიც იქ თვითმფრინავით ჩაბრძანდებოდა და შემდეგ ლაინერის ლუკიდან გარეთ მანქანით გამობრძანდებოდა. ძირითადი აქცენტი სწორედ ამ გარემოებაზე გავაკეთეთ. უნდა დაგვედგა სცენა, თითქოს იდი ამინი ტერორისტებთან სტუმრად მიდიოდა, მაგრამ აქ მოულოდნელ წინააღმდეგობას წავაწყდით — მსგავსი „მერსედესი“ თელ-ავივში ვერ ვიპოვეთ... ბოლოს, ასეთი მანქანა სხვა ქალაქიდან ჩამოგვიყვანეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის რუხი ფერის იყო და თან ძრავი და კიდევ რამდენიმე ნაწილი დაზიანებული ჰქონდა. ავტომექანიკოსებმა მთელი ღამე იმუშავეს და დილისთვის შავად გადაღებილი და მეტნაკლებად გამართული „მერსედესი“ თვითმფრინავში ავიყვანეთ. მაგრამ სად გაგონილა, პრეზიდენტის მანქანა თავად პრეზიდენტის გარეშე? აქაც პრობლემა შეგვექმნა — არც ერთ ჩვენგანს არ უნდოდა ტერორისტების მფარველ ამინად ყოფნა... ბოლოს, ნეთანიაჰუმ ეს როლი თავის ერთ-ერთ მოადგილეს დააკისრა.

ოპერაციის დეტალების დამუშავებისას გადავწყვიტეთ, რომ ფსევდოამინისა და მძღოლის გარდა „მერსედესში“ კიდევ ექვსი მოიერიშე უნდა ყოფილიყო, რომლებიც ავტომობილის სალონში იქნებოდნენ ჩამალულები და შემდეგ პირველები შეიჭრებოდნენ შენობაში. აქ კვლავ გაჩნდა წინააღმდეგობა — იმ ექვსეულში მოხვედრა რაზმის ყველა წევრს სურდა და ისევ იონათანმა გადაწყვიტა, ვინ იქნებოდა რჩეულთა შორის. ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე დაახლოებით ათი საათი რჩებოდა, როცა, ბოლოს და ბოლოს, ავფრინდით და გეზი უგანდისკენ ავიღეთ.

თავიდან ყველაფერი გეგმაზომიერად მიდიოდა. ენტებეს აეროპორტში „სამგზავრო“ თვითმფრინავისა და შავი „მერსედესის“ გამოჩენა ტერორისტებს არ გაჰკვირვებიათ. მანქანა შენობას მიუახლოვდა და იქიდან უგანდის არმიის გენერლის ფორმაში გამოწყობილი, შავად შეღებილი ჩვენი ოფიცერი გადმოვიდა. ღამის სიბნელეში მან მოსალოდნელი ეფექტი მოახდინა — რამდენიმე ბოროტმოქმედი ღიმილით შეეგება „დიქტატორს“. ყველაზე ძვირფასი წამები მოგებული გვქონდა და ბიჭები იერიშზე გადავიდნენ. რაზმის დანარჩენი წევრებიც წამოვეწიეთ და ყველანი ერთად შენობაში შევიჭერით.

ოთახების განლაგების თაობაზე არაფერი ვიცოდით, ამიტომ, ფაქტობრივად, ბრმად ვმოქმედებდით. მახსოვს, რაღაც ჩაბნელებულ დერეფანში შევვარდი და სანამ წინ გავიწევდი, როგორც წესი და რიგი იყო, ჯერ ავტომატიდან რამდენჯერმე გავისროლე. შუა დერეფანს რომ მივაღწიე, წინ იარაღშემართული ტერორისტი ამეტუზა. შევჩერდი. მსგავს სიტუაციაში უწინ, მეცადინეობებისას, არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც საშინლად დავიბენი. როგორც ჩანს, ბანდიტსაც იგივე დაემართა. იდგა და თვალებში შემომყურებდა. გონს პირველად მე მოვეგე და ტერორისტს ცეცხლი გავუხსენი. ხელები აღმართა და ჩაიკეცა. ამასობაში უკნიდან რომელიღაც ჩვენმა მებრძოლმა მიბიძგა და ორივე ერთად მძევლებით სავსე დარბაზში აღმოვჩნდით.

ტყვეებს უნდა გაეგოთ, რომ მათ დასახსნელად ვიყავით მისული, ამიტომ ივრითზე ხმამაღლა დავიყვირე, არ გაინძრეთ, დაწექით-მეთქი და ჰაერში გავისროლე. ავტომატების კაკანი დაახლოებით ერთ წუთში შეწყდა. ყველა ტერორისტი მოკლული იყო, მაგრამ ოპერაციის დასრულებამდე ჯერ კიდევ არაერთი პრობლემის გადაჭრა მოგვიხდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მძევლებთან ურთიერთობა ასე გაგვიჭირდებოდა. რომ დარწმუნდნენ, თავისუფლები ვართო, თავ-თავიანთი ჩემოდნების ძებნას შეუდგნენ... ამაოდ ვარწმუნებდით, რომ ამის დრო არ იყო — წუთი-წუთზე უგანდის რეგულარული არმიის ქვედანაყოფების გამოჩენას ველოდით.

ინსტრუქციის თანახმად, ბოროტმოქმედთა განადგურების შემდეგ თვითმფრინავში 7-10 წუთში უნდა ავსულიყავით, მაგრამ ჩვენი თანამემამულეების გამო, ეს დრო თითქმის ნახევარ საათამდე გაიწელა. როგორც იქნა, განვთავსდით სალონში. თვითმფრინავმა ძრავები ჩართო, დაიძრა და სწორედ ამ დროს შევნიშნეთ აეროპორტისკენ მომავალი ჯავშანმანქანების გრძელი კოლონა. კიდევ რამდენიმე წუთი რომ დაგვეკარგა, უთუოდ, ყველას დაგვხოცავდნენ...“

ანტიტერორისტული ღონისძიება წარმატებით დასრულდა, თუმცა ამას ოთხი ადამიანის, სამი მძევლისა და მოიერიშე რაზმის მეთაურის, იონათან ნეთანიაჰუს სიცოცხლე შეეწირა.

1976 წლის 4 ივლისს განხორციელებული უანალოგო ოპერაციის ამსახველი მასალები მსოფლიოს თითქმის ყველა სპეცსამსახურის სახელმძღვანელოშია შეტანილი.

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## კატა თქვენთან არის?



შაბათ-კვირას სოფელ ლამისყანაში (კასპის რაიონი) ვიყავით ბებიასთან. დილით მეზობელმა შალვა (შალო) ღვინიაშვილმა, რომელიც დიდი იუმორის გრძნობით გამოირჩევა, დაუძახა ბებიას:

— ნუნუ, ჩვენი კატა თქვენთან არის?

— არა, შალო, რა იყო, რად ეძებ? — ჰკითხა ბებიამ.

— აი, თაგვი დავიჭირე და უნდა ვაჭამო, აბა, მაშ რა ვქნა, მე ხომ არ შევჭამ?

***ხვთისო იმერლიშვილი, თბილისი***

## — ეს რა არის, მამამისი რაღა იქნება?!

გურიის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს უაღრესად ენაკვიმატი და ენამოსწრებული კაცი, სახელად საშურია (გვარი არ მახსოვს). იმ სოფელში მის გარეშე არც ერთი ქორწილი და ქეიფი არ ჩატარებულა და, რა თქმა უნდა, მისნაირი მოქეიფე, თანასოფლელებს არავინ ეგონათ.



ერთხელ, საშურიამ ყური მოკრა, რომ მეზობელ სოფელში ცხოვრობდა მასავით სიტყვაწყლიანი ბორია. ძალიან გაუკვირდა საშურიას, რატომ აქამდე არაფერი მსმენია მასზეო და გადაწყვიტა, მოეძებნა ბორია და შეჯიბრებოდა.

რამდენიმე დღის მერე საშურიამ ბორიას კარზე დააკაკუნა. კარი ბორიას 6 წლის ბიჭმა გაუღო. საშურიამ გაიგო, რომ ბორია არ იყო სახლში და მის ბიჭს დაუბარა:

— მამაშენი რომ მოვა, ჩემგან, საშურიასაგან, ასე გადაეცი, — ხაშურს იქით გორია, შენ დაგაფსი, ბორია!

— გადასცემ? — ჰკითხა საშურიამ ბავშვს.

— გადავცემ — დაჰპირდა ბიჭუნა.

— აბა, გაიმეორე, არ დაგავიწყდეს, — უთხრა საშურიამ და ბავშვმაც „გაიმეორა“.

— გორის იქით ხაშურია, შენ დაგაფსი საშურია.

გაკვირვებულმა საშურიამ თურმე თავისთვის ჩაილაპარაკა: „შენ რა ხარ, მამაშენი რაღა იქნება?“ და წამოვიდა იქიდან.

***ვანო სხირტლაძე***

## ნადირობა მარეულ ტახზე

მეგობრები ვქეიფობდით. შუა ქეიფში ვართ და მითხრეს, ხვალ დილით სანადიროდ წასვლას ვაპირებთ და წამოდიო. მე შეზარხოშებული ვიყავი და დავთანხმდი. სახლში გვიან დავბრუნდი და ცოლი გავაფრთხილე, — ხვალისათვის საგზალი გამიმზადე-მეთქი და დავწექი.



მეორე დილით „კოლხოზნიკის“ დაჟინებულმა სიგნალმა გამაღვიძა. „პახმელიაზე“ ვარ, თავი მისკდება, ერთი კი ვიფიქრე რა მინდა სანადიროდმეთქი, მაგრამ მაინც გავყევი.

როგორც კი ტყეში შევედით, დამაყენეს ერთ ადგილას და მითხრეს, — შენ აქ დარჩი, ჩვენ კი სხვადასხვა მხარეს წავალთ, ტახს ჩაუსაფრდი, აქეთ რომ გამოვა, თოფი ესროლეო. წავიდნენ. ვიფიქრე, ტახს როგორ ვესვრი, ეშვი არ გამკრას ან რა დროს ღორია-მეთქი, ამოვიღე ცოლის მიერ ჩალაგებული საჭმელი და კარგი სუფრა გავშალე. უცებ მესმის ღორის ღრუტუნი. შეშინებული მაშინვე ტყვიასავით ავვარდი ხეზე. თოფის ატანაც კი დამავიწყდა. ამასობაში ღორიც გამოჩნდა, დაინახა მზამზარეული სუფრა, კარგად მოულხინა, თოფიც დასუნა, ალბათ არ მოეწონა, ამოჰკრა დინგი და ცეცხლზე შეაგდო: ვუყურებ თოფს და ვხვდები, პირდაპირ რბილ ადგილას მაქვს დამიზნებული. როდის გავჩნდი ხის კენწეროზე, არ მიგრძვნია, მაგრამ როგორ გავარდა თოფი, ის კი გავიგე. მის ხმაზე დამფრთხალი ღორი ღრუტუნით გავარდა. მეგონა, ყველაფერი დამთავრდამეთქი და ხიდან ჩამოვედი. უცებ მოვარდა ჯოხმოღერებული კაცი და ლანძღვა დამიწყო: „შენ ესროლე კოლტის ღორს, ხომ? შენი დედა!!!“ ვუმტკიცებ, — არა, პირიქით, თვითონ მესროლა-მეთქი. „დამცინი კიდეც? შენი დედა...“ — გადმოიღო ჯოხი და იმდენი მირტყა, რომ ხუთი დღე ფეხზე ველარ ვდგებოდი.

ამის შემდეგ სანადიროდ აღარ წავსულვარ.

***გიორგი შაშიაშვილი***

## Тритишитридцат

ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირის მცხოვრები ზოზო ჭაჭია ჯარში გაიწვიეს, ომსკში.

როგორც თვითონ ამბობს, დგანან თურმე „მალადოები“ აღწერაზე. ოფიცერი იძახის:

— Асакбаев Мурат!

— Иест!

— Мамиконян Ваган!

— Иест!



— Тритишитридцать! დუმილი

— Тритишитридцать! ისევ დუმილი

— Последний раз — Тритишитридцать!

ზოზო მიმხვდარა, რაშიც იყო საქმე და უთქვამს:

— Это не Тритишитридцать, это 3030.

***გოგა ქარჩავა, ზუგდიდი***

## — ამის ძვლები დამეხრასო!..



სურამელმა კოლორიტმა ჰეიდარამ თავის მეზობელს გოჭი მოჰპარა. გაბოროტებული მეზობელი მილიციაში გაიქცა და ჰეიდარა დაასმინა. მილიციელები ჰეიდარას შინ მიადგნენ და გოჭი მოსთხოვეს. ჰეიდარამ მიიყვანა ისინი ოთახის კუთხეში მდგარ აკვანთან და დაიფიცა:

— ამის ძვლები დამეხრას და დამეკვნიტოს, თუ ის გოჭი ჩემი მოპარული იყოს.

მილიციელებმა უსიტყვოდ მიატოვა იქაურობა...

...აკვანში ჰეიდარას არყით გამობრუჟული გოჭი ჩაეკრა არტახებით.

***დათო სურამელი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



გურულს, იმერელს და სვანს მიუსჯიან სიკვდილით დასჯას. პირველად გურულს გაიყვანენ და ჰკითხავენ:

— უკანასკნელად რას ისურვებ?

— დენით მომკალით! — პასუხობს გურული.

ნახავენ, რომ არ არის დენი და გაუშვებენ, — იღბალი გქონიაო.

შემდეგ იმერელს გაიყვანენ. იმერელიც დენით სიკვდილს აირჩევს და იმასაც გაუშვებენ. ბოლოს გაიყვანენ სვანს. სვანი იტყვის:

— დენი არ ყოფილა, თოფი იყოს!

***ჯანსუღი***

კახელს სახელი ჰკითხეს:

— სოფელში ჯოს მეძახიან, ქალაქში კიდევ ტოს, ალბათ ჯოტო მქვია.

***გივი ლომიძე, ხაშური***





მატარებელში დედა ძუძუს აწოვებს ბავშვს:

— ჰე ჭამე, შვილო, თორე ვაჭმევ ახლა ამ ბიძიას ძუძუს!

ერთი საათის შემდეგ:

— ჰა, ჭამე, თორე ვაჭმევ ბიძიას ძუძუს!

კიდევ ერთი საათის შემდეგ:

— ჭამე, შვილო, ძუძუ თორემ...

— ქალო, თუ მაჭმევ მაგ ძუძუს, მაჭამე, თვარა ქუთაისში ჩასასვლელი, ლამის ბათუმში ჩავიდე!..

***ზაზა მოისწრაფიშვილი***



ჭიჭიკია საყვარელთანაა. შინ 10-12 წლის ბიჭი თამაშობს:

— დედიკო, გადადი ჟუჟუნა ნათლიასთან და ნახევარ საათში მოდი ისევე. — უთხრა დედამ შვილს.

— მერე ნახევარი საათი გეყოფათ, ტო? — იკითხა ბიჭმა.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

მიხოს ძმაკაცი ეტრაბახება:

— ისეთი ქალი მომყავს ცოლად, შველივითაა!

— ჩემი ცოლიც რომელიღაც ცხოველს მაგონებს, მაგრამ ჯერ ვერ გავარკვიე, რომელს...

***ია ჭიჭიკოშვილი***



პაწია ოქტომბრელმა ჰკითხა იოსებ სტალინს:

— რეიზა დამიხვრიტე მამა?

ბელადმა თვალის დაუხამხამებლად უპასუხა:

— განა მე არ ვარ მამაშენი?

ხოა გენიის საკადრისი პასუხი?

***მატარებელში მოსმენილი***

ქორწილში მიმავალი მიხო ცოლმა საგანგებოდ გამოპრანჭა:

— მიხო, ცხვირსახოცი გრჩება, — დაუძახა კარში გასულს.

— რად მინდა, ქალო, მა ე ამხელა „გალსტუკი“ ტყუილა ჩამამკიდე?

***გიორგი თხელიძე, გორი***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# „საქართველოს რუსეთთან იდეალური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს და ეს შესაძლებელია“, — ედუარდ შევარდნაძე

დსთ-ის ქვეყნებს შორის რუსეთთან არც ერთ ქვეყანას არ აქვს ისეთი დაძაბული ურთიერთობა, როგორიც საქართველოს. რატომ ხდება ეს? ამ საკითხით დავიწყეთ საუბარი **ედუარდ შევარდნაძესთან**.

— როდესაც ორ ასეთ ერს შორის პრობლემა იქმნება, მაშინ დამნაშავეა ორივე მხარე. 1994 წელს, თბილისში ვიზიტის დროს, ელცინმა თქვა, რომ რუსეთი არ იხსნის პასუხისმგებლობას აფხაზეთის მოვლენებზე. აფხაზმა სეპარატისტებმა რუსეთის გარკვეული ძალების მხარდაჭერით საუკუნის დანაშაული ჩაიდინეს — მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ის ძალები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უფლებას არ აძლევდნენ, ამჟამად, ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით, რუსეთის ერთიანობის დაცვის შესახებ ლაპარაკობენ. ქართველებმა და რუსებმა უნდა აალორძინონ ყველაფერი ის საუკეთესო, რაც მათ შორის იყო. მაგრამ პრობლემათა გასაღები აფხაზეთშია.

***— რას წარმოადგენს თქვენთვის რუსეთი — იმპერიის ცენტრს, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს ადრინდელი გავლენა დსთ-ის ქვეყნებზე თუ თანასწორუფლებიან პარტნიორსა და მეზობელს, რომელთანაც ურთიერთობა შესაძლებელიცაა და საჭიროც?***

— რუსეთის სახით ჩვენ გვსურს გვყავდეს თანასწორუფლებიანი პარტნიორი — დიდი დემოკრატიული სახელმწიფო. რაც შეეხება „გავლენას“, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასეთი პოლიტიკის. „გავლენათა ზონების“ დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს უნდა ვილაპარაკოთ „ინტერესთა სფეროების“ შესახებ. რასაკვირველია, რუსეთს გააჩნია კანონიერი ინტერესი კავკასიაზე და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იგი კავკასიის ქვეყნების ინტერესთა გათვალისწინებით განხორციელდება. საბედნიეროდ, სტრატეგიულ საკითხში ეს ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს.

***— საქართველოდან ყოველდღიურად 200-ზე მეტი ადამიანი მიდის. სულ, 90-იანი წლებიდან, მილიონმა ადამიანმა დატოვა სამშობლო. როგორ უყურებთ თქვენი ქვეყნიდან ასეთ მასობრივ მიგრაციას?***

— საქართველო გამონაკლისი არ არის. მსგავსი პროცესები ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მიმდინარეობს. თვით რუსეთიდან მილიონი ადამიანი წავიდა. რასაკვირველია, ეს არასასურველი ტენდენციაა, მაგრამ თავისუფალი გადაადგილების პირობებში ხალხი ირჩევს თავისთვის ხელსაყრელ ადგილს.

***— რაში სჭირდება საქართველოს ნატოში შესვლა? ეს რუსეთზე ზეწოლის ფორმაა თუ ეროვნული სტრატეგია?***

— კითხვაზე კითხვითვე გიპასუხებთ: რაში სჭირდება რუსეთს განსაკუთრებული ხელშეკრულების დადება ნატოსთან თანამშრომლობის შესახებ? საქართველომ ხომ ბლოკთან ჩვეულებრივ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, როგორც სსრკ-ის სხვა ყოფილმა რესპუბლიკებმა. საქართველოს უფლება აქვს, პარტნიორად აირჩიოს ის სახელმწიფოები, რომლებიც სიტყვით კი არა, საქმით სცემენ პატივს მის სუვერენიტეტსა და მთლიანობას.

***— თბილისი ყოველთვის იყო ინტერნაციონალური ქალაქი. იგი წარმოადგენდა ქართული, რუსული და სომხური კულტურების თავშეყრის ადგილს. რუსული ენა ყოველ ნაბიჯზე ისმოდა, მაგრამ ამჟამად რუსულმა ენამ თითქოს სამუდამოდ დატოვა თბილისი. ძველი თბილისელების აზრით, ქალაქი კარგავს თავის განუმეორებლობას, კოლორიტს...***

— მხოლოდ მალაზიებისა და კაზინოების აზრების მიხედვით არ უნდა იმსჯელოთ. უნდა გაითვალისწინოთ, რომ საქართველოში ამ წლებში არც ერთი რუსული სკოლა არ დახურულა, ხელისუფლება აფინანსებს ტელეპროგრამებს რუსულ ენაზე, უნივერსიტეტებში რუსულენოვანი ფაკულტეტებიცაა, კიოსკებში იყიდება ყველა რუსული ჟურნალ-გაზეთი, ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ თბილისი თავის იერსახეს კარგავს.

***— ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის, არარენტაბელურ პროექტად მიაჩნიათ. ამბობენ, რომ იგი გეოპოლიტიკური დივიდენდებისთვის იქმნება, ნავთობი ხომ რუსეთის გვერდის ავლით გაივლის.***

— თუ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი რუსეთის გვერდის ავლით გადის, თენგიზ-ნოვოროსიისკისა საქართველოს გვერდის ავლით მიდის. დამიჯერეთ, ვერავინ აიძულებს ნავთობის კომპანიებს პროექტში მონაწილეობას, თუ მას პერსპექტიულად არ მიიჩნევენ.

***— ჩეჩენი ბოევიკები ბოლო დროს ძალიან გაშინაურდნენ საქართველოში. საოცარია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთში შამილ ბასაევი მთავარი ბოროტმოქმედის როლს თამაშობდა...***

— ნამდვილად, აფხაზურ სასაკლაოზე ჩეჩნები გამოირჩეოდნენ სისასტიკით, მაგრამ ჩვენ ვიკავებთ ემოციებს და არ ვიყენებთ ჩეჩნეთის სიტუაციებს ჩვენი მიზნებისთვის. მოსკოვი იმიტომ არის განაწყენებული, რომ ჩვენ არ შევუშვით რუსეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან ჩეჩნეთში. ჩვენ ჩვენი 15 ათასი ჩეჩენი გვყავს, კომპაქტურად ცხოვრობენ. ამ ნაბიჯზე რომ წავსულიყავით (ე.ი. რომ შემოგვეშვა), დიდი კავკასიური ომი დაიწყებოდა. შემდეგ კი ჩვენს მომავალ თაობას უნდა ეზღო ყველაფერი — ასეთი



რამ კავკასიაში არ ავიწყდებათ.

***— საქართველოსა და რუსეთს საერთო მტერი ჰყავს — ისლამური ფუნდამენტალიზმი. რაში მდგომარეობს მთავარი საშიშროება?***

— პრობლემა ის არის, რომ ცალ-ცალკე ამ მოვლენას ვერავინ მოუვლის. ისლამური ფუნდამენტალიზმი ტერორიზმით გვაშინებს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება ბოროტება. განა კომუნისტური ფუნდამენტალიზმი ნაკლებსაშიშია? ყველაფერი, რაც ტოტალიტარულ სისტემას უკავშირდება, ფუნდამენტალიზმია.

***— რა აზრის ბრძანდებით საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ?***

— ამის შესახებ ორჯერ ვესაუბრე ბ-ნ პუტინს. ასეთი რეჟიმი სრულებით არ პასუხობს ჩვენი ქვეყნების ინტერესებს. რუსეთში ბევრი მოქალაქეა ქართული წარმოშობის და ჩვენთანაც ბევრი რუსი ცხოვრობს. ვთქვათ, დავთანხმდით სავიზო რეჟიმს, რუსეთის სამხედრო ბაზები ხომ ჯერ კიდევ რჩება ჩვენს ტერიტორიაზე, იქ კი ქალები და ბავშვები არიან. არ ვამბობ, რომ რაღაც საშინელება მოხდება, მაგრამ ეს ფაქტი ნამდვილად დააჩქარებს საქართველოს რუსეთთან დაშორებას.

***— რას ეტყოდით რუსეთის მოქალაქეებს, რა გაღელვებთ?***

— მე იმის მომხრე ვარ, რომ ჩამოყალიბდეს პრინციპულად ახალი ურთიერთობანი საქართველოსა და რუსეთს შორის. ჩვენ ხომ ერთი რწმენა და კულტურა გვაქვს. ვერც ერთი სამხედრო ბაზა ვერ შეცვლის კეთილმეზობლურ ურთიერთობას. „ილ-18“-ის კატასტროფის დროს, რამდენჯერმე დავურეკე ბ-ნ პუტინს. მადლობა მითხრა იმისთვის, რომ ტრაგედიის ადგილზე ჩავფრინდი. ჩვენ ერთად ვართ სიძნელეების დროს და ყოველთვის ის ტრადიცია იმარჯვებს, რომელიც მუდამ არსებობდა ჩვენსა და რუსეთს შორის.

***— როგორი ურთიერთობა გაქვთ პუტინთან?***

— მე მჯერა ახალი პრეზიდენტის გონიერებისა. ელცინზე არაფრის თქმა არ მსურს, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა, პატივს ვცემდით ერთმანეთს. ამჟამად კი შედარებით ახალგაზრდა ადამიანი მოვიდა ქვეყნის სათავეში, იგი პრაგმატიკოსია, რეალურად აზროვნებს და სურს, საერთო ენა გამონახოს დასავლელ და აღმოსავლელ პარტნიორებთან.

***გიორგი სტეპანოვი,***
***იზეჭდება მცირე შემოკლებით***

***კომენტარი:*** *ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე დიდი კავკასიელი პოლიტიკოსია. იგი განსაკუთრებული თვისებით გამოირჩევა, არასასურველ კითხვებს ორჭოფულად, არაპირდაპირ უპასუხებს ხოლმე. ამას მხოლოდ პრეზიდენტობა კი არ აიძულებს (თუნდაც პრეზიდენტობის გამო მას უფლება არა აქვს, გულახდილად ილაპარაკოს ყველა პრობლემაზე), არამედ თვით კავკასიური პოლიტიკის არსიც, რომელიც თავისი ბუნებით აისბერგს მოგვაგონებს. 80-იანი წლებიდან დიდი კავკასია წინააღმდეგობათა ბადეში გაეხვია და ბოლო დროს საქმე კიდევ უფრო აირ-დაირია. ამ რეგიონის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ მონსტრი-სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და თვით რუსეთიც. ამ უკანასკნელთან საქართველოს ურთიერთობა მაინც პრიორიტეტული დარჩა. მაგრამ ბევრ საკითხში, ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ერთობ მკაცრ პოზიციას იჭერს. ნატოსთან ურთიერთობა და სავიზო რეჟიმის შემოღება საქართველოსთვის ის ლაკმუსის ქაღალდია, რომელმაც გამოავლინა შევარდნაძის დიპლომატიური თვისებები. საიდუმლო არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს ნატოს სტრუქტურებთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვს, ვიდრე რუსეთს ნატოსთან. ხოლო რაც შეეხება ჩეჩნების აქტივობას საქართველოს ტერიტორიაზე, დიდი ხანია ყველა ზღვარს გასცდა (როგორც სახელმწიფოებრივი, ისე იურიდიული თვალსაზრისით).*

*რასაკვირველია, ედუარდ შევარდნაძე მართალია და დიპლომატიურიც, როდესაც ლაპარაკობს არა იმაზე, თუ რა ურთიერთობაა დღეს რუსეთთან, არამედ იმაზე, რა ურთიერთობაც სურს იქონიოს რუსეთთან.*

***ევგენი კრუტიკოვი***
***იზვესტია №214***

---

**პირველად:** გთავაზობთ თარგმანებს ბერძნული პრესიდან

## სა-ქარ-თვე-ლო!

საქართველო, იგივე კოლხეთი, მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე. მას ივერიად იცნობდნენ რომაელები და ბიზანტიელები. იგი ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა, ერი — უძველესი და გაუტეხელი, ვაჟკაცი.

გავიხსენოთ ძვ.წ.აღ-მდე ათასწლეულში ხომალდ „არგოთი“ არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. აქ ამაყად ლაპარაკობენ მედეაზე, აიეტის ასულზე. ქართველები ამირანს ეძახიან ჩვენებურ პრომეთეს, ღმერთს რომ ცეცხლი მოსტაცა. ბერძენმა ვაჭრებმა გაუთქვეს სახელი ევროპის ბაზარზე კოლხურ ხოხობს, რომელიც მდინარე რიონის (ფაზისის) სანაპიროზე ბინადრობდა (ფრინველს მათ დაარქვეს ფასიანოსი).

ახ.წ.აღ-ის V საუკუნეში საქართველომ თავის სარწმუნოებად ქრისტიანობა აღიარა... ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ იერუსალიმში, სინაზე, კონსტანტინოპოლსა და ათონზე.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მსოფლიოს არც ერთი ერი ბერძნებს არ მოიხსენიებს ეპითეტით „ბრძენი“ — ბერძენი ქართულად ბრძენს (სოფოს) ნიშნავს. 1780 წელს თურქთა მიერ პონტოდან განდევნილი ბერძნები საქართველოში დღემდე მშვიდობიანად ცხოვრობენ. თუმცა, სტალინის ბარბაროსული პოლიტიკა მათაც შეეხო — დაიხურა ბერძნული სკოლები, ამიტომაც საქართველოში მოსახლე ბერძენი თურქულ და რუსულენოვანია. სახელმწიფოს ნებართვით მხოლოდ 1980 წლიდან ისწავლება ბევრ სკოლაში ახალი ბერძნული ენა.

ბერძნული ენისა და კულტურის სწავლების ძირითადი ცენტრი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამ უმაღლეს სასწავლებელში 200-მდე სტუდენტი ეუფლება კლასიკურ, ბიზანტიურ და თანამედროვე ბერძნულ ენას. ეს უძველესი ერი დღეს უკიდურეს სიდუხჭირეშია ჩავარდნილი. მაგრამ გამაოცა ამ ხალხის იმედიანობამ, გაუტეხლობამ. არადა, მართლაც ღირსია ეს სტუმართმოყვარე ერი უკეთესი ცხოვრებისა!

***ვულა ლამბროპულუ***
***„ადსომეუტოს ტუვოს“***
***(„მიუკერძოებელი პიროვნება“)***

## ორ ბეჰემოთს შორის

კავკასიაში ევროსაბჭოს დეპუტატებთან ერთად მოვხვდი, რადგან თბილისში საქართველოს პარლამენტმა მიგვიწვია.

ჩვენ, ბერძნები, ამ ქვეყანას ვიცნობთ არგონავტთა მითითა და ოქროს საწმისით, რომელიც სიმდიდრის სიმბოლოა. ქართველები ამაყობენ ქრისტიანობით. ისინი თავის მიწა-წყალს ევროპად, ხოლო თავს — ევროპელებად მიიჩნევენ. საქართველოს გადაკვეთს დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც მარკო პოლომ გაიარა. ამ ხალხს გასაოცარი ენა და დამწერლობა აქვს. XX საუკუნეში საქართველოში პოვეს თავშესაფარი თურქეთიდან გამოქცეულმა ბერძნებმა, რომლებიც ამჟამად აქ ცოტანილა არიან დარჩენილნი.

აფრიკელები ამბობენ, სახიფათოა ბეჰემოთის ახლოს ძილიო. საქართველოს უიღბლობა არის ის, რომ ბედმა „რუსეთის იპოგასტრიტზე“ ყოფნა არგუნა, თანაც მის მიწა-წყალზე გაივლის კასპიის ნავთობსადენი... ასე რომ, ჩრდილოელი ბეჰემოთი მალე სამხრეთელით შეიცვლება — ლაპარაკია ნავთობის დიდ კონცერნებსა და აშშ-ზე. ახლა თავად წარმოიდგინეთ, როგორია ორ მოქიშპე ბეჰემოთს შორის ძილი! საქართველოს პრეზიდენტმა დიდი ქვეყნის პრობლემას უკეთ გაართვა თავი, ვიდრე პატარა ქვეყნისას. თუმცა კი ძალიან ცდილობს. ამიტომ სულითა და გულით ვუსურვებთ წარმატებას.

ქართველებს იმედი აქვთ, რომ გაჭირვებიდან გამოიყვანთ ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა, მაგრამ ეს მცირე იმედია. ევროკავშირს ამ მხარისადმი არანაირი პოლიტიკა არ გააჩნია. ქართველი ერი დიდი ჭირთათმენით მიუყვება ცხოვრების აღმართს. ჩვენ, ბერძნები, უნდა დავეხმაროთ მათ ამ გზის გავლაში. ისინი ღირსნი არიან დახმარებისა.

***დიმიტრი კუღურიანოსი***
***„ტა ნეა“***
***(„ახალი ამბები“)***

***ათენი-თბილისი***

***თარგმანები მოგვაწოდა ბელა ლალიანმა***

---

## რას გვეტყვი, მამაო?

**— ვიპოვე პატარა ხატი, რომლის პატრონიც ვერ დავადგინე. შეიძლება თუ არა მის წინაშე ლოცვა?**

— თუ ხატი მართლმადიდებლურია, შეიძლება მისი ეკლესიაში კურთხევა; შემდგომ შინ, ხატების კუთხეში მიუჩინეთ ადგილი და ილოცეთ მის წინაშე.

**— ბავშვობიდან შთამინერგეს, რომ არ შეიძლება ეკლესიაში სხვის მიერ მოცემული სანთლის დანთება. იგი აუცილებლად შენი ან შენი ოჯახის წევრის ფულით უნდა იყოს ნაყიდი.**

— თქვენს შეკითხვას უპასუხებს სახარებისეული სამხილი: მაცხოვარი გმობდა მწიგნობრებისა და ფარისევლების თვალთმაქცობას, რომლებიც გარეგნული ქმედებებით ამტკიცებდნენ თავიანთ ღვთისმოსაობას. დღესაც ხშირად ხდება ხოლმე, რომ მეორეხარისხოვანს ყურადღებას ანიჭებენ, მაგ. სანთლების რაოდენობას, საკუთარი ფულით მათ შეძენას, ბოლომდე ჩაწვას სასანთლეში და მისთ. და ხშირად ავიწყდებათ მთავარი: საკუთარი ცოდვების სინანულით მიტანა ღვთის სამსჯავროზე!

**— მოვინათლე მაშინ, როდესაც სამღვდელოება მიჰყვებოდა წმინდა ნინოს ნაკვალევს, მდინარე მტკვარზე. ნათლობას არ ესწრებოდა ჩემი ნათლია, მაგრამ მღვდელმა მოიხსენია მისი სახელი. ითვლება თუ არა იგი ნათლიად?**

— სამწუხაროდ, დღეისთვის მიმრქმელის (ნათლიის) ინსტიტუტმა მიიღო ფორმალური და ზედაპირული მნიშვნელობა. ძველად ქრისტიანები უპირატესად ინათლებოდნენ ყრმობის ასაკში და მშობლები ცდილობდნენ, ნათლიებად შეერჩიათ ეკლესიურად, ღვთისსათნოდ მცხოვრები ადამიანები, რათა მათ განესწავლათ ნათლულები საღმრთო ჭეშმარიტებებში; მათი ცხოვრებაც ნათელი მაგალითი ყოფილიყო ნათლულისთვის. დღეს კი ხშირად ნათლულიცა და ნათლიაც ერთნაირად საჭიროებენ ქრისტიანულად განსწავლას და ასეთი ნათლიის სახელს ზოგჯერ მღვდელმსახურნი მათ დაუსწრებლად იხსენიებენ ხოლმე ნათლობის დროს, თუმცა, წესით, მიმრქმელი აუცილებლად უნდა იღებდეს ნათლობაში მონაწილეობას!

**— ერთ მშვენიერ დღეს ასეთი ამბავი გადამხდა: 24 აგვისტოს შევედი წმინდა მარიამის ეკლესიაში, ვეამბორე უფლისა და წმინდა მარიამის ხატებს და საპასუხოდ ვიგრძენი მათგან ხელის მოხვევა და ამბორი: რას უნდა ნიშნავდეს ეს? ძე შეცთომილის იგავის თანახმად, მამასთან დაბრუნებას თუ მამისგან წასვლას და მის მიერ გზის დალოცვას?**

— მსგავსი ხასიათის განცდებს ნუ აჰყვებით და ნუ მიენდობით. ასეთმა განცდებმა შეიძლება ადამიანი ფსიქიკურ შეშლილობამდე მიიყვანოს. ხატთან უნდა დადგეთ, როგორც ლოცვის საგანთან და ხატზე გამოსახულ წმინდანებს სთხოვოთ მეოხება.

**— ჩემი და ცოლად გაჰყვა ჩემი შვილის ნათლიას. როგორ მოვიქცე? მე ამის პატიება არ შემიძლია და ახლა ის მაწუხებს, ჩემს შვილს ხომ არაფერი დაუშავდება? როგორც გამიგია, ნათელმირონობა შვიდ თაობაზე გადადის.**

— მართალია, ნათელმირონობა მტკიცე ნათესაური ერთობაა და ნათლულისა და ნათლიის ოჯახის წევრებს შორის მე-8 თაობის ჩათვლით არ უნდა მოხდეს შეუღლება. მაგრამ ეს ნათესაობა აღირიცხება მხოლოდ აღმავალთა და შთამომავალთათვის, ხოლო გვერდგამავალთათვის დაუბრკოლებელია ქორწინება. გვერდგამავალია ნათესავი, რომელიც არც მშობელია თქვენი და არც ის შობილა თქვენგან (და, ბიძაშვილი და მისთ.). ამიტომ თქვენს დას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია თქვენს ნათელმირონთან საქორწინო კავშირით. თქვენს შვილსაც, ცხადია, არაფერი დაუშავდება!

**— შეიძლება თუ არა ადამიანმა ნებაყოფლობით იტვირთოს სხვისი ცოდვები?**

— არ შეიძლება ადამიანის ცოდვების ნებაყოფლობით სხვისგან გადაბარება. მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო ეტვირთა სხვისი (და ყველა სხვა ადამიანისა) ცოდვები. ეს გახლდათ უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ყველა მოკვდავი პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ცოდვებისთვის.

**— მოძღვართან აღსარებაზე მისვლის წინ უნდა ვიმარხულოთ თუ არა 3 დღე?**

— ასეთი მარხვის დაწესება საკუთარი თავისთვის არ არის აუცილებელი.

**9 არხი** 09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "დამბო" 09.40 მხ.ფ. "მაკულატურა" 12.15, 02.10 მუსიკა 12.35 "ლიმონი და ლიმონათი" 12.50 მხ.ფ. "ბულვორთი" 14.35, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.15 მხ.ფ. "სწრაფი და მკვდარი" მთ. როლში შერონ სთოუნი. 18.00 საინფორმაციო პროგრამა "საღამოს ექვს საათზე" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.05 [illegible] საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "მთების და ველების ქალაქი" მთ. როლებში: ვუდი ჰარელსონი, პატრიცია არკეტი.

**VII არხი** 17.00 ანონსი 17.05 ტელეგაზეთი 17.15 სპორტული ინფორმაცია 17.20 ფილმი თხოვნით 19.00 აჩიკუდა 19.20 ანონსი ტელეგაზეთი ამინდი 19.35 მუსიკა თხოვნით. 19.55 „ბედნიერი ერი" 20.00 კალათბურთი - ბოსტონ-სელტიკი, ორნალდო-მეჯიკი 21.20 გასართობი პროგრამა 21.50 მუს.ტაიმ-აუტი 22.10 ანონსი. ტელე-გაზეთი, სპორტი 22.25 კინოკლუბი - „კანონის მსახური" როლებში: სკოტ გლენი, უილიამ ფორსაიტი 00.00 ფეხბურთი-ესპანეთის ჩემპიონატი

**ОРТ** 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.15 Программа 100%. 09.40 "АЛЬФ". 10.15 В мире животных. 11.10 Смак. 11.30 Смехопанорама. 12.10 Х/Ф "ПРИЗРАК ЗАМКА МОРРИСВИЛЛЬ". 13.50 Седбмое чувство. 14.30 Играй, гармонь любимая. 15.05 Здоровье. 15.45 История одного шедевра. 16.10 "БАФФИ". 17.00 "Коапп". 17.30 Дисней-клуб. 18.00 Живая природа. 19.15 Женские истории. 19.45 "Ералаш". 20.10 Х/Ф "ГЕНИЙ И ЗЛОДЕЙСТВО". 23.40 "Время". 22.40 Что? Где? Когда? 00.05 Х/Ф "ВЕК НЕВИННОСТИ".

**РТР** 08.30 Диалоги о рыбалке. 09.00 Х/Ф "СИНДБАД. БИТВА С ЧЕРНЫМИ РЫЦАРЯМИ". 10.30 Телепузики. 11.00 Доброе утро, страна. 11.45 Сто к одному. 12.35 Сам себе режиссер. 13.05 "ДРУЗЬЯ-2". 13.35 Золотой ключ. 13.55 "КОМИССАР РЕКС". 15.00, 21.00 Вести. 15.20 Х/Ф "ОДИНОКИМ ПРЕДОСТАВЛЯЕТСЯ ОБЩЕЖИТИЕ". 17.00 Международная панорама. 18.00 Пресс-клуб. 19.00 Моя семья. 20.00 Тв бинго шоу. 21.30 Городок. 22.10 Жванецкий. "Простые истины". 22.25 Х/Ф "ГОРЬКО". Россия, 1998 г. 00.40 Х/Ф "ОТ ЗАКАТА ДО РАССВЕТА-2". США, 1999 г. 02.20 Х/Ф "КИКС". Россия, 1991 г. 04.05 Дневник Недели высокой моды.

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Сериал "ДЕВУШКИ ИЗ ЛИДО". 10.15, 21.00 Телеигра "О, счастливчик". 11.20 Чистосердечное признание. 11.50 Женский взгляд. 12.25 "Полундра". 13.25 "Большие деньги". 13.55 Х/Ф "ЗДРАВСТВУЙ И ПРОЩАЙ". 15.40 "В нашу гавань заходили корабли". 16.40 Свидетель века. 17.25 Депрессия. 17.50 Интересное кино. 18.20 Дог-шоу. 18.50 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.35 "Один день". 21.50 Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 23.45 Х/Ф "ЗЕРКАЛО ТРЕСНУЛО". Великобритания, 1980 Г. 01.45 "ПАДШИЕ АНГЕЛЫ".

## კვირა, 26 ნოემბერი

**1** 10.00 "მეტრონომი" 11.05 ფრანგული პროგრამა "დროშა" 11.20 ბელკანტო 11.40 ზუმი 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 სპა 12.35 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 13.35 მხ.ფ. "სამართლიანი დადლი" 15.00, 20.00, 00.05 მოამბე 15.15 რეგიონი 15.40 ზღვარი 15.55 მუსიკალური ოქტაგონი 16.40 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 16.55 სერიალი "კვაზიმოდო" 17.20 ეძიე ქალი 17.40 პირველად იყო სიტყვა 18.10 კომუნიკატორი 18.40 მუნდიალი 19.05 ტოტო-ლოტო 19.25 ჩვენი მისამართია 20.35 ეკო-დაიჯესტი 20.55 ფორტუნა 21.10 ეთნოგრაფიული ჩანახატი 22.15 დიდების ზღაპარი 22.25 ტალანტები და თაყვანისმცემლები. ფ. სულაბერიძე 23.05 "დაგვიანებული ქორალი" 23.40 2X2 00.15 მაესტრო 00.50 მხ. ფილმი "რომელი პლანეტიდან?"

**2** 19.00 იყო და არა იყო რა 19.35 სერიალი "საზღვაო პოლიცია" 20.20 შვიდეული 21.30 ვარსკვლავები გვამცნობენ 21.45 მეშვიდე ცა 22.15 პიტ-პარადი 22.25 მხ.ფ. "ორი სიცოცხლე"

**რუსთავი-2** 08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 სერიალი "კოლომბო" 12.10 სიმფსონები 12.30 სერიალი "ნაზი შხამი" 13.15 მხ.ფილმი 17.10 მწერები 17.30 სერიალი "კოლომბო" 18.00, 02.00 კურიერი 18.15 "კოლომბო" 19.15 სპორტული პროგრამა 19.50 სერიალი "ნაზი შხამი" 21.00 60 წუთი 22.05 სერიალი "საიდუმლო მასალები" 22.50 ჯეოსელის კინოკლუბი: "დიკ თრეისი", "მწვანე მილი", "საყვარელი მოლი" 02.00 სიმფსონები 02.10 კლასიკა

**იბერია** 12.00 ინდ. მხ.ფილმი "მჭედელი" 14.20 დოკ. ფილმი 15.10 მხ.ფილმი "იასონი და არგონავტები" 15.30 ქართ. მხ.ფილმი 18.00 მსოფლიო სპორტი 19.00 მხ.ფილმი "უფასო ფული" 20.30 "დღეს" 21.00 "ვარსკვლავები". 22.00 მხ.ფ. "ფანატიკოსი" 00.20 ჯაზ-პარნასი 01.00 მხ.ფილმი "რუსული ბუნტი"

**IST** 08.00, 12.00, 12.35, 13.50, 16.00, 16.50, 18.05, 20.20, 22.15, 00.00 კლიპ-მიქსი 10.00 "ბისი". მხ.ფ. "წარმავალი სილამაზე" 12.15 "მადიანი" 12.50, 17.05 მულტფილმი 14.00 მხ.ფ. "ინსტინქტი". მთ. როლში ენტონი ჰოპკინსი. 18.25 "Co.მედია" მხ.ფ. "უძველესი პროფესია დედამიწაზე" 20.35 პროგრამა "F" მხ.ფ. "დობერმანი" 22.30 "ბრავო" მხ.ფ. "ზეცის შვილები" 00.15 "ღამურა" მხ.ფილმი "სიყვარული მინდვრებში". მთ. როლში მიშელ სერო. 02.00 ნონ-სტოპი

**9 არხი** 09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "დამბო" 09.45 მხ.ფ. "ქარიშხალი" 12.00 "ბელისიმო" 12.25 "ევროპის სტადიონებზე" 12.30 მხ. ფილმი "მთების და ველების ქალაქი" 14.25, 16.50, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" 18.00, 20.50, 23.15, 23.55, 02.05 მუსიკა 20.00 რა? სად? როდის? 21.05 მხ. ფილმი [illegible] "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "უზადო" მთ. როლში რობერტ დე ნირო.

**VII არხი** 17.00 ანონსი 17.05 ტელეგაზეთი 17.15 სპორტული ინფორმაცია 17.20 მუსიკა 17.40 დოკ.-ფილმი 18.00 რაგბი-არგენტინა-ინგლისი 19.30 აჩიკუდა 19.40 მუსიკა თხოვნით. 20.00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. „ლიდსი-არსენალი" 22.00 ანონსი 22.05 ტელეგაზეთი 22.15 სპორტული ინფორმაცია 22.20 „ავტოპილოტი" 22.30 საფეხბურთო მიმოხილვა - „90 წუთი" 23.00 მუსიკალური ტაიმაუტი 23.25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 01.10 „კინოკლუბი„ - მხ.ფ „ღელვა" როლებში: მარტინ შინი, რენე ესტევესი.

**ОРТ** 08.45 Слово пастыря. 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Армейский магазин. 09.40, 17.30 Дисней-клуб. 10.05 Утренняя звезда. 11.10 "Непутевые заметки". 11.30 Пока все дома. 12.10 КВН-2000. 14.20 Клуб путешественников. 15.05 Эх, Семеновна! 15.45 История одного шедевра. 16.10 "БАФФИ". 17.00 Умницы и умники. 18.00 В поисках утраченного. 18.40 Спецрепортаж. 19.10 "ДДТ. 20 лет". Концерт. 20.55 Х/Ф "БЕЗ ЛИЦА". 23.30 "Времена". Программа Владимира Познера. 00.45 Время футбола. 01.25 Х/Ф "САМОРОДОК".

**РТР** 08.30 Мультфильмы. 09.20 Папа, мама, я - спортивная семья. 10.05 Почта РТР. 10.35 Доброе утро, страна. 11.15 Аншлаг. 12.15 Городок. 12.45 Русское лото. 13.25 Федерация. 14.05 Парламентский час. 15.00 Вести. 15.20 Диалоги о животных. 16.25 Планета Земля. 17.25 Два рояля. 18.25 Сам себе режиссер. 19.00 Зеркало. 20.20 Сериал "МАРШ ТУРЕЦКОГО". 22.10 Х/Ф "НА КОГО БОГ ПОШЛЕТ". Россия, 1994 г. 23.45 Закрытие Недели высокой моды. 02.20 Чемпионат России по боксу.

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15, 21.50 Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 10.15 Телеигра. 11.15 Х/Ф "ПЕС ПО ПРОЗВИЩУ СЧАСТЛИВЧИК". США, 1995 Г. 13.30 "Служба спасения". 14.00 Сериал "ЕЕ ЗВАЛИ НИКИТА". 14.55 Криминальная Россия. 15.30 Третий тайм. 16.30 "Рублевая зона". 17.25 "Большие родители". 17.55 "Путешествия натуралиста". 18.25 Без рецепта. 18.55 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.00, 23.00 Итоги. 21.35 "Куклы". 23.25 Х/Ф "ПРИНОСЯЩИЙ БЕДУ". Франция-Италия, 1972 Г. 01.25 Сериал "ПАДШИЕ АНГЕЛЫ".

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი




## საბურთალოს და ვაკის მაცხოვრებლებისთვის
ჟურნალ-გაზეთების გამოწერა სახლიდან გაუსვლელად
**საფოსტო ყუთი დამონტაჟებით, უფასოდ!**
**ტელ: 33-26-73**

## შ.პ.ს. „ფავორიტი"
გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფიულ მომსახურებას დაბალ ფასებში
წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, ბუკლეტების
რეპროდუქციას, დაკაბადონებას, ბეჭდვას და აწყობას ნებისმიერ ენაზე
ქ. თბილისი
ტელ.: 70 84 14; 899 58 96 91, 899 51 60 89


## თეატრალური აფიშა









20 ნოემბერი, 21 ნოემბერი, 22 ნოემბერი, 23 ნოემბერი, 24 ნოემბერი, 25 ნოემბერი, 26 ნოემბერი

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

## ბინები

სასწრაფოდ! დიდუბეში 1 ოთახიანი 7(8) ბინა, რკინის კარით, „ატმორით", ტელეფონით, მიშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 6.600$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ბინა №68. ტელ: 35-34-36; 34-56-65

სასწრაფოდ! 1 ოთახიანი ბინა გაზით, ტელეფონით, მუდმივი წყლით, გრძელი აივნით, სუფთა მდგომარეობაში. მის: გურამიშვილის 39ა, ბინა №47. ტელ: 62-87-78; 62-85-27 (საღამოს)

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

ან იცვლება თბილისიდან ქუთაისში 2 ოთახიანი ბინა მიშენებით, გადაკეთებული 3 ოთახად, VI სართულზე, ტელეფონით და ბუნებრივი აირით. მის: ბახტრიონის ქ. (მ. „პოლიტექნიკურიდან" ერთ გაჩერებაზე). ქუთაისში ვისურვებდით სახლს ბულვარზე ეზოთი, საფიხნის მიდამოებში (600 მეტრამდე დაშორებით). ტელ: 57-12-30. ბელფ: 2-20-02 (ქუთაისი). ნუგზარი

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

## ქირავდება

1 ოთახიანი, იზოლირებული ბინა დიღმის მასივში, თავისი ავეჯით, ბუნებრივი აირით, ბაზართან ახლოს. ტელ: 22-63-05. ლეილა

სააქციო საზოგადოება „ქალაქმშენი" ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, №16-ში, მაღლივ შენობაში აქირავებს საოფისე ფართებს, შეღავათიან ფასად. ტელ: 37-43-83. როლანდი ან ზურაბი, 10-16 სთ.

## მილოცვა



დიდი სამამულო ომის მონაწილეს, მრავალი ჯილდოს კავალერს, ქველმოქმედების ინიციატორს, 9 აპრილს დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის ცენტრის პრეზიდენტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერანთა ფონდის საპატიო პრეზიდენტს, გმირ ქალაქ ოდესის საპატიო მოქალაქეს

**გიორგი (გიგა) ალექსანდრეს ძე ცომაიას**

შვილიშვილები – ტყუპები ლაშა და ლევანი ულოცავენ გიორგობის დღესასწაულს და დაბადების 80 წლისთავს. უსურვებენ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს!

*ლაშა და ლევან ცომაიები*

**ზურა ლუაშვილს!**

ვულოცავ გაბედნიერებას, ვუსურვებ ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს!

*უცნობი*

**ღიმილის ბიჭი პატარა**

*გიორგობას ვულოცავ და ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს*

**გიორგი მოლაშვილს**

და მასთან ერთად ყველა გიორგის!

შავთვალა, ხუჭუჭთმიანი, ღიმილის ბიჭი პატარა,
ცელქი და მოუსვენარი, ვით წყაროს წყალი ანკარა.
დედ-მამის დიდი იმედი, ბებოს სინათლე თვალისა,
ჩვენი პატარა რაინდი, ქართული მიწა-წყალისა.
ფორთხვით შემოვლილ ოთახში მალე დაუვლის დავლურსა.
მუნჯურსაც გადაეჩვევა, ისწავლის ანა-ბანასა!
აარაკრაკებს ლექსებსა, ზღაპრებსაც გვეტყვის ბევრსაო,
სიმღერას რომ შემოსძახებს, მოები დასჭექენ ბანსაო.
იზარდე, ჩვენო გიორგი, კაცური გახდი კაციო,
რათა შენს სიტყვას და ნაბიჯს მუდამა ჰქონდეს ფასიო!

*ჯილდა გორდაძე*

**ტრისტან ქურხულიშვილს!**

საყვარელო მამიკო, გილოცავთ დაბადებიდან 50 წლის იუბილეს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში. ჯანმრთელობა, ბედნიერება, ულევი სიხარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*შენი ძვირფასი შვილები ირმა და გურანდა*

**ჩემი დალის შვილიშვილს!**

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში დაიბადა ჩვენი სოფო,
ნინო-ზაზას სიხარული, საყვარელი გოგო.
ულოცავენ მახლობლები, გაბრწყინებულ თვალებით,
სიყვარულის დიდი გრძნობით, მრავალჯერ ყვავილებით.
ეს ნანატრი თოჯინა, სისხლით, ხორცით ივსება,
სილამაზით, სწავლა-ცოდნით მშობლებს დაემსგავსება.
ასახელებს სამშობლოს, ეყვარება ქართული,
სწავლითა და ზრდილობით ის იქნება განთქმული!

*დიდედა თამარ კეჩხუაშვილი*

**ჩემს საყვარელ ანზორ თურქიაშვილს!**

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიკეთეს და ულევ სიხარულს. გაგეტარებინოს მთელი ცხოვრება სიმშვიდით და დიდი სიყვარულით. გისურვებ, შეგექმნას ნამდვილი ქართული ოჯახი. მიყვარხარ, გილოცავ!

*შენი ბებია*

## გთავაზობთ სამუშაოს

დავასაქმებ სასწრაფოდ, ოფისში შრომისმოყვარე, განათლებულ ადამიანებს 18-60 წლამდე, გონებრივ სამუშაოზე (ვაჭრობა არ არის), მაღალი ანაზღაურებით, მრავალი შეღავათით, საინტერესო პირობებით. ტელ: 37-30-50; 77-75-97. ლევან ტერტერაშვილი

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ჩაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ეკოლოგიურად სუფთა, სერტიფიცირებული, მხოლოდ მცენარეული პროდუქტებით დაიკლებთ ან მოიმატებთ წონაში, დამქანცველი დიეტის გარეშე, სწრაფად და უვნებლად, თვეში 7-12 კგ გარანტიით. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 899 10-97-33. კონსულტანტი ქ. ნანული

ექიმ-კოსმეტოლოგი გთავაზობთ ჭარბთმიანობის მკურნალობას სრული მორჩენის გარანტიით – ელექტროეპილაციას ინდივიდუალური ნემსით, ანესთეზიით, გაღიზიანების გარეშე. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 52-45-29

ავიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

„ცხრაკლიტული"! შეამოწმეთ თქვენი ბინისა და ავტოსადგომის უსაფრთხოება. საკეტის შეკეთება, ახლის დამატება ან კარზე ტყავის გადაკვრა ხომ არ გსურთ? ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

COMPUTER COMPANY PULSAR – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კეტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაცია. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება). კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას, სრული გარანტიით. აგრეთვე ვამზადებთ ახალ სამეულებს ტელ: 69-45-18. გიორგი

ვამზადებ გასაშლელ დივან-სავარძლებს, კუთხეს, ფერის და ზომის მიხედვით, აგრეთვე ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სკამებს, ლეიბებს, არაბული ტახტების აღდგენა-განახლებას, მყარი გარანტიით, შეღავათიან ფასად. ტელ: 61-19-84

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20; 95-38-61. ნოდარი, მევლუდი

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას – სამეულებზე, არაბულ ტახტებზე, კარადებზე, მაგიდებსა და სკამებზე. აგრეთვე, სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ასევე ვამზადებთ ახალ სამეულებს. ტელ: 95-27-88. ვანო

სანტექნიკა, წყალგაყვანილობა და კანალიზაცია – სწრაფად, იაფად და ხარისხიანად. მის: ვაჟა-ფშაველას IV კვარტ. სახლი №95ბ, ბინა №23. ტელ: 53-65-90. მიშა

დაგიმზადებთ და დაგიმონტაჟებთ ცემენტის რიკულებს – „ბალიასინებს". მის: ელიავას ბაზრობა, ჯიხური №186. ტელ: 32-48-51. სოსო

საშუამავლო ფირმა დაგეხმარებათ თანხების სესხებაგასესხებაში იპოთეკის წესით, ბინების მყარი გარანტიით. ანონიმურობა დაცული იქნება. მის: ნ. ნიკოლაძის ქ. №22. ტელ: 22-62-12; 33-44-11; 30-49-38 (საღამოს); 877 45-65-84; 897 57-82-34

სარეკლამო სააგენტო „ზევსი" დაგიმზადებთ და დაგიმონტაჟებთ ნებისმიერ სარეკლამო ლაითბოქსს, ორმხრივი ან ცალმხრივი განათებით. აგრეთვე: რეკლამა ტრანსპორტზე, მხატვრული დიზაინი (ექსტერიერი, ინტერიერი), საფირმო ატრიბუტიკა (სავიზიტო ბარათები, ბუკლეტები, საფირმო ემბლემები...). მის: ვუკოლ ბერიძის ქ. №6. ტელ: 98-85-36; 899 15-59-31

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას, უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის №23 (მეტროსთან). VI სად. (ეზოდან), ბინა 1. ტელ: 35-20-06. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს 18-20 სთ, შაბათს 12-16 სთ.

> ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მ. ცინცაძე სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშჯდომი ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პოლიართრიტს, თავის ტკივილებს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, პროსტატიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში, სრული გარანტიით. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთლისთან"). მიღება ყოველდღე, 13-16 სთ. ტ: 34-05-69; 34-62-51

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58; 97-47-24

ბავშვებში ენურეზის (უნებლიე შარდვა), ეპილეფსიის, ენაბლუობის, ალერგიის, დიათეზის, ცერებრალური დამბლის (ადრეულ ასაკში) მკურნალობა – მხოლოდ უნიკალური ბალახებით, სპეციალურად ბავშვებისათვის. ტელ: 95-33-47

> მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

ქართული ფლორის მცენარეებითა და ფრანგული პრეპარატებით გთავაზობთ ჩიყვის, საკვერცხის, თირკმლის, კისტის, ფიბრომის, საშვილოსნოს მიომური კვანძების, კუჭის წყლულის, ბუასილის მაღალეფექტურ და გარანტირებულ კომპლექსურ მკურნალობას უოპერაციოდ. მის: დ. აღმაშენებლის №115 (ეზოში), „ფანასკერტელის პოლიკლინიკა," კაბ. №3, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 95-83-54; 897 58-29-18

სიმაღლეში მომატება 20 წლამდე უნიკალური მცენარეების ექსტრაქტებით, სპეცვარჯიშებითა და მასაჟებით. მკურნალობა მცენარეებით: კოლიტი, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ნაღვლის ბუშტი; ძვალსახსროვანი, ენდოკრინული, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები; დაბალი ჰემოგლობინი; კანის, ფრჩხილების სოკოვანი ინფექციები; აგრეთვე, თავის ტვინის საკვებად. ტელ: 53-45-24

ბრონქული ასთმის, ალერგიული და სასუნთქი გზების, ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა მედიკამენტური და ჰომეოპათიური მეთოდებით, მაღალი შედეგით. მის. რკინიგზის საავადმყოფო, მე-5 სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ: 97-66-78

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული ეფექტით!!! მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკის ამოვარდნა (დისკოზი), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები). ექიმის კონსულტაციები უფასოა. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან"), ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11. ტელ: 61-02-97; 69-91-92. (კაბ). ექიმი ალექსიშვილი

ბავშვთა და მოზრდილთათვის დიაბეტის, სიმსუქნის, ნევროზის, ენურეზის (შარდის შეუკავებლობა), ეპილეფსიის, შიზოფრენიის, დეპრესიის, შიშების, ასევე სიმსივნით დაავადებულთა მაღალეფექტური და გარანტირებული მკურნალობა ქართული ფლორის მცენარეებითა და ფრანგული ფიტოპრეპარატებით! მის: დ. აღმაშენებლის №115 (ეზოში), „ფანასკერტელის პოლიკლინიკა," კაბ. №3, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. (მიღება წინასწარი ჩაწერით, ყოველდღე, გარდა კვირისა). ტელ: 95-83-54 (სამს); 93-62-42 (ბინა); 897 58-29-18

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

ვამზადებ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ: 32-16-04. ელისო

ფიზიკა-მათემატიკოსი მოამზადებს მოსწავლეებს მათემატიკურ საგნებში ან სხვა სპეციალობის პედაგოგებთან ერთად დეხმარება ყველა საგნის მომზადებაში, სასურველი ნიშნის გარანტიით და სხვა პირობების გათვალისწინებით. ტ: 39-08-42; 34-42-67

ფირმა „ზევსი" გაძლევთ საშუალებას, ინდივიდუალურად და უახლესი მეთოდით შეისწავლოთ კომპიუტერთან მუშაობა და უცხო ენები. ცოდნა გარანტირებულია. დაგეხმარებით შემდგომ დასაქმებაშიც. ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომია. მის: ვუკოლ ბერიძის ქ. №6. ტელ: 98-85-36; 899 15-59-31

## იყიდება

კეთილმოწყობილი, პრივატიზებული ბენზინგასამართი სადგური წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, 110ტ ტევადობის ჭურჭლით, 5 ჩამოსასხმელი სვეტით, კაფე-რესტორნით, თავისი კაპიტალური ფაცხებით და სხვა სათავსოებით. ტელ: 98-98-93; 899 51-49-93

> სასწრაფოდ! ტავერნა-ბარი „გეა", მუშა მდგომარეობაში. ს/ფ – 105 კვმ. მის: კუტუზოვის ქ. №4. ტელ: 99-71-58

მარადმწვანე ნერგები (ტუია, კვიპაროსი და სხვ), მწვანე ღობის მოსაწყობად. ტელ: 899 50-39-78. გიორგი

ან იცვლება!!! ავტომანქანა „კამაზი" (ფურა) საუკეთესო მდგომარეობაში („ლაზის" 10 ახალი საბურავით), კომერციულ ფართზე, თანხის დამატებით (გარეუბნების გარდა). ფასი 7.800$. ტელ: 76-07-13 (საღამოს)

საქსოვი მანქანები: „ტოიოტა" – 200$; „სევერიანკა" – 80 ლარი. ტელ: 34-30-68

გთავაზობთ MERSEDES-ის („მერსედესი") სათადარიგო ნაწილებს. ტელ: 33-13-72 (13-18 სთ); 60-34-68 (20 სთ-დან). FAX: 33-13-51

> 1. ძველებური, ყავისფერი ვიტრინა, თავისივე პატარა რვაკუთხედი ვიტრინა-ბარით. ფასი 900$; 2. „რაკუშკების" ფარდა. ფასი 100 ლარი. ტელ: 23-07-65

## სხვადასხვა

თუ თქვენ ხართ ექიმი-გინეკოლოგი და გსურთ კერძო პრაქტიკით დაიმკვიდროთ ღირსეული მკურნალის სახელი, გვერდით დაგვიდექით, ინდივიდუალურად შერჩეული მცენარეული ნაკრებებით, ყველანაირ შემთხვევაში ერთად გადავჭრით უშვილობის პრობლემას. ტელ: 877 41-06-98

კერძო ბაღი „ცეროდენა" აცხადებს აღსაზრდელთა მიღებას (2-6 წლის ჩათვლით). პედიატრ-ფიტოთერაპევტის მომსახურება, 3-ჯერადი კვება, უცხო ენები, მუსიკა, ცეკვა, სადღესასწაულო ჯგუფი, ბინაზე მომსახურება. ადგილები შეზღუდულია. ტელ: 95-83-54 (სამსახური); 34-50-58 (საბავშვო ბაღი); 897 58-29-18. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი

## ხსოვნა

**გურამ მაისურაძის მონატრება**



ცხოვრება თავისი გზით მიდის და კრიალოსნის მარცვლებივით ითვლის ადამის მოდგმის არსებობის სიცოცხლის სავალ გზას. ასე დაუწესებია ბუნებას. იბადებიან, რომ მოევლინონ; მიდიან ამ წუთისოფლიდან, რათა საუკუნო განსასვენებელში დაიკავონ უფლისაგან მიჩენილი ადგილი. 15 ნოემბერი... მერე შემოდგომა... ჩვენც ვხვდებით უშენოდ, გურამ! არადა, ვინ იფიქრებდა, რომ მოულოდნელად მიგვატოვებდი, რომ სიცოცხლის დაბადების სიხარული ტკივილნარევად დაგვრჩებოდა უშენოდ, რომელსაც ასე გიხაროდა სიცოცხლე; შენ, რომელიც სითბოსა და სიყვარულს დაუშურებლად აბნევდი შენ გარშემო. ასე როგორ გაამარჯვებინე სიკვდილს! ულმობელი და სასტიკია წუთისოფელი! წუთია ჩვენი ცხოვრება – მხოლოდ ერთი გაელვება, რამდენ სიხარულსაც გვანიჭებს, უფრო მეტ ტკივილსა და მწუხარებას გვიმზადებს. ჭეშმარიტად ლამაზი ადამიანები გვივსებენ ამ ცხოვრების ამაოებას, გვამხნევებენ და გვაძლიერებენ. საუბედუროდ, ისინი უჩინარდებიან, გვტოვებენ და ულამაზეს სულებად ზეცისაკენ ისწრაფვიან. ჩაგვიქროლა და საოცარი ღიმილი დაგვიტოვა ჩვენი ოჯახის თავკაცმა გურამმა. ვაგრძელებთ ცხოვრებას და შენც ჩვენთან ხარ. შენ დავიწყება არ გიწერია.

*ოჯახი*

*ღიმილის ბიჭი ვიყავი...*

**ზვიად მამალაძის მონატრება**



ასე გაფრინდა ორმოცი დღე თვალცრემლიანი. დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი, ჩვენო ზვიად, სამუდამო ტკივილი დაგვიტოვე შენი უბნის ბიჭებს.

ჩვენ ხომ ერთად გავიზარდეთ, ერთ უბანში დავვაჟკაცდით, ერთმანეთის სიხარულსა და ტკივილს ვიზიარებდით.

ო, მუხანათო სიკვდილო! რა მოულოდნელად, ტრაგიკულად წაიყვანე ჩვენგან ჩვენი უბნის, ჩვენი ეზოს ლამაზი ბიჭი, კარგი შვილი, კარგი მეგობარი.

მეხის გავარდნას ჰგავდა ის დღე, როდესაც ეზოში შენი დაღუპვის ამბავი მოიტანეს. მოულოდნელმა ქარიშხალმა გადაიარა, გულები დაგვიკოდა და სამუდამო იარად დარჩა ყველას გულში.

ზვიად, უსაშველოდ გვაკლიხარ, განგებამ ხანმოკლე სიცოცხლე მოგანიჭა. ალბათ სულ იმიტომ ესწრაფოდი, ჩქარობდი, გინდოდა, უფრო და უფრო მეტი მიგეღო ცხოვრებისაგან, მაგრამ... შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი აუხდენელი ნატვრა და ოცნება, სიყვარული და ბედნიერება. უდროოდ მოგეკვეცა ფრთები და უჩინარი ფრინველივით გაფრინდა შენი ლამაზი სული და შეუერთდა ზეციურ საქართველოს.

ჩვენ უძლურნი ვართ, ვერ მოგაბრუნებთ იმქვეყნიური ცხოვრებიდან. მუხანათმა წუთისოფელმა სამუდამოდ გაგვყარა ერთმანეთს. ერთს კი ვიმედოვნებთ: შენი ლამაზი სული იმქვეყნად გააგრძელებს არსებობას.

შენ მუდამ ღიმილის ბიჭად დარჩები ჩვენს გულებში.

ეკლესიაში შენი სულის მოსახსენებლად ყოველთვის იციმციმებს წმინდა სანთელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დამწუხრებული უბნის მეგობრები*

**დათო ლევანის ძე კვიჭიძის გახსენება**



23 ნოემბერი, 1982 წელი, გიორგობა შენი დაბადების დღეა.

პირველად, უშენოდ, მოუშუშებელი ჭრილობითა და გაუნელებელი ტკივილით ვხვდებით ამ დღეს. როგორ გვენატრება, ჩვენო სიცოცხლევ, შენი ლამაზი სახე, თვალები, სიცილი. 18 წელი შეგისრულდა, ჩვენო ვაჟკაცო! გილოცავთ დაბადების დღეს და ღმერთს შევთხოვთ, მოგანიჭოს ზეციური სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

გვიყვარხარ უზომოდ და გვენატრები.

*შენვან უბედური ოჯახი*

**ვახო გოჯიაშვილის გახსენება**



ვახო, შვილო, მესამე წელია, შენი ჯვრისწერის დღეს – 23 ნოემბერს ცრემლებით ვხვდებით. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები.

წმინდა გიორგი იყოს შენი კეთილი სულის მფარველი. შენ მხოლოდ 29 წლის იყავი.

*თვალცრემლიანი დედა, მამა, კახა, შორენა, მეუღლე რუსკა, შვილი ანდრო*

**ქეთი მასურაშვილის გახსენება**



1998 წლის 18 ნოემბერი – დღე მწუხარების, გლოვისა და ცრემლების, დღე შენთან განშორების, რომელიც მარადიულ ტკივილად აღიბეჭდა შენი ახლობლების სულებში. ულმობელ ავადმყოფობასთან ხომ შენი ახალგაზრდობაც უსუსური აღმოჩნდა...

რაც დრო გადის, მით უფრო გვენატრები, შენს დებს, დედ-მამას და შენს უსაყვარლეს გიორგის.

დედად გახდომის სურვილი შენთვის უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ჯანმრთელობა, სიცოცხლე. ხუთი წელი ნატრობდი დედობას და შეძელი კიდეც, ეს მშვენიერი გრძნობა გამოგეცადა. წახვედი, მაგრამ ისე, რომ ახალი სიცოცხლე დატოვე. სამი წელი ძალიან ცოტაა შვილთან ურთიერთობისათვის. შენ ხომ შენს გიორგიში განაგრძობ ცხოვრებას...

ჩვენო ქეთი, შენი გიორგი უკვე დიდი ბიჭია, წელს სკოლაში წავიდა და პირველი ზარიც მან დარეკა. ეს ყველაფერი შენ გარეშე მოხდა. შენი გიორგი ისწავლის და ისეთი ადამიანი იქნება, როგორიც შენ გინდოდა და ოცნებობდი. ჩვენ, დეიდები, მზრუნველობას არ მოვაკლებთ ჩვენს საერთო შვილს, შენს ნაწილს. ჩვენო საყვარელო ქეთი, შენი სათნოების, სითბოსა და სიკეთისათვის მარადიულ ტკივილად დარჩი შენი ახლობლების, მეგობრებისა და ნათესავების ცხოვრებაში.

ამქვეყნიური ცხოვრება რთული გამოცდაა. შენ შეძელი, იგი ლამაზად გაგევლო.

ჩვენ უფალს შევთხოვთ, დაუმკვიდროს შენს სულს ნათელი და ცხონება მარადიული.

*შენი უსაყვარლესი დები, დედ-მამა, შენი პატარა გიორგი*

**სერგო თამაზაშვილის ხსოვნას**



ტრაგიკულად დაღუპულო, ჩემო 28 წლის ბიჭო, გიორგობას 40 წლის გახდებოდი.

შენ ძალიან კეთილი და ლამაზი იყავი, ასეთადაც დარჩი ჩვენს მეხსიერებაში. დიახ, ხსოვნაც თავისებური სიცოცხლეა, ტკივილიანი სიცოცხლე.

*მამიდა*

**იოსებ ინაშვილის გახსენება**



წელიწადი სრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ.

გვეჩვენება, რომ შენ ჩვენს მონატრებას გრძნობ და ჩვენთან ხარ, უსაზღვროდ მოყვარულო, ერთგულო, უღალატო, სამაგალითო მეუღლევ, მამავ, ბაბუავ.

ბუნებით ვაჟკაც კაცს მგრძნობიარე და სათუთი გული გქონდა, ყველაფერი გულთან ახლოს მიგქონდა. გენატრებოდა შენი სოხუმი. შენი დიდი ოჯახის კარი ყველასთვის ღია იყო, რამდენი სიკეთე გაქვს გაკეთებული.

ჩვენგან ანთებულმა სანთლებმა გაგინათონ მარადიული სასუფეველი.

*შენი დიდი ოჯახი*

**ლალიკო ბალიაშვილის ხსოვნას**



იქნებ სიმბოლურია ან სულაც აბსურდული, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, ჩვენი ერთობლივი დაბადების 54-ე წელი თუნდაც იმქვეყნად მოგილოცო.

ჩემს გულსა და მეხსიერებაში ისეთივე ახალგაზრდა და მშვენიერი დარჩები, როგორიც ამ ქვეყნიდან წახედი.

მსგავსები ვიყავით, ძნელად გვარჩევდნენ. ჩვენ უსიტყვოდ, დისტანციაზეც კი ვგრძნობდით და გვესმოდა ერთმანეთის.

ახლა კი მხოლოდ ფიქრი და მოგონება დამრჩა ტკივილსა და მონატრებასთან ერთად.

ღმერთმა გაანათლოს შენი სული.

*შენი ტყუპისცალი ლილიკო*

**ჯონი კალანდაძის გახსენება**



ჩემო სულის მეგობარო, 8 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემგან წახვედი. მიმძიმს შენთვის დაბადების დღის მილოცვა, მანდ, ზეციურ სასუფეველში. იქ, სადაც შენ შემასწარი, ალბათ იმიტომ, რომ შენ ჩემზე უკეთესი იყავი და ამბობენ, უფალსაც კარგები უნდაო.

ჩემო ჯონი, ძალიან მიყვარხარ და უსაზღვროდ მენატრები. არავითარი დრო მე შენს თავს არ დამავიწყებს, არასდროს დამავიწყდება შენი უკანასკნელი სიტყვები:

როგორ დამიბარე! დოდო, „კარგად იყავიო",
გეგონა! – კარგად ვიქნებოდი უშენოდ.
არა, შეგეშალა – კარგად ვერ ვიქნები,
ვიარსებებ, მაგრამ სიცოცხლე?!
სიცოცხლე უაზროა უშენოდ.
რატომ მიმატოვე, რატომ გამიფრინდი,
ნუთუ! – ასეთი ძლიერია მამაზეციური სიყვარული?
ჰოდა, თუ წამართვა უფალმა შენი თავი,
მე მას ვევედრები!... ისე შეგიყვაროს,
როგორც მე მიყვარდი,
ისე მოგიაროს, როგორც მე გივლიდი.

18 ნოემბერს, 49 წლის გახდი და ჩვენი ერთად ყოფნის 13 წელი უნდა შესრულებულიყო, მაგრამ რიცხვი 13 – ჩვენთვის მართლაც თარსი აღმოჩნდა.

დაბადების დღეს გილოცავს ყველა, ვინც გიცნობდა. განსაკუთრებით გილოცავს დათო – ჩემი ძმა, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარდი. იცი რატომ? – შენ იყავი და იქნები ყოველთვის მამაკაცი, რომელიც კაცობაში არასოდეს იჭრებოდა. პირადად, მე, გიხდი დიდ მადლობას იმ 12 ბედნიერი წლისთვის, რომელიც მე და შენ ერთ ჭერქვეშ გავატარეთ.

*შენი მეუღლე დოდო ხუციშვილი*

# ჩაერთე და მოიგე...

## 16.X-30.XII.2000

## 18+30=48

SIM ბარათი ავანსი ჩართვა

•

## საყოფაცხოვრებო ტექნიკა

SIEMENS

•

## დასვენება საზღვარგარეთ

•

# ავტომანქანა

250-877

წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გახდეთ ჯეოსელის აბონენტი და 21 ოქტომბრიდან ყოველ შაბათს 21.00. საათზე სტუდია „მაესტროს“ ბლოკში, პირდაპირ ეთერში დაელოდოთ იღბალს.

ამ დროს თქვენი ტელეფონი აუცილებლად ჩართული უნდა იყოს! პირველ გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვნენ ჯეოსელის ქსელში 16-დან 20 ოქტომბრის ჩათვლით. 28 ოქტომბრის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვებიან ჯეოსელის ქსელში 21- დან 27 ოქტომბრის ჩათვლით და ა.შ.

- წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილოებას არ ღებულობენ ჯეოსელის თანამშრომლები, დილერები და მათი ოჯახის წევრები;

ჯეოსელი GSM

# ცხოვრებაში ის ყველაზე ნაკლებად ჰგავს ორლეანელ ქალწულს

სიმართლე რომ ვთქვათ, არცთუ ისეთი ანგელოზია მილა იოვოვიჩი, როგორსაც განასახიერებს — აგრესიული ბისექსუალი ქალი, ანდროგინის სხეულითა და 41 ზომა ფეხით. ხასიათზე ხომ აღარც ღირს ლაპარაკი. მაგრამ, აი რა არის გასაკვირი — ის ყველას სურს: მამაკაც-მაყურებლებს — როგორც ქალი, მამაკაც-რეჟისორებსაც — როგორც ქალი და კიდევ რატომღაც როგორც მსახიობი. ხოლო რაც შეეხება ქალებს, მათ უბრალოდ სურთ მილას დაემსგავსონ. რა უნდა თავად მილას? კიდევ ერთხელ მომგებიანი გათხოვება.

საერთოდ მიღებულია ბიოგრაფიის დაწყება ბავშვობიდან, მაგრამ მილას ბავშვობა არ ჰქონია — მუშაობა 10 წლის ასაკიდან დაიწყო. გოგონა კიევში დაიბადა უკრაინელი მსახიობის გალინა ლოგინოვას და ინგლისელი მოქალაქის ბოგდანოვიჩ იოვოვიჩის ოჯახში, რომელიც სპეციალობით ექიმი-პედიატრი გახლდათ, ხოლო სულით დიდი ავანტიურისტი. 5 წლამდე მილა დედასთან ერთად ლონდონში ხშირად ჩადიოდა მამასთან სტუმრად, მაგრამ მერე ბოგდანოვიჩი 20 წლით ციხეში ჩასვეს. დაიკეტა ფანჯარა ევროპაში, მაგრამ მილას დედა არ დაიბნა. გააფორმა საჭირო საბუთები და ამერიკას მიაშურა. ქალიშვილთან ერთად დაბინავდა პატარა ქალაქ საკრამენტოში, რომელიც მოსაწყენი ქალაქი აღმოჩნდა დედა-შვილისათვის და... მილას დედამ მონახა ძველი ნაცნობი რიჩარდ ავედონა — ფოტოგრაფი, რომელმაც პირველი ფოტოსერია შექმნა მილაზე და საკმაოდ წარმატებულადაც.

მილას თმას დედა უვლიდა, ბანდა სპეციალური ბალახის ნახარშით, ორთოდონტთანაც მიიყვანა, რომ კბილები გაესწორებინათ. ახალგაზრდა მილას სახე გამოჩნდა ევროპის 15 ყველაზე მოდური ჟურნალის ყდაზე. მაშინ გოგონას ერთ სამუშაო დღეში 3.500 დოლარს უხდიდნენ, რაც არცთუ ისე ურიგო იყო დამწყები მცირეწლოვანი მოდელისათვის. შემდეგ შედგა მისი კინოდებიუტი... გოგონა გააყოყოჩა წარმატებამ, რასაც მოჰყვა ორჯერ დაპატიმრება ხულიგნობისა და ნარკოტიკების გამოყენებისათვის. „დროა გავათხოვო ჩემი გოგო...“ — გადაწყვიტა მილას დედამ, რომელსაც სიტყვა და საქმე ერთი აქვს. გახდა თუ არა სრულწლოვანი, მილა ცოლად გაჰყ-



ვა მსახიობ ჯეისონ ლონდონს. ქორწილის ცერემონიის კასეტას მილამ წააწერა: „ჩემი პირველი ქორწილი“. პირველსა და მეორე გათხოვებას შორის ძალიან მცირე შუალედი იყო. ლიუკ ბესონმა მილა არა მარტო თავის მეუღლედ, არამედ თავის მუზად აქცია. მაგრამ, ძალიან მალე ლიუკმა ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი სხვა ქალში გაცვალა — არცთუ ისე ახალგაზრდა და არცთუ ისე ლამაზში. მაგრამ არც მილა დარჩა ვალში... ნახევარი წლის წინ წყვილი ოფიციალურად განქორწინდა. ახლა მილა დედიკოსთან ერთად ცხოვრობს. დედამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი შვილის სწავლა-განათლებას. აიძულებს, წაიკითხოს პუშკინი და ვერცხლის ეპოქის პოეტების ნაწარმოებები, იქირავა მათემატიკის მასწავლებელი. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის პროცესი მილას ძალიან მოეწონა. „ეს არც ისე სასიამოვნოა, როგორც მარიხუანას გაბოლება, — განაცხადა მოდელმა, — მაგრამ უდავოდ უფრო თავშესაქცევია, ვიდრე სექსი“.

***ლიზა №34***

# შუშისთვალიანი დეტექტივი

მას ჰქვია კოლომბო. ის ლოს-ანჯელესის პოლიციის ლეიტენანტია. აცვია ძველთაძველი, გაქექილი ლაბადა, დადის დანჯღრეული მანქანით, ძალიან უყვარს შავი ყავა და განუწყვეტლივ ეწევა სიგარას. და კიდევ, ჰყავს ცოლი, რომელზეც ბევრს ლაპარაკობს და რომელიც მაყურებელს არასოდეს უნახავს. ლეიტენანტ კოლომბოს ძალიან უყვარს დეტალების ქექვა და ყველას აბეზრებს თავს თავისი შეკითხვებით. „ის ყველაზე ზრდილობიანი, მომხიბვლელი, ეშმაკი და მოუქნელი ტელეპოლიციელია“, — ამბობს მსახიობი პიტერ ფალკი, რომელიც უკვე 20 წელზე მეტია, კოლომბოს როლს ასრულებს.

პიტერ ფალკი 1927 წლის 16 სექტემბერს დაიბადა. ნიუ-იორკში, პატარა საგალანტერიო მაღაზიის მეპატრონის ოჯახში. პიტერს დედა რუსი ჰყავდა, ხოლო მამის ძარღვებში პოლონური, უნგრული და ჩეხური სისხლი ჩქეფდა. 3 წლის ასაკში ბიჭს მარჯვენა თვალში სიმსივნე აღმოუჩინეს. ერთადერთი გამოსავალი ოპერაცია იყო... თავიდან მარჯვენა მხარე ახვეული ჰქონდა. როცა წამოიზარდა, შუშის თვალი ჩაუდგეს, მაგრამ პაპანაქებაში შუშა ცხელდებოდა და ქუთუთოს წიწკნიდა. უფრო პრაქტიკული აღმოჩნდა პლასტიკატის თვალი, რომელიც მსახიობს დღემდე შემორჩა.

პიტერმა წარმატებით დაამთავრა სკოლა და 1945 წელს ნიუ-იორკის კოლეჯში ჩააბარა, მაგრამ მხოლოდ ერთი თვე გაძლო, შემდეგ ფლოტს მიაშურა. სამხედრო გემზე თვალის გამო არ მიიღეს. ამიტომ სავაჭრო გემზე მოეწყო,



სადაც მზარეულად მუშაობდა. შინ დაბრუნებულმა ჩააბარა „სოციალური კვლევის ახალ სკოლაში“. პოლიტოლოგიის სპეციალისტის დიპლომით ფალკმა ცსს-ს მიაშურა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. ჯიუტმა პიტერმა „მაქსველის სკოლაში“ საქმიანი ადმინისტრირება შეისწავლა. პარტფორდში დასახლდა და კონექტიკუტის შტატის ფინანსურ სამმართველოში დაიწყო მუშაობა. რამდენიმე წლის შემდეგ უარი თქვა სტაბილურ და მაღალანაზღაურებად სახელმწიფო თანამდებობაზე და მტკიცედ გადაწყვიტა, გამხდარიყო პროფესიონალი მსახიობი. მოწაფეობისას დეტექტივის როლი ჰქონდა ნათამაშები და ეტყობა, ვერ დაივიწყა გარდასახვის ხიბლი. თავიდან ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც მას სურდა. ბროდვეის სპექტაკლებში მხოლოდ მეორეხარისხოვან როლებს სთავაზობდნენ. ერთ-ერთ ფილმში ნათამაშები მკვლელის როლის გამო ის „ოსკარზე“ წარადგინეს (1960 წ). მართალია, „ოსკარი“ ვერ მიიღო, მაგრამ პიტერ ფალკი შეამჩნიეს და მიიწვიეს სერიალში „კოლომბო“. გადაღებაზე გაიცნო მშვენიერი ელის მაო და ცოლად შეირთო. მათ ორი ქალიშვილი ეყოლათ. 16 წლის შემდეგ ცოლ-ქმარი დაშორდა, მაგრამ პიტერს დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ელისსთან.

დღეს პიტერ ფალკი, რომელმაც ითამაშა „კოლომბოს“ 68 სერიაში და კიდევ 60 ფილმში, ცხოვრობს თავის მშვენიერ 9 ოთახიან ვილაში ბევერლი-ჰილზე, მეორე ცოლთან, შერა დეინიზთან ერთად.

„კოლომბოს“ თითო სერიაში ათი ათას დოლარს იღებს. შერა 23 წლით უმცროსია ქმარზე. მიუხედავად იმისა, რომ პიტერი 60 წელია სიგარას ეწევა, ცდილობს სპორტული ფორმის შენარჩუნებას. მისი ბოლო გატაცება გოლფია და, რა თქმა უნდა, ვერ ივიწყებს ახალგაზრდობის დროინდელ ჰობის — ნახშირით ხატვას.

***მკ ბულვარი №44***

# ქრისტოფერ უოკენი: „ვოცნებობდი, რომეო მეთამაშა“...

ქრისტოფერ უოკენი როკფელერის სატელევიზიო ცენტრთან არსებული სკოლის დამთავრების შემდეგ დრამატულ როლებზე ოცნებობდა. მას რომეოს თამაში სურდა, მაგრამ რატომღაც მხოლოდ კომიკურ როლებს სთავაზობდნენ. ბროდვეიზე შეეცადა ადგილის შოვნას, მაგრამ ორი წლის მანძილზე ეპიზოდური როლების გარდა არაფერი შეუთავაზებიათ.

პირველი გამართლება „ვესტსაიდის ისტორიის“ გადაღებას უკავშირდება, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობდა პროფესიულ გამართლებას. ფილმში უოკენი მასობრივ სცენაში ჯორჯიანასთან ერთად ცეკვავდა. ორი კვირის შემდეგ ისინი დაქორწინდნენ. ცოლი მფარველ ანგელოზად მოევლინა ქრისტოფერს. მან გააცნო ქმარი ვუდი ალენს, რომელმაც მსახიობში მონათესავე სული დაინახა. სწორედ ამ რეჟისორმა მიიწვია მთავარ როლზე ფილმში „ენი ჰოლი“. ამ ფილმის შემდეგ დააფასეს უოკენი. მას მოჰყვა „ირმებზე მონადირე“ და ოსკარი საუკეთესო მეორე ხარისხოვანი როლისათვის. თითქოს წარმატებათა სეზონი იწყებოდა, მაგრამ ბედისწერა სხვაგვარად სჯიდა...



ორი თვის შემდეგ უოკენი მიიწვიეს ფილმში „სიგიჟე“, რომელშიც პარტნიორობას ნატალი ვუდი — ჰოლივუდის ერთ-ერთი ულამაზესი ვარსკვლავი უწევდა. როცა ქრისტოფერმა პირველად იხილა ქალი, მიხვდა, რომ მისი საქმე წასული იყო. ცხადია, ცოლი ძალიან უყვარდა, მაგრამ ნატალი საოცრად იზიდავდა უოკენს.

„ნატალი, სანამ გადააგდებდეთ, წაიკითხეთ ჩემი წერილი!“ — ამგვარი წარწერა ჰქონდა კონვერტს, რომელიც ქრისტოფერმა ნატალის საფოსტო ყუთში ჩააგდო. წერილში სწერდა, რომ ამგვარი რამ ცხოვრებაში პირველად განიცადა, რომ იგი ვერ ერევა თავს და ნატალის ნახვა ყოველდღე — მისი ცხოვრების აუცილებლობაა. ლამაზი ქალი გულგრილი ვერ დარჩა წერილის მიმართ. ამ დროს მისი ოჯახური ცხოვრება მსახიობ რობერტ ვაგნერთან ერთად მორიგ კრახს განიცდიდა. რამდენიმე წლის წინ ისინი დაშორდნენ ერთმანეთს, შემდეგ კვლავ შერიგდნენ და ამჯერად კვლავ განქორწინების ზღვარზე იდგნენ — რობერტი მეტად ეჭვიანი და ძალზე გაუწონასწორებელი იყო... მის ფონზე მოკრძალებული, რომანტიკოსი უოკენი ნამდვილ ანგელოზად გამოიყურებოდა.

ნოემბერში ნატალიმ ქრისტოფერი ორი კვირით საკუთარ იახტაზე მიიპატიჟა კალიფორნიაში, მაგრამ ვიღაცამ ამის შესახებ ქმარს აცნობა და გასვლის წინ იახტაზე რობერტი შეიჭრა... ეს დღეები ნამდვილი კოშმარი იყო. ვაგნერი წუთით არ ტოვებდა ნატალის, ქრისტოფერს კი ყოველ წამს ლანძღავდა და შეურაცხყოფდა. უოკენი მზად იყო უკან დაეხია, შინ დაბრუნებულიყო, მაგრამ ნატალი არწმუნებდა: „არ დამტოვო ამ გიჟთან მარტო. იგი მომკლავს“. „მაგრამ თუ დიდხანს ვეყოლები გაჩხერილი ყელში, უფრო მალე მოგკლავს“ — ცდილობდა ვუდის დაყოლიებას უოკენი. „არა, შენ არ გესმის! შენ არ იცნობ რობერტს! სანამ მისი ზედამხედველობის ქვეშ ვართ, თავს შეიკავებს. როგორც კი წახვალ, იფიქრებს, რომ საიდუმლო შეხვედრაზე შევთანხმდით და სულ გაგიჟდება“.

30 ნოემბერს დილით საოლქო პოლიციაში უცნაური წყვილი მივიდა: რობერტ ვაგნერი უოკენს მიათრევდა. ქრისტოფერი ფეხებს ძლივს ადგამდა და უაზროდ იმეორებდა. „ის დაიღუპა, დაიღუპა...“ ვაგნერმა ტომარასავით მიაგდო იგი სკამზე და პოლიციელს მიუბრუნდა: „ეს ადამიანი დამნაშავეა ჩემი ცოლის სიკვდილში“. მალე პოლიციამ წყლიდან ნატალის გვამი ამოიტანა. შეეცადნენ გამოეძიებინათ მომხდარი,



მაგრამ ვაგნერი დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ ნატალი და ქრისტოფერი მარტო დატოვა, რის შემდეგაც ქალი იახტიდან გაქრა. თავად ქრისტოფერს კი არაფრის ახსნა არ შეეძლო — იგი ძლიერი ფსიქიკური შოკის ქვეშ იმყოფებოდა. რა დაემართა ნატალის სინამდვილეში — საიდუმლოდ დარჩა. ოფიციალურ დასკვნაში ნათქვამი იყო: „სავარაუდოა თვითმკვლელობა“.

მომდევნო ახალ წელს უოკენი ფსიქიატრიულ კლინიკაში შეხვდა. მას გვერდიდან არ მოშორებია ჯორჯიანა, რომელმაც აპატია ქმარს ღალატი. ქალისთვის ერთადერთი რამ იყო მნიშვნელოვანი — უოკენის გამოჯანმრთელება. პოლიციაში დაკითხვის შემდეგ უოკენი ხმას არ იღებდა და გაუგებარი იყო, აღიქვამდა თუ არა სხვის საუბარს. ქრისტოფერი რამდენიმე თვის მანძილზე იწვა გაუნძრევლად და ერთ წერტილს მიშტერებოდა. ცოლი დაჟინებით უმეორებდა: „გესმის ჩემი, ქრისტოფერ? გახსოვს, რომ ქრისტოფერი გქვია? შენ გაგიმართლებს და მალე გამოჯანმრთელდები. უბრალოდ უნდა გჯეროდეს“. ერთ მშვენიერ დღეს ქრისტოფერმა სუსტად უპასუხა: „ჰო, ჯორჯი, წესრიგში ვარ“.

როცა უოკენი საავადმყოფოდან გამოეწერა, თითქოს კინოში აღარაფერი ესაქმებოდა. ჰოლივუდი არ ჩქარობდა, ელიარებინა მისი გამოჯანმრთელება. თავად ქრისტოფერსაც ესმოდა, რომ ჯერ შორს იყო სრული წესრიგისგან. ცხადსა თუ სიზმარში კოშმარები ტანჯავდა. ესმოდა შორეული კვნესა, ვედრება — დამეხმარეთო... ჯორჯიანამ ფსიქოთერაპევტის რჩევით გამოსავალი შესთავაზა ქმარს: „შენ უნდა განთავისუფლდე საშინელებისგან, რომელიც სულში ჩაგისახლდა. უნდა გადმოანთხიო იგი ეკრანზე. მე ერთი სცენარი გიშოვე — ბოროტმოქმედის საინტერესო როლი. შეივლი სინჯებზე?“ უოკენი დაამტკიცეს როლზე ფილმში „შეხედულება მკვლელობაზე“ — ეს იყო ახალი თავბრუდამხვევი წარმატების დასაწყისი.

უოკენი მკვლელებისა და მანიაკების როლთა შეუდარებელი შემსრულებელი აღმოჩნდა. მალე ქრისტოფერს „პლანეტის ყველაზე საშინელი ადამიანი“ შეარქვეს. ამასთან, უოკენის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. „სამუშაო საუკეთესო წამალია სტრესის დროს“, — მიაჩნია მას.

„ახალგაზრდობაში რომეოს როლზე ვოცნებობდი, — იხსენებს ქრისტოფერი. — ვფიქრობდი, ბედისწერას მოვატყუებდი, მაგრამ მან სრულიად სხვა ამპლუა მომიმზადა. რას ვიზამ, ახლა მოხარულიც ვარ. როცა თამაშობ, ცხოვრება სულაც არ ჩანს საშიში...“

***სემ დნეი***

# აბა, ვინ ვარ...

♦ *ნამდვილად გაგიჭირდებათ ჩემი ცნობა... შემიძლია დაგეხმაროთ...*

♦ *ჩემი გამოჩენისთანავე გიტყდებოდათ სიცილი... მაგარ ბიჭებს ვთამაშობდი და მგონი გიყვარდით კიდეც...*

პასუხები გამოგზავნეთ ჩვენი საფოსტო ყუთების საშუალებით.





Საქართველოში ამ ბოლო დროს ერთი სამწუხარო ტენდენცია დამკვიდრდა: ყველა პრობლემა — სოციალური იქნება ეს, ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სხვა, რატომღაც(!) მაშინვე მძაფრ პოლიტიკურ ფორმას იძენს და მავანთათვის პოპულისტური მანიპულირების საუკეთესო საშუალებად გვევლინება.

ამჯერადაც, გვსურს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ წმინდა ეკონომიკურ საკითხზე, რომელსაც პარლამენტარებმა, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ-ეკონომიკური დებატები მიუძღვნეს და შესაბამისადაც შეაფასეს. საქმე ეხება „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ მიერ ერთ-ერთი ქართული ბანკის, კერძოდ, „თბილკრედიტბანკის“ მიმართ წაყენებულ ისეთ ულტიმატუმს, რომელმაც შავ დღეში ჩააგდო არა მხოლოდ თავად „თბილკრედიტბანკი“, არამედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროც.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ალაპარაკდნენ იმის თაობაზე, რომ ზემოთ ხსენებულ ქართულ ბანკს ევრობანკთან ვალდებულებების თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა და ამის გამო მას სერიოზული შეფუცხუნება ელოდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1996 წლის დეკემბერში ევრობანკსა და „თბილკრედიტბანკს“ შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ქართულმა ბანკმა ევრობანკისგან საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის 3-მილიონიანი (აშშ დოლარი) კრედიტი მიიღო. იმ დროისთვის ბანკს გარანტად მოევლინა სწორედ სახელმწიფო , რომელსაც ახლა საგარანტიო ვალდებულებების ამოქმედებას სთხოვენ და თანაც ძალიან მკაცრად!

მას შემდეგ, რაც „თბილკრედიტბანკმა“ ევრობანკს ვერ გადაუხადა წინასწარი დაფარვის თანხა მილიონ სამასი ათასი დოლარის ოდენობით, „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ ხელმძღვანელობამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაუყოვნებლივ მოსთხოვა საგარანტიო ვალდებულებების შესრულება და „თბილკრედიტბანკის“ ვალის სახელმწიფო ვალად აღიარება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული თანხა, 3 მლნ აშშ დოლარი ანუ 5 მლნ ლარი საქართველომ თავისი ისედაც გაჭირვებული და სეკვესტრირებული ბიუჯეტიდან უნდა დაფაროს.

ევრობანკმა ფინანსთა სამინისტრო არჩევანის წინაშე დააყენა: ან სახელმწიფომ უნდა გადაიბაროს ეს 5 მილიონიანი ვალი და დაფაროს 7 წლის მანძილზე ან არადა, დაუყოვნებლივ (1 დეკემბრამდე) გადაიხადოს მთლიანი თანხა. ფინანსთა სამინისტრომ ამ ორი ვარიანტიდან (რომელთაგან ერთი ცუდია, ხოლო მეორე — უარესი), ისევ ცუდი არჩია და პარლამენტში რატიფიცირებისთვის შეიტანა პროექტი, რომლის თანახმადაც, 5 მლნ ლარი 7 წლის მანძილზე საქართველომ საკუთარი ბიუჯეტიდან უნდა დაფაროს. ფინანსთა მინისტრი დაბეჯითებით ირწმუნება — „თბილკრედიტბანკი“ ამ საქმიდან იოლად ვერ გამოძვრებაო. კერძოდ, ეროვნული ბანკი გააძლიერებს კონტროლს აღნიშნულ ბანკთან მიმართებაში და აიძულებს მას, რომ ძირითადი ქონება გირაოში ჩადოს. მთავარი აქცენტი კეთდება ფეშენებელურ შენობაზე, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობს და თავის დროზე „ივერთბანკისგან“ 3 მლნ დოლარად იქნა შეძენილი. ეს ნაბიჯიც საკმაოდ არაპოპულარულად ჩაუთვალეს „თბილკრედიტბანკს“ — სესხი არამიზნობრივად გამოიყენა და მაშინ, როცა მისი ლიკვიდურობის მაჩვენებელი უკვე საკმაოდ დაცემული იყო, ძვირად ღირებული შენობა იყიდაო. ერთი სიტყვით, რეალური სურათი ასეთია — ფინანსთა მინისტრი და ეროვნული ბანკი ზემოხსენებული პროექტის რატიფიკაციას უპირობოდ მოითხოვენ, პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობაა, თავად „თბილკრედიტბანკის“ მმართველი კი აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ სხდომას „შოუს“ უწოდებს, ამხელა აჟიოტაჟს ვიღაცების გარკვეულ ინტერესებს უკავშირებს და საკმაოდ სკანდალურ განცხადებებსაც აკეთებს. არ ვიცი, ბატონ დავით ბუაძეს გულუბრყვილობით წამოსცდა თუ განგებ „წამოიცდინა“, მაგრამ მოულოდნელად ასეთი რამ თქვა — შენობა წინასაარჩევნო პერიოდში ვიყიდეთ და ამით სახელმწიფოს „ივერთბანკის“ 5 ათასი მეანაბრის პრობლემა მოვუხსენითო. გამოდის, რომ მმართველმა პარტიამ „თბილკრედიტბანკს“ მაშინ უკვე გაკოტრებული „ივერთბანკის“ კუთვნილი შენობა აყიდვინა და ამით 5 ათასი მომადლიერებული მეანაბრის ანუ 5 ათასი ამომრჩევლის და მათი ოჯახების წევრთა საარჩევნო ხმები „ჩაიწერა“. ამაში, შესაძლოა, სიმართლის მარცვალიც ერიოს, მით უმეტეს, რომ „თბილკრედიტბანკის“ საკმაოდ მსხვილი აქციონერია შევარდნაძის მძახალი გურამ ახვლედიანი, რომელიც წინასაარჩევნოდ პრეზიდენტი ნათესავის მხარდასაჭერად, ცხადია, ყველაფერს გააკეთებდა. აღნიშნული ბანკის აქციონერია, აგრეთვე, ლევან პირველიც, რომელიც, მართალია, ამ ბოლო დროს „ახალ ფრაქციას“ დაუმეგობრდა, მაგრამ პარლამენტში სწორედ მოქკავშირის სიით და მხარდაჭერით მოვიდა.

დავით ბუაძემ ისიც თქვა, ჩვენი ბანკი ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია ბიუჯეტში, შეგვიძლია ეს 5 მლნ ლარიც ჩვენი ძალებით დავფაროთ, მაგრამ ეტყობა, ვიღაცას ხელს აძლევს ეს აჟიოტაჟიო. ერთი სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის და თავად „თბილკრედიტბანკის“ მიერ წარმოდგენილ არგუმენტებში ისეთი შეუსაბამობა გამოიკვეთა, რომ ძნელი გასარკვევი შეიქნა — ვინ იყო „ბრალდებული“, ვინ „ბრალმდებელი“ და ვინ კიდევ — „დაზარალებული“. თუმცა, დაზარალებულის როლში ყველა შემთხვევაში გამოვა „თბილკრედიტბანკი“, რომლის ფინანსური პრობლემების საქვეყნოდ აფიშირებაც ნულამდე დასცემს მის იმიჯს მეანაბრეთა თვალში, რაც სავარაუდოდ, მის გაკოტრებას და ლიკვიდაციას გამოიწვევს.



# „ᲗᲑᲘᲚᲙᲠᲔᲓᲘᲢᲑᲐᲜᲙᲘᲡ“ ᲕᲐᲚᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲡ?!

მაინც ვის აძლევს ხელს აღნიშნული ბანკის დისკრედიტაცია და ლიკვიდაცია? ამ შეუსაბამობებსა და გაურკვევლობებში გაჩნდა ვერსიებიც — ხომ არ არის „თბილკრედიტბანკის“ ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი შევარდნაძესა და ჟვანიას გუნდს შორის დაპირისპირების გაგრძელება? ეს ვერსია ლოგიკურად ასე ლაგდება: ნოღაიდელი, რომელიც ჟვანიას გუნდის წარმომადგენლად მოიაზრება, შემოდის პარლამენტში, მისივე თქმით, უალტერნატივო წინადადებით, რითაც პრაქტიკულად ისპობა პრეზიდენტის ერთ-ერთი ოჯახის წევრის ფინანსური საყრდენი ბანკის და მისი აქციების სახით. ერთი სიტყვით, როგორც დასაწყისში ვამბობდით, ეს თავით ფეხებამდე ეკონომიკური თემაც ვერ ასცდა პოლიტიზირებას და ვინ იცის, იქნებ სრულიად სამართლიანადაც. ძნელი სათქმელია, დაუჭერენ თუ არა მხარს პარლამენტარები აღნიშნულ პროექტს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ისინი საამისოდ რეალურ არგუმენტებს ვერ ხედავენ და მიაჩნიათ, რომ ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული პროექტის პარლამენტში წარმოდგენა იჩქარა.

*დამეთანხმებით, ამ დომხალიდან დასკვნების გამოტანა ძალიან ძნელია. ფაქტი ერთია — საკითხი სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს. თუ 1 დეკემბრამდე პარლამენტი „თბილკრედიტბანკის“ ვალის სახელმწიფო ვალად აღიარების პროექტს არ დაამტკიცებს, 5 მლნ ლარი წლის ბოლომდე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ევრობანკის ყულაბაში გადაინაცვლებს. ფინანსთა სამინისტრომ დეპუტატებს ფაქტობრივად გააზრების დრო და საშუალება არ დაუტოვა. 5 მლნ ლარის ჩამოჭრა კი ამ გასაცოდავებული ბიუჯეტისთვის მართლაც „წელის მოწყვეტა“ იქნება. ასე რომ, ნოღაიდელის თქმისა არ იყოს, წინადადებას მართლაც არა აქვს ალტერნატივა და მიუხედავად დეპუტატთა დიდი უმრავლესობის წინააღმდეგობისა, პროექტი ალბათ მაინც გავა პლენარულ სხდომაზე და, სავარაუდოდ, დამტკიცდება კიდეც. დაველოდოთ მოვლენათა შემდგომ განვითარებას. როგორც ეტყობა, მთავარი სკანდალი წინ გველოდება.*

*საინტერესოა რატიფიცირების შემდგომ გადაახდევინებს თუ არა სახელმწიფო „თბილკრედიტბანკს“ აღნიშნულ თანხას, თუ ესეც (როგორც ხშირად გავლენიანი პირების ჩარევის შემდგომ ხდება ხოლმე) მხოლოდ ქაღალდზე დაფიქსირებულ ვალად დარჩება.*

**ხათუნა ყვირალაშვილი**

# ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲣᲚᲛᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ 400 ᲛᲚᲜ ᲓᲐᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲜᲐ

სულ მალე, 2001 წლის ბიუჯეტი შეიძლება მოქკავშირის უბეში გამოზრდილი, ჟვანიას გუნდის წევრი მინისტრებისთვის განხეთქილების ვაშლად იქცეს. საქმე ის არის, რომ ფინანსთა მინისტრი საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის და, შესაბამისად, ნავთობპროდუქტებსა და სიგარეტზე სააქციზო განაკვეთის მომატებას ითხოვს (ტონა ბენზინზე აქციზი 100-დან 240 დოლარამდე გაიზრდება, ხოლო 1ტ ნავთზე ფიქსირებული გადასახადი 180 დოლარი გახდება. გარდა ამისა, დაწესდება გადასახადები ტოტალიზატორებსა და ლატარიებზე). შეგახსენებთ, ეს ის გადასახადებია, რომელთა ლიბერალიზაციით მიხეილ მაჭავარიანმა გასულ წელს კონტრაბანდასთან ბრძოლა წარმატებით დაიწყო. წელს კი ზურაბ ნოღაიდელი დაჟინებით მოითხოვს შემოსავლების გაზრდას და საგადასახადო შემოსავლების მინისტრს „შეუძლებელს“ სთხოვს. მაჭავარიანი თავის მხრივ აცხადებს, რომ გაზრდილი გადასახადების პირობებში გაძლიერებულ კონტრაბანდას ვეღარ დაამარცხებს და, შესაბამისად, გადასახადების აკრეფაც გაუჭირდება. ფინანსთა მინისტრს მეგობრის არგუმენტების



გაგონებაც არ სურს. მას შემოსავლები ესაჭიროება, რადგან უამრავი ხელგამოწვდილი პენსიონერი, ხელფასის მომლოდინე ადამიანი და ესა თუ ის სახელმწიფო უწყება ელოდება. მაშინ, როდესაც წლევანდელი სეკვესტრირებული ბიუჯეტი ლამისაა კვლავ შეიკვეცოს, მომავალ წელს კი სოციალური სფეროს დაფინანსებას შეიძლება ქართული ჯარი და უშიშროება შეეწიროს, მაშინ, როდესაც თითოეული 1.000 ლარის განაწილებაც კი დიდი დავის საგნად ქცეულა და ლამისაა შემოსავლების ზრდის მოთხოვნამ მთავრობის ჟვანიასეული გუნდი საბოლოოდ დაშალოს, ჩვენს ქვეყანაში უკვე 65 საწარმოა, რომელთა გადავადებული საბიუჯეტო დავალიანება 38 მლნ ლარს აღწევს და, შესაძლოა, ეს ციფრი 400 მლნ-მდე გაიზარდოს.

1998 წელს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ინიციატივით ძალაში შევიდა კანონი „საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის შესახებ“, რომლის თანახმად, უამრავ საწარმოს დავალიანება გადაუვადდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომელსაც მიმართავდნენ „შეჭირვებული“ საწარმოები და დაგროვილი ვალების გადახდის გადავადებას ითხოვდნენ. „კომისია ძალზე ზერელედ იხილავდა ამა თუ იმ წინადადებას, ფინანსთა სამინისტრო ამზადებდა პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომლის წყალობით საკმაოდ სოლიდური დავალიანებისგან დროებით თავისუფლდებოდნენ საწარმოები. პირდაპირ ვაცხადებ, კანონმა და ფინანსთა სამინისტრომ შეცდომაში შეიყვანეს პრეზიდენტი“, — აღნიშნავს პარლამენტარი ლევან გაჩეჩილაძე.

ამ კანონს 1999 წელს, მოჰყვა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელმაც გადასახადების დაფარვისაგან იხსნა 26 საწარმო, მათ შორის, ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა შპს „ჯორჯიან მინერალ ვოთერსი GMN“ (ბორჯომი), სს ქიმბოჭკო (რუსთავი), სს „ბაგრატიონი“ 1882 (თბილისი), რომელსაც მლნ 300 ათასი აქვს დასაფარი. პრეზიდენტის ბრძანებულებისა და კანონით არა მარტო დიდმა, არამედ შედარებით წვრილმა საწარმოებმაც ისარგებლეს.

„გაუგებარია, თუ რა მოტივით მოხვდა ამ სიაში შპს „ჯორჯიან მინერალ ვოთერსი — GMN“. 340,8 ათასი ლარის დროულად გადახდას არ უნდა მოეხდინა არსებითი გავლენა ამ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ან რა მოსაზრებით არის გადავადებული თანხა (310 ათასი ლარი) ფოთის წისქვილქარხნისთვის“, — აღნიშნულია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნაში. ხოლო 2000 წლის 24 ივნისის პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, პრივილეგირებულთა რიცხვს კიდევ 10 საწარმო შეემატა. მათ შორის სს „აზოტი“, რომელსაც გადავადებული ჰქონდა 15 მლნ-ზე მეტი, „რუსთავცემენტს“ — 4 მლნ-ზე მეტი, ქუთაისის ავტოქარხანას — 1 მლნ-ზე მეტი, სს „ამალთეას“ — 56 ათასზე მეტი. პარლამენტის საგადასახადო შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე აცხადებს, რომ „1998 წლის კანონიც და პრეზიდენტის ბრძანებულებებიც საგადასახადო შემოსავლების ბიუჯეტში ამოსაღებადაა მიღებული და გამოცემული. რესტრუქტურიზაციის კანონის მიღება განაპირობა იმან, რომ სხვადასხვა საწარმოებს წლების მანძილზე დაუგროვდათ ვალები, მათი ანგარიშების დაყადაღება კი ფაქტობრივად საწარმოთა გაკოტრებას ნიშნავდა. რაღა თქმა უნდა, ისინი მიმდინარე გადასახადებიდან არ თავისუფლდებოდნენ. ჩვენი მაშინდელი მიზანი იყო, გადაგვერჩინა სამრეწველო კომპლექსი“.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ეთანხმება ამ მოსაზრებას, მაგრამ აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ დავალიანებათა რესტრუქტურიზება წარმოადგენს საწარმოთა ფინანსური გაჯანსაღების ერთ-ერთ ფორმას, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც გადასახადისაგან თავის არიდების საშუალება“. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ ვალის გადავადება ხდებოდა წლიური 6%-იანი სარგებლით, მაშინ, როდესაც ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის მიხედვით, კომერციულ ბანკებში საპროცენტო განაკვეთი 24%-ს აღწევდა. „ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მეწარმე, რომელიც საბიუჯეტო დავალიანებებს არ ისტუმრებდა, უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ის, ვინც იხდიდა. ფაქტობრივად, გადამხდელი კომპანიები სულელები აღმოჩნდნენ იმ კომპანიებთან შედარებით, რომელთაც საკმაოდ სარფიან საკრედიტო რეჟიმში გადაუვადდათ დავალიანებები“, — განაცხადა საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელი კომისიის წევრმა ლევან გაჩეჩილაძემ და აქვე აღნიშნა: „ვერ დავიჯერებ, რომ აქ ძალიან სერიოზული კორუფციული მხარეები არ იყო ჩართული“.

ამჟამად ეს კომისია ფინანსთა სამინისტროში კვლავ ფუნქციონირებს, კანონი კვლავ მოქმედებს, — პრეზიდენტის ბრძანებულებაც... საწარმოთა განცხადებები ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ კვლავ შედის კომისიაში. არიან კომპანიები, რომელთაც უკვე ამოეწურათ დავალიანების გასტუმრების ვადა, მაგრამ, გაჩეჩილაძის ინფორმაციით, დღესაც არ აპირებენ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას. მომავალ კვირას საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელი კომისია საბოლოო დასკვნას წარუდგენს პარლამენტს, სადაც ამ პრობლემაზეც იქნება საუბარი. ლევან გაჩეჩილაძე პირობას იძლევა, რომ კომისია პარლამენტის წინაშე საკანონმდებლო ცვლილებების საკითხს დააყენებს, რადგან თავად კანონმდებლობა აძლევს მეწარმეებს საშუალებას, თავიდან აიცილონ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება.

საბიუჯეტო ოფისს კი აუცილებლობად მიაჩნია შევიდეს 1998 წლის კანონში ცვლილებები, რომლის თანახმად, საგადასახადო დავალიანებათა გადავადება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს და მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.

**ნათია გოგსაძე**



# ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

***გვაინტერესებს ქრისტიანობის რომელი მიმდინარეობისთვის არის დამახასიათებელი ე.წ. სალხინებლის არსებობა — კათოლიციზმისთვის თუ მართლმადიდებლობისთვის?***

***ეგაძე, ქუთაისი***

მართლმადიდებლობა იმქვეყნიურ (საიქიო) ცხოვრებაში აღიარებს მხოლოდ სამოთხეს, სადაც ღვთისმოშიშნი ხვდებიან და ჯოჯოხეთს, სადაც ცოდვილნი იტანჯებიან. მაშინ, როცა კათოლიციზმი აღიარებს შუალედურ რგოლსაც — სალხინებელს. ეს იგივე განსაწმენდელია. კათოლიკეთა რწმენით, სალხინებელში მოხვედრილ მიცვალებულს ნათესავთა და ახლობელთა ლოცვით, შეწირვით, სასულიერო პირთა შემწეობით შეუძლია გადავიდეს სამოთხეში. სალხინებლიდან სამოთხეში გადასვლის დაჩქარების პროცესში კათოლიციზმი მთავარ როლს აკისრებს ეკლესიას.

***თ. ფანჯიკიძე, თსუ რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრის გამგე***

***შეიძლება თუ არა თბილისიდან გერმანიაში ამანათის გაგზავნა და, კერძოდ, გერმანიის რომელ ქალაქში?***

***მკითხველი***

თბილისიდან გერმანიაში, ისევე როგორც, სხვა ქვეყნებში ამანათის გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ თბილისის მთავარი ფოსტამტიდან (დავით აღმაშენებლის პროსპექტი №44). ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, გერმანიის რომელ ქალაქში აგზავნით ტვირთს.

***თემურ შენგელია, მთავარი ფოსტამტის უფროსის მოადგილე***


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 18 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| **აშშ დოლარი** | 1,9800 |
| **გერმანული მარკა** | 0,8635 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | 2.8185 |
| **ევრო** | 1,6889 |
| **რუსული რუბლი** | 0,0712 |
| **თურქული ლირა (10.000)** | 0,0289 |

ᲤᲘᲠᲛᲐ «ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘ»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.

გარანტია — 10 წელი
ᲛᲘᲡ: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №142, „ᲡᲐᲛᲗᲝ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, ᲛᲔ-3 ᲡᲐᲠᲗ, ᲝᲗᲐᲮᲘ 78
☎ 63-05-26; 99-86-09; 38-37-89; 877-43-85-69

შტამპების და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი არასამთავრობო ორგანიზაციები
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

S & Co
საშუამავლო ფირმა დაგეხმარებათ
ნებისმიერი ტვირთის განბაჟებაში, აგრეთვე ბიზნეს-გეგმის დამზადებაში და კრედიტის აღებაში
უმოკლეს ვადაში, შეღავათიან ფასად
☎877-45-42-37; 877-46-59-25

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით

ფურცლებში და რულონებში
ტელეფონი: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

# საპრეზიდენტო რბოლა გრძელდება



ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ნაკლებადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ არის ან რომელ პარტიას ეკუთვნის მისი პრეზიდენტი. ძირითადი ამოცანები, რომელზეც ამახვილებდა უკანასკნელ წლებში ყურადღებას ბილ კლინტონი, ახალი პრეზიდენტის განსახორციელებელი გახდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებს პლანეტარული მასშტაბის 5 პროექტი აქვს: რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაციონალური სისტემის განლაგება, ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში მშვიდობის დამყარება, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის შერიგება, ტრანსკასპიური გაზსადენისა და ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენების პროექტები.

ჯერჯერობით, ყველაზე დიდი წარმატება კორეის ნახევარკუნძულზეა მიღწეული. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეამ შესარიგებელი ნაბიჯები გადადგეს. სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაითს, ფჰენიანში „ისტორიული“ ვიზიტის დროს, ჩრდილო კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი დაჰპირდა, რომ არ განავითარებს თავის სარაკეტო პროგრამას.

წლევანდელი წელიწადი ბალკანეთზე ამერიკისათვის ხელსაყრელად თავდება. როგორც იქნა, ჩამოაგდეს იუგოსლავიელი დიქტატორი სლობოდან მილოშევიჩი, თანაც უსისხლოდ.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაციონალური სისტემის ფართოდ განლაგებაზე აქტიურად ალაპარაკდნენ შარშანდელი წლის მიწურულში. კონგრესმა ხმა მისცა მისი პირველი ეტაპის სარეალიზაციოდ საჭირო თანხის — 32,1 მლრდ დოლარის გამოყოფას. რუსეთმა და ჩინეთმა მძაფრად გააკრიტიკეს ვაშინგტონის გეგმა, მაგრამ ამან ადმინისტრაციას უფრო მეტად უბიძგა გამოცდის ჩასატარებლად.

გამოცდა, ფაქტობრივად, ჩავარდა. კლინტონმა განაცხადა, გეგმებს შემდეგი პრეზიდენტი განახორციელებსო.

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს, კლინტონს უმძიმესი ამოცანა უნდა გადაეჭრა — ისრაელი დაეთანხმებინა პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე, მან სრული ფიასკო განიცადა, ებრაელები და არაბები ომის ზღვარზე არიან.

ნავთობსადენის პროექტებიც, ჯერჯერობით, ქაღალდზე რჩება.

***ვლასტი №44***

# მუსულმანები აშშ-ს ემუქრებიან



კატარში დასრულდა ორგანიზაცია „ისლამური კონფერენციის“ სამიტი, რომელშიც 56 მუსულმანური ქვეყნის სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურები მონაწილეობდნენ. ამ მუსულმანურ ქვეყნებში 1,2 მლრდ ადამიანი ცხოვრობს, რომლებმაც ერთხმად დაადანაშაულეს ისრაელი პალესტინის წინააღმდეგ წამოწყებული ქმედებისათვის. ამასთანავე დაემუქრნენ ისრაელის მთავარ მოკავშირეს — აშშ-ს.

სამიტზე სიტყვით გამოვიდა ორგანიზაცია „ისლამური კონფერენციის“ თავმჯდომარე, ირანის პრეზიდენტი მოჰამად ხათამი, რომელმაც აღნიშნა, რომ 2000 წლის მაისში, 18 წლიანი ოკუპაციის შემდეგ, სამხრეთ ლიბანიდან გაყვანილ იქნა ისრაელის ჯარი. ეს არის სამართლიანობის, ჩვენი ერთიანობისა და კოორდინაციის გამარჯვების დემონსტრირება, — თქვა ირანის პრეზიდენტმა. მას სხვა ორატორებმაც მხარი დაუჭირეს და ისრაელი დაადანაშაულეს. რთული სიტუაციიდან გამოსვლისათვის მათ რადიკალური ხერხები შესთავაზეს სამიტის მონაწილეთ: მაგალითად, სუდანის პრეზიდენტმა ომარ ალ-ბაშირმა მთელი მსოფლიოს მუსულმანებს ისრაელის წინააღმდეგ „წმინდა ომისკენ“ მოუწოდა. საუდის არაბეთის მეფემ აბდალამ ისრაელზე მეტად, მისი მოკავშირე აშშ დაადანაშაულა. „უნდა გავყინოთ ისრაელთან ყველანაირი დამოკიდებულება, უნდა შევწყვიტოთ ურთიერთობები იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც სურთ თავიანთი საელჩოები თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიყვანონ“ — განაცხადა აბდალამ (პირველ რიგში ეს აშშ-ს ეხება, რომელმაც სექტემბერში მოისურვა საელჩოს იერუსალიმში გადაყვანა). მუსულმანი ლიდერების აღშფოთებული რიტორიკა ძირითადად გათვლილი იყო შინაურ აუდიტორიაზე, რომელიც „აგრესორის დამხობას“ მოითხოვს. ეგვიპტის პრემიერმა ატეფ ობეიდმა სამიტს შესთავაზა, დაღუპულ პალესტინელთა ოჯახებისთვის დახმარების ფონდის შექმნა.

***კომერსანტი №205***

# სერბეთ-ჩერნოგორიის საზღვრის დემარკაცია

იუგოსლავიის ერთ-ერთმა რესპუბლიკამ — ჩერნოგორიამ გადადგა ნაბიჯი, რომელიც მალე იუგოსლავიიდან გასვლის დასაწყისი იქნება: ამიერიდან მის ტერიტორიაზე ერთადერთი ფულადი ერთეული იქნება გერმანული მარკა. მომავალში კი ჩერნოგორია დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებასაც აპირებს. ჩერნოგორიამ ბელგრადისაგან ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევა შარშან დაიწყო. მაშინ იუგოსლავიურ დინართან ერთად რესპუბლიკაში გერმანული მარკა იყო მიმოქცევაში. ამ გზით მოახერხა დაუმორჩილებელმა ჩერნოგორიამ, თავი გადაერჩინა მილოშევიჩის ეკონომიკური „მოხრჩობის“ მცდელობისაგან. ჩერნოგორიის ცენტრალური ბანკი გამოეყო იუგოსლავიის ცენტრალურ ბანკს. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩერნოგორიელებმა უნდა გადაცვალონ თავიანთი დინარები. პენსიონერები და სამხედრო მოსამსახურეები პენსიებსა და ხელფასს გერმანული მარკით მიიღებენ.

სერბეთისაგან ფინანსური გამიჯვნით ჩერნოგორიამ იუგოსლავიიდან გასვლის სერიოზული განცხადება გააკეთა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩერნოგორია „მოძმე რესპუბლიკასთან“ სხვა კავშირების გაწყვეტას აპირებს. ამას წინათ რესპუბლიკის პრეზიდენტმა მილო ჯუკანოვიჩმა სერბეთს შესთავაზა, რომ „რადიკალურად გარდაქმნან“ ურთიერთდამოკიდებულება, იუგოსლავია საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებულ ორი სახელმწიფოს კავშირად გადაიქცევა. ჩერნოგორიისა და სერბეთის კავშირს ერთობლივი ფუნქციები ექნება: არმია, ვალუტა და საგარეო პოლიტიკა. სერბეთი ჩერნოგორიის წინადადებას თუ არ მიიღებს, მაშინ, როგორც პრეზიდენტი აცხადებს, დამოუკიდებლობის რეფერენდუმს ჩაატარებს.

***კომერსანტი №206***

# სიტუაცია კვლავ გამძაფრდა

ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელობამ კვლავ შემოიღო პალესტინის ავტონომიის ტერიტორიის იზოლაციის რეჟიმი (საქმე ის არის, რომ უცნობმა ტერორისტებმა ოთხი ისრაელელი მოკლეს). ღაზის სექტორისა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მცხოვრებმა ებრაელებმა დემონსტრაცია მოაწყვეს. ისინი ხელისუფლებისაგან მოითხოვენ წესრიგის დასამყარებლად უფრო მკაცრი ზომების მიღებას. დემონსტრანტების ლოზუნგი მთავრობას მოუწოდებს: „ხელს ნუ შეუშლით არმიას, მოიგოს ეს ომი“.

ებრაელთა სათვისტომოს ლიდერების კონფერენციაზე, ჩიკაგოში მყოფი ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ბარაქი, შექმნილი სიტუაციის გამო სამშობლოში დაბრუნდა. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ „არაფატი ახალი სტრატეგიის რეალიზებას შეუდგა, რომელსაც ჰქვია „სიკვდილი გზებზე“, და იგი მზად უნდა იყოს, საპასუხო დარტყმის მისაღებად. პალესტინელები კი, თავის მხრივ, გაიძახიან: ისრაელელები არაბებს ისე ექცევიან, როგორც ნაგავსო. პალესტინის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გზიდან არ გადაუხვიოს. მოძრაობა „ფათჰმა“ პროკლამაციები გაავრცელა პალესტინელებში, რომ „ნებისმიერი გზით და ნებისმიერ ადგილზე“ გააძლიერონ ომი ისრაელელების წინააღმდეგ. „ჩვენი მიზანია, — ამოვძირკვოთ სიონისტები პალესტინის მიწიდან და აღმოსავლეთ იერუსალიმიდან“ — წერენ პროკლამაციაში.

***ნეზავისიმაია გაზეტა №216***

# ლუკაშენკომ თავად აღიარა

ამბობენ, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური ლუკაშენკოს აწვდის ინფორმაციებს. ეს რომ მართლაც ასეა, დაადასტურა ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ. როგორც გაზეთი „gazeta.ru“ იუწყება, გასულ კვირას მინსკში კოლეგებთან სასაუბროდ ჩაფრინდა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ს. ლებედევი. ლუკაშენკოსთან პროტოკოლური შეხვედრის დროს მოხდა კაზუსი. ლუკაშენკომ არც აცია და არც აცხელა — ლებედევს მადლობა გადაუხადა ანალიტიკური მასალებისთვის, რომელსაც ის სისტემატურად ღებულობს.

თვითმხილველების თქმით, საქციელწამხდარი ლებედევი იღიმებოდა, მაგრამ ვაი ამ ღიმილსო. მოგვიანებით რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა უარყო ეს ინფორმაცია.

***ვერსია***

# განტამიროვი ისევ ჩვენებას იძლევა

რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მიერ დაგეგმილი ოპერაცია ჩეჩნეთის საველე მეთაურების ხელში ჩასაგდებად, ჩაიშალა. გამორიცხული არ არის, რომ ამაში დამნაშავე იყოს გროზნოს მერი, ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილე ბესლან განტამიროვი.

საველე მეთაურები, რომელთა შორის იყვნენ არბი ბარაევი და რუსლან ცაგაროევი, გროზნოში, პერვომაისკაიას ქუჩაზე უნდა აეყვანათ. „იზვესტიას“ კორესპონდენტს რფ პრეზიდენტის თანაშემწის ს. იასტრჟემბსკის აპარატში აცნობეს: ოპერაციის მსვლელობისას 3 ბოევიკია მოკლული. შვიდი ნებაყოფლობით ჩაგვბარდაო. ამის შემდეგ პერვომაისკაიაზე მოულოდნელად გამოჩნდა ბესლან განტამიროვი თავის ხალხთან ერთად. მისი შემდგომი მოქმედება არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა: თითქოს მისი ბრძანებით განაიარაღეს სპეცდანიშნულების მებრძოლები, ამასთან ერთი მათგანი მუცელშიც დაიჭრა, ტყვედ ჩავარდნილი ტერორისტები კი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

პრეზიდენტის თანაშემწის აპარატში არაფერი უთქვამთ იმის თაობაზე — იყო თუ არა არბი ბარაევი განტამიროვის მიერ გათავისუფლებულთა შორის. ამჟამად იძიებენ, ვინ იყო გათავისუფლებულთა შორის და რატომ გააკეთა ეს განტამიროვმა.

5 საათს გრძელდებოდა ჩეჩნეთის პროკურატურაში ბესლან განტამიროვის დაკითხვა. მან ჟურნალისტებთან შეხვედრას თავი აარიდა. არსებობს რამდენიმე ვერსია იმისა, თუ რა მოხდა. ერთი მათგანის თანახმად, ჩეჩნეთის მილიციელების რაზმი და ფედერალური ჯარის ქვედანაყოფი შეცდომით დაერივნენ ერთმანეთს. მეორე ვერსიის თანახმად, ფედერალები კი არა, ჩეჩენი მილიციელები აწარმოებდნენ ოპერაციას პერვომაისკაიაზე და გვამები განტამიროვმა წაიღო ამოსაცნობად. რაც შეეხება არბი ბარაევს, ზოგიერთი მონაცემით, ის თავის მშობლიურ სოფელ ალჰან-ყალაში იმყოფება.

***სეგოდნია №214***
***იზვესტია №217***

# ახლო აღმოსავლეთმა მშვიდობის დესპანი დაკარგა



ბეილინსონის სამედიცინო ცენტრში, პეტაჰ ტიკვეში 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ისრაელის პრემიერ-მინისტრის, იცხაკ რაბინის მეუღლე ლეა რაბინი.

ლეა რაბინი დიდი ხანია უკურნებელი სენით იყო დაავადებული. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ის საავადმყოფოში იწვა და ამიტომ მონაწილეობა ვერ მიიღო მისი ქმრის გარდაცვალების 5 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიაში. იცხაკ რაბინი რელიგიურმა ფანატიკოსმა მოკლა თელ-ავივში გამართულ მიტინგზე.

პალესტინის ლიდერმა იასირ არაფატმა განაცხადა, რომ ძალიან დაამწუხრა ლეა რაბინის სიკვდილმა. როგორც ცნობილია, იცხაკ რაბინის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ებრაელების და არაბების ურთიერთობა გაცილებით თბილი იყო. არაფატი და ცოლ-ქმარი რაბინები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, 1994 წელს იასირ არაფატს, იცხაკ რაბინსა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს შიმონ პერესს ნობელის პრემია გადაეცათ მშვიდობის დარგში.

ბილ კლინტონის დეპეშაში ნათქვამია: „ჰილარი და მე გულით ვწუხვართ ლეა რაბინის გარდაცვალებას. ჩვენ დავკარგეთ ძვირფასი მეგობარი, ახლო აღმოსავლეთმა კი მშვიდობის დესპანი“. ცნობილია, რომ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და ღაზის სექტორში ერთ-ერთი უკანასკნელი შეტაკების დროს, ლეა რაბინი, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, რამდენჯერმე შეეცადა თავისი ჩარევით შეეჩერებინა სისხლის ღვრა.

ლეა რაბინი დაკრძალეს იერუსალიმში, გერცელის მთაზე, თავისი მეუღლის გვერდით.

***იზვესტია №215***

# ვისი მემკვიდრე გახდა სინამდვილეში პუტინი

10 წლის წინ მიხაილ გორბაჩოვმა გამოაქვეყნა ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურის კარდინალური რეფორმების პროგრამა, რომლის განხორციელების შედეგად ქვეყანა ათ თვეში დაიშალა.

რა დაემართა სსრ კავშირის პრეზიდენტს 1990 წლის 17 ნოემბრის გამთენიისას?

ახალგაღვიძებულმა მიხაილ გორბაჩოვმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაი რიჟკოვს დაურეკა და შეატყობინა, კვლავ მსურს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსვლა. ვაპირებ რადიკალური წინადადებების შეტანას, მათ შორის მთავრობის რეორგანიზაციის საკითხშიო.

წინა დღით, 16 ნოემბერს, პრეზიდენტი გორბაჩოვი გამოვიდა სესიაზე. მისი სიტყვა გახლდათ პასუხი უმაღლესი საბჭოს ულტიმატუმზე — 14 ნოემბერს დეპუტატთა ჯგუფის „სოიუზის“ ლიდერმა ვიქტორ ალქსნისმა ილაპარაკა ხელისუფლების კრიზისის შესახებ და პრეზიდენტს მოსთხოვა, ორ კვირაში წარედგინა დეპუტატებისათვის კონკრეტული წინადადებები ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად. უპირველეს ყოვლისა, „აფეთქებულ“ მოკავშირე რესპუბლიკებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად და თუ საჭირო გახდებოდა, „საგანგებო ზომების“ მისაღებად.



პრეზიდენტს, ფაქტობრივად, სთხოვდნენ გარკვევით ეთქვა, — ვისთან იდგა — ლიბერალებთან თუ კონსერვატორებთან.

„სოიუზის“ უკან უმაღლესი საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ანატოლი ლუკიანოვი და მისი თანამოაზრეები იდგნენ.

გორბაჩოვი ერთ დღე-ღამეს ფიქრობდა პასუხზე. 16 ნოემბერსაც შეეცადა, ინიციატივა ხელში ჩაეგდო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მისი გამოსვლა არადამაჯერებელი იყო.

მეორე დღეს კი სესიაზე, მისი გამოსვლა სენსაციური გამოდგა. მან დეპუტატებს შესთავაზა, — მინისტრთა საბჭო მინისტრთა კაბინეტად ექციათ და გორბაჩოვის დაქვემდებარებაში გადაეცათ, შემოეღოთ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, გაეუქმებინათ საპრეზიდენტო საბჭო (მასში თანაბარი რაოდენობით შედიოდნენ ლიბერალები და კონსერვატორები), თვისებრივად ახალი უფლებამოსილება მიენიჭებინათ ფედერაციის საბჭოსთვის (რომელშიც შედიოდნენ რესპუბლიკის მეთაურები).

მიხაილ გორბაჩოვმა არჩევანი კონსერვატორების სასარგებლოდ გააკეთა. სსრკ სახალხო დეპუტატების ყრილობის V სესიამ ერთი თვის შემდეგ პრეზიდენტის ყველა წინადადება დაამტკიცა. გენადი იანაევი სსრკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტად დაამტკიცეს. ედუარდ შევარდნაძემ „მოსალოდნელი დიქტატურა“ იწინასწარმეტყველა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა. ახალშექმნილ უშიშროების საბჭოში კი პირველად შეიკრიბნენ გკჩპ-ს მომავალი წევრები.

***კომერსანტი №216***

# მოკლედ

ინტერფაქსის ცნობით **დაღესტნის** ცაში დერბენდის სასაზღვრო საგუშაგოების მორიგე რაზმებმა დააფიქსირეს ამოუცნობი მფრინავი ობიექტი. მესაზღვრეების ინფორმაციით, ისინი 2 წუთის განმავლობაში თვალს ადევნებდნენ ამოუცნობ ობიექტს, რომელიც მთების მხრიდან დაახლოებით 100მ სიმაღლეზე მოფრინავდა და ზღვის მიმართულებით გაუჩინარდა. კომპეტენტური სამსახურები ამო-ს გამოჩენის ფაქტს იკვლევენ.

ჩრდილოეთ **იტალიაში** იპოვეს საავტომობილო კომპანია „ფიატის“ პრეზიდენტის ვაჟის გვამი. ფირმის დამაარსებლის შვილთაშვილის, 46 წლის ედუარდო ანიელის გვამი ხიდის მახლობლად, მდინარეში აღმოაჩინეს, ნაპირზე იდგა მისი მანქანა. შესაძლოა, ეს თვითმკვლელობა იყოს.

**ბრუნეიში** დამთავრდა აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური ფორუმის სამიტი... ფორუმში შემავალმა 19-მა ქვეყანამ განაცხადა მზადყოფნა ელექტროვაჭრობისათვის (ინტერნეტის გამოყენება გარიგების დასადებად და თანხის გადასახდელად). მხოლოდ ორი ქვეყანაა უარზე — პაპუა-ახალი გვინეა და რუსეთი.

როგორც მოსალოდნელი იყო, **ინდოეთის** უძველესი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ლიდერად კვლავ აირჩიეს 1991 წელს მოკლული პრემიერის რაჯივ განდის ქვრივი — სონია განდი.

გენერალ ლევ როხლინის ქვრივს, **ტამარა როხლინას** მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასამართლომ დაადგინა. რომ ტამარა როხლინამ მკვლელობა პირადი მოტივით ჩაიდინა. განაჩენი მოულოდნელი აღმოჩნდა ახლობლებისა და ადვოკატებისათვის. ტ. როხლინა სასჯელს მოიხდის საერთო რეჟიმის კოლონიაში.

# ხილბა ყურძენს!



ყურძნის სასარგებლო თვისებების შემსწავლელი მეცნიერების, ამპელოგრაფიის მამამთავრად ითვლება რომაელი პატრიცი ლუკულუსი, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც ლხინის მოყვარული და ღორმუცელა.

ლუკულუსი, როგორც წესი, ჭამასმას ყურძნით იწყებდა, კერძებს ყურძნის ღვინოს აყოლებდა და ქეიფსაც ყურძნით ამთავრებდა. კალიუმი, რომელიც ყურძენში უხვად არის, ხელს უწყობს შარდდენას, ხოლო ორგანული სიმჟავეები — ტუტე-მჟავიანობას აწონასწორებს. მიუხედავად იმისა, რომ პატრიცი ზომაზე მეტს ჭამდა, ამას მის ჯანმრთელობაზე არ უმოქმედია. ლუკულუსმა არ იცოდა, რას ნიშნავდა ბიოკატალიზატორი ან მჟავე ფერმენტები, ის მხოლოდ ინტუიციას ენდობოდა და სწორადაც იქცეოდა.

ყურძნისა ყველაფერი სასარგებლოა — კანი, წიპწა, რბილობი. დავიწყოთ კანით: იგი სავსეა ბალასტური ნივთიერებებით, რომელსაც გამოაქვს სითხე ორგანიზმიდან და ცხიმებსაც შლის. ამიტომ, ყურძნის დიეტა ძალზე გამოადგებათ გახდომის მსურველებს. ყურძნის კანი შეიცავს კვერციტინს და მერიციტინს — განსაკუთრებულ მღებავ ნივთიერებებს, რომელიც განეკუთვნება კიბოს საწინააღმდეგო ნატურალურ საშუალებებს. ამიტომ შავი ყურძენი უფრო სასარგებლოა, ვიდრე თეთრი. ყურძნის რბილობში თავმოყრილია მინერალები და ორგანული მჟავები, A, C და E ვიტამინები, რომელიც ხელს უწყობს უჯრედების რეგენერაციას.

წიპწაში შემავალი ტანინი ასუფთავებს ნაწლავებს, ხოლო ლინოლინის მჟავა ხელს უწყობს ანთებითი პროცესების თავიდან აცილებას.

ყურძნის ღვინო ორგანიზმში სპობს ჭარბ ქოლესტერინს, ამიტომაც ხორცს აუცილებლად უნდა დავაყოლოთ წითელი ღვინო.

***ლიზა №44***

# ჯანმრთელობის ქვა

კაჟს სამკურნალოდ უხსოვარი დროიდან იყენებენ. იგი არა მარტო ხოცავს დაავადების წარმომქმნელ ბაქტერიებს და აჩქარებს აღდგენით პროცესებს, არამედ ორგანიზმიდან გამოაქვს მძიმე მეტალები: თუთია, ტყვია, კადმიუმი. ძველთაგანვე კაჟს მეჭეჭების სამკურნალოდ იყენებდნენ. დღეს კი, ბევრი მკურნალი მას შარდკენჭოვანი დაავადებების, დიბაქტერიოზის, სხვადასხვა ანთებითი პროცესების, ტროფიკული წყლულისა და დამწვრობის სამკურნალოდ ხმარობს. ძირითადად გამოიყენება კაჟის წყალი.



კაჟის „ნაყენი“ აღადგენს იმუნურ სისტემას, ამცირებს ქოლესტერინის შემადგენლობას სისხლში, ამაგრებს სისხლძარღვებს, კარგია იმპოტენციისა და უნაყოფობის დროს. აახალგაზრდავებს კანს, აქრობს ნაოჭებს, ამაგრებს ღრძილებს და ხელს უწყობს თმის ზრდას.

კაჟის წყლის მოსამზადებლად აიღეთ მუჭა კაჟის მომცრო ქვები (7-8 ცალი, ზომით დაახლოებით 2X2), ჩაყარეთ 3 ლიტრიან ქილაში და დაასხით წყაროს, ჭის ან გაფილტრული წყალი. დააყენეთ 7 დღე-ღამე მშრალ, ბნელ ადგილას. კაჟის წყალი შეიძლება გამოიყენოთ დასაბანად, კომპრესებისთვის, დასალევად. შეგიძლიათ სვათ, რამდენიც გნებავთ. გავა რამდენიმე ხანი და ეფექტი კოლოსალური იქნება. კაჟის წყლის ახალი ულუფა იმავე ქვებით კეთდება. კაჟს შეიძლება შემცვლელიც მოუნახოთ. შეგიძლიათ აფთიაქში შეიძინოთ პოლივიტამინები. დახედეთ ყუთს, თუ ჩამონათვალში შედის Si — ე.ი. ეს კაჟია. უხვად მიირთვით ნიახური, მწვანე ხახვი, პრასი, ბოლოკი, პომიდორი და თალგამი. ყველაზე მეტი კაჟი, იგივე კრემნიუმი (ამ სახელწოდებითაა აღნიშნული მენდელეევის ტაბულაში) არის მინდვრის შვიტაში. ხალხურ მედიცინაში მის ნაყენს იყენებენ როგორც სისხლდენის შემაჩერებელს, ჰემოროიდული და საშვილოსნოს სისხლდენების დროს, ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის მკურნალობისას. ახალგამოწურული წვენი კარგია ფურუნკულოზის, ალერგიული გამონაყარის, ეგზემის, ანგინის, გინგივიტის, წყლულების, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისა და ოფლიანობის დროს. ნაყენი სასარგებლოა ფეხმძიმე ქალებისთვის კუნთების ტონუსის, ხანში შესულთათვის კი ძვლოვანი ქსოვილების გასამაგრებლად.

***ორაკული №11***


**ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ**

**ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით.**

ᲛᲘᲡ: ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲖ. №18ᵃ, ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, ᲛᲔ-6 ᲡᲐᲠᲗ, ᲑᲘᲝᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ, ᲔᲥᲘᲛᲘ **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲐᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

☎ 39-01-12 (ᲡᲐᲛᲡ.) 10-15ᲡᲗ. 39-58-77 (ᲑᲘᲜᲐ)



**ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ**

**ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲡ**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
   „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# ნაღველ-კენჭოვანი დაავადება

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲡ**

**გთხოვთ დაწვრილებით გვიამბოთ ნაღველ-კენჭოვანი დაავადების გამომწვევი მიზეზებისა და მკურნალობის შესახებ.**

***გვანცა გიორგაძე***

ნაღველ-კენჭოვანი დაავადება ძალზე გავრცელებულ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. ის ადამიანებს ძირითადად 40 წლის ასაკის შემდეგ ემუქრება (თუმცაღა, არც ახალგაზრდებს ინდობს) და უფრო ხშირად ქალაქის მცხოვრებთ აღენიშნებათ. ნაღველ-კენჭოვანი დაავადება ნაღვლის ბუშტსა თუ სადინარებში ქვების არსებობით გამოიხატება. ქვები, ძირითადად, ნაღვლის შემადგენლობაში არსებული ნივთიერებისაგან შედგება — ბილირუბინი, ქოლესტერინი, კალციუმი. ყველაზე ხშირად ე.წ. შერეული ქვები გვხვდება. ისინი ჩამოთვლილ ნივთიერებებს განსხვავებული ოდენობით შეიცავენ. რომელიმე მათგანის სიჭარბე ქვის ხასიათს განსაზღვრავს: ქოლესტერინული, პიგმენტური და ა.შ. ქვის ზომები საკმაოდ ფართო სპექტრისაა — 1-2 მმ-იდან 3-5 სმ-მდე. ფორმის მიხედვით შესაძლოა მრგვალი, ოვალური, მრავალკუთხოვანი და სხვ. იყოს.

ქვები, ძირითადად, ნაღვლის ბუშტში წარმოიშობა, თუმცაღა, ზოგჯერ ნაღვლის სადინარებშიც გროვდება. ნაღვლის ბუშტის დანიშნულება ორგანიზმში მხოლოდ რეზერვუარის ფუნქციით შემოიფარგლება. ის ღვიძლის მიერ გამომუშავებულ და სადინარებით გადაადგილებულ ნაღველს აგროვებს და საჭიროების მიხედვით თორმეტგოჯა ნაწლავში გადაისვრის. ორგანიზმში ქვების წარმოქმნის ხელშემწყობი 3 ძირითადი მიზეზი არსებობს: ნივთიერებათა ცვლის დარღვევა; ნაღვლის ბუშტის შემადგენლობაში შემავალი უჯრედების ანთებითი ცვლილება; ნაღვლის შეგუბება.

ამ ფაქტორების ზემოქმედებით ნაღველი ცხიმოვანი ნივთიერებებით ჯერდება, რის საფუძველზეც გამოლექვა ძლიერდება და იქმნება წინაპირობა ქვების წარმოსაქმნელად. ნაღველ-კენჭოვანი დაავადება უფრო მეტად ემუქრება: ჭარბწონიანებს, რომელთაც კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული პრობლემები აღენიშნებათ — შეკრულობა და ცხარე და ცხიმიანი საკვების მოყვარულებს.

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება — ნაღვლის ბუშტის კედლის დაზიანებას და ინფიცირებას. ნაღველ-კენჭოვანი დაავადება ზოგჯერ უსიმპტომოდ, ყოველგვარი გამოვლინების გარეშე მიმდინარეობს და კენჭების აღმოჩენა სრულიად შემთხვევით სხვა ორგანოებზე ჩატარებული გამოკვლევებისა თუ ოპერაციის დროს ხდება. კლინიკურად ნაღველ-კენჭოვანი დაავადება უფრო ხშირად ე.წ. ნაღვლის კოლიკით გამოვლინდება.

ტკივილი, როგორც წესი, დიეტის დარღვევის ფონზე — ცხიმიანი, მწარე საკვების მიღების შემდეგ ვითარდება. ეს, შესაძლოა, ფიზიკური დატვირთვის, ფსიქოემოციური გადაძაბვის, ხანგრძლივი ტრანსპორტირების საფუძველზეც აღმოცენდეს. ტკივილი მუდმივი, მჭრელი, მწველი, მჩხვლეტავი ხასიათისაა. ის მარჯვენა ნეკნქვეშა და ეპიგასტრიულ (დაახლოებით კუჭის პროექცია) არეში ლოკალიზდება, რომელიც შესაძლოა წელის მიდამოში), აგრეთვე მარჯვენა ბეჭის და წინამხრის მიმართულებით გადაეცეს. უფრო იშვიათად ტკივილი შესაძლოა გულის არეში დაფიქსირდეს. ეს კი სტენოკარდიის არსებობას გვაფიქრებინებს. ხშირად ტკივილს გულისრევის შეგრძნება და მრავალჯერადი ღებინება ახლავს თან (ზოგჯერ ნაღვლის მინარევით), თუმცაღა, როგორც წესი, ღებინებას შვება არ მოაქვს. კოლიკის ხანგრძლივობა რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე გრძელდება. ადამიანები ამ დროს აფორიაქებულნი არიან და ადგილმდებარეობასაც ხშირად იცვლიან, რათა მათთვის მოსახერხებელი (ტკივილის შემამსუბუქებელი) მდგომარეობა მიიღონ. შეტევის დროს სხეულის ტემპერატურა ნორმალურია. აღინიშნება გულისცემის გახშირება 100-მდე წთ-ში. კოლიკის გავლის შემდეგ ადამიანები ჩვეულებრივ თავს კარგად და საღად გრძნობენ. თუმცაღა, შესაძლოა მარჯვენა ნეკნქვეშა არეში მათ სიმძიმის და ყრუ ტკივილის შეგრძნება გაუჩნდეთ, რომელიც დიეტის დარღვევის ფონზე, მეტეორიზმის, ფაღარათის დროს გამოჩნდება, ხშირია გულძმარვა და პირში მწარე გემოს შეგრძნება.

ნაღველ-კენჭოვანი დაავადების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გართულება ნაღვლის ბუშტის მწვავე ანთება — ქოლეცისტიტია.

მოხუცებში მწვავე ქოლეცისტიტისთვის დამახასიათებელი სიმპტომები სუსტად გამოვლინდება. ასეთ შემთხვევაში ხშირია გართულებები და დიაგნოზის დასმაც ძნელდება. პათოლოგია შესაძლოა დიდი ხნის მანძილზე უსიმპტომოდ „არსებობდეს“. ნაღველი ქვებს „გვერდს უვლის“ და თორმეტგოჯა ნაწლავში ჩაედინება. მაგრამ ზოგჯერ ქვები გადაადგილდება და შესაძლოა ნაღვლის სადინარი დაახშოს. ამის საფუძველზე ნაღვლის ბუშტში წნევა იმატებს, ყრუ ტკივილი იწყება და ე.წ. მექანიკური სიყვითლე ვითარდება.

**დიაგნოსტიკა:** კონტრასტული ნივთიერების მიღების ფონზე რენტგენოგრაფიით და ულტრაბგერით დგინდება.

**მკურნალობა**: ქირურგიულია, რადგანაც თანამედროვე მედიცინა ქვების დამშლელ სამკურნალო პრეპარატებს, ჯერჯერობით, არ ფლობს.

**ქირურგიული მკურნალობა** რეკომენდებულია: მედიკამენტური მკურნალობის უშედეგობის; გართულებების განვითარების საშიშროების დროს.

გახსოვდეთ! ნაღველ-კენჭოვანი დაავადების დროს ნაღვლის ბუშტის სიმსივნური გადაგვარების რისკიც არსებობს (3%)!

მწვავე ქოლეცისტიტს მკურნალობენ სტაციონარში, ქირურგის მეთვალყურეობით. ზოგჯერ საჭირო ხდება სასწრაფო ოპერაცია. შეზღუდულია საკვების მიღება, დაშვებულია ტუტე რეაქციის სასმელები. ტკივილის მოსახსნელად არანარკოტიკული ანალგეტიკები გამოიყენება. აკრძალულია სათბურის გამოყენება, სასურველია მარჯვენა ფერდქვეშა არეში ყინულის პარკის მოთავსება. თუკი ამ ღონისძიებების შედეგად 48-72 სთ-ში პაციენტის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა და მუცელში ტკივილმა მოიმატა, საჭიროა ოპერაცია — ნაღვლის ბუშტის ამოკვეთა. ამჟამად წარმატებით გამოიყენება ე.წ. ლაპარასკოპიული (უსისხლო) ოპერაციებიც.

***მაია მუხიგული***


**MEDI ᲛᲔᲓᲘ**

**ᲚᲐᲖᲔᲠᲣᲚᲘ ᲔᲞᲘᲚᲐᲪᲘᲐ**



- ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲖᲔ
- ᲩᲮᲕᲚᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ
- ᲣᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲝᲓ
- ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ
- ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲗ

**ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ**

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘᲡ ᲚᲐᲖᲔᲠᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲗ**

**Ი.ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. N70 25-02-02 22-50-43**



**„HERBAL V“ „ᲰᲔᲠᲑᲐᲚ ᲕᲘ“**




**ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ, ᲛᲐᲦᲐᲚᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ**

**HERBAL V Y — ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.** — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით; — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს; — „ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვიული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა.

**HERBAL VX — ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.** — სექსუალური პრობლემები მავნე ზემოქმედებას ახდენს როგორც მამაკაცის, ასევე ქალის მთელ ორგანიზმზეც და იწვევს ნევროზებს და რიგ სერიოზულ დაავადებებს. „ჰერბალ ვი“-ს ქალების ვარიანტი აძლიერებს სექსუალურ ლტოლვას, ააქტიურებს სასიცოცხლო ძალებს, ამცირებს წინამენსტრუალურ და პრეკლიმაქსურ დაძაბულობას და მატებს ენერგიას.

**HERBAL VY** და **HERBAL VX** — მამაკაცებისა და ქალებისათვის — „ვიაგრას“ უაღრესად პოპულარული მცენარეული ალტერნატივა მთელ მსოფლიოში! **ინგლისურ-შვეიცარული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.**

**ᲐᲘᲓᲔᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ!**

**მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.**

**„ᲡᲕᲘᲡᲰᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲔᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲢᲝᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲤᲚᲝᲠᲔᲢᲘ“ Ტ: 99-87-37**

## ელოდეთ „კვირის პალიტრის“ საოცარ პროექტს

ვიფიქრე, ვის გავუზიარო ჩემი განწყობილება-მეთქი. ისევ თქვენ აგირჩიეთ.

ეს ისეთი გრძნობაა, მარტო ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის საამბობად ვერ გავიმეტე, თქვენც გიზიარებთ...

ამ მობილური თუ ვიდეოტელეფონების წყალობით ხმოვანი და სახიერი კონტაქტი მყარდება ადამიანებს შორის. აგერ, გუშინწინ ავსტრალია მიუწვდომელი და შორეული იყო. დღეს ასე აღარ არის. ჩემი კარის მეზობელია წასული საშოვარზე და ხანდახან მშობლებს ურეკავს ხოლმე. ისე ისმის ხმა, თითქოს ყურისძირში იყოს ეს ჩვენი კობა!

კარგი რამ არის ტელეფონი, მაგრამ რაღაც ინტიმი, გულისგულისა და სიღრმე ნამდვილად აკლია.

წერილი სულ სხვა რამეა...

### ისევ თქვენ აგირჩიეთ...



ბარათში გულს გადაუხსნი ადამიანს, სულის მოძრაობას აგრძნობინებ, ენდობი და გენდობა...

იმ ზაფხულს ჩვენი სტუდენტური ფოლკლორულური ექსპედიცია ფშავ-ხევსურეთს გაემართა. ვაჟა-ფშაველას საოცარ სამყაროში გადავინაცვლეთ ერთი თვით. მოვიარეთ ფშავი, ავედით ხევსურეთში. უამრავი ლექსი და ლეგენდა ჩავიწერეთ. არაჩვეულებრივი ხალხი გავიცანით — სახედაკეჭნილი, ერთი შეხედვით უხეში კაცები და დედოფლის სწორი ამაყი დიაცები, რომელთაც უსაზღვროდ პოეტური სული ჰქონდათ...

ყველა ბილიკი და წავარნა, ყველა ჭაუხი და ხეობა უსაშველო სილამაზეს გვიშლიდა თვალწინ და უკვე ვხვდებოდით, რად იყო „ნისლი მთების ფიქრი და კაცობის გვირგვინი“, ან რას ნიშნავდა ეს საოცარი ნატირალი — „ცელო, გამიჭერ, გზისპირია, გამაივლიან და სირცხვილია“... ჩვენც გავითავისეთ, რომ ხატის კარს დიაცი ვერ მიეახლება, ხატის ტყეში ფეხაკრეფით უნდა იარო და იქიდან წკირს ვერ გამოიტან...

ავაღწიეთ იდუმალ და „საშიშ“ ბარისახოში. ეს ულამაზესი სოფელი ამგვარად იმიტომ გვეჩვენებოდა, რომ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების ხიფათიანი მოგზაურობანი 30-იან წლებში, არაერთგზის გვქონდა მოსმენილი...

დიდი სიყვარულით დაგვხვდა ხევსურთა „დედაქალაქი“. იქაურებმა — ვაი, შვილებო, ამ მთავრობას რა ვუთხარ, ასეთი ბატარაები რომ გამოგგზავნათ სამუშაოდო, — შეგვიბრალეს.

სკოლა-ინტერნატში დავბანაკდით და ფოსტა-ტელეგრაფს მივაშურეთ. ამ ცივილიზაციის კერაში მოხვედრილთ მშობლების მონატრებამ უნებურად დაგვრია ხელი და ყველას შინ დარეკვა მოგვინდა, თანაც, ახლობლებთან შეთანხმებისამებრ, აქ მათი წერილები უნდა დაგვხვედროდა.

— ჰაი, ჩემო ქალნო, სატელეფონო ხაზი რა ხანია, დაზიანებულია და ქალაქით ფოსტა იშვითადღა ჩამააქვთა, — შეწუხდა ფოსტის გამგე.

ყურებჩამოყრილნი გამოვბრუნდით.

მაგრამ ეს გულისწყვეტა არხოტმა და შატილმა გაგვიქარვა.

ერთი თვის შემდეგ დავბრუნდით თბილისში. წამდაუწუმ ვიხსენებდით მთაში გადამხდარ ფათერაკებს, იმ განცდითა და სიყვარულით ვსუნთქავდით.

ერთ დღეს, ლექციებიდან შინ მისულს პაპამ უჩვეულო ნობათი დამახვედრა — ბარისახოში ჩემთვის გამოგზავნილი წერილი, რომელსაც ორი თვე უმოგზაურია ფოსტით და ადრესატის (ანუ ჩემი) არყოფნის გამო, სხვადასხვანაირი შტემპელებით დამშვენებული უკანვე დაბრუნებულა. კონვერტს ხელი ვტაცე და გახსნა დავაპირე. პაპამ გამაჩერა, წერილი გამომართვა და მითხრა: ნუ გახსნი, შეინახე და როდესაც ცხოვრებაში ძალიან გაგიჭირდება, როცა შენ გვერდით აღარ ვიქნები და ძალიან მოგენატრები, მაშინ წაიკითხეო.

მეუცნაურა ეს ამბავი, მაგრამ არ გავურჩებივარ.

მალე ჩემი უძვირფასესი პაპა გარდაიცვალა.

თითქმის აღარც მახსოვდა ის სათუთად გადანახული ბარათი... წლები გადიოდა და რამდენჯერაც გადავაწყდი, იმდენჯერ განზე გადავდე — ცდუნებას გავუძელი.

ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ...

პაპისეულ წერილს დავცქეროდი და ერთხელაც მასთან გასაუბრების სურვილმა კონვერტი გამახსნევინა. სუნთქვა შემეკრა, ისეთი სითბო და სიყვარული გადმოიღვარა დრო-ჟამისაგან გაყვითლებული ფურცლებიდან.

რა იყო ეს?

გული უგრძნობდა, რომ ათეული წლების შემდეგ კიდევ შეხვდებოდა თავის სისხლსა და ხორცს?

ყოველმა სიტყვამ სხვაგვარი დატვირთვა მიიღო...

როგორ მეფერებოდა, როგორ მამხნევებდა, როგორ მომიწოდებდა გავმკლავებოდი ცხოვრებისეულ პრობლემებს, სევდას, ტკივილს, სიხარულსაც! ვყოფილიყავი ამტანი, კაცთმოყვარე, სულგრძელი...

ეს იყო ლმობიერი დარიგება და — ანდერძი...

მას შემდეგ, სულიერი შეჭირვების ჟამს, სათუთად ვხსნი ამ საოცარ ბარათს და თითქოს ცოცხლდება ჩემთვის ძვირფასი ადამიანი. ისევ მეფერება, ისევ გვერდით მიდგას, ისევ მამხნევებს...

რა ძალა ჰქონია სიტყვას, მით უფრო წინაპართაგან ნათქვამს და ჩვენამდე მოღწეულს...

ახლახან ვინ იცის, მერამდენედ, გადავიკითხე გაცრეცილი ბარათი და კვლავ შემძრა...

ვიფიქრე, თქვენთვის გამეზიარებინა ეს განცდა...

***ნუცა დუმბაძე***

## გეტყობათ, თქვენ ქართველი არ უნდა იყოთ...

ამთავითვე ვიტყვი: არც გულზე მჯიღის მობაგუნე კოსმოპოლიტი ვარ და არც კბილებდაღრეჭნილი შოვინისტი. ნაციონალისტი უფრო მქვია, ამ სიტყვის ზომიერი გაგებით — ჩემი ერი ყველა სხვა ერს მირჩევნია, მაგრამ არც სხვისი კარგი მბოღმავს და მიფრთხობს ხოლმე ძილს.

საპროექტო ინსტიტუტის ძებნაძიების განყოფილებაში ჩემთან ერთად სტასიკა და რაფიკა მუშაობდნენ. ორივე თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი, ქართული — მშობლიურ ენად და საქართველო — სამშობლოდ მიაჩნდათ, მაგრამ ჟამს მოიხელთებდნენ თუ არა, ერთმანეთს არ აცლიდნენ ჩამოთვლას:

— კონიაკი, ტო? ერევნის კონიაკი მსოფლიოში პირველია!

— რისი „ბორჯომი“, ტო? ამერიკის პრეზიდენტი მარტო „ჯერმუკსა“ სვამს!

— იჯევანის ბაზალტისაგან სინთეზურ ძაფს ამზადებენ?! ინგლისის დედოფალი მხოლოდ იმ ძაფით იქსოვს კაბას, ტო!..

— მწვერვალი არარატი წელიწადში სამი სანტიმეტრით იზრდება და მალე ყაზბეგსა და იალბუზზე მაღალი იქნება!... მააშ!..

— ჩვენი ტუფი, ტო? მაგისი ბადალი მსოფლიოში არ არი!..

და ასე შემდეგ...

ერთხელაც ახალციხეში მოვხვდით სამივენი, საკაბელო ტრასას ვიკვლევდით, რომელსაც მესხეთი და აჭარა სარელეო ხაზით უნდა დაეკავშირებინა ერთმანეთთან. ტრასა გოდერძის უღელტეხილზე გადიოდა, ამ ადგილებში პირველად ვიყავით.

ახალციხიდან ადრიანად გავედით. ღიღინ-ღიღინით მართავდა სტასიკა თავის „ერაზს“ („მსოფლიოში საუკეთესო მანქანას“). ნახევარ საათში გავიარეთ მაჩვენებელი — „უტყვისუბანი“. გამახსენდა — ერთი ამ სახელწოდების სოფელი (ცხადია, ქართული სოფელი) დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეცაა.

აქედან ორ ნაბიჯზე გოდერძის უღელტეხილი იწყებოდა.

ორასიოდე მეტრიც გავიარეთ და „ერაზის“ („მსოფლიოში საუკეთესო მანქანის“) ძრავა საეჭვოდ აძიგძიგდა და არახრახდა. სტასიკამ მიაყურა, თავი გადააქან-გადმოაქნია, ერთი გადმოგვხედა, მერე ღია სარკმელში გადააფურთხა, შეიგინა და ავტომანქანა მწვანედ შეღებილ ჭიშკართან შეაჩერა.

— რა დაემართა? — ვკითხე.

— რა ვიცი, მე მაგის... წყალი ადუღდა რატომღაც...

ჩამოვქვეითდით. სტასიკამ ძრავაში ჩაჰყო ცხვირი. ჭიშკარს მივადექი და კარმიდამო შევათვალიერე. ვრცელი, კოინდარით დაფარული ეზო იყო, ბებერი მსხლის, ვაშლის, კომშის ხეებით დამშვენებული. სახლი სიღრმეში იდგა, პირველი სართული ქვისა იყო, მეორე — ფიცრული. გვერდით ლამაზად მოჩუქურთმებული პარმაღიანი სამზადი ამოსდგომოდა. მოშორებით სასიმინდე მოჩანდა.

— წყალი არ ექნებათ? — ჩაიღმუვლა სტასიკამ.

იმას წყალი ალბათ მანქანისთვის სჭირდებოდა, მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ მწყუროდა და მშიოდა. ბიჭებიც ამ დღეში იქნებოდნენ ალბათ — წინა საღამოს ნაქეიფარი ვიყავით და დილით ხემსი არ აგვილია.

— მასპინძელო! — გავძახე ეზოს. წუთით შევიცადე და ძახილი გავიმეორე.

სამზადის კარი გაიღო და გარეთ თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი გამოვიდა.

აუჩქარებელი, დინჯი ნაბიჯით მოადგა ჭიშკარს.

— გამარჯობათ! შემობრძანდით!

ჩაკირული ბიჭი იყო, ბრდღვიალათვალება. არწივისებური ცხვირი და ხშირი წარბები ჰქონდა.

— არა, შიგ არა, — ვიუარე, — ჭა თუ გაქვთ? წყალი გვინდოდა.

ბიჭმა მანქანას გახედა.

— ახლავე მოგიტანთ, — თქვა და გაბრუნდა.

— ბიჭი! — მიადევნა რაფიკამ, — ერთი პური ხომ არ გექნებათ სახლში, ზედმეტი, გადავიხდით.

მოიხედა, თავი დააქნია და სამზადისკენ წავიდა.

მალე ისევ გაიღო სამზადის კარი და ბიჭი გამოვიდა. თან მასზე უმ



ცროსი თეთრკაბიანი გოგონა გამოჰყვა. ბიჭს ცალი ხელით თუჯის მოზრდილი თავდახურული ქვაბი მოჰქონდა, მეორით — წყლით სავსე ვედრო. გოგო ხონჩით თეთრხელსახოცგადაფარებულ ვეება ხმიადს მოარონინებდა.

ბიჭმა ქვაბი მოლზე დადგა, ჭიშკარი გააღო, წყლიანი ვედრო სტასიკას მიაწოდა და რატომღაც მე მომმართა:

— ეზოში შემობრძანდით! რაკი გზას ადგახართ, აქვე, მოლზე ისაუზმეთ.

ბავშვებმა ხელსახოცი გაშალეს ბალახზე, ხმიადი და თავი ყველი ზედ დაალაგეს. ხონჩაზე სამი ხის კოვზიც ეწყო. ბიჭმა ქვაბს სახურავი ახადა — მაწვნით იყო პირთამდე სავსე.

— წუხანდელია. ცივი მაწონი გესიამოვნებათ. მობრძანდით!

ყველაფერი გულით იყო მორთმეული. შევედით.

გადასარევად გემრიელი გამოდგა მაწონი, ყველი — კიდევ უკეთესი, ხმიადი — თბილი და სურნელოვანი.

— უჰ, მისწრებაა პირდაპირ, — ამოიკვნესა სტასიკამ.

— უფროსები არ არიან შინ? — დაინტერესდა რაფიკა.

— ყველანი სათიბში არიან, — მოკლედ მიუგო ბიჭმა — მთაში.

— მაშ, ეს ხმიადი ვინ გამოაცხო?

— ამან, — ბიჭმა გოგოს გადახედა.

— შენი დაა?

— არა, მეზობელია. მაწონიც ამან ჩააყენა გუშინ, — გაიღიმა.

— წუხელ ერთად გეძინათ? — სტასიკა გაიღრიჭა. ბიჭი ვერ მიხვდა შეკითხვის ფარულ აზრს.

— ჰო, — თავი დაუქნია.

— საცოლე ხომ არ არის შენი? — როყიოდ ჰკითხა სტასიკამ და კარგა მოზრდილი ყველის ნაჭერი პირში ჩაიტენა.

ბიჭს სახე აელეწა, დაკვირვებით შეხედა უცხოს და მწარე დაცინვით გაიღიმა:

— გეტყობათ, თქვენ ქართველი არ უნდა იყოთ...

ლუკმა ყელში გამეჩხირა.

— ეს თქვენი უტყვისუბანი დიდი სოფელია? — უხერხულობის გასაფანტავად ვიკითხე.

ბიჭმა მადლიერი მზერით შემომხედა.

— არა, სულ ოთხი კომლიღა დავრჩით. წინათ დიდი სოფელი ყოფილა.

— მერე, სკოლა?

— ახალციხეში დავდივართ სკოლაში. ხუთი კილომეტრია.

დავნაყრდით. დრო არ ითმენდა, გზას უნდა დავდგომოდით.

— დიდი მადლობა, ბიჭო! — სტასიკა, ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და... — მაპატიე, თუ გაწყენინე, — ჩაიბურდღუნა.

იმას არც შეუხედავს, მხრები აიჩეჩა.

ჯიბეზე ხელი გავიკარი, თან მეუხერხულებოდა, თან...

— რამდენი? — ენა დამება. — ხუთი ლარი იკმარებს?

გამანადგურებელი მზერით შემომხედა:

— მე რომ ქალაქში ჩამოვიდე, — წყნარად, მაგრამ მკაფიოდ მიპასუხა, — და ლუკმაპური გთხოვოთ, ფულს გადამახდევინებთ?

ენა ჩამივარდა.

ახლოს მივედი, ხელი გავუწოდე. მარჯვენა შემომაგება და ისეთი სითბოთი გამიღიმა, მივხვდი, რომ მაპატია. პატარა, თუმცა მაგარი ხელი ჰქონდა. თავზე ხელისგულის გადასმა მომინდა, მაგრამ ვერ შევბედე. კარგა ხანს მეჭირა მისი ხელი, ერთმანეთს თვალებში შევყურებდით და ვიღიმებოდით.

მერე გოგოს მივუბრუნდი, დავიხარე და მაღალ, ნათელ შუბლზე ვეამბორე.

უჩვეულო და განსაკუთრებული ხომ არაფერი მომხდარა თითქოს, მაგრამ ამ ამბის შემდეგ სტასიკასა და რაფიკას არც სომხური ტუფითა და არც არარატით აღარ მოუწონებიათ თავი...

***ნუგზარ აფხაზავა***


## 8 დღე და თქვენ 10 წლით ახალგაზრდა ხართ



„ჩვენ იმდენი წლის ვართ, რამდენადაც გამოვიყურებით”-ეს ცნობილი ფრაზა იმაზე მეტყველებს, რომ საუბედუროდ, ადამიანი გარეგნულად ბევრად უფრო ადრე ბერდება, ვიდრე ის ამას შინაგანად გრძნობს.

ადამიანები მუდამ ეძებდნენ ახალგაზრდობის ელექსირს. საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ შეემუშავებიათ მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ნაოჭების მოშორება სკალპელის გარეშე. მათი ძიება წარმატებით დაგვირგვინდა და დღეს ეს სასწაული რეალობა გახდა. ისრაელის სპეციალისტების მიერ შედგენილმა ბიოლოგიურმა ნიღაბმა შეძლო წლების პირიქით შემოტრიალება.

ერთი ამგვარი ნიღაბი ცვლის ერთობლივად ოთხ ურთულეს და უძვირეს ოპერაციას: ღრმა ლაზერულ პილინგს, ნაოჭების, პიგმენტური ლაქების და ნაწიბურების მოშორებას, კისრის და სახის კანის დაჭიმვას და ზედა-ქვედა ქუთუთოების პლასტიკას.

ისრაელის ნიღაბი შეიცავს მხოლოდ ნატურალურ ზეთებს, ეთერულ კომპონენტებს და მინერალებს. ის ფაქტობრივად ადნობს კანის ზედა ფენას, ამაგრებს კოლაგენის შრეს და ხელს უწყობს ახალი, ახალგაზრდა და მკვრივი კანი.ს განვითარებას.

ნიღაბი სახეზე ერთი დღე - ღამით თავსდება, მისი მოცილების შემდეგ კი 7-8 დღეში ყალიბდება ახალი, ჯანსაღი კანი. ეს პროცესი პრაქტიკულად უმტკივნეულოდ და მინიმალური დისკომფორტით მიმდინარეობს.

„ისრაელის ბიოლოგიური ნიღაბი” უნიკალური შედეგების გარანტიაა, რომელთა მიღწევაც შეუძლებელია სხვა ნებისმიერი გზით.

ამ მეთოდით სარგებლობა შეუძლია ყველას, 20-დან 80 წლის ასაკამდე, ვისაც სურს განთავისუფლდეს ნაოჭებისაგან, პიგმენტური და ასაკობრივი ლაქებისაგან, გამონაყარის შემდეგ დარჩენილი კვალისგან ან უბრალოდ, უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს.

„ისრაელის ბიოლოგიურ ნიღაბს” კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი – პერმანენტული ეფექტი გააჩნია, ანუ ერთხელ მიღწეული შედეგი 1 წლის შემდეგ უკეთესია, ვიდრე 6 თვეში. 3-4 წლის შემდგომ კი მაქსიმალური ეფექტი მიიღწევა.

დღეს მსოფლიოში უნიკალურად აღიარებული „ისრაელის ბიოლოგიური ნიღაბი” ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს მოსახლეობისთვისაც.

სამედიცინო ცენტრი „მედი” გთავაზობთ ამ უახლესი მეთოდით მკურნალობას უმაღლესი კატეგორიის ექიმების დახმარებით. კომფორტული ატმოსფერო კი თქვენი მკურნალობის პროცესს სასიამოვნოს გახდის.

**„მედი”**

**ი. ჭავჭავაძის გამზ. №70**

**ტელ: 25-02-02; 22-42-73**

## ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲕ!

*ძალიან ბევრი გვესმის საზოგადოება „მძლეველის“ შესახებ. მისი წევრები ქუჩებში აგროვებენ გამვლელთა ხელმოწერებს. გთხოვთ გვიპასუხოთ, ვინ არიან ისინი, რა სურთ და ვენდოთ თუ არა?*

**მკითხველთა ჯგუფი**

# მომავალ პრეზიდენტს აკაკი ჯორჯაძე დაასახელებს(?!)

ახალი მოძღვრება, რომელმაც მსოფლიო უნდა შეაზანზაროს, თურმე საქართველოში შობილა. ჩვენ კი, გულგრილი ქართველები, წესიერად არც კი ვუსმენთ ღვთის მიერ ჩვენზე გარდამოვლენილ სასწაულს — სიტყვას, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას რომ გვამცნობს. უფრო მეტიც. აგერ, ჩვენ გვერდით ცხოვრობს „ღვთისსიტყვამიღებული“ ანუ „სასძლო კაცი“, რომელიც გვარწმუნებს, რომ საიდუმლო „გზა ხსნისა“ მხოლოდ მან იცის, თუმცა დიდი პოლიტიკის და ბიზნესის „მამები“ მაინც არ უჯერებენ. „სასძლო კაცი“, მწერალი აკაკი ჯორჯაძე აცხადებს: „რასაც ისმენთ ჩემგან, ჩემი არ არის, იგი მამისაა — მაღალი ღმერთის და ახლა ამ სიტყვების წამკითხველთ ღმერთთან გიწევთ გასაუბრება... დროსა და სივრცეში დედამიწაზე მეორედ მოსვლაა. მხოლოდ რწმენა გადაგვარჩენს“.

**— ბატონო აკაკი, თქვენი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველის“ წევრები ქუჩებში ხელმოწერებს აგროვებენ ე.წ. „სიცოცხლის წიგნისთვის“. ხალხს აინტერესებს, რა ხელმოწერებია ეს და „ღვთის სიტყვა“ რას ავალებს საქართველოს მოსახლეობას?**

— მოაწერე ხელი სიაში „სიცოცხლის წიგნისთვის“ და მოაწერინე სხვასაც. 2001 წლის 9 იანვრის დღის 2 საათზე დასრულდება ხელმოწერების შეგროვება, რომლის რაოდენობამაც უნდა შეადგინოს საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 50%-ს პლუს 1 ადამიანი. თუ დააკლდება თუნდაც ის ერთი ადამიანი, მაშინ „ღვთის სიტყვა“ არ ასრულდება. გავიგოთ და დავიმახსოვროთ: მეორედ მოსვლაა!



**— იქნებ გაიხსენოთ, როგორ მიიღეთ „ღვთის სიტყვა“?**

— 1994 წლის 26 მარტს, საღამოს 4-დან 7სთ-მდე მოხდა ჩემი „ჩართვა“ და მივიღე „ღვთის სიტყვა“. მაშინ ცუდი ამინდი იყო და რატომღაც იმ დღეს გამოიდარა. სიგარეტის მოსაწევად აივანზე გავედი. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. ვიზუალურად ყველაფერს აღვიქვამდი, მაგრამ ყურთასმენა დამეხშო. უეცრად ჩამესმა: „შენ უნდა თქვა!“ მერე ჩემში თავისთავად იბადებოდა კითხვები და ამ კითხვებზე პასუხები მოდიოდა. ხმა იყო მშვიდი. მივიღე ძალიან ბევრი ინფორმაცია. უნდა გითხრათ, რომ ეს არ იყო სასიამოვნო პროცესი. ხოლო 9 თვის შემდეგ, 1995 წლის 9 იანვარს ზუსტად 2 საათზე სულით მოსულმა სიტყვამ მეყსეულად იწყო შობა-დაბადება.

**— ხელმოწერების სასურველი რაოდენობის შეგროვების შემთხვევაში რა მოხდება?**

(ამ კითხვაზე მიპასუხა „მძლეველის“ თავმჯდომარემ ლაშა-გიორგი ლომიძემ, რადგან ბატონი აკაკი სიგარეტის მოსაწევად გავიდა აივანზე)

— ხელმოწერების შეგროვების შემდეგ ჩვენს პოლიტიკურ გაერთიანებასთან არსებული ეროვნული საბჭო დაიწყებს მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან და მოამზადებს მას შესაბამისი გადაწყვეტილებისათვის. 2001 წლის 9 აპრილს გაიმართება ეროვნული ყრილობა, რომლის დელეგატებიც იქნებიან ჩვენი გაერთიანების აქტივისტები. ყრილობაზე მოწვეულნი იქნებიან საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლების წარმომადგენლები. საქართველოს მოქალაქეთა ნების საფუძველზე პრეზიდენტი იქვე მოიხსნის რწმუნებულებას და იგი გადაეცემა პიროვნებას, რომელსაც დარბაზშივე დაასახელებს ბატონი აკაკი ჯორჯაძე. სწორედ ამ წუთიდან დაიწყება ივერიის გაბრწყინება. საქართველო გამოცხადდება „მამის ტახტის მფლობელ ქვეყნად“, „სადაც ყველა ქვეყნის მეფენი მოიტანენ თავიანთ დიდებასა და პატივს“. ამის შემდეგ დაიშლება თანამედროვე მსოფლიო სისტემის ყველა გეგმა. საქართველო გაბრწყინდება და მისი ნათლით ივლიან დახსნილი ქვეყნები.

**— თქვენ არ იცით, ვის დაასახელებს?**

— არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის პიროვნება ღვთის რჩეული იქნება.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ასე ადვილად დათმობს პოზიციებს?**

— უნდა გითხრათ, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად, საქართველოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მწიფდება სიტუაცია, რომელიც ხელისუფლებას დააყენებს იმ აუცილებლობის წინაშე, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

გაგახსენებთ ნინეველთა ისტორიას. ღმერთმა მათი დასჯა გადაწყვიტა. ნინეველნი არ დაიბნენ. დიდიან-პატარიანად ჯვალოთი შეიმოსნენ და მარხულობას შეუდგნენ. ამ ამბის გაგებისთანავე მეფე ტახტიდან ჩამოვიდა, შემოიძარცვა სამოსელი, ჯვალო ჩაიცვა და ნაცარზე დაჯდა... ღმერთმა ნახა, რომ მათ დააგდეს ბოროტების გზა და შეიწყნარა ისინი.

**— ბატონო ლაშა-გიორგი, როგორც ვიცი, ღმერთმა ნინეველებს აუწყა, 40 დღეში დაიღუპებითო. 40 დღე კი, იესო ქრისტეს დროით რამდენიმე ასეულ წელს უნდა უდრიდეს. ასე რომ, უფლის სიტყვის მიღება და მერე მისი ქადაგება ძალიან ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო. 5 წელი კი უფლისთვის წამის მეათასედია. როგორ ფიქრობთ, ნინეველებს 40 დღე მისცა მოსაფიქრებლად და მთელ კაცობრიობას ერთ წუთსაც არ აცლის გონს მოსასვლელად?**

— „ღვთის სიტყვა“ ასახელებს წელს, თვესა და რიცხვს!

ამასობაში, ბატონი აკაკიც შემოგვიერთდა.

**— ბატონო აკაკი, „ქრისტეს მეორედ მოსვლას“ როგორ შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია?**

— ოფიციალურად საპატრიარქოსთან ჩვენ გვაქვს ბრძოლა.

**— ბატონო აკაკი, თქვენ — „სასძლო კაცს“, აუცილებლად გეცოდინებათ, მიიღებს თუ არა საქართველო „ღვთის სიტყვას“. იესო ქრისტემაც ხომ წინასწარ იცოდა, ჯვარცმა რომ ელოდა.**

— საქართველოსაც ჯვარცმა ელოდება, თუ „ღვთის სიტყვას“ არ მიიღებს.

**— დღეს რამდენი კაცია ჩართული ამ პროცესში?**

— საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედი.

„კვირის პალიტრა“ დაინტერესდა, როგორ აღიქვამს საზოგადოება ცნობას, ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. პირველ რიგში დავუკავშირდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიისა და ეთიკის კათედრის გამგეს, ბატონ **ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔᲡ**.

— პირველად მათ შესახებ მაშინ გავიგე, როდესაც უნივერსიტეტში მოვიდნენ და თავიანთი ლიტერატურა მოიტანეს. ჩვენი კათედრის მიზანია, ვიცოდეთ, რა რელიგიური ორგანიზაციებია საქართველოში. ვიკვლევთ მათ საქმიანობას, მოძღვრებას, კულტს. გვაინტერესებს მათი მიმართება ჩვენი სახელმწიფოს მიმართ. პირველად მქონდა საქმე ქართველ „წინასწარმეტყველთან“, მათი სიტყვებით, „სასძლო კაცთან“, რომელსაც, მოსეს ან მუჰამედის მსგავსად, მთაზე კი არ უხდება ასვლა ღმერთთან კონტაქტისთვის, არამედ ხილვებს თუ გამოცხადებებს პირდაპირ ოჯახში, შინიდან გაუსვლელად იღებს.

ბატონი აკაკი ჯორჯაძის თანამოაზრეების განცხადებებმა ძალიან დიდი ეჭვი დაბადა. რასაც ის და მისი თანამოაზრეები ამტკიცებენ, დამაჯერებელი არ არის. რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, ეს ალბათ უფრო ფსიქოლოგების საკვლევია.

ისე, მათმა საუბარმა ბავშვობაში წაკითხული ზღაპარი გამახსენა, სადაც არის ერთი ასეთი ფრაზა: „მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით“...

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით განმარტება ვთხოვეთ საქართველოს საპატრიარქოს. საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება, რომელიც ორი წლის წინ გამოვიდა, ამ მოვლენასთან დაკავშირებით, უცვლელი დარჩა. გთავაზობთ ფრაგმენტს აღნიშნული განცხადებიდან: „მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში სრულიად მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ სამყაროს აღსასრულისას ქრისტეს მეორედ მოსვლა იქნება მთელი სამყაროსთვის ხილული და დიდებით მოსული მაცხოვარი დასანახი იქნება ყველასთვის. ამიტომ იმის მტკიცება, რომ ქრისტე უკვე მოვიდა სულით, უხილავად, უჩუმრად, სრული გაუგებრობაა. ეს ის შემთხვევაა, რომლის საწინააღმდეგოდ თვით სახარება გვაფრთხილებს: „მაშინ, უკუეთუ ვინმე გარქუას თქვენ: აჰა აქა არს ქრისტე, გინა თუ იქი, ნუ გწამნ, რამეთუ აღდგენ ქრისტეს მტყუარნი და ცრუწინასწარმეტყველნი“ (მათე 24, 23-24).

განსჯა მკითხველისთვის მიგვინდია!

***ნანა გურაშვილი***

# ბეჟიჭ სმეტანას მოჩვენება...

არსებობს თუ არა იმქვეყნიური სამყარო, შესაძლებელია თუ არა მიცვალებულებთან ურთიერთობა? ყოფილა შემთხვევები და არაერთი, როცა მიცვალებულის ნივთები თავისთავად გადაადგილებულა. ზოგჯერ ქვრივები თავიანთი გარდაცვლილი მეუღლეების აჩრდილებს ხედავდნენ.

თანამედროვე მეცნიერება უარყოფს ასეთ მოვლენებს და მას ადამიანის ფანტაზიისა და ჰალუცინაციის ნაყოფად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, არის უამრავი შემთხვევა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ოფიციალურ თვალსაზრისს. ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ჩეხოსლოვაკიაში, 80-იან წლებში.

მწერალი ბერნარდ ჰატონი, რომელიც სახელგანთქმული ჩეხი კომპოზიტორის, ბერჟიჭ სმეტანას (1824-1884) შესახებ წერდა წიგნს, დიდხანს ცდილობდა მოეპოვებინა ცნობები წიგნის გმირის ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდზე, მაგრამ წარუმატებლად.

მწერალმა დიდხანს იწვალა და მიხვდა, რომ ამის გარეშე წიგნს ვერ დაამთავრებდა. ერთ საღამოს სასოწარკვეთილი ჰატონი თავის კაბინეტში საბეჭდ მანქანასთან იჯდა და არ იცოდა, რა ეღონა. უცებ, მის წინ ჰაერი ჩამუქდა, შეგუბდა და ზევიდან დაეშვა ძველებურ ქურთუკში ჩაცმული მამაკაცის მოჩვენება-ფიგურა. ამ მოჩვენების სახე გარკვევით ჩანდა და გაოგნებულმა მწერალმა მასში ამოიცნო დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ჩეხი კომპოზიტორი სმეტანა. მან ყურადღებიანი მზერა მიაპყრო მწერალს და ლაპარაკი დაიწყო.

ძველ ჩეხურ ენაზე უამბო კომპოზიტორმა მწერალს მისი ცხოვრების იმ პერიოდის შესახებ, რომელიც ჰატონს აინტერესებდა. სმეტანას აჩრდილმა მას ის საიდუმლო ადგილიც დაუსახელა, სადაც მისი პირადი დღიური ინახებოდა. გონზე მოსულმა ჰატონმა, ჩუმად ჩართო მიკროფონი. საუბრის დამთავრებისთანავე გაქრა მოჩვენება და დატოვა ამ ამბით გაოგნებული მწერალი. როცა მან დიქტოფონი ჩართო, იქიდან მხოლოდ შრიალისა და ტკაცუნის ხმა ისმოდა. როგორც შემდგომში გამოკვლევამ უჩვენა, დიქტოფონი იმყოფებოდა ძლიერი ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედების ზონაში, რომელმაც დაარღვია მაგნიტური ფირის საფარი. რაც შეეხება სმეტანას მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდა. დღიური მწერალმა სწორედ იმ ადგილზე იპოვა, რომელზეც კომპოზიტორმა მიუთითა. ბერნარდ ჰატონმა გამოიყენა ეს მასალა და წიგნის წერაც დაასრულა.

***ნლო №45***

# პალმირას ავბედითი აურა



წყნარ ოკეანეში, ცენტრალურ პოლინეზიაში მდებარე კუნძული პალმირა 1798 წელს ერთობ უცნაურად აღმოაჩინა ამერიკელმა კაპიტანმა ედმონდ ფანინგმა.

ფანინგის გემი „ბესტი“ აზიისკენ მიცურავდა. საღამოს 9 საათზე კაპიტანი დასაძინებლად წავიდა, მაგრამ დაახლოებით 10 საათისთვის უეცრად გამოეღვიძა და მიხვდა, რომ გემბანზე ამავალ კიბეზე იდგა. ამ ფაქტმა საგონებელში ჩააგდო ფანინგი, რადგან ადრე მთვარეული არ ყოფილა. აღელვებული კაიუტაში დაბრუნდა, დასამშვიდებელი მიქსტურა დალია და დაიძინა. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ კიბეზე გაეღვიძა. იგივე გამეორდა მესამედაც. შეშფოთებულმა კაპიტანმა გემი გააჩერებინა. მეორე დილით მთელმა ეკიპაჟმა დაინახა უზარმაზარი მარჯნის რიფი, რომელიც გემს ელობებოდა. წამის შემდეგ რიფი გემის კორპუსს გააპობდა. როგორც აღმოჩნდა, იგი ნაწილი იყო კუნძულ პალმირას გარშემო მდებარე რიფებისა.

ამ საიდუმლო კუნძულს არაერთი საოცარი ამბავი უკავშირდება. ერთ-ერთის თანახმად, პერუელი ინკების ნაძარცვი ოქრო-ვერცხლით დატვირთული მეკობრეთა გემი „ესპერანსა“ სწორედ მარჯნის რიფებთან დაიღუპა. ეკიპაჟის გადარჩენილმა წევრებმა მოახერხეს კუნძულზე გასვლა და განძის ნაწილიც გადაარჩინეს. ისინი კუნძულზე ერთი წელი ცხოვრობდნენ. ინკების განძი დამარხეს. შემდეგ ნავები გააკეთეს და წყნარი ოკეანის გადაცურვას შეეცადნენ. ერთ-ერთი ნავი ამერიკულმა თევზმჭერმა გემმა შეამჩნია. ერთადერთი მეკობრე, რომელიც იმ ნავში იყო, ძალიან მალე ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მეორე ნავის ბედი უცნობი დარჩა.

მეორე მსოფლიო ომის დროს კუნძულს ამერიკელები იყენებდნენ სამხედრო-საზღვაო ბაზად იაპონიაზე საჰაერო თავდასხმებისთვის. იქ დღემდე ნახავთ ძველ სამხედრო მოწყობილობას, მთელი კუნძული გვირაბებითაა დაქსელილი.

ყოფილმა საზღვაო ოფიცერმა პალ პორტონმა, რომელიც პალმირაზე 1942-1944 წლებში იმყოფებოდა, ჟურნალისტებს უამბო, — ჩვენმა თვითმფრინავებმა მტრის საჰაერო მანქანა ჩამოაგდეს. დავიწყეთ ძებნა, მაგრამ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, მცირე ნამსხვრევსაც ვერ მივაგენით. მეორედ, ჩვენმა ერთ-ერთმა თვითმფრინავმა აფრენისთანავე კურსი შეიცვალა და საწინააღმდეგო მიმართულებით გაფრინდა — ჩრდილოეთის მაგიერ სამხრეთისკენ აიღო გეზი. ეს მოხდა დღისით-მზისით, ჩვენ თვალწინ. თვითმფრინავში ორი მფრინავი იჯდა. მას შემდეგ არც ისინი უნახავს ვინმეს და არც თვითმფრინავი.

ძველი მეზღვაურები მსგავს ამბებს „პალმირას წყევლას“ უწოდებენ.

საიდუმლო მოვლენების ნუსხა, რომელიც კუნძულს უკავშირდება, ყოველდღე იზრდება.

***კალეიდოსკოპი №44***

# იდუმალი და საოცარი

— ალებსა და სირინოზებზე უამრავი ზღაპარი და ლეგენდა მოგვისმენია და წაგვიკითხავს. მეცნიერები გულდასმით სწავლობენ ამ ფენომენს, მაგრამ საგულისხმოს ვერაფერს მიაკვლიეს. ამასობაში კი ციმბირის ერთ სოფელში, ამ ზაფხულს ერთმა გოგონამ თავისი თვალით ნახა ქალთევზა.



გოგონა გვიან ბრუნდებოდა შინ და მდინარის ნაპირზე დაინახა დიდ ლოდზე მოკალათებული მთვარით განათებული ქალი, რომელიც მშვიდად ივარცხნიდა თმას. მეზობელს მიამსგავსა და გასძახა, — მიხაილოვნა, რაღა ამ შუაღამისას მოგინდომებია ბანაობაო. ეს რომ მოესმა, ქალმა თავი წყალს მისცა. დამფრთხალი გოგონა შინ თავქუდმოგლეჯილი გავარდა. ამ ამბავს არავინ დაიჯერებდა, რომ არა ერთი საოცარი შემთხვევა — ამ სირინოზს გადაეყარა ამ სოფლისავე მონადირე და მოკლა. უჩვეულო არსება წელზევით ადამიანს ჰგავდა, ხოლო ფეხების მაგიერ თევზივით ქერცლიანი კუდი ჰქონდა!

— სოკოს საკრეფად ტყეში წასულმა იურამ მთელი საათი ამაოდ იარა — ერთი სოკოც ვერ იპოვა. შინისკენ გამობრუნდა. ნაცნობმა ბილიკმა ტბასთან მიიყვანა. ამის იქით ხმამაღლა რომ დაეცემინებინა, დავრდომილ ბებიას ლოგინიდან გადმოაგდებდა.

მაგრამ მოხდა საოცრება — მიდიოდა და გზა არ თავდებოდა. შეკრთა. აღარ იცოდა, რა ექნა.

სასოწარკვეთილმა ჭალაში მიმავალი ორი შავოსანი დედაბერი დაინახა. ცოტა უცნაურად, თითქოს ასკინკილით მიდიოდნენ. შეეხმიანა, — საიდან მობრძანდებითო. ქალებმა ორი დღის სავალზე მდებარე სოფელი დაუსახელეს. იურას უფრო შეეშინდა, რადგან დედაბრები ნამგზავრს არ ჰგავდნენ. გაბედა და ჰკითხა, სოფლის გზას როგორ ვიპოვიო. ქალებმა ხელი გაიშვირეს და ბილიკიც გამოჩნდა. იურა სირბილით გაეშურა შინისკენ, მაგრამ უცებ მისი სოფლიდან კარგა მოშორებით, რაიონულ ცენტრში ამოჰყო თავი...

***ტაინაია ვლასტ №42***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. ᲐᲠᲔᲣᲚᲕᲝᲠᲓᲘ**

**თარაზულად:** 1. ფხა; 2. ტელეფონი; 5. ენა; 7. ლურსმანი; 9. ბამბა; 12. მთვარე; 13. ცისარტყელა.

**შვეულად:** 1. ფული; 2. ტომი; 3. ლანა; 4. ორბი; 5. ეამა; 6. აქლემი; 8. რუკა; 10. მათე; 11. ტყე.

**II. ᲠᲔᲑᲣᲡᲘ**

სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

**III.** კომბოსტო.

**IV.** სიხარული.

**V. ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ**

| | | | |
|---|---|---|---|
| | 5 | 3 | |
| 2 | 8 | 1 | 7 |
| | 6 | 4 | |

**VI.** „ემი“

# მათ უყვართ ერთმანეთი და კინო

*თბილისში გამართულ თეატრალურ და კინოფესტივალზე, კინოში მთავარი პრიზით „ოქროს პრომეთე“, დაჯილდოვდა საზღვარგარეთ მოღვაწე ტაჯიკი რეჟისორის, დასავლური ავანგარდული კინოს ერთ-ერთი ლიდერის ბახტიარ ხუდოინაზაროვის ფილმი „მთვარის მამა“ . კონკურსგარეშე წარმოდგენილი იყო აგრეთვე კინორეჟისორ ნანა ჯორჯაძის საქართველო-საფრანგეთი-ინგლისი-გერმანიის ერთობლივი ნაწარმოები „27 დაკარგული კოცნა“. ამ ორმა ფილმმა აქ ჩამოტანამდე მსოფლიოს კინოეკრანები მოიარა და მრავალი ფესტივალიც. ჯილდოც უხვად მიიღო. ფესტივალზე დემონსტრირებული სხვა ფილმებისგან სწორედ ეს ორი მხოლოდ იმიტომ გამოვყავით, რომ მათ შექმნაში ლომის წილი ჩვენს რესპონდენტს,* ***ირაკლი კვირიკაძეს****, ცნობილ ქართველ კინორეჟისორსა და სცენარისტს ეკუთვნის. როგორც თავად ირაკლი ამბობს: „მიყვარს ამბების თხრობა, ამისთვის კი უპირატესობას ფურცელს, ფანქარს და სამონტაჟო მაგიდას ვანიჭებ“. ირაკლი ამ ორივე ფილმის სცენარის ავტორი და მონტაჟორია.*

*რეჟისორისა და სცენარისტის ირაკლი კვირიკაძის მიერ ჯერ კიდევ 70-იან წლებში ქართულ კინოში დამკვიდრებული სტილი — ცრემლიანი ღიმილით ილაპარაკოს პროვინციალიზმსა და მის ჩამორჩენილობაზე, ჩვეულებრივი სიტუაცია აბსურდულად აქციოს, — იმდენად ჭარბობს მისი სცენარების მიხედვით შექმნილ ფილმებში, რომ თრგუნავს რეჟისორს და ეკრანზე სცენარისტი ირაკლი კვირიკაძე დომინირებს.*

*ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს ირაკლის ეკრანულ ნაწარმოებებს: 1969-70 წლებში, ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმის აღზევების ხანაში, როცა მიხეილ კობახიძის „ქორწილი“, „ქოლგა“ და სხვა შედევრებიც იყო გადაღებული, ვიხილეთ საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კურსდამთავრებული რეჟისორის ირაკლი კვირიკაძის სადიპლომო ნამუშევარი „ქვევრი“. კახეთის ერთ-ერთ სოფელში გათამაშებული იმერეთიდან ჩამოტანილი ვიწროყელიანი ქვევრის გატეხისა და დაწებების პროზაული, დიდი იუმორით მოთხრობილი ამბავი, აბსურდად ქცეული ადამიანთა უგუნურების გამო, მაყურებლისთვის მართლაც რომ აღმოჩენა იყო და დღესაც ქართული კინოს დიდებული წარსულის დასტურად რჩება.*

*მერე იყო სრულმეტრაჟიანი „ქალაქი ანარა“ (სცენარის ავტორი და რეჟისორი ირაკლი კვირიკაძე), სადაც სათაურივით (სათაური იშვა გამოთქმიდან „ან ჰო, ან არა“) სულ რეალობა-ირეალობის ზღვარზე მიმდინარეობს პროვინციულ ქალაქებში შვიდლიტრიანი ყანწის მოგზაურობის ამბავი. და ამ ეკრანულ ფანტასმაგორიას, აბსურდის თეატრს, რეალურ ცხოვრებაშიც მსგავსი გაგრძელება ჰქონდა:*

— „ანარა“ ბულგარეთში, გაბროვოს კომედიური ფილმების მსოფლიო კინოფესტივალზე მთავარი პრიზით დაჯილდოვდა. მერე ლოკარნოდან მივიღე მოწვევა. გახარებული წასასვლელად ვემზადებოდი. მაშინ ხომ იცი, საზღვარგარეთ გამგზავრება დიდ მოვლენად ითვლებოდა და ნაცნობ-უცნობნი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეკითხებოდნენ, — ლოკარნოში როდის მიდიხარო? მაგრამ კოვზი ნაცარში ჩამივარდა: ლოკარნოში ჩემი ფილმი, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში ხდებოდა, მოსკოვის სახკინოს რამდენიმე თანამშრომელმა გააცილა. მე კი იმედგაცრუებული, სევდის გასაქარვებლად თუშეთში წავედი, სადაც იმ დროს სოსო ჩხაიძე „თუშ მეცხვარეს“ იღებდა. ორი კვირა ბუნების მშვენიერებით ვტკბებოდი, გულიდან ნაღველი გადავიყარე და მერე ომალოდან თელავთან ახლოს მდებარე, ჩემი ნანას სოფელში ფეხით ჩავედი. გზადაგზა მჟავე ვაშლით ვიკვებებოდი. ეტყობა, ამის ბრალი იყო, რომ კუჭი ამეშალა: სახლთან მისულმა ჭიშკართან გამოგებებულ ნანას ვაკოცე და ეზოს კუთხეში ფიცრის წაფერდებულ ტუალეტში ძლივს შევასწარი. იქ ჟანგმოდებულ ლურსმანზე დაკიდულ გაზეთის ნაგლეჯს ვწვდი... და თვალში ჩემი სახელი და გვარი მომხვდა. „პრავდის“ ნაგლეჯზე ეწერა: „ქართველი რეჟისორის ირაკლი კვირიკაძის ფილმი „ქალაქი ანარა“ ქ. ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვდა მთავარი პრიზით — „ვერცხლის ლეოპარდი“. ჩემმა სიხარულის ყიჟინამ ლამის იყო მთელი სოფელი შეყარა.

*— ახლა გასაგებია, ნანას ფილმში, „27 დაკარგული კოცნა“, საიდან გაჩნდა უჩვეულო აღსარების ეპიზოდი: ტუალეტში მჯდარი მთავარი გმირი მეტად პროზაული საქმიანობის დროს სიყვარულზე რომ ლაპარაკობს.*

— ეს ჩემი სტილია: დიდი ვნებებით გამოწვეული ამაღლებული წუთების მდაბალი ფიზიკური მოთხოვნილებებით გაზავება. ამით პათეტიკას ვანეიტრალებ... მაგრამ გავაგრძელებ: ლოკარნოში ფილმებს ღია ცის ქვეშ, უზარმაზარ ეკრანზე აჩვენებდნენ და „ანარას“ დემონსტრირებისას მოხდა საოცრება: აგვისტოში ლოკარნოში მოთოვა. მაგრამ მაყურებელი უდროოდ მოსულ თოვლს არ შეუშინებია და ფილმისთვის ბოლომდე უყურებია. იქაური გაზეთები წერდნენ, — ამ ფილმის იუმორმა შეძლო ლოკარნოს თოვლის გალღობაო.

*— მერე იყო 1980 წელს შენივე სცენარით გადაღებული ფილმი „მოცურავე“.*

— ამ ფილმის გადაღების იდეა მაშინ დამებადა, ბრეჟნევმა რომ სტალინიზმის ქება, დაბადების დღეების გადახდა დაიწყო და ბელადობის ამბიცია გაუჩნდა.

*იმედია, მაყურებელს ახსოვს ეს შესანიშნავი ფილმი, სადაც სამი თაობის ცხოვრების მაგალითზე საქართველოს 80 წლოვანი ტრაგიკული ისტორიაა მოთხრობილი, სადაც ქართულ და საერთოდ, საბჭოთა კინემატოგრაფში ტოტალიტარიზმის და სტალინიზმის ეპოქა პირუთვნელად პირველად შეფასდა. იმ დროს ამ თემაზე სასაუბროდ ქვეყნის მაღალი პოლიტიკური ეშელონები ჯერ კიდევ მზად არ იყვნენ. უძრაობის ხანა იდგა, არც თენგიზ აბულაძის „მონანიება“ იყო გადაღებული, არც „1953 წლის მარტი“ და არც მიხალკოვის „მზით გათანგულნი“. ყველა ეს ფილმი ეკრანს გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში იხილავს. იმ 1980 წელს კი კომუნისტური წარსულის აუგად მხსენებელი მკაცრად ისჯებოდა. გარდა ძალადობის წინააღმდეგ ამხედრებული ხელოვანის პოზიციისა, რომელსაც რეჟისორი ერთმნიშვნელოვნად გამოხატავდა, — ამ ფილმში სამი თაობის — პაპის, მამის და შვილიშვილის თავგადასავლის თხრობით იძერწებოდა საქართველოს და ერის იერსახე, მისი ტრაგიკული ხვედრი და მასში ღირსეულ წინაპართა თანდათანობითი კვდომა.*

— „მოცურავე“ მოსკოვში ჩასაბარებლად ჩავიტანე. საკავშირო კინოკომიტეტის დარბაზში ფილმის დემონსტრირების დროს კრინტი არავის დაუძრავს. ავისმომასწავებელი სიჩუმე ფილმის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა და მოულოდნელად ერმაშის (იმხანად საკავშირო კინოკომიტეტის თავმჯდომარე) ფრაზა სასიკვდილო განაჩენივით გაისმა: Этот фильм надо сжечь და არა Смыть (არსებობდა იმ დროს კინოცენზურაში ტერმინი Смыть, რაც არასასურველი ეპიზოდების ჩამორეცხვას, ამოჭრას გულისხმობდა). Вместе с режиссёром, — ჩავილაპარაკე. ერმაშმა პასუხის ღირსად არ ჩამთვალა, ათვალწუნებული, განმგმირავი მზერა მესროლა და დარბაზი დატოვა. სამუდამოდ ამეკრძალა არა მარტო სარეჟისორო, არამედ, საერთოდ, კინომოღვაწეობა.

*— ამიტომ გაიხადე სცენარისტობა ძირითად პროფესიად?*

— ჩემთვის ყველაზე დიდი სასჯელი უსაქმურობაა: ამიტომაც მივმართე ფურცელს და ფანქარს. მათთან დამეგობრებული თუმცა, ადრეც ვიყავი, მაგრამ ახლა სცენარებს უკვე ინტენსიურად ვწერდი, ანონიმურად. მოსკოვში, სადაც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის სტუდიების სცენარები მტკიცდებოდა, ჩემი გვარის ხსენება არ შეიძლებოდა. ჩემს სცენარებს მაშინ, ძირითადად, შუა აზიის რესპუბლიკებში იღებდნენ.

*— შენ მკურნალსაც გიწოდებენ, რომელსაც ნებისმიერი ჩავარდნილი სცენარის და ფილმის გადარჩენა შეუძლია.*

— მიყვარს მონტაჟი. როცა რეჟისორი ფილმს იღებს, იგი თითოეულ კადრზე მუშაობს, შიგ მთელ თავის გრძნობებს აქსოვს და როცა ფილმის აწყობის დრო დგება, ნებისმიერ კადრთან დაშორება ისევე უჭირს, როგორც საყვარელ ქალთან. მე კი გარედან მოსული ადამიანი ვარ, რომელიც საჭრეთლის როლს თამაშობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფინალი აუცილებლად მე უნდა მოვიფიქრო. ვზივარ სამონტაჟოში ერთი კვირა, ერთი თვე, ვჭრი, ვყრი, ვაწებებ. რეჟისორი მხარზე ხელს მირტყამს და ამბობს: „ძმაო, რა შესანიშნავად ამონტაჟებ!“ მოხდა ისე, რომ ჩემს ხელში ძირითადად, ოსკაროსნებმა გაიარა: ოსკარის ნომინანტმა „სამხედრო-საველე რომანმა“, პაველ ჩუხრაის „ქურდმა“, ოსკარით დაჯილდოებულმა ნიკიტა მიხალკოვის „მზით გათანგულებმა“. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება: ბევრი ამერიკული ფილმი, ოსკარის ნომინანტი თუ ოსკაროსანი, ჩემი დამონტაჟებულია.

*— „მოცურავეზე“ ისეთი დრამატული ამბავი მოგვიყევი, რომ ძალაუნებურად უნდა გკითხო: შენ ახლა, ძირითადად, საზღვარგარეთ მუშაობ. რით განსხვავდება იგი სსრ კავშირში მუშაობისაგან?*

— ზუსტად ვერ გეტყვი. მე ხომ დამკვეთის სურვილს ხშირად ყურადღებას არ ვაქცევ. რაც „მევასება“, იმას ვწერ. თუმცაღა, თუ რედაქტორი ან პროდიუსერი იდეას მომაწოდებს, ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე დავთანხმდები. ახლა ერთი მდიდარი შვეიცარიელისათვის ვწერ სცენარს. ოღონდაც ამბავი თავად შემომთავაზა. კარგი ამბავია, მხოლოდ ეგ არის, რომ იგი ჩემი არ არის: ომისწინა შვეიცარიის პატარა ქალაქში აფრიკიდან ეგზოტიკური ცხოველების ზოოპარკი და მოცეკვავეები ჩადიან. ერთ შვეიცარიელ ყმაწვილს ნორჩი აფრიკელი გოგონა შეუყვარდება. თითქოს ლამაზი ამბავია, მაგრამ წერა რომ დავიწყე, მივხვდი, არაფერი ვიცოდი არც შვეიცარიელებზე, არც აფრიკელებზე. რასაც არ დავწერ — ყველაფერი ყალბია. დავიტანჯე, არადა სცენარი 1-ელ ოქტომბერს უნდა ჩამებარებინა. რადგანაც, ვიდრე მე „მთვარის მამის“ და „27 დაკარგული კოცნის“ სცენარებს ვწერდი, შვეიცარიელი ფულს აკურატულად მიხდიდა, ახლა ველარ ვეუბნები, — სცენარს ვერ ვწერ, ვინაიდან არ ვიცი, რა უნდა უთხრას დიდტუჩება შავკანიანმა გოგონამ მასზე თავდავიწყებით შეყვარებულ კარგ ოჯახიშვილ თეთრკანიან ბიჭს. ამ შვეიცარიელმა ისეთივე კაბალაში მომაქცია, როგორშიც ერთ დროს ჩემი სკოლის დირექტორმა მამაჩემი, რომელიც სასაკლაოს დირექტორი იყო: ზამთარში, სკოლის დარბაზში კალათბურთს ვთამაშობდი. ტუალეტში მომინდა, ციოდა და ეზოში გასვლა დამეზარა. პიონერთა ოთახში, სადაც ვიხდიდით ხოლმე, დაგლეჯილი დოლი ეგდო და ამ საქმისთვის მისი გამოყენება გადავწყვიტე... ოთახში დირექტორმა შემოიხედა, დანაშაულზე წამასწრო და პიონერული სიწმინდის შელახვისათვის ჩემი სკოლიდან გარიცხვა მოინდომა. სკოლიდან არ გამრიცხეს, მაგრამ, სამაგიეროდ, დირექტორი მამაჩემთან სასაკლაოზე მთელი წლის განმავლობაში დიდი ჩანთით დადიოდა — იღებდა უზარმაზარ დანას, ლამის თავ-ფეხიანად ძვრებოდა გამოშიგნულ საქონელში და ჭრიდა ხერხემლის გასწვრივ განლაგებულ სუკის გრძელ ნაჭრებს, ისეთს, როგორიც სალვადორ დალის ნახატებზეა. ამის შემხედვარე მამაჩემი მოთქვამდა: „ბავშვის ერთი მოშარდვა რა ძვირი მიჯდება“.

*— მიკვირს, ზანგი გოგონასა და თეთრკანიანი ყმაწვილის სიყვარულის ამბის დაწერა რომ გაგიჭირდა. ასეთი რამ მგონი, შენს ოჯახშიც მოხდა...*

— ჩემს ვაჟსა და მის ზანგ ცოლზე ლაპარაკობ, არა? მახსოვს, მე და ნანა სამონტაჟოში ვისხედით. „1001 რეცეპტის“ დამონტაჟებაზე დღე და ღამეს ვასწორებდით. ამ დროს ტელეფონი რეკავს, ნანა ყურმილს იღებს და მიხოს ხმა ესმის: „დედა, დაჯექი, ისეთი რამ უნდა გითხრა, მეშინია, გული არ წაგივიდეს“. ნანას ფერი ეცვალა, რაღაც საშინელება წარმოიდგინა. „რა მოხდა, მიხო?“ — ყვირის გამწარებული. „დედა, ზანგ იუდითს ცოლად ვირთავ. ფეხმძიმედ არის“ ,— ნანამ შვებით ამოისუნთქა, — „კარგი რა, მიხო, გული გამიხეთქე, ვინც გინდა, ის შეირთე“. ახლა პატარა, თმახუჭუჭა შვილიშვილი მყავს, შოკოლადისფერი, ძალიან საყვარელი.

*— რაღაც შენს გენეალოგიაზეც მსმენია...*

— ჰო, თქვი, თქვი... თვალების ჭრილისა და არაქართული გარეგნობის გამო ებრაელობას რომ



მაბრალებენ, ეგ მეც ვიცი. ებრაელებს დიდ პატივს ვცემ, სხვა რომ არაფერი, მოსკოვში ჩემი პროფესიის საფუძვლები მათ შემასწავლეს. მაგრამ ეგრე არ არის. ბებია კი მყავდა რუსი, დედის მხრიდან. ეტყობა, ისეთი ძლიერი გენი ჰქონდა, მთელი შთამომავლობა თვალებით და ყვრიმალებით მას დავემსგავსეთ. იგი, 1915 წელს, შიმშილობის დროს ბაქოში ჩამოვიდა და ბაბუაჩემს, დათიკო მინდაძეს მისთხოვდა, იმხანად ბაქოში დიდ თევზის მრეწველსა და მეცენატს. ბაბუას სახლი ბაქოში იმითაც ყოფილა ცნობილი, რომ იქ გაჭირვებულთა და ლტოლვილთა დასაპურებლად სუფრა მუდმივად გაშლილი იყო.

როგორც ბებიაჩემი ამბობდა, იქ თურმე ერთი ქართველი ბიჭიც დაიარებოდა, სახელად ლავრიკა, რომელსაც განსაკუთრებულად ვუვლიდიო. უცნაური ჩვევა ჰქონია ლავრიკას: „შეჭამდა თუ არა, მაშინვე თეფშის გასარეცხად გარბოდა. ვერაფრით გადავაჩვიე ამას, თეფშების მრეცხავების მეტი რა მყავდა“, — ამბობდა ბებია. მერე, საბჭოთა წლებში, ის პატარა ლავრიკა დიდ ლავრენტი ბერიად იქცა და როცა ბებიაჩემს ვაჟიშვილი დაუჭირეს და მან დახმარების სათხოვნელად ლავრიკას (რომელსაც თეფშების რეცხვა უყვარდა) მიაკითხა, — ეკატერინა გრიგორიევნა, თქვენი შვილის შესახებ ყველაფერი ვიცი, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებითო, — უთქვამს აწ უკვე ლავრენტი პავლოვიჩად ქცეულს.

*— შენმა სცენარმა, „ამერიკელი კახპა“, ამერიკაში „პარკლი ენდ მერილ პრაისის“ კონკურსშიც გაიმარჯვა, იმავე 1990 წელს.*

— დიახ, ამ სცენარმა პირველი პრიზი დაიმსახურა და უნდა წავიტრაბახო — საბჭოეთიდან პირველი სცენარისტი ვიყავი, რომელიც რედფორდის კინოცენტრ „სანდესში“ მოვხვდი.

*— მშურს შენი, ბევრს მოგზაურობ...*

— ნუ გშურს. ჩემთვის ყოველი ახალი ქალაქი ფანჯრიდან დანახული პატარა პეიზაჟია. კარგად მოგეხსენება, წერა და მონტაჟი არის მარტოობის გრძელი დღეები, თუმცაღა, ჩემთვის სასიამოვნო მარტოობისა. მოგზაურობა, შეხვედრები, თავგადასავლები — როცა სუფთა ფურცელზე წერას ვიწყებ, იბადებიან პერსონაჟები, კონკრეტულ გარემოში სახლდებიან და მეც მათ ცხოვრების გზაზე მივყვები. იქმნება გამოგონილი სამყარო... ხანდახან კი ფანჯარაში გავიხედავ და ვხედავ რეალური ქვეყნის პატარა ფრაგმენტს. „მთვარის მამის“ დასამონტაჟებლად კალიფორნიიდან ვენაში ჩამიყვანეს. ვენა ოდითგანვე ჩემი ოცნების ქალაქი იყო, შტრაუსისა და ამღერებული შადრევნების ქალაქი. მე კი აეროდრომიდან სამონტაჟოში აღმოვჩნდი. იქ ვიჯექი 24 საათი, ფანჯრიდან კი მხოლოდ აუზი მოჩანდა, სადაც გარკვეულ საათებში ბუდისტები მოდიოდნენ და მაშინ... მონტაჟს თავს ვანებებდი: გრძელფეხება, შიშველი გოგონების ცქერით ვტკბებოდი. ფილმი დავამონტაჟე და მაშინვე კალიფორნიაში გამამგზავრეს... ოქროში ჩამოსხმული შტრაუსი ვერ ვნახე... პარიზში ჩემი ოთახი მარსის ველზე იყო და ფანჯრიდან ეიფელს ვხედავდი, ლოს-ანჯელესში კი სარკმლიდან ოკეანე მოჩანს.

*— რადგანაც „მთვარის მამა“ ახსენე: აქა-იქ გაისმა ხმები ამ ფილმის კუსტურიცას „იატაკქვეშეთთან“ მსგავსების შესახებ. ალბათ, იმიტომ, რომ „მთვარის მამის“ დარად კუსტურიცას ფილმიც ხალხურ მოტივებზეა აგებული და სტილი აბსურდულია. მაგრამ ასეთი იყო შენი პირველი ფილმი „ანარაც“ და თუ მსგავსებაზე ვილაპარაკებთ, უფრო „ანარა“ და ელდარ შენგელაიას „შერეკილები“ უნდა გაგვეხსენებინა.*

— დიახ, „მთვარის მამაში“ ქართული კინოდან ორი ციტატა ვისესხე. ერთი, დაძინების სცენა — ჩემი „ანარადან“, ფინალური გაფრენის ეპიზოდი კი „შერეკილებიდან“. ისე, ტელევიზორში მეც მოვისმინე: ვიღაც ახალგაზრდა მეტად კომპეტენტურად ამტკიცებდა, „მთვარის მამაზე“ კუსტურიცას გავლენა იგრძნობაო. არა უშავს, ახალგაზრდაა და ქართულ კინოს, ეტყობა, ნაკლებად იცნობს. კუსტურიცა, ალბათ წითელი ყელსახვევით დადიოდა, მე რომ ეგ ამბავი ჩავიწერე ხაშურში, მავანი მილიციის უფროსის ქალიშვილი თეატრის ტრფიალი გახლდათ და იქ ჩასული ფილარმონიის ბრიგადების კონცერტებს არ აცდენდა. წარმოდგენიდან რომ ბრუნდებოდა, ვიღაცამ აცდუნა (რომელიც მას მსახიობი ეგონა). გოგონა წესიერად ვერც კი მიხვდა, რა მოხდა და მხოლოდ მაშინღა წაიშინეს მშობლებმა თავში ხელები, როცა გოგოს მუცელი წამოეზარდა. მერე, მილიციის უფროსი თავისი მილიციელებითურთ ინკოგნიტო მსახიობ მამას საქართველოს ყველა თეატრში ეძებდა.

და როცა პროდიუსერმა ბაუმგარტენმა სიყვარულზე სცენარის დაწერა მთხოვა, ჩემი ისტორიების გვერდებშემოცვეთილი რვეულები გადავქექე და რომ გიამბე, ის სიუჟეტი აღმოვაჩინე. და რადგანაც ყველა ქვეყნის პროვინცია ცხოვრების სტილით ერთმანეთს ჰგავს, მოქმედება ხაშურიდან შუა აზიის პროვინციაში გადავიტანე, მაგრამ ეს ფილმი კუსტურიცას სახელს მაინც უკავშირდება. „მთვარის მამა“ ვენეციის კინოფესტივალზე იყო წარდგენილი და იქ ჟიურის თავმჯდომარე კუსტურიცა გახლდათ. პროდიუსერმა, მას უბრალოდ, მეგობრულად ფესტივალის დაწყებამდე აჩვენა ფილმი. კუსტურიცას „მთვარის მამა“ მოეწონა და განაცხადა, იმედი მაქვს, იგი მთავარ პრიზს აიღებსო. ეს პრესაში გამოქვეყნდა და დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ემოციების გასანეიტრალებლად ფესტივალის დირექციამ საკითხი ასე დააყენა: ან კუსტურიცას თავმჯდომარეობაზე უნდა ეთქვა უარი, ან კონკურსიდან ფილმი მოეხსნათ. იუგოსლაველი რეჟისორი თავმჯდომარეობას ვერ შეელია, ამიტომ „მთვარის მამა“ საკონკურსო ჩვენებიდან მოიხსნა. რადგანაც ფილმი ასე უსამართლოდ დაიჩაგრა, ფესტივალის მესვეურებმა ვენეციაში „მთვარის მამის“ მსოფლიო ჩვენება მოაწყვეს. ჩვენების მეორე დღეს წერდნენ გაზეთები: კუსტურიცას დროზე ადრე პირი რომ არ გაეღო, მაშინ ჩვენ უკვე გვეცოდინებოდა, ხვალ, „ოქროს ლომით“ რომელი ფილმი დაჯილდოვდებოდაო.

*— შენი ცნობილი ისტორიების რვეულების გადაშლა ხშირად გიხდება?*

— საკმაოდ... „27 დაკარგული კოცნაც“ იქიდან არის. გერმანელმა, კარგი ოჯახიშვილმა ბიჭებმა დაგვიკვეთეს ფილმი სიყვარულზე ეროტიკული მომენტებით. ნანა ლირიკულ სცენებს წერდა, მე კი ის ცუდი ბიჭი ვიყავი, რომელიც შიგ უხამსობებს ურთავდა...

*— და ისე მოახერხე, რომ „ცუდსისხლიანმა“ ნორჩმა სიბილამ და ფილმში დემონსტრირებულმა „ემანუელამ“ ქართულ პროვინციაში სექსუალური რევოლუციის ქარბორბალა დაატრიალა. ამ ფილმმა ის წლები გამახსენა, თბილისში ვიდეო რომ შემოვიდა. პირველი ფილმი, რომელსაც მაშინ ატრიალებდნენ, „ემანუელა“ იყო. ჩვეულებრივ მოკვდავთ ვიდეოზე ხელი არ მიუწვდებოდათ და შეძლებულ ოჯახებში, რომლებსაც ეს ტექნიკური სიახლე ჰქონდათ, „ემანუელას“ საყურებლად ორივე სქესის საკმაოდ დიდი აუდიტორია იკრიბებოდა. ეკრანზე გათამაშებული სექსუალური სცენების შემხედვარენი უხერხულად იშმუშნებოდნენ: მამაკაცებს ჭირის ოფლი ასხამდა, თავისუფლებამონატრებული ქალები კი ცმუკავდნენ და შეძახილებით: „ეს რა საშინელებაა“, აქამდე მათთვის აკრძალულ მომნუსხველ სანახაობას თვალს ვერ აშორებდნენ და სექსის უცნობ ილეთებს, რაც შეიძლება კარგად იმახსოვრებდნენ. თბილისშიც, ისე როგორც „27 დაკარგულ კოცნაში“ ნაჩვენებ პროვინციულ ქალაქში, სექსზე თავისუფლად „ემანუელას“ შემდეგ ალაპარაკდნენ. დარწმუნებული ვარ, მარქსის ის ორი ტომიც, რომელსაც ფილმში ეგზომ პიკანტური მისია აკისრია, შენი რვეულიდან არის.*

— იმ ეპიზოდზე ამბობ, სიბილა სექსუალურ სცენას მაგიდის ქვეშიდან რომ უყურებს? მართალია. მოწაფეობისას საკონტროლო ნამუშევრების გასასწორებლად მე და ჩემი მეგობარი დირექტორის კაბინეტში შევიპარეთ და დავინახეთ: მრეცხავის პოზაში მდგარ მათემატიკის მასწავლებელს დირექტორი როგორ... ქალი მაღალი იყო და დირექტორი ორ სქელ ტომზე შემდგარიყო... როცა რეალურ ცხოვრებაში მსგავსი ეპიზოდების მოწმე ვხდები, მათ სცენარში აუცილებლად ვიყენებ.

*— ამჯერად თბილისში ყოფნისას, რაიმე აბსურდულ სიტუაციაში ხომ არ მოხვედრილხარ?*

— „მთვარის მამა“ „ოქროს პრომეთეთი“ დაჯილდოვდა. პრიზი გადმომცეს, მაგრამ პრიზისთვის გათვალისწინებული 5.000 ლარი — არა. ვიცი, დღეს აქ ყველას უჭირს. მაგრამ, მეშინია, ფილმის რეჟისორმა ბახტიარ ხუდოინაზაროვმა, ფულს რომ არ ჩავუტან, ჩემს კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ შეიტანოს.

**P.S.** თითქოს გუშინ იყო, რომ თბილისის ქუჩებში ლამაზი წყვილი ხელიხელჩაკიდებული დააბიჯებდა.

ნანა და ირაკლი. მათ ერთმანეთი და კინო უყვარდათ.

თავიანთი შემოქმედებით ბევრი ლამაზი წუთი გვაჩუქეს.

წლები გავიდა...

დღეს ისინი კვლავ ერთმანეთსა და კინოზე შეყვარებულნი, მსოფლიოს გზებზე დააბიჯებენ, და მაინც ქართულ კინოხელოვნებას ემსახურებიან. თავიანთი კიდეებშემოცვეთილი რვეულებიდან გადმოსულ ტრაგიკომიკურ პერსონაჟებს ეკრანებზე აცოცხლებენ და სამყაროს საქართველოს არსებობას ახსენებენ...

***დოდო თოფურია***

1988 წლის 19 აგვისტოს მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში სინგაპურიდან თვითმფრინავი ჩამოფრინდა. სალონიდან ყველაზე ბოლოს სამი ხანში შესული მამაკაცი გამოვიდა. 34 წლიანი ტყვეობის შემდეგ მათ პირველად დადგეს ფეხი მშობლიურ მიწაზე. ეს მამაკაცები ტანკერ „ტუაფსეს“ მეზღვაურები იყვნენ...

1954 წლის 23 ივნისის დილას, ნავთობით დატვირთული ტანკერი „ტუაფსე“ ჩინეთისაკენ მიემგზავრებოდა. ტაივანის კუნძულიდან 150 მილის დაშორებით, ნეიტრალურ წყლებში, მეზღვაურებმა ჰიდრომფრინავის ხმა გაიგეს და დაინახეს მათკენ სწრაფად მომავალი ორი კრეისერი და ზღვის მონადირეთა ორი გემი. კრეისერიდან ბრძანება გაისმა: „შეაჩერეთ სვლა, კაპიტანი გემის საბუთებით ამოვიდეს კრეისერზე. ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში გავხსნით ცეცხლს“. კაპიტანმა უარი განაცხადა. კრეისერიდან ისროლეს. ტანკერით ფეთქებადი ტვირთი გადაჰქონდათ, ამიტომ კაპიტანი იძულებული გახდა, სვლა შეენელებინა. „ტუაფსეზე“ განგაშის სიგნალი გაისმა. ნახევრად შიშველი მეზღვაურები გემბანზე გამოცვივდნენ და კაპიტნის ირგვლივ განლაგდნენ. იარაღი არც ერთ მათგანს არ ჰქონდა და რაც ხელში მოჰყვათ, იმას სტაცეს ხელი — ნიჩბებს, მილის გადანაჭერს და ა.შ. მეზღვაურები ვაჟკაცურად იგერიებდნენ მოძალებულ სალდაფონებს, თუმცა იყვნენ ლაჩრებიც, მაგ. კაპიტნის ერთ-ერთმა თანაშემწემ მზარეულის წინსაფარი აიფარა და იხვეწებოდა, არ გამცეთ, რომ ოფიცერი ვარო. რადისტმა მოასწრო გადაეცა რადიოგრამა მოსკოვსა და ვლადივოსტოკში, შემდეგ „SOS“-იც გამოიყენა. რომელიღაც უცხოური გემი შეეცადა მათთან მიახლოებას, მაგრამ უკან დაიხია.

სამი დღის შემდეგ „ტუაფსე“ ეკიპაჟთან ერთად პორტ გაოსიუნში მიიყვანეს. რამდენიმე ათასი შეიარაღებული ჯარისკაცი თვალს არ აშორებდა საბჭოთა მეზღვაურებს. როგორც იქნა, მოიყვანეს თარჯიმანი, რომელმაც დაამშვიდა მეზღვაურები, უთხრა, რომ ჩინელებს მათთვის მხოლოდ სიკეთე უნდოდათ და საჭმელსასმელიც მოიტანეს, მაგრამ არც ერთმა მეზღვაურმა პირი არ დააკარა ამ ძღვენს, უფრო მეტიც, მათ შიმშილობა გამოაცხადეს. ერთი კვირა გაძლეს. გაცეცხლებული მოძალადეები მეზღვაურებს ტანკერიდან პირდაპირ ზღვაში ყრიდნენ.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ ტყვეთა გადასარჩენად მაშინვე მიიღო ზომები. საფრანგეთის დიპლომატებისა და შვედეთის წითელი ჯვრის საზოგადოების დახმარებით შეძლეს 29 კაცის გათავისუფლება. 13 თვის შემდეგ ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ. მათზე, როგორც გმირებზე, ბევრს წერდნენ, მხატვრული ფილმიც გადაიღეს. ალბათ გახსოვთ კინოსურათი „საგანგებო შემთხვევა“, სადაც კუზნეცოვი და სრულიად ახალგაზრდა ვიაჩესლავ ტიხონოვი თამაშობდნენ, მაგრამ ტყვედ კიდევ 20 მეზღვაური რჩებოდა. მათგან ცხრა, 1957-58 წლებში დაბრუნდა აშშ-ისა და ბრაზილიის გავლით. ოთხი მათგანი, რომლებიც ბრაზილიიდან ჩამოვიდნენ, სსრკ-ში დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით და 12-15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. რვა წლის შემდეგ მათი საქმე გადაისინჯა და დანაშაულის არარსებობის გამო — გაათავისუფლეს.

# უსასრულო რეისი — 34 წელი ტყვეობაში


შინ დაბრუნებულნი: ვალენტინ კნიგა, ვლადიმირ საბლინი და ბორის პისანოვი

## დახვრეტა „ხუმრობით“

ვალენტინ კნიგა, ერთ-ერთი იმ სამთაგანი, ვინც სამშობლოში 34 წლის შემდეგ დაბრუნდა, იხსენებს: „პირველი წელი გავატარეთ პოლიტპატიმრებისათვის განკუთვნილ ციხეში, ტაიბეის ცენტრში. საშინლად გვაწამებდნენ. რამდენიმე დღის მანძილზე ძილის საშუალებას არ გვაძლევდნენ, მკვეთრი სინათლით გვაბრმავებდნენ, ამის გამო მხედველობა თითქმის დავკარგე, დაგვცინოდნენ, აბუჩად გვიგდებდნენ. უთავბოლოდ გვატარებდნენ, შემდეგ გარეუბანში გაგვიყვანდნენ, კეფაზე პისტოლეტს მოგვაბჯენდნენ და ჩახმახს გამოჰკრავდნენ... პისტოლეტში ტყვიები არ იდო... წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, ისინი კი სიცილით იხოცებოდნენ. ასე გვტანჯავდნენ თითქმის სამი თვე. ჩვენ მეტის ატანა აღარ შეგვეძლო, ბოლოს და ბოლოს ხელი მოვაწერეთ საბუთს, რომ თანახმა ვიყავით აშშ-ში გამგზავრებაზე. მაშინვე დაგვირიგეს ტანსაცმელი, მოგვცეს ფული და ქალაქში სასეირნოდ გაგვიშვეს, თუმცა დაცვა თან დაგვყვებოდა. ვსეირნობდით და თან ვფიქრობდით, როგორ გავქცეულიყავით ამ კუნძულიდან. ამის შემდეგ სხვა ციხეში გადაგვიყვანეს. ამერიკაში გამგზავრების მოლოდინში ვიყავით, მაგრამ აღმოჩნდა, ყველა ჩვენგანის გაშვებას არ აპირებდნენ. მაშინ დავწერეთ განცხადება, რომ არც დანარჩენები წავიდოდით და ამ ფიცზე ხელი საკუთარი სისხლით მოვაწერეთ. გაგვცეს... გამხეცებულმა გომინდანელებმა ხელბორკილები დაგვადეს და ტაიბეის ცენტრალურ პოლიციაში მიგვიყვანეს. იქ ერთი კვირა გაგვაჩერეს, შემდეგ კი სამხედროები მოვიდნენ და ყოველდღე გვცემდნენ, ტყვიაჩაკერებული ხელთათმანებით გვირტყამდნენ. ეს საშინელება იყო. ამის შემდეგ გაიმართა სასამართლო და ათ-ათი წელი მოგვისაჯეს, რადგან მოვატყუეთ მათი პრეზიდენტი და თავისუფლება ხან გვინდოდა და ხან — არა. საპატიმროში რვანი ვიყავით, ერთად ვცხოვრობდით. სამ-ოთხ წელიწადში გვიცვლიდნენ საპატიმრო ადგილს. ერთად კი ვიყავით, მაგრამ ჩვენ შორისაც აღმოჩნდნენ მოღალატეები — ლობატიუკი და კოვალიოვი, რომლებიც გომინდანელებზე არანაკლები მხეცები იყვნენ. კოვალიოვი მამასახლისად დაგვინიშნეს და პირდაპირ სისხლი გაგვიშრო. იმ ზომამდე მიიყვანა ჟორა დიმოვი, რომ მან თავი ჩამოიხრჩო. ამან ჩვენზე საშინლად იმოქმედა. ამის შემდეგ გაგვაცალკევეს, მარტოობა აუტანელი იყო. ჭკუიდან რომ არ შევშლილიყავი, ნახმარი სანთებლებით რაკეტების და თვითმფრინავების მოდელებს ვაკეთებდი.

## მოღალატის ხვედრი

როცა საავადმყოფოში ჩვენი ამხანაგი მიხაილ კოლმაზანი გარდაიცვალა, ოფიცერმა მითხრა, ახლა შენი ჯერი დადგაო. მაგრამ შემდეგი მამასახლისი კოვალიოვი აღმოჩნდა. ჩემი აზრით, ის თავად გომინდანელებმა მოკლეს. ერთმა ჩინელმა სანიტარმა საიდუმლოდ მითხრა, რომ მას რაღაც სასიკვდილო ნემსები გაუკეთეს. 1988 წლის მარტში, ყოვლად მოულოდნელად მიგვიყვანეს ხვალენის სამხედრო ბაზაზე და ოფიცერმა გვითხრა: „მიმართეთ წერილობითი თხოვნით თქვენს მთავრობას, რათა აქედან წაგიყვანონ“. მხოლოდ ლობატიუკმა არ დაწერა თხოვნა, ან კი მოღალატე როგორ უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში, რა სინდისით. მას, რა თქმა უნდა, ეშინოდა სასჯელისა. ამ ბაზაზე ნახევარი წელი ვიყავით. ჩვენდამი დამოკიდებულება შეიცვალა, კარგად გვკვებავდნენ, გვივლიდნენ, რადიოსაც კი გვასმენინებდნენ. თურმე სახლში დასაბრუნებლად გვამზადებდნენ. დადგა გამგზავრების ბედნიერი დღეც. ტაივანის ხელისუფლებამ სამ-სამი კოსტიუმი გვაჩუქა, ფულიც დაგვირიგეს და ახლობლებისათვის სუვენირებიც გამოგვატანეს.

ახლა აქ ვართ, სამშობლოში. ყველა სხვადასხვანაირად მიცქერის — ზოგი ეჭვით, ზოგი პატივისცემით, ზოგიც — გულგრილად. მართალია, ბინა მომცეს ქალაქის განაპირას, ცოლიც მყავს, მაგრამ თავს მაინც გარიყულად ვგრძნობ, მით უმეტეს, რომ ჩემი მეგობრები აღარ არიან და ახლა სულ მარტო დავრჩი. რატომ, რისთვის დავისაჯე ასე უმოწყალოდ? ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გამიგია“.

*ექსპრეს-გაზეთა №44*

# ბრბოს კანონი



ბრბოში ადამიანის ქმედებას ზოგჯერ იმასაც უკავშირებენ, რომ ბრბო წარმოადგენს იმ ადამიანთა შემთხვევით თავშეყრას, რომლებიც დროებით ან საბოლოოდ ამოვარდნენ თავისი სოციალური გარემოდან — ოჯახიდან, კლასიდან, პროფესიული თანამეგობრობიდან. ბრბოს უცნაური, რომ არა ვთქვათ, უგუნური და დანაშაულებრივი ქმედება აიხსნება იმით, რომ იგი ხშირად ათასგვარი ვიგინდარითაა ფორმირებული: უსაქმურებით, ეზოს ხულიგნებით, ფსიქიკურად მერყევი ადამიანებით. დაკვირვებამ და მრავალრიცხოვანმა კვლევამ აჩვენა, რომ ბრბოში არაფერს ნიშნავს ადამიანის სოციალური სტატუსი ან მისი კულტურა. ბრბოში მოხვედრილი აკადემიკოსი ზუსტად ისევე იქცევა, როგორც დიასახლისი.

ბრბო იმპულსურია, ცვალებადი, ადვილად აღგზნებადი. ის ზედმეტად მიმნდობია და გამოირჩევა კრიტიკის უუნარობით. იგი სახეებით აზროვნებს, არ იცის დაეჭვება, მერყეობა, ვერ ამჩნევს წინააღმდეგობრიობას. ქრება მორალური და ზნეობრივი აკრძალვა, მეფობს ინსტინქტები და ემოციები. ადამიანი თითქოს რამდენიმე საფეხურით დაბლა ეშვება თავისი განვითარების დონიდან და ცივილიზებული არსებიდან ველურად ან ბავშვად იქცევა და ამგვარი პერიოდული გარდასახვა გარდაუვალია. კულტურულ აკრძალვათა და ცივილიზაციის ტვირთი ადამიანს ზოგჯერ მეტისმეტად აწვება. ნებისმიერი ადამიანი მიისწრაფვის, მეტნაკლებად განიცადოს სიამოვნება იმით, რომ არ იყოს ის, ვინც არის, მიეცეს თავდავიწყებას, უარი თქვას საზრუნავზე, დაეუფლოს უჩვეულო და ამაღელვებელი ემოციები, ყოვლისშემძლეობის განცდა, აღფრთოვანება, ზეიმი. ადამიანი იღლება სიფხიზლით, დაძაბული ფიქრით, ეჭვით, გადაწყვეტილებათა მიღებით, წესების დაცვით და, ბოლოს და ბოლოს, მარტოობის განცდით. მასასთან შერწყმის ბუნდოვანი სურვილი თითოეულ ადამიანში ცოცხლობს და როცა ეს სურვილი საკმაოდ ძლიერდება, იგი ყიდულობს სტადიონის ბილეთს ან მიდის დისკოთეკაზე, სადაც შესაძლებელია განიცადოს გამარჯვების კოლექტიური ნეტარება და სრული თავისუფლება.

ეკლესიასა და მიტინგზე, თეატრსა და სამხედრო პარადზე ადამიანები ერთობლივად თავისუფლდებიან ყოველდღიურობისგან და ერთიანდებიან საერთო იმედისა და რწმენის ქვეშ — იქნება ეს სულიერი ხსნის თუ საყვარელი გუნდის გამარჯვების რწმენა. სხვათა გვერდით ადამიანი თავს უფრო ძლიერად და თვითდაჯერებულად გრძნობს. ბრბოში მყოფის მდგომარეობა უფლებას აძლევს ადამიანს, მიეცეს მისტიკურ ექსტაზს, ჩავარდეს ეიფორიაში და მეყსეულად გადავიდეს პანიკაში.

წინდახედული საზოგადოება, რომელიც ზრუნავს თავის წევრთა სულიერ კეთილდღეობაზე, ყოველთვის ქმნიდა დროის საგანგებო შუალედებს, რომელზეც უქმდებოდა კულტურული აკრძალვები. ასეთი იყო, მაგალითად, რომაული სატურნალიები ან ლათინოამერიკული კარნავალები.

თანამედროვე მასობრივი ზეიმები უძველესი წინამორბედების მხოლოდ მკრთალი ანარეკლია. ძველი და შუასაუკუნეობრივი კარნავალები თავდაყირა აყენებდა საგანთა არსებულ წესრიგს: დაბალ საფეხურზე მდგომნი ამცირებდნენ მაღალ საფეხურზე მყოფთ, ბავშვები დასცინოდნენ მშობლებს, ბატონები ემსახურებოდნენ მოსამსახურეთ. თავს ვერავინ დაიძვრენდა ამგვარ „გადატრიალებაში“ მონაწილეობიდან. აღვირახსნილობას და აგრესიას აქეზებდნენ ისევე, როგორც წლის განმავლობაში ნაგროვები სიკეთის გაფლანგვას. მცირე ხნით გაგიჟებული ადამიანები კვლავ უბრუნდებოდნენ ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

ბუნტი, ჯანყი, სახალხო მღელვარება მსგავსი სცენარით ვითარდება. ადამიანები მოქმედებენ როგორც სიზმარში, როცა ყველაფერი ნებადართულია — მთელი ხმით ყვირილი, ვიტრინების მსხვრევა, ავტომანქანების გადაბრუნება და დაწვა, ჩხუბი და, ბოლოს და ბოლოს, მოკვლა. ბრბოში ადამიანს ეჩვენება, რომ იგი ყოვლისშემძლე და დაუმარცხებელია. ამგვარი ეგზალტაცია — სულაც არ არის შორეული წარსულის კუთვნილება. ასე იქცევა ბრბო დღესაც, მსოფლიოს ცივილიზებულ თუ დაბალი განვითარების ქვეყნებში.

ცხადია, ბრბო მშვიდობიანიც შეიძლება იყოს, მაგრამ იგი ყოველთვის ეგზალტირებულია — მაშინაც, როცა ქვებს ისვრის და მაშინაც, როცა ყვავილებს ესვრის ძვირფას მომღერალს.

აღფრთოვანებული თაყვანისმცემლების არსებობა აღაფრთოვანებს სხვებსაც, რასაც, სხვათა შორის, წარმატებულად იყენებენ საუკუნეთა მანძილზე თეატრის კლაკიორები (დაქირავებული პირები), რომლებმაც ტაშის კვრით, ყვირილით, სტვენით უნდა შექმნან შთაბეჭდილება სპექტაკლის თუ მსახიობის წარმატებისა ანდა პირიქით, ჩაფლავებისა), როგორც ცნობილია, პუბლიკის ამ ნაწილის პროფესიული მიზანია — გამოიწვიოს თავისი ოვაციებით საერთო აღფრთოვანება. არსებითად იგი არ განსხვავდება ნებისმიერი პროფესიონალი პროვოკატორის მიზნისაგან, თავისი სიტყვებით და ქმედებებით უკარნახოს ბრბოს, როგორ უნდა მოიქცეს ან რა გრძნობები უნდა განიცადოს.

ამგვარი ადამიანი აუცილებელია ბრბოსათვის. ხელმძღვანელის, ქმედების მიმთითებლის გარეშე ხალხის მასა ვერ იქცევა ბრბოდ. ამერიკელმა ფსიქოლოგმა სტენლი შახტერმა ერთხელ ამგვარი ექსპერიმენტი ჩაატარა: ადამიანთა სამ ჯგუფს ვენაში ადრენალინი გაუკეთეს. პირველ ორ ჯგუფში შეგზავნეს პროვოკატორები. პირველ ჯგუფში პროვოკატორი ილანძღებოდა, წინ და უკან დარბოდა და შურისძიებით ემუქრებოდა ექსპერიმენტატორებს. მეორე ჯგუფში პროვოკატორი მღეროდა, ხუმრობდა და სისულელეებს როშავდა. მესამე ჯგუფი უბრალოდ გააფრთხილეს, რომ ვენაში შეყვანილი ნივთიერება გამოიწვევდა ტემპერატურის მომატებას, გულის აჩქარებას და სუნთქვის გახშირებას. 15 წუთის შემდეგ პირველი ჯგუფის ყველა მონაწილემ იგრძნო ბრაზი და მრისხანება, მეორე ჯგუფელები საშინლად გამხიარულდნენ. მესამე ჯგუფში კი ადამიანები მშვიდად გრძნობდნენ თავს და ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული.

სწორედ ამგვარი სქემით ხდება ემოციათა გავრცელება ბრბოში. ისინიც კი, ვინც გულგრილნი არიან ამა თუ იმ მომღერლის მიმართ, როცა მის ფანატიკოს თაყვანისმცემელთა შორის ხვდებიან, იწყებენ აპლოდირებას და „ბრავოს“ ძახილს.

თუმცა მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა ადამიანისათვის ზოგჯერ აუცილებელია ფსიქოლოგიური განტვირთვის თვალსაზრისით, მაგრამ ბრბოში ხანგრძლივად ყოფნა ისევე სახიფათოა, როგორც ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკის ბოროტად გამოყენება.

ჯერ ერთი, ადვილია ბრბოთი მანიპულირება. ადრე თუ გვიან, ვიღაც აუცილებლად ისარგებლებს და ბრბოს ენერგიას წარმართავს თავისი მიზნებისათვის და სხვის (უპირველეს ყოვლისა, ისევ ბრბოს) საზიანოდ. საუკუნეთა მანძილზე ყოველთვის მოიძებნებოდა პიროვნებები, ბრბოს მართვას რომ ახერხებდნენ და, როგორც წესი, სიკეთე ამას არასოდეს მოუტანია.

მეორეც, იმისათვის, რომ ადამიანმა შეინარჩუნოს ინდივიდუალობა, საჭიროა გააცნობიეროს იგი. ამ თვისებას მუდმივად ესაჭიროება განვითარება. საკუთარი პიროვნების მასაში ათქვეფით მიღებულ ეიფორიას კი შესაძლოა მისი სრული გაქრობა მოჰყვეს.

ექსტრემიზმი ყოველთვის პოულობს მხარდაჭერას ბრბოში, რამდენადაც იგი საწყისიდანვე თავად ბრბოსთვისაა ნიშანდობლივი. ეს გამოიხატება სიჩქარით, რომლითაც ბრბო იღებს ცალმხრივ გადაწყვეტილებებს. კერპის ან განტევების ვაცის არჩევისას ბრბო უკუაგდებს ყოველგვარ ეჭვს, რომელიც შობდა უთანხმოებას ან დაანგრევდა მის ერთობას. ბრბოს ცეცხლოვან ატმოსფეროში დაეჭვებული ივსება რწმენით, მოჭოჭმანე იღებს გადაწყვეტილებას, ზომიერები კი ვარდებიან უკიდურესობაში. გამოთქმული ეჭვი მაშინვე იქცევა უდავო ჭეშმარიტებად, წარმოქმნილი ანტიპათია — მძაფრ სიძულვილად. ბრბოსათვის არ არსებობს შუალედი წყევლასა და გაღმერთებას შორის, საშინელებასა და აღტაცებას შორის. მასის წარმოსახვის დასამორჩილებლად აუცილებელია გადაჭარბება, უტრირება, ეფექტური მაგალითები და თამამი განზოგადება.

ბრბოს არც დრო და არც პირობები არა აქვს იმისათვის, რომ ყოველივე აწონ-დაწონოს, დააზუსტოს ფაქტები. ამიტომ იგი სიამოვნებით იღებს ურთიერთგამომრიცხავ იდეებს — შოვინისტურს და სოციალისტურს, ძმურს და მოძულეს და ა.შ. და სულაც არ ადარდებს არსებული ულოგიკობა. ბრბო, შესაძლოა, ერთი თვალსაზრისიდან ისე გადავიდეს რადიკალურად განსხვავებულზე, რომ ვერც კი შეამჩნიოს ეს. ამიტომ მცოდნე ორატორი სულაც არ ზრუნავს, რომ მისი სიტყვა ლოგიკურად უზადო იყოს. მხურვალედ და რწმენით ნათქვამი



სრული უაზრობა, დატვირთული შედარებებით და მკვეთრი სახეებით, ბრბოზე გაცილებით მეტ ზემოქმედებას მოახდენს, ვიდრე ლოგიკურად ჩამოყალიბებული ლექცია შეუცნობელი მატერიის შესახებ.

ბრბოში ადამიანი კარგავს უნარს, გაარჩიოს რეალური ფანტაზიისაგან, სასურველი — არსებულისაგან. ბრბო საკუთარ შიშს, სურვილს და იდეებს განიხილავს, როგორც რეალობას. ბრბო მზადაა, ირწმუნოს ნებისმიერი მიმზიდველი ილუზია და იმოქმედოს მის შესაბამისად. მაგ. დაიწყოს „ძალადობის სამყაროს“ ნგრევა ან „ათასწლოვანი რაიხის“ შენება. ბრბოსათვის არაფერია შეუძლებელი, იგი არ ცნობს წინააღმდეგობებს. ამით კარგად სარგებლობენ როგორც დიდი მხედართმთავრები, რომლებიც შეტევისკენ მოუწოდებენ ჯარისკაცებს, ასევე პოლიტიკური ავანტიურისტები, რომლებიც ახდენენ ბრბოს დამანგრეველი ქმედების პროვოცირებას.

*ვლასტი №38*

# პირველი წრის შემდეგ კალაძე „მილანს" ან „ბაიერნს" მიაშურებს



კახი კალაძის მომავალი კლუბის ვინაობა ალბათ მას შემდეგ გაირკვევა, რაც ევროპის მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში ჩემპიონატების პირველი წრე დასრულდება. დღესდღეობით ყველაზე რეალურია, რომ კალაძე კარიერას იტალიის „მილანში" გააგრძელებს, თუმცა გარკვეული პრობლემა არსებობს. საქმე ის არის, რომ კალაძე არაევროკავშირული ქვეყნიდანაა. ეს კი სიტუაციას ართულებს, ვინაიდან იტალიურ კლუბებს უფლება არა აქვთ, იყოლიონ არა უმეტეს სამი მოთამაშისა ამ ქვეყნებიდან. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ხორვატი ზვონიმირ ბობანი „მილანში" კიდევ სამი წლით რჩება. აქედან გამომდინარე, არევროკავშირული ქვეყნის მოთამაშისათვის „მილანში" თავისუფალი ადგილი არ არის. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ ყოველმხრივ შეეცდება, კლუბის საუკეთესო ფორვარდს, უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს ორმაგი მოქალაქეობა მიაღებინოს. თუ ეს მოხდა, „მილანი" უპრობლემოდ შეიძენს კალაძეს. სატრანსფერო თანხად ჯერჯერობით 18 მილიონი დოლარი სახელდება. არის ერთი ვერსიაც: შესაძლოა, მიუნხენის „ბაიერნმა" „მილანში" იენს ერემისი გაუშვას, კალაძე კი თავისთან მიიწვიოს. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ კალაძე კიევის „დინამოს" დატოვებს, თავად „მილანში" სურს კარიერის გაგრძელება. ისე არც „ბაიერნი" უნდა იყოს ცუდი ვარიანტი.

# ამხანაგური დღე ევროპაში



გასულ კვირაში ევროპის უძლიერესი კლუბები ევროთასების გათამაშებისაგან ისვენებდნენ, რითაც უმალ ისარგებლეს ეროვნულმა ნაკრებებმა და ერთმანეთს ამხანაგურ მატჩებში დაუპირისპირდნენ. გაიმართა რამდენიმე მეტად საინტერესო მატჩი. მსოფლიო ჩეპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ჩვენმა მეტოქემ — იტალიის ნაკრებმა ინგლისელებს უმასპინძლა და ჯენარო გატუზოს ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო. ოთხშაბათს ჩვენი ნაკრების კიდევ ორმა მომავალმა მეტოქემ იასპარეზა. გადახალისებულმა და გაახალგაზრდავებულმა რუმინეთის ნაკრებმა იუგოსლავიას უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა. რაც შეეხება უნგრელებს — ისინი მაკედონიაში შეხვდნენ იქაურ ნაკრებს, თუმცა მხოლოდ ერთი ტაიმის თამაშს დასჯერდნენ. ძლიერმა ნისლმა მსაჯი იძულებული გახადა, თამაში პირველი ტაიმის დასრულებისთანავე შეეწყვიტა. იმ დროისათვის უნგრელები 1:0 იგებდნენ. აღსანიშნავია საფრანგეთის ნაკრების დიდი ანგარიშით გამარჯვება თურქეთში. შესუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე მსოფლიო ჩემპიონებმა თავზე ცივი წყალი გადაასხეს ამბიციურ მასპინძლებს. მწვრთნელის რანგში პირველი მარცხი იგემა რუდი ფიოლერმა, რომლის გერმანიის ნაკრებიც კოპენჰაგენში დამარცხდა დანიელებთან. ჰოლანდიელებმა სტუმრად მოუგეს ესპანელებს 2:1, მიუხედავად იმისა, რომ 0:1-ს აგებდნენ.

**გაგაცნობთ ოთხშაბათს გამართული ყველა მატჩის შედეგს**

| | |
|---|---|
| იტალია-ინგლისი 1:0 | ესტონეთი-ყირგიზეთი 1:0 |
| ესპანეთი-ჰოლანდია 1:2 | პორტუგალია-ისრაელი 2:1 |
| თურქეთი-საფრანგეთი 0:4 | ტუნისი-შვეიცარია 1:1 |
| დანია-გერმანია 2:1 | ალჟირი-ბულგარეთი 1:2 |
| ალბანეთი-მალტა 3:0 | საბერძნეთი-სლოვაკეთი 0:2 |
| ირლანდია-ფინეთი 3:0 | პოლონეთი-ისლანდია 1:0 |
| რუმინეთი-იუგოსლავია 2:1 | |

**ოთხშაბათსვე გაიმართა ორი მატჩი ევროპის შესარჩევ ჯგუფებში. კვიპროსის ნაკრებმა შინ 5:0 მოუგო ანდორას. ლატვიელებმა კი სტუმრად 1:0 სძლიეს სან მარინოს ნაკრებს.**

# „გალათასარაი" შოთა არველაძის სანაცვლოდ 13,5 მილიონს იხდის

ამსტერდამის „აიაქსისა" და საქართველოს ნაკრების ფორვარდი შოთა არველაძე, შესაძლოა, სულ მალე თურქეთის ჩემპიონსა და უეფას თასის მფლობელ სტამბოლის „გალათასარაიში" აღმოჩნდეს. თურქულმა მხარემ თავად გამოთქვა ქართველი თავდამსხმელის შეძენის სურვილი. „გალა" მზად არის, არველაძის შესაძენად საკმაოდ სოლიდური თანხა — 13,5 მილიონი დოლარი გაიღოს. არველაძის აგენტმა ეს ინფორმაცია დაადასტურა და განაცხადა, რომ ყველაფერი უახლოეს 10 დღეში გაირკვევა. მისივე ცნობით, თავად ფეხბურთელი მოწადინებულია თურქეთში დაბრუნდეს — შეგახსენებთ, რომ შოთა სამიოდე წლის წინ დიდი წარმატებით გამოდიოდა „ტრაბზონსპორში" — თურქებს მისი თამაში კარგად ახსოვთ. მიუხედავად იმისა, რომ „აიაქსი" შოთას გაყიდვას არ ჩქარობს, თურქების დასახელებულმა თანხამ, შესაძლოა რეალური გახადოს ეს გარიგება. შეგახსენებთ, რომ „გალათასარაი" ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გავიდა და თავად თურქთა კლუბის წარმომადგენლის განცხადებით — მაღალკვალიფიციური ფორვარდები სჭირდება, რაც შეეხება „აიაქსს", იგი უეფას თასზე გამოდიოდა და იქიდანაც გავარდა. საერთოდ ჰოლანდიურ კლუბს ახლა საკმაოდ მძიმე პერიოდი უდგას და თავად არველაძისათვის ალბათ კარიერის გაგრძელება „გალათასარაიში" სჯობს.

# მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მომავალი ტური გაიმართა სამხრეთ ამერიკაში. ყველაზე დიდ ინტერესს, ბუნებრივია, ბრაზილიისა და კოლუმბიის ნაკრებთა შეხვედრა იწვევდა. ბრაზილიელებმა პირველი შეხვედრა ჩაატარეს ახალი მწვრთნელის — ემერსონ ლეაოს ხელმძღვანელობით და ძლივს გადაურჩნენ თანამემამულეთა რისხვას. ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი მასპინძლებმა მსაჯის მიერ წამატებულ მეოთხე წუთზე გაიტანეს. მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ფრე ყველაზე ლოგიკური შედეგი იქნებოდა. არგენტინის ნაკრების მიერ ჩატარებული ყოველი მატჩი მოწმობს, რომ ამ ქვეყნის ნაკრებს სამხრეთ ამერიკაში სადღეისოდ ბადალი არ ჰყავს. არგენტინელებმა გაბრიელ ბატისტუტას, ერნარ კრესპოსა და კლაუდიო ლოპესის გარეშე სძლიეს სტუმრად ჩილეს ნაკრებს. პარაგვაელებმა შინ 5:1 გაანადგურეს პერუს ნაკრები. ხოსე ლუის ჩილავერტი ჩრდილში ხომ არ მოექცეოდა — ერთი გოლი გაიტანა და ერთიც საგოლე პასი გააკეთა. შეგახსენებთ — ჩილავერტი პარაგვაელთა მეკარეა. ურუგვაის ნაკრებმა ორი ქულა დაკარგა ბოლივიაში და თუ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში სურს, დარჩენილ ტურებში მეტი აქტიურობა მართებს.

**X ტური**

**პარაგვაი-პერუ 5:1**
**ჩილე-არგენტინა 0:2**
**ბრაზილია-კოლუმბია 1:0**
**ვენესუელა-ეკვადორი 1:2**
**ბოლივია-ურუგვაი 0:0**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | არგენტინა | 10 | 8 | 1 | 1 | 22:8 | 25 |
| 2. | ბრაზილია | 10 | 6 | 2 | 2 | 21:9 | 20 |
| 3. | პარაგვაი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:9 | 20 |
| 4. | ეკვადორი | 10 | 5 | 1 | 4 | 12:14 | 16 |
| 5. | ურუგვაი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:7 | 15 |
| 6. | კოლუმბია | 10 | 4 | 3 | 3 | 8:7 | 15 |
| 7. | ჩილე | 10 | 3 | 1 | 6 | 11:13 | 10 |
| 8. | ბოლივია | 10 | 2 | 3 | 5 | 5:14 | 9 |
| 9. | პერუ | 10 | 2 | 2 | 6 | 7:13 | 8 |
| 10. | ვენესუელა | 10 | 1 | 0 | 9 | 6:28 | 3 |

***შეგახსენებთ, რომ პირველი ოთხი გუნდი ავტომატურად მოიპოვებს კორეა-იაპონიის საგზურს, მეხუთე კი პლეი-ოფში ითამაშებს ოკეანიის გამარჯვებულთან.***

# შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატი სამ ქვეყანაში გაიმართოს



შესაძლოა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ თანამასპინძლად იქცეს. ამის შესახებ ოფიციალური განაცხადი გააკეთა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა კსდრ-ს ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ თავიდან ჩემპიონატის ჩატარება ორ ქვეყანაში — იაპონიასა და სამხრეთ კორეაში იყო დაგეგმილი, მაგრამ სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის დამყარებულმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ შესაძლებელი გახადა ის, რომ ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი ჩრდილოეთ კორეაშიც გაიმართოს. „ფიფა მოხარული იქნება, თუკი მსოფლიოს უპირველეს საფეხბურთო ფორუმს ერთბაშად სამი ქვეყანა უმასპინძლებს. ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და ყოველმხრივ ვეცდებით ჩრდილო კორეელებს დავეხმაროთ". — განაცხადა ბლატერმა ორი ქვეყნის წამყვან პოლიტიკოსებთან შეხვედრისას.

# ფრანკ დე ბური ჰოლანდიის რეკორდსმენია

კატალონიის „ბარსელონაში" მოასპარეზე ჰოლანდიელი ფრანკ დე ბური ერთადერთი ჰოლანდიელია, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 85 შეხვედრა აქვს ჩატარებული. დე ბურმა რეკორდი გასულ ოთხშაბათს დაამყარა, როცა ნარინჯისფერთა რიგებში ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. ჰოლანდიელებმა გაიმარჯვეს, ფრანკ დე ბურმა გოლიც კი გაიტანა. აქამდე ნარინჯისფერთა ნაკრებში გამოსვლის რეკორდი არონ ვინტერს ეკუთვნოდა, რომელსაც ნაკრების ფორმა 84-ჯერ აქვს მორგებული.

# ამერიკელებმა დაუმი გაამართლეს

სენსაციური მასალა გამოაქვეყნა გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა". „ლევერკუზენის" ყოფილი მწვრთნელის კრისტოფ დაუმის ხელმეორე ანალიზმა, რომელიც გერმანელმა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ცნობილ ლაბორატორიაში ჩაიტარა, დაუმის მიერ კოკაინის მიღების ფაქტი არ დაადასტურა. „მე სუფთა ვარ" — განაცხადა მწვრთნელმა პასუხის შეტყობისთანავე. მისმა ადვოკატმა კი აღიარა, რომ კიოლნის ლაბორატორიაში კრისტოფ დაუმის თმის ანალიზის პასუხი გააყალბეს და მის კლიენტს ცილი დასწამეს. შეგახსენებთ, რომ ივლისიდან „ლევერკუზენის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი გერმანიის ეროვნულ ნაკრებს უნდა ჩასდგომოდა სათავეში. გერმანიაში ახლა უკვე ფიქრობენ, რომ ვიღაც-ვიღაცებს დაუმის ნაკრებში მისვლა არ აძლევდათ ხელს და სკანდალი ხელოვნურად მოუწყვეს. „კრისტოფ დაუმი რეაბილიტირებულია, იგი ფეხბურთს აუცილებლად დაუბრუნდება. სხვა საკითხია, აქვს თუ არა მას გერმანიაში დაბრუნების სურვილი. მთავარია, რომ მან თავისი სიმართლე დაამტკიცა" — ესეც მწვრთნელის ადვოკატის სიტყვებია. დაუმის მთავარი მოწინააღმდეგე — მიუნხენის „ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი კი ითხოვს — დაუმმა საბოლოო ანალიზი გერმანიაში ჩაიტაროს — ეტყობა, ჰიონესი ამერიკელ ექიმებს არ ენდობა.

# ქართველთა წარმატება პრაღაში

9-15 ნოემბერს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი კიკბოქსინგში (18 წლამდე და უფროსებში), სადაც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 700-მდე სპორტსმენმა. პრაღაში საქართველოს ნაკრები 13 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი გოჩა ჯავახია) გაემგზავრა, გუნდს ვერ წაჰყვა საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი კიკბოქსინგში გიორგი ჩაკვეტაძე. მან 24 სექტემბერს, საქართველოს ისტორიაში პირველად, პროფესიონალურ რინგზე ჩემპიონის ქამარი მოიპოვა, გიორგიმ სწორედ მაშინ მიიღო ხელის ტრავმა.



ქართველებმა ჩეხეთში კარგად იასპარეზეს, 7 მედალი დაისაკუთრეს: 1 — ოქრო, 4 — ვერცხლი, 2 — ბრინჯაო.

კარგად გამოვიდნენ კლუბ „ჯიქის" და კლუბ „ჩემპიონის" სპორტსმენები.

ოქროს მედალი მოიპოვა — გიორგი წიკლაურმა (დედოფლისწყაროდან).

ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს ელენე ბოლაშვილმა (პირველი მსოფლიოს პრიზიორი ქართველი ქალი დედოფლისწყაროდან), ზვიად გომიაშვილმა (სასაზღვრო ჯარიდან), გიორგი ამოევმა და არჩილ ლაფაჩიშვილმა.

ბრინჯაოს მედლები კი წილად ხვდათ შალვა ავთანდილაშვილს და ალექსანდრე მღებრიშვილს.

მსაჯების აშკარა ტენდენციურობის გამო, უმედლოდ დარჩა შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში — ოთარ გოლობძე.

შეჯიბრებას ესწრებოდა ლეგენდარული ამერიკელი სპორტსმენი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, პიტერ კანინგემი. მას პროფესიულ რინგზე ჯერ მარცხი არ განუცდია, მანაც აღნიშნა ქართველების კარგი გამოსვლა, ჩვენებს დაუმეგობრდა და საჭირო რჩევა-დარიგებებს აძლევდა.

ფედერაცია მადლობას უხდის იმ ადამიანებს, ვინც ფინანსური დახმარება გაუწია სპორტსმენებს.

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მe3-f1!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს **სამ** სვლაში.



მსოფლიო სპორტი
ფასი 20 თეთრი
ყოველ კვირას, სამშაბათს და ხუთშაბათს
სპორტული გაზეთი ტოტალიზატორის მოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის
უახლესი სპორტული ინფორმაცია, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების შედეგები და მიმოხილვა, სტატისტიკა, ფსონები, ცხრილები, ინტერვიუები, კურიოზები, სპორტული კროსვორდები, მთელი კვირის სპორტული TV პროგრამა და სხვ.
ინფორმაცია ჩვენი, წარმატება თქვენი!



# ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონატს უბრუნდება

***— ქალბატონო ნონა, პირდაპირ მოლოცვით დავიწყებდი ჩვენს საუბარს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით — წინა ოლიმპიადასთან შედარებით ერთი საფეხურით წინ წავიწიეთ, თუმცა გულშემატკივრების მიერ ქართველ მოჭადრაკე ქალთაგან პირველი ადგილის გარდა, ყველაფერი წარუმატებლობად აღიქმება.***

— დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ოლიმპიადის შედეგებით მაინც კმაყოფილი ვარ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალებმაც და მამაკაცებმაც წინა ოლიმპიადის მაჩვენებლები გააუმჯობესეს. დღევანდელ სიტუაციას რომ ვახსენებ, იმ მდგომარეობას ვგულისხმობ, რომელიც საერთოდ არის ქვეყანაში და რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში სარკესავით ისახება, მათ შორის სპორტში და, ცხადია, ჭადრაკშიც. თავად განსაჯეთ — წელს ბიუჯეტით განსაზღვრული ისედაც მწირი თანხიდან — 100 ათასი ლარიდან, მხოლოდ 22 000 მივიღეთ. ცხადია, ამ თანხით დაგეგმილი კალენდრის უზრუნველყოფა შეუძლებელია, ტურნირებში მონაწილეობის გარეშე კი არათუ ოსტატობის ზრდა, არამედ არსებული დონის შენარჩუნებაც ძნელია. რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ მხრივ თანდათანობით უარესობისკენ მიდის საქმე. მაგალითად, წელს პირველად მოხდა, რომ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი მოჭადრაკეების გამგზავრება განათლების სამინისტრომ ვერ დააფინანსა — ადრე ყოველთვის ეს უწყება უზრუნველყოფდა ჩვენების მონაწილეობას ამ შეჯიბრებაზე. ახლა უკვე იმაზე მიდის საუბარი, რომ მომავალი წლიდან საერთოდ უნდა შეუწყდეს სპორტს დაფინანსება და მხოლოდ ლატარიების შემოსავლებით უნდა იარსებოსო. ვერ გეტყვით, რომ დიდი იმედი მაქვს ამ მოსალოდნელი ცვლილებისა.

როდესაც ოლიმპიადა იმართება, იმ წლებს კიდევ არა უშავს, მშველელი გამოგვიჩნდება ხოლმე. ახლაც თბილისის კომიტეტმა თითო შეკრებით უზრუნველყო ქალთა და კაცთა გუნდები, ოლიმპიადის წინ კი ბოლო შეკრება ბათუმის კლუბმა „კაისამ“ მოგვიწყო, რისთვისაც უსაზღვროდ მადლიერი ვართ მათი. მაგრამ ოლიმპიადაზე საერთოდ ვერ წავიდოდით, პრეზიდენტს რომ არ გამოეყო თავისი ფონდიდან 150 ათასი ლარი.

***— ნუთუ ჭადრაკშიც ისეთივე მნიშვნელობა აქვს შეკრებებსა და „სპორტულ მომზადებას“, როგორც სხვა სახეებში.***

— შეიძლება უფრო მეტიც. მაგრამ ახლა მხოლოდ ამაზე არ არის საუბარი. ქართველ მოჭადრაკეებს უკვე სამი წელია ხელფასები არ აუღიათ. თქვენ რომ „სპორტული ფორმა“ ახსენეთ, მის შესანარჩუნებლად ყოველ მოჭადრაკეს ინდივიდუალური მწვრთნელი ან სპარინგ-პარტნიორი სჭირდება, რაც დიდ თანხებს მოითხოვს.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მოჭადრაკეები იძულებულნი არიან ე.წ. კომერციულ ტურნირებში ითამაშონ, რომლებიც დონის ამაღლებისათვის თითქმის არაფერს იძლევა, მაგრამ იქ გამოსვლით სპორტსმენები ერთ-ორ კაპიკს შოულობენ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მაინც კმაყოფილი ვარ ქალების მეორე და მამაკაცების მეექვსე ადგილით. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიადის დაწყების წინ „ვოპტიმისტობდი“, გულის სიღრმეში ქალთა შორის საპრიზო სამეულში შესვლითაც კმაყოფილი ვიქნებოდი.

რაც შეეხება ქართველების — როგორც გულშემატკივრების, ასევე მოჭადრაკეების „გამარჯვების სინდრომს“, ეს ძალიან კარგია და ღმერთმა ნუ ქნას ჩვენი ამ „ავადმყოფობისგან“ განკურნება. თუმცა, ისიც უნდა გავიგოთ, რომ სულ პირველი ადგილის აღება შეუძლებელია — ქალთა წლევანდელი მეორე ადგილიც წარმატებაა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მესამე ადგილზე გასულ რუსეთის გუნდს მთელი 2,5 ქულით გავუსწარით, ხოლო ჩემპიონ ჩინელებს მხოლოდ ერთით ჩამოვრჩით.

***— და მაინც, ფაქტია, რომ ადრე ქართველი მოჭადრაკე ქალები ერთი თავით მაღლა იდგნენ დანარჩენ მსოფლიოზე. რა არის ამ სხვაობის შემცირების მიზეზი — სხვების გაძლიერება თუ ჩვენი მოჭადრაკეების დონის დაცემა?***

— საშუალო დონე მთელ მსოფლიოში გაიზარდა, თუმცა ზემოთქმული პირობებიდან გამომდინარე, არც ჩვენი მოჭადრაკეების მიერ პოზიციების გარკვეულწილად დათმობის უარყოფა შეიძლება.

ისიც სათქმელია, რომ არაფერი საოცარი ამაში არ არის, თუ ყოველ თაობაში ვერ დაიბადებიან ჩემპიონები. ძალიან კარგად მესმის ჩვენი „განებივრებული“ გულშემატკივრების, მაგრამ სწორედ ეს „მოთხოვნა“ კიდევ ერთ დამატებით ფსიქოლოგიურ დატვირთვად აწვებათ ქართველ მოჭადრაკეებს. იმავე ჩინეთის მაგალითი ავიღოთ — ამჟამად იქ ქალთა ჭადრაკის ბუმია, დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენში იყო ადრე. თანაც გაითვალისწინეთ ჩინელთა რაოდენობა, ამას დაამატეთ ის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მათმა მოჭადრაკეებმა მხოლოდ შედეგებზედ იფიქრონ და არა ყოფით პრობლემებზე და თქვენს კითხვაზე პასუხიც ფაქტობრივად გაცემული იქნება.

***— ისევ ოლიმპიადას დავუბრუნდეთ — ნუთუ არ იყო ჩემპიონობის შანსი? მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ უკრაინის ნაკრებთან დასანან მარცხს 0,5:2,5. ჩინელებს ხომ მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩით.***

— ჩინელთა გუნდში ორი ახალგაზრდა მოჭადრაკე თამაშობდა, რომლებმაც ძალიან ბევრი ისეთი პარტია მოიგეს, სადაც თავიდან თანაბარი, ზოგჯერ კი უარესი პოზიციებიც კი ჰქონდათ — კიდევ ერთხელ მიხდება იმის გამეორება, რომ ეს იმ პირობების შედეგია, რომლებშიც ისინი იმყოფებიან, მარტივად რომ ვთქვათ, ჭადრაკის მეტი საფიქრალი არაფერი აქვთ და იმიტომ.

ობიექტურადაც, რამდენადაც უსიამოვნო არ უნდა იყოს ეს ჩვენთვის, დღესდღეობით ჩინელთა გუნდი ჩვენზე ძლიერი იყო და დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი. თუმცა, იყო რამდენიმე ნიუანსი, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც შეიძლებოდა რაღაცის იმედი გვქონოდა — თუნდაც მაია ჩიბურდანიძის არნახულად სუსტი თამაში. სუსტი თავის დონესთან შედარებით, თორემ სხვა გუნდები ასეთ შედეგს ნატრობენ.



ნინო ხურციძე

სამაგიეროდ, უზარმაზარი ნაბიჯი გადადგეს წინ ჩვენმა მამაკაცებმა — მსოფლიოს საჭადრაკო ფორუმზე ისეთი ქვეყნების ნაკრებების უკან ჩამოტოვება, როგორებიც არიან: შვეიცარია, აშშ, ესპანეთი, სომხეთი და სხვები, პატარა საქმე არ არის. თანაც, რაც ყველაზე სასიხარულოა, მამაკაცთა გუნდში უკვე გამოცდილ მოჭადრაკეებს ახალგაზრდებმაც არ დაუდეს ტოლი — გიგა ყაჭეიშვილი, თამაზ გელაშვილი და ბაადურ ჯობავა ისე თამაშობდნენ, რომ ავტორიტეტების წინაშე არავითარი შიში არ ეტყობოდათ, რაც შედეგშიც აისახა.

სამწუხაროა, რომ „გაფრინდაშვილის თასი“, რომელიც მამაკაცთა და ქალთა გუნდების მიერ ერთობლივად მოგროვებული ქულების მიხედვით გადაეცემა საუკეთესო გუნდს, რუსეთის ნაკრებს ერგო. აქაც სულ ერთი ქულა დაგვაკლდა.

***— როგორც ვიცით, ჭადრაკში უახლოეს მომავალში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. როგორც პარტიის რეგლამენტებში, ასევე ტურნირების ორგანიზაციაში.***

— ეს მართლაც ასეა. ფიდე ცდილობს 7 საათიანი რეგლამენტის შემცირებას, რადგან ჭადრაკიც გარკვეულწილად კომერციული სპორტი ხდება და ამდენი ხნის განმავლობაში გაგრძელებული პარტია მაყურებელს ველარ მოიზიდავს.

ტურნირების ფორმულის შეცვლის მხრივ კი, მთავარი ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ახალი ფორმულაა, რომელსაც ამ თვის ბოლოსვე ახლოს გავიცნობთ — ინდოეთში ათი ქართველი მოჭადრაკე ქალი მივემგზავრებით. ამხელა წარმომადგენლობა არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს. სულ 61 მონაწილე იქნება. აქედან სამი — სე ჟუნი, ალისა გალიამოვა და მაია ჩიბურდანიძე პირველი წრიდან გათავისუფლებულნი არიან. დანარჩენი 58 დაწყვილდება და ერთმანეთში გაითამაშებენ ორ-ორი პარტიისაგან შემდგარ მატჩს. დამარცხებული შეჯიბრს ეთიშება. დარჩენილ 29 მოჭადრაკეს ეს სამიც მიემატება და თავიდან ჩატარდება კენჭისყრა. ასე რომ, ყველაფერი ე.წ. ოლიმპიური სისტემით მოხდება. ნახევარფინალები და ფინალები ოთხ-ოთხი პარტიისაგან იქნება შემდგარი და იქაც ისევე, როგორც წინა ორპარტიიან მატჩში, ფრედ დამთავრების შემთხვევაში დამატებითი ორ-ორი პარტია დაინიშნება, ოღონდ 25 წუთიანი რეგლამენტით. თუ ეს „მიკრომატჩიც“ ფრედ დამთავრდა, კიდევ ორ-ორი ბლიცპარტია გაიმართება ხუთწუთიანი რეგლამენტით.

თავადაც ხედავთ, ეს სრულიად ახალი რამ არის. ბევრ მოჭადრაკეს შეიძლება გაუჭირდეს ასეთ ცვლილებასთან უცებ შეგუება. სწორედ ახლა გამოჩნდება ყველაზე მეტად პროფესიონალიზმი და სპორტული ჟინი.

***— მსოფლიო ჩემპიონატიდან რას უნდა ველოდოთ? ნუთუ ისევ წარმატებად უნდა ჩავთვალოთ მეორე ადგილი?***

— მთლად ასეც არ არის საქმე. როგორც უკვე გითხარით, ყველაზე მეტი — ათი მოჭადრაკე, საქართველოდან გამოვდივართ. გამოვდივართ-მეთქი, რომ ვამბობ ჩემს თავსაც ვგულისხმობ. დიდი ხნის „დასვენების“ შემდეგ, მეც გადავწყვიტე ახალგადრზდობის გახსენება. ცხადია, ყველაზე რეალური ფავორიტია მაია ჩიბურდანიძე. ნანა იოსელიანისა და ნინო გურიელისაც დიდი იმედი გვაქვს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა დიდოსტატი ნინო ხურციძე, რომელმაც ბრწყინვალედ იასპარეზა სტამბულის ოლიმპიადაზე და ჩვენი გუნდიდან ერთადერთმა ოქროს მედალი მოიპოვა თავის დაფაზე. მისი იმედი ინდოეთშიც გვაქვს **(ნინო ხურციძესთან ვრცელ ინტერვიუს ჩვენი გაზეთის დამატების — ჟურნალ „გზის“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ — ზ.გ.).**

სამწუხაროდ, პირველივე წრის კენჭისყრის შედეგად სამი „ქართული წყვილი“ მივიღეთ — იოსელიანი გოლეთიანს ხვდება, მე — ხურცილავას, ხოლო ჯავახიშვილი — გერმანიის სახელით მოასპარეზე კახიანს.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი დიდოსტატები ადვილად აუღებენ ალღოს ტურნირის ახალ რეგლამენტს და დიდი იმედი მაქვს, რომ საჭადრაკო გვირგვინი კვლავ საქართველოში დაბრუნდება.

# „ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!...“

ის დრო წარსულს ჩაბარდა, როდესაც ფეხბურთი მხოლოდ თამაში იყო. ახლა სპორტის ეს ყველაზე პოპულარული სახეობა სპორტიც არის, ბიზნესიც, პროფესიაც და მასობრივი სანახაობაც. შესაბამისად შეიცვალა ფეხბურთისადმი დამოკიდებულებაც. აქსიომაა — ფეხბურთის მომავალი ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში იქმნება. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? აქაც ისევე ცუდად არის საქმე, როგორც დიდ ფეხბურთში თუ უკეთესად?



შოთა ჭეიშვილი შეგირდებთან

ამ საკითხით იმანაც დაგვაინტერესა, რომ რედაქციაში მკითხველის წერილი მოვიდა, რომელიც გვწერდა: ტყუპი ბიჭის მამა ვარ, ძალიან მინდა, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშონ, მაგრამ დღეს მომრავლებული საფეხბურთო სკოლებიდან რომელში მივიყვანო, ვერ გადამიწყვეტია. იქნებ რამე მირჩიოთო.

ამ საკითხებზე სასაუბროდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დავუკავშირდით, სადაც იმ ხალხმა, რომლებსაც სამსახურებრივად ევალებათ ბავშვთა ფეხბურთზე ზრუნვა, გვირჩია — უმჯობესი იქნება, პირდაპირ ეწვიოთ რომელიმე სკოლას და თავად ნახოთ, რა კეთდებაო.

ძველი, ტრადიციების მქონე საფეხბურთო სკოლებს — „ნორჩ დინამოელს“, 35-ე სკოლას და „ავაზას“ თავი ავარიდეთ და ორი წლის წინ საავიაციო ქარხნის ყოფილ სტადიონზე ჩამოყალიბებულ საფეხბურთო სკოლას „შევარდენი-1906“-ს მივაკითხეთ.

ჟურნალისტებს ხშირად „კრიტიკომანებს“ გვიწოდებენ. ღმერთი, რჯული — ოღონდ კარგი და საქებარი ვნახოთ რამე და სხვას თუ ლანძღვაგინების კითხვა მოსწყინდა, ჩვენ წერა — მით უმეტეს.

რაც „შევარდენზე“ ვნახეთ, გულწრფელ აღტაცებასა და გაკვირვებას იწვევს იმ სიტუაციის ფონზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სუფევს.

ამ სტადიონზე რამდენიმე წლის წინ უმაღლესი ლიგის გუნდი — თბილისის „შევარდენი“ თამაშობდა. ეს გუნდი გაუქმდა და სტადიონსაც ახალი პატრონი — შპს „შევარდენი-1906“ გამოუჩნდა, რომელთანაც ბავშვთა საფეხბურთო სკოლა შეიქმნა ორი წლის წინ. ამ ორ წელიწადში აქაურობას ბევრი რამ შეემატა — ახალი ორსართულიანი შენობა, რომელშიც გასახდელები და საშხაპეებია მოთავსებული, ერთი სავარჯიშო მოედანი, მსაჯების მისაღები ოთახი, თეორიული მეცადინეობებისა და ვიდეოკლასი, საუნა და ა.შ.

საფეხბურთო სკოლის დირექტორი ბადრი მანწკავა — ახალგაზრდა, თავის საქმეზე შეყვარებული კაცია.

სასწავლო ნაწილს რომან შონია განაგებს — გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც დიდი ხანია ბავშვთა ფეხბურთში მოღვაწეობს. სწორედ მას ვთხოვეთ სკოლის შესახებ მოეთხრო:

— ჩვენთან 1982-დან 1993 წლამდე დაბადებული ბავშვები ვარჯიშობენ. ყოველ ასაკში ორორი ჯგუფი გვყავს, რომლებთანაც კვალიფიციური მწვრთნელები — შოთა ჭეიშვილი (ბათუმის „დინამოს“ და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი), ნოდარ აკობია (თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი), სოსო ჭედია, ზაურ სვანაძე, როსტომ თორღაშვილი, ვახტანგ ჩიმაკაძე და სხვები მუშაობენ. ცხადია, მწვრთნელთა კვალიფიკაცია მთავარ როლს თამაშობს ნებისმიერი სკოლის დონის განსაზღვრაში, მაგრამ დღეს ის დრო მოვიდა, როდესაც კარგი მწვრთნელის გარდა, თანამედროვე ინვენტარი, კარგი კვება, სარეაბილიტაციო ცენტრია საჭირო და ჩვენი სკოლის მესვეურთა წყალობით, თქვენც ხედავთ, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა და საქართველოში სხვებზე მეტად ვართ უზრუნველყოფილი.

***— თქვენ სასწავლო ნაწილს განაგებთ. რადგან ასეთი თანამდებობა არსებობს, ე.ი. თეორიულ მეცადინეობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თქვენთან.***

— მართალი ხართ. ჩვენ გვაქვს სპეციალურად მოწყობილი ვიდეოდარბაზი, სადაც ბავშვები თავიანთი ყველა თამაშის ვიდეოჩანაწერს უყურებენ, რომელსაც პროფესიონალი ოპერატორი იღებს ჩვენივე აპარატურით.

გარდა ამისა, უამრავი მეთოდური ვიდეომასალა ჩამოგვაქვს საზღვარგარეთიდან, რომელიც ჩვენს მწვრთნელებს ძალიან ეხმარება თეორიულ სწავლებაში.

შოთა ჭეიშვილმა ჩვენთან დანერგა ე.წ. ტიპსის პროგრამა. ეს ის პროგრამაა, რომელიც საქვეყნოდ განთქმულ „აიაქსის“ სკოლაშია დამუშავებული და მართლაც საოცარ შედეგებს იძლევა. ისიც ხაზგასასმელია, რომ ეს პროგრამა 6-7 წელიწადზეა გათვლილი და ფეხბურთელის აღზრდას ითვალისწინებს პირველი ნაბიჯებიდან იმ ასაკამდე, როდესაც მის მომავალზე უკვე კონკრეტული დასკვნის გაკეთება შეიძლება.

***— თქვენს სკოლაში სწავლის გადასახადი რამდენია?***

— ასაკის მიხედვით — 15-დან 30 ლარამდე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს თანხა ელექტროენერგიითა და ცხელი წყლით უზრუნველყოფასაც ძლივს ჰყოფნის. ამას დაუმატეთ კვება, ბურთები, სათამაშო ფორმები, ბუცები, რომლებშიც სხვაგან ფულს იხდიან ბავშვები და დარწმუნდებით, რომ გადასახადი არც ისე დიდია.

***— გამოდის, რომ სკოლა წამგებიანია ფინანსური თვალსაზრისით?***

— ეს კითხვა, ალბათ, შპს „შევარდენი 1906“-ის აქციონერებს უნდა დაუსვათ. სინამდვილეში, მართლაც ასეა ჯერჯერობით, მაგრამ ქართული ფეხბურთის მომავლისათვის ზრუნვა, თავისთავად, თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა, უკვე მოგებაა. გარდა ამისა, 12 წელზე უფროსი ასაკის ბავშვების მშობლებთან, სრულწლოვანების შემდეგ კი, თვითონ მოსწავლეებთან, კონტრაქტები იდება, რომლის ძალითაც, მათი ნორმალურ გუნდში გაყიდვისას სკოლა კომპენსაციას მიიღებს.



ზაურ სვანაძე თეორიულ მეცადინეობაზე

***— თუ გყავთ უკვე ასეთი იმედისმომცემი ფეხბურთელები?***

— ჯერ სულ ორი წელია მუშაობას შევუდექით, თუმცა ერთი ჩვენი აღსაზრდელი — ირაკლი ჯოჯუა უკვე თამაშობს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში, ერთიც თენგიზ სულაქველიძესთან, 16-წლიანებში — დათო ღულუნაძე. ახლახან რუმინელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გოლიც შეაგდო. 8-10 ბავშვი უკვე გვყავს, რომლებიც აშკარად გამოირჩევიან თანატოლებისგან და მათი მომავლისაც გვეიმედება.

***— წელან კვება ახსენეთ. აქ ბავშვებს კვებითაც უზრუნველყოფთ?***

— უახლოეს ხანში ამ საკითხის მოგვარებასაც გვპირდებიან. ნახსენები პროგრამები ხომ კვების სპეციალურ რაციონსაც გულისხმობს. წელან კი იმ ბავშვებზე მქონდა საუბარი, რომლებიც აქ ცხოვრობენ და ვარჯიშობენ.

***— სად ცხოვრობენ, აქ — ბაზაზე?***

— დიახ ეს ის ბავშვები არიან, რომლებმაც რესპუბლიკის მასშტაბით გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვეს და ჩვენთან წამოვიყვანეთ. ისინი აქვე, კეთილმოწყობილ ოთახებში ცხოვრობენ. ცხადია, უფასოდ ვკვებავთ და ვაცხოვრებთ და არც სწავლის საფასურს იხდიან.

***— შეჯიბრებები თუ იმართება? როგორია თქვენი გუნდების წარმატებები?***

— ორ ასაკში — 1983 და 1984 წლებში დაბადებულებს შორის ქალაქის პირველობა მოვიგეთ და რესპუბლიკურ პირველობაში ჩავებმებით. მომავალი წლიდან ცოტა უმცროსებიც გამოვლენ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე.

საზღვარგარეთაც ვიყავით — დანიაში, თურქეთში. ასე რომ, წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზეც გვაქვს.

***— სამომავლოდ რას გეგმავთ?***

— გარდა იმისა, რაც გითხარით, გადაწყვეტილი გვაქვს ჩრდილოეთის ტრიბუნის ადგილზე კიდევ ერთი სავარჯიშო მოედნის მოწყობა. ხოლო სამხრეთის კარის უკან კი — პატარა ხელოვნურსაფრიანი მოედანი გაკეთდება. ტრენაჟორების დარბაზი აშენდება ცალკე — ამჟამად 31-ე ქარხნის დარბაზში ვავარჯიშებთ ბავშვებს. სხვა გეგმებიც გვაქვს, მაგრამ მათი განხორციელება როდესაც დაიწყება, ამაზე მაშინ ვისაუბროთ.

თუმცა ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა — საფეხბურთო სკოლის მთავარი მიზანი არა ბავშვთა ტურნირების მოგება, არამედ ფეხბურთელების გაზრდაა და ჩვენც ამ მიმართულებით ვმუშაობთ.

ორი საათი დავყავით „შევარდენზე“ — მწვრთნელებსა და ბავშვებსაც ვესაუბრეთ, გასახდელები, საშხაპეები, საუნა, ვიდეოდარბაზი და დასასვენებელი ოთახები დავათვალიერეთ და საფუძვლიანი იმედი ჩაგვესახა, რომ ქართულ ფეხბურთს მომავალი ნამდვილად აქვს, თუ იმ ხალხს, რომელიც ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს ამ საქმისათვის, თანადგომა და მხარდაჭერა არ მოაკლდება.

**გვერდი მოამზადა ზვიად გურულმა**

# სიყვარული არაბულ-ისრაელურად



მათ არასოდეს დაავიწყდებათ ის დღე, როდესაც ჯამილი ელას ოჯახში მივიდა გასაცნობად — ხელში ბომბი რომ მჭეროდა, იმაზე უარესი რეაქცია არ ექნებოდათო, — იხსენებს ჯამილი. ის პალესტინელია, ელა — ისრაელელი. მათ ერთმანეთი შარშან გაიცნეს, ორივე მონაწილეობდა სამშვიდობო კონფერენციაში, რომელიც ამ ორი ხალხის, პალესტინელთა და ისრაელელთა დაახლოებას ისახავდა მიზნად. ჩვენი გმირებიც დაახლოვდნენ და, დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, დაქორწინდნენ. იმედი ჰქონდათ, მათი ქორწინება იმ სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცეოდა, რომელიც იმ დროს კემპ-დევიდში დაიწყო. დღეს კი მთელი მსოფლიო ხედავს, თუ როგორ ცდებოდნენ ელა და ჯამილი. ეს ხუთი თვეა, მათი სახლი ცენტრალურ ისრაელში ვირტუალურ ციხედ არის ქცეული. ჯამილი შინიდან არ გადის დაპატიმრების შიშით. ის აღარსად მუშაობს (თუმცა მანამდე მაღალი კლასის ინჟინერი გახლდათ), ტელეფონს არ პასუხობს და ფანჯარასთანაც კი არ მიდის. ელასთან მეგობრები და მშობლები სულ უფრო იშვიათად სტუმრობენ. მასთან არაფერი მაქვს საერთო, ის ხომ პალესტინელი გახდაო, — ამბობს მამამისი. ელა 30 წლისაა, საკმაოდ ცნობილი დიზაინერია. ელას, ისევე როგორც მის თანატოლ გოგო-ბიჭებს, ბავშვობიდანვე უნერგავდნენ, რომ არაბი მისი მტერია. დაქალებამდე არც ენახა პალესტინელი. ამიტომ გაოგნდა, როდესაც პირველი არაბი — ჯამილი გაიცნო და ის კაციჭამია არ გამოდგა. დაახლოებით ასევე დაემართა ჯამილსაც. იგი იხსენებს მათ პირველ შეხვედრას: „როგორც კი შევხედე, მივხვდი, ჩემი სულის ტყუპისცალი მედგა წინ“. დაქორწინებაზე ორივეს მშობლებმა სასტიკი უარი განუცხადეს. ჯამილი, ყოველგვარი საჭირო საბუთის გარეშე, გადავიდა ისრაელის ტერიტორიაზე და იქ ელასთან ერთად დასახლდა. ახლახან სიმამრმა განუცხადა, თუ სასწრაფოდ არ დატოვებ ისრაელს, პოლიციას ჩაგაბარებო.

თუმცა ახალგაზრდები გულში სიხარულით არც პალესტინის მხარეს ჩაუკრავს. ჯამილის დედა თავდაპირველად გულღიად შეხვდა ელას, რადგან მისი ვაჟის მეგობარი ეგონა. მაგრამ როდესაც გაიგო, რომ მისი შვილი არაბული ადათების გვერდის ავლით აპირებდა ისრაელელი ქალიშვილის ცოლად შერთვას, გადაწყდა, — თუ ამას გააკეთებ, მამისეულ ოჯახს დაკარგავო. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ელამ და ჯამილმა დაქორწინება გადაწყვიტეს. ისრაელსა თუ ვესტ ბანკში (პალესტინის ტერიტორიაზე) ეს შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ კვიპროსზე უხმაუროდ, ჩუმად იქორწინეს. არც ვინმეს მიულოცავს, არც ყვავილები მიურთმევიათ ბედნიერი წყვილისთვის, თუმცა გულს წყენა არ გაიკარეს. მთავარი ის იყო, რომ მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ.

დღეს ჯამილი ყველა მხრიდან შევიწროებულია: არაბები მოღალატეს უწოდებენ და ანგარიშსწორებას უპირებენ. ისრაელელები კი ისრაელის კანონების დარღვევისთვის დაეძებენ. ცოლ-ქმრისთვის ერთადერთი გამოსავალი პოლიტიკური თავშესაფრის ძებნაა და მათაც თხოვნით მიმართეს ამერიკის ოფიციალურ ხელისუფალთ. „ჯამილი ჩემი ცხოვრების სიყვარულია, მე არ მსურს მისი დაკარგვა“, — ამბობს ელა. ცოლ-ქმარი მოუთმენლად ელოდება ამერიკელებისგან იმიგრანტთა ვიზას, ეს არის მათი ერთადერთი იმედი.

***ნიუზუიქ, 6 ნოემბერი***

# მცირე რამ ჩაის ისტორიიდან



ჩაი პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა ჩინეთიდან შეიტანეს თავიანთ ქვეყანაში, მაგრამ მათ თანამემამულეებს ეს სასმელი არ მოეწონათ. 1662 წელს პორტუგალიელი პრინცესა ეკატერინე ცოლად გაჰყვა ინგლისის მეფე კარლ-ს. ინგლისში პრინცესამ ჩაიტანა ჩაი და სასახლეში ჩაის სმა მოდური გახდა. ინგლისის სასულიერო პირებმა იგი „ცოდვიან“ სასმელად ჩათვალეს, რადგან ჩაი წარმართული ქვეყნიდან შემოჰქონდათ. ერთ-ერთ უძველეს ჩაის ფირმად ინგლისში ითვლებოდა „ტუაინინგზი“. იგი დააფუძნა თომას ტუაინინგმა 1706 წელს და დღემდე საოჯახო საწარმოა. თომასი თავის ჩაის მხოლოდ არისტოკრატებზე ყიდდა. ჩაის ინახავდნენ სპეციალურ ჭურჭელში, რომელიც იკეტებოდა, გასაღები კი დიასახლისს წელზე ჩამოკიდებულ ჩანთაში ჰქონდა. დიასახლისი ჩაის თვითონ გადმოჰყრიდა და თვითონვე აყენებდა. ასე წარმოიშვა ინგლისში ჩაის მოხმარების თავისებური წესი. დღისით ჩაის სმა წესად XV საუკუნის 90-იან წლებში შემოვიდა. 1835 წელს გამოჩნდა ფირმის ახალი გამოგონება — ჩაის ემატება ციტრუსის — ბერგამოტის ზეთი (ეს ციტრუსი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ხარობს). ცნობილია, რომ ინგლისელები ჩაიში რძეს ურევენ. რაც უფრო მაღალი ხარისხის ჩაის მიირთმევთ, მით უფრო ნაკლებაა საჭირო მისი დატკბობა.

***ფავორიტი №17***

# საბედისწერო ბერმუდის სამკუთხედი

ახალი ბირთვული ავიამზიდი „შარლ დე გოლი“, რომელიც საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფლაგმანად უნდა ქცეულიყო, იძულებული გახდა სასწრაფოდ შეეწყვიტა საცდელი ცურვა კარიბის ზღვაში და კურსი თავის კუთვნილ პორტ — ტულონისკენ აეღო. საგანგებო შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა „შარლ დე გოლი“ შევიდა მისტიკური ბერმუდის დამღუპველ ზონაში, სადაც გამოუცნობ ვითარებაში მრავალი ხომალდი და თვითმფრინავი დაიღუპა. მოულოდნელად ავიამზიდის ძრავის სისტემაში უჩვეულო ვიბრაცია გაჩნდა. წყალქვეშა მცურავებმა, რომლებიც ხომალდის კორპუსს იკვლევდნენ, აღმოაჩინეს, რომ გატეხილიყო ხრახნის ოთხი ლაპოტიდან ერთ-ერთი — ავიამზიდს ორი ხრახნი აქვს, თითოეული 19 ტონას იწონის, დიამეტრი კი 5,8 მეტრია. ამ პირობებში სამხედრო-საზღვაო შტაბმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ცურვის გაგრძელებაზე და ავიამზიდი მშობლიური ნაპირებისკენ გაბრუნდა. იგი ნელი სვლით მიცურავს ტულონში და 25 ნოემბრისთვის ჩააღწევს პორტში. ავარიის მიზეზები ჯერ დაუდგენელია. მოცემულ ეტაპზე სპეციალისტები გამორიცხავენ ჰიპოთეზას, რომ დაზიანება რაიმე წყალქვეშა საგანთან შეჯახებამ გამოიწვია... ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ „შარლ დე გოლის“ უსაფრთხოებას არაფერი ემუქრება, თუმცა ხრახნის შეკეთებას 3 თვე დასჭირდება.



ევროპაში საუკეთესო ავიამზიდი „შარლ დე გოლი“, რომლის აგებაც 1986 წელს გადაწყდა, მართლაც უიღბლო აღმოჩნდა. იგი 14 წლის მანძილზე შენდებოდა და წყალში გასული წლის იანვარში შეცურა. მისი აგება 20 მილიარდი ფრანკი დაჯდა. მაგრამ სხვადასხვა დეფექტის გასასწორებლად კიდევ 500 მილიონი ფრანკი დაიხარჯა. მთელი ეს სამუშაო 1999 წლის მაისიდან 2000 წლამდე გრძელდებოდა. როგორც იქნა, ამა წლის ოქტომბერში „შარლ დე გოლი“ 1700 კაციანი ეკიპაჟით პირველად გაეშურა ნაოსნობაში, რათა გამოცდა გაევლო ცივ და თბილ წყლებში. მაგრამ საჭირო გახდა, ავიამზიდს ცურვა შეეწყვიტა იმ დროს, როცა პარიზში პირველად გაიხსნა გენერალ დე გოლის ძეგლი.

***ნოვიე იზვესტია №206***

# ბერეზოვსკის გასახლება ელის

მთელ მსოფლიოში, რუსეთის გარდა, ყველა წარმატებული ბიზნესმენი ამაყობს თავისი უძრავი ქონებით. რუსეთის მთავრობა ბორის ბერეზოვსკის ალექსანდროვკაში მდებარე საკუთარი სახლიდან გამოსახლებას უპირებს. იმიტომ კი არა, რომ ქირას არ იხდის — სახლი კერძოა! მაგრამ ბერეზოვსკისა და პუტინის დიდი ხნის ქიშპობა საკმარისია იმისათვის, რომ მის უძრავ ქონებას პრობლემები შეექმნას. თურმე, სახლის შეძენისას გამყიდველის, ოჯახის ერთ-ერთი წევრის უფლებები დაირღვა და ახლა ჩივის — სახლის ნაწილი დამიბრუნეთო. ბერეზოვსკის, როგორც ჩანს, მოუწევს ამ ნაწილის დათმობა — არადა, სწორედ აქ გახლავთ მისი და მისი მეუღლის ელენას საძინებელი და ბავშვების გასართობი ოთახი. თუმცა ამ ფაქტით თვითონ ბორის აბრამის ძე დიდად შეწუხებული არ ჩანს.

იმ დროს, როდესაც მის სახელთან დაკავშირებული სერიოზული ძიება მიმდინარეობს — აეროფლოტში „ფულის ჩამორეცხვის“ სკანდალთან დაკავშირებით, „წვრილმანი კომუნალური პრობლემები“ რა მოსატანია!

***ნიუზუიქ, 30 ოქტომბერი***

# პიკასო სტალინის გაშიშვლებაზე ოცნებობდა...

გენიალური მხატვარი პაბლო პიკასო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი იყო. იმ პერიოდში მას მართლაც სჯეროდა კომუნიზმის იდეალებისა. პიკასო კომუნისტური პარტიის წევრი გახდა საფრანგეთის ნაცისტური ოკუპაციის დროს. მხატვარს არავინ აიძულებდა, პარტიულ კრებებს დასწრებოდა. იგი თავის ტილოებს ჩუქნიდა საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელობას, ისინი კი ყიდდნენ სურათებს პარტიული სალაროს შესავსებად! პიკასომ ვერა და ვერ დაიყოლია იოსებ სტალინი, მისი პორტრეტი დაეხატა. 1949 წელს „ხალხთა ბელადის“ 70 წლისთავზე, მან ალეგორიული ნახატი „სტალინი“ შექმნა (ბელადი ღვინით სავსე ჭიქით ხელში და მზის სხივებში). ასეთი ძმაბიჭური ურთიერთობა არ მოუწონეს კომუნისტმა მეგობრებმა და ამხანაგ პიკასოს მიერ შესრულებული სტალინის პორტრეტის პუბლიკაცია კატეგორიულად დაგმეს. ამის შემდეგ პიკასოს კომპარტიის მიმართ, ცოტა არ იყოს, გული გაუგრილდა, მაგრამ მატერიალურად მაინც ეხმარებოდა. მხატვარი ღიმილით შეხვდა ამხედრებულ სტალინელებს: „მოხუცი, დანაოჭებული სტალინი რომ დამეხატა, მეტყოდით, როგორ გაბედე ბელადის ასე დამახინჯებაო. მერე მინდოდა, შიშველი დამეხატა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან არ ვიცოდი, როგორ დამეხატა გენიტალიები, რომელიც კლასიკურ სკულპტურებში ძალზე პატარაა, მაგრამ ამას ძლიერ სტალინს როგორ შევკადრებდი, მაშინვე თავს დამესხმოდნენ, ხოლო რეალურად რომ გამომესახა, მაშინ სახაზავით უნდა გამეზომა და სტალინს ჩვეულებრივ ადამიანად ვაქცევდი“.






***კომერსანტი***

# წვიმიანი ტყის თამაშები

არავინ იცის, დამყარდა თუ არა ახალი მსოფლიო რეკორდი მარაბაში გამართულ ამ შეჯიბრზე — 600-ზე მეტი ათლეტი შეიკრიბა ამაზონის წვიმიან ტყეებში მდებარე პატარა ქალაქში, „ინდიელი ხალხის თამაშების“ მესამე შეხვედრაზე. მარაბაში ბრაზილიის ყველა კუთხიდან 31 სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. ისინი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ეროვნულ თამაშებში, როგორიცაა: ჩასაბერი მილებიდან ისრის სროლა, დინების საწინააღმდეგოდ ცურვა ან მხარზე მორგადებული სირბილი... შეჯიბრებას 15 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, რომლებიც მორკინალთ ინდიელთა სიმღერებით ამხნევებდნენ.

რა თქმა უნდა, ეს თამაშები არ იყო სიდნეის ოლიმპიადის მსგავსად მაღალორგანიზებული. მაგრამ ამ ოლიმპიადის ოქროსმედალოსნებს ბევრი შეეძლოთ ესწავლათ უბრალო ინდიელი სპორტსმენებისაგან. ისინი ძნელად თუ გაბედავდნენ ეასპარეზათ იმ ინდიელებთან, რომლებიც ამაზონის ყველაზე ბობოქარ შენაკად ტოკანტინის ტალღებში დინების საწინააღმდეგო ცურვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სიდნეი — 2000-ის მონაწილეთ უთუოდ გააკვირვებდათ უჩვეულო ამანათრბენი — მოასპარეზენი ესტაფეტის პალმის ჯოხის ნაცვლად 100კგ-იან მორს გადასცემდნენ. ინდიელთა ოლიმპიადას ეშხი არ ექნებოდა ფეხბურთის მატჩების გარეშე. ყოველი მატჩის დამთავრების შემდეგ მაყურებელი „ველურ ცეკვებს“ მართავდა გამარჯვების აღსანიშნავად.



ასპარეზობაზე უბედური შემთხვევაც მოხდა — 22 წლის ლაუციდიო ფლორესს ტოკანტინის ტალღებში გადაშვებისთანავე შხამიანმა თევზმა ფეხზე უკბინა და რომ არა მაშველები, ფლორესი ბობოქარ მდინარეში გონწართმეული ჩაიძირებოდა. თუმცა, ამ ხიფათს სრულიადაც არ შეუშლია მისთვის ხელი, გამარჯვებულის გვირგვინი დაედგა — ფლორესმა შუბოსანთა შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა და ქოქოსის ხისგან დამზადებული შუბი 39,7 მეტრზე გატყორცნა. გამარჯვება ბევრმა მოიპოვა ამ თამაშებზე, თუმცა ყველაზე დიდი გამარჯვება მაინც მისმა ორგანიზატორებმა — ძმებმა მარკოს და კარლოს ტერენებმა მოიპოვეს — სწორედ ისინი გახდნენ ინდიელი ხალხების თამაშების დამფუძნებლები.

***ნიუზუიქ, 30 ოქტომბერი***



**თარაზულად**: 7. ციხე, სენაკი; 8. იტალია, ჩექმა; 11. კასრი, ქამარი; 12. კანადა, ვარშავა; 13. ობობა, ფეიქარი; 16. რუსეთი, ჩაიდანი; 19. მურტალო, პოლიცია; 21. ხეთაგუროვი, ორჯონიკიძე; 23. ყავა, ნესტლე; 24. კაენი, მსხვერპლი; 26. კოლგოტი, სიგარეტი; 28. წყარო, ვულკანი; 33. მარიტა, ჯაჭვლიანი; 35. თურქეთი, რივიერა; 36. ინდიელი, ბაიდარა; 37. ჰილარი, ბილი; 38. თეატრი, პაუზა; 42. თივა, ბორცვი; 44. წისქვილი, ქირა; 47. ღორი, რემა; 48. ტრასა, პარკეტი; 49. ჯოტია, მიღწევა.

**შვეულად**: 1. ფორთოხალი, ლიმონათი; 2. ზოოპარკი, მდინარე; 3. შიდსი, ინფექცია; 4. მწვადი, ლუმელი; 5 ექსტრასენსი, მინდორი; 6. კატა, ჩოჩორი; 9. ბანქო, კიჭა; 10. მამალი, მოზარდი; 14. თერმექსი, ქვაბი; 15. ნიორი, მძივი; 17. მიწა, ქირა; 18. მანჭკვალა, შავჩოხა; 20. კამეჩი, ურემი; 22. ბროლი, გუგა; 25, პოდიუმი, ჟურნალი; 27. აფრიკა აბორიგენი; 29. ზევსი, ფარი; 30. ღმერთი, მეცნიერება; 31. ვატიკანი, მეფე; 32. გვარჯალაძე, კავშირი; 34. ფეხბურთი, მდგომარეობა; 36. ფეხბურთი, ბადე; 39. ბასილაია, ბითლზი; 40. თვითმფრინავი, ფარეხი; 41. უკრაინა, პორტი; 43. პრეზიდენტი, მანქანა; 45. ბანკი, საქონელი; 46. სტალონე, ტაისონი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 7. ბაბილონი; 8. ბოტანიკა; 12. გულაგი; 13. ანარქია; 14. ატელიე; 17. ურალი; 18. გარდერობი; 22. დაისი; 23. აბდალი; 24. გარაჟი; 27. მარსი; 28. კლასიკა; 30. ატრია; 35. თამარი; 36. მასტიკა; 37. ჰამაკი; 40. კინოლოგი; 41. ოპონენტი.

**შვეულად**: 1. აბრაგი; 2. ალყა; 3. ანგინა; 4. კონკია; 5. ბანი; 6. პირატი; 9. ფიურერი; 10. მართვე; 11. თბილისი; 15. გლობუსი; 16. მანჟეტი; 18. გოლი; 19. დანია; 20. რგოლი; 21. ირაო; 25. საგზალი; 26. ბინოკლი; 29. სტატია; 31. გროზნო; 32. ბადაგი; 33. სკრეპი; 34. ბალონი; 38. ნალი; 39. მონა.

## №46 (215) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 842 მკითხველი გამოეხმაურა. 11 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 345-მა ქალმა და 486-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა მიგაჩნიათ ყველაზე მიუღებლად?“**

როგორც გაირკვა, ჩვენს მკითხველებს აქ ჩამოთვლილ ქცევათაგან ყველაზე მიუღებლად დასმენა მიაჩნიათ. რესპონდენტთა 66-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალურით კი მკითხველთა 2-მა შეაფასა. **7,26** საშუალო ქულით „დასმენა“ პირველ ადგილზეა.

მოგეხსენებათ, ეს ქცევები მაინცდამაინც დიდ სანქციებს არ ითვალისწინებენ, მაგრამ ეს ის შემთხვევებია, რომლის დროსაც, ადამიანებს ეთიკური ნორმებიდან (მეტ-ნაკლებად) გადახვევა და ამდენად, საკუთარ სინდისთან „გარიგებაზე წასვლა“ უხდებათ.

ჩვენს მკითხველებს მიუღებლად მიაჩნიათ ტყუილიც. 19-მა მიაკუთვნა მას მაქსიმალური — 8 ქულა. 6,29 საშუალო ქულით „ტყუილი“ მეორე ადგილზეა. მათი აზრით, ასევე დაუშვებელია ქრთამის აღებაც (მიცემა). აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულით სწორედ ეს უკანასკნელი შეფასდა.

გადასახადებისათვის თავის არიდება, ნაპოვნი ნივთის მითვისება და ტრანსპორტში ფულის გადაუხდელად მგზავრობა, მკითხველთა უმრავლესობას, აქ ჩამოთვლილთა შორის, არც ისე მიუღებლად მიაჩნია. ყველაზე „უწყინარი დანაშაული“ კი, მათი აზრით, ტრანსპორტში ფულის გადაუხდელად მგზავრობაა. მხოლოდ 6-მა რესპონდენტმა (0,72) დაუწერა მას მაქსიმალური ქულა, მინიმალური კი — 38-მა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაპოვნი ნივთის მითვისებაც ზუსტად 6-მა მკითხველმა შეაფასა მაქსიმალური — 8 ქულით.

ახალგაზრდა, 30 წლამდე ასაკის მკითხველთათვის, მოპარული ნივთის ყიდვაზე მეტად, გადასახადებისათვის თავის არიდებაა დაუშვებელი.




საპრიზოს ზუსტად 12 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 48 წლის **თამაზ დუნდუა,** 58 წლის **ირაკლი ყველიაშვილი,** 59 წლის **ელგუჯა გავაშელიშვილი,** 39 წლის **მარინა კობერიძე,** 41 წლის **ნანი ბარამაშვილი,** 68 წლის **ჟენია ხომერიკი,** 36 წლის **თინათინ გერსამია,** 25 წლის **დ. გალუაშვილი,** 66 წლის **მედეა ჟღენტი;** 53 წლის ქუთაისელი **უ. ჩომახიძე,** 36 წლის მცხეთელი **ნანი უშარიძე** და 46 წლის სოხუმელი **დარეჯან ჯახუა.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 21 ნოემბერს, 17 საათზე.

## №47 (216) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№47 (216) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 22 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 23 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №47 (216) —
უახლესი წარსული

**უახლესი წარსულის ცნობილი ადამიანებიდან რომლის მიმართ ხართ ყველაზე კეთილგანწყობილი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№47(216) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ცნობილი ადამიანები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | |
| 2 | ზვიად გამსახურდია | |
| 3 | გია ჭანტურია | |
| 4 | მერაბ კოსტავა | |
| 5 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 6 | ჯაბა იოსელიანი | |
| 7 | ირაკლი წერეთელი | |
| 8 | თენგიზ კიტოვანი | |

**დამატებითი კითხვა**

**ამართლებთ თუ არა უშუქობის გამო მოსახლეობის მიერ თბილისის ქუჩების გადაკეტვას?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას 814-მა რესპონდენტმა უპასუხა. კითხვა ასეთი იყო: **„თქვენ რომ ამერიკელი იყოთ, ვის მისცემდით ხმას საპრეზიდენტო არჩევნებში?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპუბლიკელ ჯორჯ ბუშს იმდენი გულშემატკივარი ჰყოლია საქართველოში, რომ აქ იგი ულაპარაკოდ გახდებოდა პრეზიდენტი. მას რესპონდენტთა 47 მისცემდა ხმას საპრეზიდენტო არჩევნებში; ალ გორს კი — მკითხველთა 26. რესპონდენტთა დანარჩენ 27-ს კი გაუჭირდა კითხვაზე განსაზღვრული პასუხის გაცემა — ე.ი. არჩევანის გაკეთება გაუჭირდებოდა.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



დავით მირცხულავა



ვიტალი ხაზარაძე, რევაზ ყიფიანი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 157 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ვ.ხ.** უცნაური კაცი ხარ, ჩემო რევაზ, მშვენივრად იყავი მოყუჩებული პროკურატურაში და რა მოგარბენინებდა პარლამენტში?!

**რ.ყ.** — ეეხ, ვახტანგ რაზმაძის ჯიბრზე, თორემ...

***უავტორო***

**რ.ყ.** — ვიტალი, ამ კუბდარში ჭკუასელის გულ-ღვიძლია ჩადებული. შეჭამე და აუცილებლად გამოჯანმრთელდები.

***ეკა მთიელი, თბილისი***

**რ.ყ.** — ვიტალი, აი შენ ამ ხაჭაპურის 25, 25-იც მე, ხოლო ეს დარჩენილი 50 უფროსობას. რა ვქნა, ძმაო, მე ასე ვარ მიჩვეული.

***მარი, თბილისი***

**ვ.ხ.** — ხომ ხედავთ, მეტს ველარ ილებთ, ბ-ნო რევაზ, ერთი კბილებით დაიჭირეთ.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**რ.ყ.** — ამ მეორე ნაჭერს ბაბილაშვილს წავუღებ, თორემ მშიერია საწყალი.

***„რაჭველო“, თბილისი***

აი რა ხდება პარლამენტის სამზარეულოში:

**რ.ყ.** — აჰა, შენ ხაჭაპურის ერთი დიდი „კუსოკი“, ესეც მე — ხაჭაპურის მეორე დიდი „კუსოკი“.

**ვ.ხ.** — ბიჭო, არ დაგვიჭირონ?

**რ.ყ.** — ნუ გეშინია, ეს „კუსოკები“ იმხელა ხაჭაპურს მოვაგლიჯე, რომ ვერც შეამჩნევენ.

***ვახო ნანავა, თბილისი***

**რ.ყ.** — რომელია ყველაზე დიდი ნაჭერი?

**ვ.ხ.** — ხი, ხი, ხი, ხი. დიდ ნაჭერს შენამდე ვინ მოუშვებს, ის უკვე შეჭმულია.

***ნუგზარ ბარათაშვილი, თბილისი***

**იმერული ვარიანტი**

**რ.ყ.** — ბატონო ვიტალი! მიირთვით კიდევ ერთი ნაჭერი ხაჭაპური.

**ვ.ხ.** — უკვე მივირთვი ორი ნაჭერი, გემრიელია ძალიან.

**რ.ყ.** — ორიც მიირთვი და სამიც, მაგრამ გადაილე კიდევ.

***ვლადიმერ ფოფხაძე, თბილისი***

**რ.ყ.** — ვიტალი, მთელი ხაჭაპური შევჭამე და ძლივს მივაგენი აგერ, კუთხეში ყველის პატარა ნაჭერს!

**ვ.ხ.** — აპა, ტარაკანა ხომ არაა, რომ ირბინოს აქეთ-იქით, შე კაცო...

***მამუკა ღვალაძე, ბაღდათი***

**ვ.ხ.** — რეზო, შენ რა, არ იცი, როცა სუფრაზე ორი რამეა, ერთი დიდი და მეორე პატარა, დიდი სხვას უნდა მიაწოდო.

**რ.ყ.** — შენ რას იზამდი?

**ვ.ხ.** — მე პატარას ავიღებდი.

**რ.ყ.** — მერე პატარას არ გაწვდი?!

***„ჩალაღაჯა“, ფონიჭალა***

**ვ.ხ.** — მიირთვი, ბ-ნო რეზო, ყველაფერი გადახდილია, ჭკუასელს ნაძლევი მოვუგე, რომ ცისფერი არა ვარ და იმან იკისრა ყველაფერი...

***ბადრი, თბილისი***

**რ.ყ.** — ხაჭაპური ხოჩეშ?

**ვ.ხ.** — არა, არ მინდა.

**რ.ყ.** — ნე ხოჩეშ?... აბა, მარტო ჭკუასელის ცოლ-შვილი ხოჩეშ?..

***ირაკლი და გიორგი ჭანტურიები, თბილისი***

**რ.ყ.** — ჩემო ვიტალი! თუ სიმართლეს გეტყვი, პაექრობა ჭკუასელთან პირწმინდად წააგე, იმისათვის, რომ მისი ორი ბრალდებიდან ერთი უარგეყო, მეორე ფაქტიურად აღიარე, თანაც ისეთი ფორმით, რომ 15 „სუტკა“ ადგილზევე დაიმსახურე.

**ვ.ხ.** მადლობა ღმერთს, შენ აღარ ხარ პროკურორი, მე კი იმუნიტეტი მიცავს.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



– ღენი პიდე არ მოუჭიათ?!!

**მაგნიტური დღეები**

21/XI $22^{00}$–$24^{00}$ სთ-მდე

26/XI $16^{00}$–$18^{00}$ სთ-მდე

26/XI ახალი მთვარე

## წინა სკანვორდის პასუხები






## ქართული წამალი „სალხინო“ ერთადერთი პრეპარატია, რომელსაც გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადებების და შარდსასქესო ორგანოების სხვა დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხად ს ქვ არი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები ი ება ბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტრო ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის სასვ თან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ოში ოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პ რიწ 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით ა შენე ისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის ამზ. მ ომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედან ნაძ ვევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტა ონთა დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერ ის მ ებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავ აძის 5 და უნივერსიტეტის Iკ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. კ.ფშა ას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩ ბასთ ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და იონ ი:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთ ისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი ქობ ლეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, ს ნაღ ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე;* ***არსებული „სიტყვ და ქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტაში ყუთებ დაი ება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან. დედოფლის წყაროში ვის კვირას ხუთსაბათს. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ქინ ლს და დუშეთში კი თვის IV კვირის ხუთშაბათს.*

**ყურადღ ა: ვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპ ნდ ტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კა ნით.©**

### 47 უ ვა ო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№47 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 23 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## იცით თუ არა, რომ...

122 წლის წინ, 1888 წლის 22 ნოემბერს, მწერალ ბეროუზას ძალისხმევით დღის სინათლე იხილა დღემდე პოპულარულმა ნაწარმოებმა „ტარზანმა“, რომლის მთავარი გმირი, მეოცე საუკუნის დამლევსაც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საინტერესოა.

* * *

109 წლის წინ, 1891 წლის 19 ნოემბერს გერმანიის ქალაქ გეპინზემის ერთ-ერთ მაღაზიაში გაიყიდა პირველი სათამაშო რკინიგზა.

* * *

31 წლის წინ 1969 წლის 19 ნოემბერს, ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ გაიტანა თავისი მე-1000 გოლი.



მოსამართლე ეუბნება კოლეგას:

— თუ გახსოვს, ერთი მაგარი პროცესი რომ იყო, ებრაელი რომ უჩიოდა სომეხს, როგორ დამთავრდა?

— რა დამავიწყებს... მოსამართლეს მიუსაჯეს ათი წელი.

მკითხავი კარტს უშლის კლიენტ მამაკაცს:

— თქვენ ორი შვილის მამა ხართ...

— არა, პატივცემულო, ცდებით, სამის!

— ეს თქვენ ცდებით, დამიჯერეთ — მხოლოდ, ორის!



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**
**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**
**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.**
**სარედაქციო კოლეგია.**
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44
palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge
**სარეგისტრაციო ნომერი 1518**
**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი